

העיתון

9

1980

სსსრ

279

გამოცემის ოცდამეოთხე წელი

9

სექტემბერი

1980

თბილისი

საქ. კვ ცა-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უზრუნველყოფის

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

სკპ X XVI ურილობის შესახებდრად

3. დიადი მოკლენის მოლოდინში

ახალი სახელები

5. ბიბი სულაპაური — ლექსები

პროზა და კოეზია

- 9. ოთია იოსელიანი — მოთხრობები
- 45. ლია სტურუა — ლექსები
- 48. მირანულ ავსჯანფილი — სიცოცხლე. ლექსი
- 49. შურმან ჯგუზურია — ლექსები
- 54. გომდობი ვიწვილი — ზომი რამ ფიჭვინე კაცის ცხოვრებიდან. რომანი
- 68. მამუტა წიკლაური — ლექსები
- 73. დავით ნაპიჩე — ლექსები
- 75. ირინე ტალიაშვილი — ლექსები

50 — ზურაბ კუხნიანი — 50

- 77. შურმან ლიხანიჩე — არა ერთი მშვენიერი ხატი; ოთარ მამფორია — პარბი, როცა...; მიხეილ კვიციანი — კოეზი. მილოცვები
- 79. ზურაბ კუხნიანი — ლექსები
- 82. ნუგზარ წიკეთელი — მი ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ
- 102. ლევან ხანიჩიჩე — უტარქანო ხელები. გაგრძელება

სკპ X XVI ურილობის შესახებდრად

119. სოლომონ დემურხანაშვილი, სოლომონ სამხატვრო — ცხვარი და მცხვარი

ახალგაზრდა შურნალისტი მივლინებაში

126. მამულა გონაშვილი — იტყვის: სოფელი დიდია

წერილები

- 128. რევაზ თვარაძე — „ღვთის მიხედვით“
- 134. დარეჯან კლიაშვილი — ცინისჯვარელთა საგვარეულოს ისტორიისათვის
- 139. ბიგლა სარიშვილი — ახალი წიგნი — ახალი სიგალო

ხელოვნება

- 141. ოთია პაპორია — თემო ჯაფარიძე
- 146. მეთეხან ჯაფარიძე — იყო თიღაძე-ნოღარიშვილი

წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე

- 148. რევაზ ჯაფარიძე — შთამბგომებელი მშენილებები
- 149. გურამ ფანჯიჩიჩე — გოროტსა სწლია კითხილვან

დიადი მემკვიდრეობა

- 151. ალექსანდრე კუშკინი — წიგნი. თარგმნა რუსუდან ქეხულაძემ

იუმორი

- 158. ჯანრი გოგაშვილი — სსუ, მოდის..
- 159. გაბრიელაული იუმორი

მთავარი რედაქტორი
მირიან ფონსნიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირაშვილი,
გივი გვამყარია,
გურამ გვარდნიშვილი,
რისკა გორდუნიანი,
გიორგი გუბლია,
ნოდარ დუშაძე,
მერაბ ელიაშვილი,
ირაკლი მარჯანიძე,
ვლადიმერ მენაბდე.

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
ოთია პაპორია,

გურამ ფანჯიჩიჩე,
ნუგზარ შატიჩი,
ჯანსუღ ჩაქვიანი,
გივი ქნელიაძე,
ნუგზარ წიკეთელი,
თეიმურაზ ნიჭიშვილი,
ტარიელ ტანუაშვილი,
რევაზ ტყეშელაშვილი.



ღიალი მოვლენის მოლოდინი

ოთხი წელი გვაშორებს იმ ღირსშესანიშნავ დღიდან, როცა საბჭოთა ხალხმა თავისი პარტიის XXV ყრილობაზე შეაჯამა მეცხრე ხუთწლედში ქვეშარიტად გრანდიოზულ მიღწევათა შედეგები, დაადასტურა აღებული კურსის სისწორე, დასახულ ამოცანათა რეალობა და შეიმუშავა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგის შემდგომი განვითარების ღრმად დასაბუთებული, მეცნიერული პროგრამა — კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომუნისტურად გარდაქმნისა და ახალი ადამიანის ფორმირების დიდი პროგრამა, თანამედროვეობის უპირველესი რევოლუციური დოკუმენტი. პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მიზანდასახულობებს თავისი გრანდიოზულობით, მასშტაბურობით და აღებული კურსის განხორციელებისათვის კომპლექსური უზრუნველყოფის თვალსაზრისით გადალი არ მოეპოვება ჩვენი პარტიისა და ხალხის ისტორიაში.

მთელმა საბჭოთა ხალხმა მოინონა და მისი შრომისა და მოღვაწეობის პროგრამად მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამ პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიანი მოხსენება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1980 წლის 23 ივნისის ჯადგენილება იმის შესახებ, რომ პარტიის XXVI ყრილობა მოწვეულია მომავალი წლის 23 თებერვალს, გახდა მთელი ჩვენი საზოგადოების ახალი შრომითი წარმატებებისა და შემართების ულავი წყარო.

„ერთსულვან ინტერნაციონალურ ოჯახად, თავისი კომუნისტური ავანგარდის ვარშემო მტკიცედ შეკავშირებულნი ეგებებიან ჩვენი ქვეყნის ხალხები სკკპ XXVI ყრილობას. პარტიისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენისათვის მზადება მათ შორის ინვეს დიდ პატრიოტულ აღმაელობას, მაღალ პოლიტიკურ და შრომითს აქტიურობას, მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალი სახელოვანი საქმეებით აღნიშნონ მომავალი ყრილობა, ამრავლონ სამშობლოს მატერიალური და სულიერი სიმდიდრე“, წერდა ვაზეთი „პრავდა“ მოწინავე სტატიასში 1980 წლის 20 ივლისის ნომერში.

მომავალი ხუთწლედისათვის გრანდიოზული ღონისძიებებია დასახული, რათა ჩვენს ქვეყანაში უფრო მძლავრად განვითარდეს სათბობი ნედლეულის ბაზა, ენერგეტიკა, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური და მრეწველობის სხვა დარგები. უაღრესად დიდი ყურადღება მიექცევა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მაღალი ხარისხის კვების პროდუქტების საკმარისად და ფართო ასორტიმენტით გამოშვებას, ამ პროდუქტებით მშრომელი მოსახლეობის შეუფერხებელ მომარაგებას. ამ მეტად საჭირო ამოცანების გადაწყვეტა ისე ვერ მოხერხდება, თუ არ განვითარდა სოფ-

ლის მეურნეობა. ამიტომაც პარტია კვლავ დიდძალ სახსრებს დააბანდებს სოფლის მეურნეობაში, იგი ხელს შეუწყობს სოფლად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, რათა ეს უკანასკნელი ხელს უწყობდეს სასურსათო საქონლით ქვეყნის მომარაგების გაუმჯობესებას.

„ყოველი ყრილობა, — თქვა პლენუმზე ანს. ლ. ი. ბრეჟნევი, — ახალ პორიზონტებს უსახავდა ჩვენს პარტიასა და ქვეყანას. მჯერა ასეთი იქნება მომავალი ყრილობაც, რომელმაც უნდა განსაზღვროს კომუნისტური მშენებლობის დამდეგ ეტაპზე ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა“.

ისევე როგორც განვილილ პერიოდში, ამჟამადაც პარტიის ყურადღების ცენტრშია საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხები. „ჩვენ, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევი — დავისახეთ ისეთი კაპიტალური ამოცანა, როგორც წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლება და ეს ამოცანა ნიადაგ უნდა გვექონდეს ყურადღების ცენტრში, კვლავაც უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ კიდევ დაეაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განვამტკიცოთ შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა, უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების განუზრერელი ზრდა“.

1980 წლის 7 ივლისს გაიმართა საქართველოს პარტიული აქტივის კრება, რომელზეც მოხსენებით „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები მისი გადაწყვეტილებების, ამ პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში დასახული მითითებების შესრულებისა და პარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრის საქმეში“ გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შუვარდნაძე. იმავე დღეს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს კომპარტიის ოცდამეექვსე ყრილობა მოწვეული იქნეს 1981 წლის 22 იანვარს. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოწვევა ღირსშესანიშნავი მოვლენაა არა მარტო კომუნისტების, არამედ რესპუბლიკის თითოეული მშრომელის ცხოვრებაში, რადგან იგი განიხილავს იმ საარსებო საკითხებს, შეიმუშავებს იმ ღონისძიებებს, რომელიც მკვიდრ საფუძველს შეუქმნის საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ წინსვლას, ამაღლებას, მშრომელთა კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

მთელი მსოფლიოს საზოგადოების წინაშე კი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი წარმოსდგება, როგორც მრავალრიცხოვანი ერებისა და ეროვნებების ურღვევი მეგობრობის ზურჯი. „ჩვენს ქვეყანაში, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევი, — იშვა და განმტკიცდა დიადი ძმობა მშრომელი ადამიანებისა, რომლებსაც ეროვნების მიუხედავად აერთიანებთ საერთო კლასობრივი ინტერესები და მიზნები, ჩამოყალიბდა ისტორიაში არნახული ურთიერთობა, რომელსაც სამართლიანად ვუნოდებთ ხალხთა ღენინურ მეგობრობას. ეს მეგობრობა, ამხანაგებო, ჩვენი ფასდაუდებელი განძია, სოციალიზმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი მონაპოვარი“.

ხალისით, ახალი შრომითი მიღწევებით ხვდებიან XXVI ყრილობას ჩვენი ქვეყნის მკლავმოულელი მშრომელები. მათ შემართებას ისიც აორკეცებს, რომ მომავალ წელს ჩვენი რესპუბლიკა იზეიმებს გასაბჭოების მე-სამოცე წლისთავს.



ზიგი სულაბაური

წვიმით დაღლილი შემოდგომის
მღვრიე თვალებით
დავინახე გუშინდელი დღე —
ბელურასავით აბუზული და
მონყენილი.

მე ჩამოვჯდები ფიქრის რაფაზე.

ო, მეგობარო!
სადღაც რეკავენ ვეება ზარებს:
— ეს ახლოვდება ბერნი ზამთარი,
ახალი ცრემლი და სიხარული რომ
მოგვიტანოს.

ქუდი

ეს მე ვარ ქუდი და შენი ტვინი ჩემში ცხოვრობს
ობობასავით.
და როს ქუჩაში გამოსული თვალებით ყლაპავ
ფეხმძიმე სახლებს,
მე მესიზმრება გადამხმარი მდელო
პლანეტა მარსის.
სადაც დაჰქრიან სიკვდილის შემდეგ, თქვენი სულები,
გარდაცვლილი უკვდავებო.
იქვეა წყალი და ჩათვლემილი ხომალდები მღერიან
მარსის სისხლიან მზეზე.
მღერიან ისე, თითქოს სულად ქცეულებს სურდეთ
შეესხათ ხორცი,
აეცსოთ ხალხით და სურსათით შავი ფერდები,
დაბეროს ქარმა,
ააქაფოს მათი მლაშე გზა და მძიმე ტვირთით
გადაღლილები, დააბრუნოს დედამიწაზე.
ო, გარდაცვლილი უკვდავებო! ან ვერასოდეს,
ვერასოდეს დაბრუნდებით დედამიწაზე!
ეს მე ვარ, ქუდი! დაე ფიქრობდე, რომ ქუდი ვარ,
უბრალო ქუდი.

ასე,
ქუჩიდან გამოქცეული
ძალიან გვიან
ან იქნებ აღრუ,

შინ ვბრუნდებოდი,
რათა მეპოვნა
სხვათა სახეებს
დამსგავსებული
ჩემივე სახე.

დღეს ისე კარგი დილა გათენდა, —
ზღვა გამახსენდა.
მადლობელი ვარ! გარდასული
დღეებისათვის,
წინამძღვარო.

ეს დედამინა, — დიდი სანთელი,
გიდგას სანოლთან
და ეფინება სახეს სინათლე
იმპროვიზაციად.

ბაღაპარგება

ლ. ს.

ოთახი — ჩემი სულით გაბზარული,
ძველი წიგნები კარადის თავზე,
სიგარეტებით სავსე ნიჟარა.
წაიღე. დია, რასაც შეძლებ...
რას ნიშნავს ნეტავ, აქ არ ხარ როცა
და მაინც აქ ხარ.
რას ნიშნავს ნეტავ, თავზარდამცემი
იდუმალეზა
მდუმარე მთების, ანდა სახლისა,
სადაც მთვარე არ იყურება
ფანჯარაში
ნიშა ხარივით.

მაინც ერთად ვართ.
სიკვდილამდე ერთად ვიქნებით
და იმის მერეც...
ო, მე არ ვდარდობ, რომ დაგვარგე
გასაღები ჩემივე თავის...
ჩვენ ერთადა ვართ.
და გაზაფხულო, შენი მოსვლა
ისევ მახარებს, ხედავ, მშვიდი ვარ,
ვით დაისრული სებასტიანე.

თუმცა მთაში ვარ,
ჯერ ვერ ავედი
ჩემი გონების ბორბალოზე.
და, მერწმუნე,
არც კი ვიცი, იქ რა მინდა,
რა დამრჩენია, —
ფერადები,
სიტყვა,
სიმშვიდე?

ან იქნებ ვფიქრობ (ქვეცნობიერად),
რომ სიმაღლიდან უკეთესი მოჩანს
სოფელი.
არ ვიცი, ძმაო...
ერთს გეტყვი მხოლოდ:
მთაში საოცრად მალე ღამდება
და ვარსკვლავების გაყინულ შუქზე,
გაფითრებული მთვარე ფეხით
გაისეირნებს.

შენ ველარასდროს დაინახავ
 ქვეყნიერებას
 ჩემი თვალებით, პატარა მეგობარო!
 და იცოდე, აღარც მოგცემ ამის
 უფლებას!
 ყველა ის ფიქრი, რაც საფერფლეში
 ჩაისრისა,
 საგულდაგულოდ შევინახე კარადის
 თავზე,
 ვფიქრობდი, — მივალ, დიდი ხნის
 მერე,
 ხელს შევახებ, მოვეფერები...
 განა ვიცოდი, რომ ფიქრები
 მეგობრებივით იკარგებიან?!
 გულუბრყვილობავ! რანაირი
 ყოფილხარ თურმე.
 სულ მეგონა, გავიზარდე, აღარაფერი
 მეტკინება,
 დავმშვიდდი-მეთქი,
 კი არ გავიზარდე, — გადავიზარდე,
 და ჩემივე სხეული მაკრთობს.
 ო, ხვალინდელი დღეების რიგო,
 ჩამწკრივებულ დღეის კარებთან,
 როგორ მიყივით უამინდობას.
 ო, მარტოობის მძიმე სხეულო,
 მომავალივით ჩასაფრებულო,
 როგორ მიყივი უამინდობას!
 კარადის თავზე ძველ წიგნებთან
 ესლა ვიპოვე: — გაიხსენე, თუ
 შეგიძლია!
 შენ სიტყვებს ვამბობ:
 „აღარ მინდა! დავიღალე! მოწყენილი
 ვარ!“
 სასაცილოა. შენ უბრალოდ, არ
 შეგიძლია!
 იმ ქალმა რა თქვას,
 ვის ოთახშიც, ცისფერ კედელზე
 ისევ ისეა გაკრული ჩვენი ბავშვობის
 სურათები.
 ჩვენ კი იქ არ ვართ.
 როგორ გავკრთით მზის სხივებად
 ჭადრის ფოთლებში
 მე და ჩემი ძმა, და დამსხვრეული
 ვერცხლისწყალივით

სხვადასხვა მხარეს მიმოვიფანტეთ.

რა ქნას იმ ქალმა?

სასაცილოა, შენ უბრალოდ, არ

შეგძლებია...

აღარ მოგცემ იმის უფლებას,

რომ ჩემი თვალით დაინახო

ქვეყნიერება,

პატარა მეგობარო.

როდესაც სიბნელეში ზემოდან ვიხედები,
მხოლოდ თეთრ ქალაქს ვხედავ, და მეჩვენება,
რომ ამ ზღაპარში მე ვარ მთავარი მოქმედი
პირი...

ამ სიბნელეში
მარტო შენი სული ანათებს,
ჩემო იმედო.
კმაყოფილი ვარ!
რომ შეღვრება

შენი სხივები
ღრმა ხვეულებში
და ვილიმები,
რადგან სიცივე ვერ გიმკლავდება,
და მამოძრავებს.


აღრე გარდაცვლილი ვიარაგის დატყვია


თ. კ.

სული გამექცა,
გამიფრინდა ბედის ფრინველი,
ბრძანებასავით პირქუშია
ახლა ცხოვრება.
თან სულერთია,
თუ ფანჯარა არ გამოაღე,
თითქოს ვერაფერს ხედავ
ამეფეყნად.
დამბაღებულო!

მე რა ვიცოდი: —
ხელებგაშლილი ადამიანი ჯვარსა
გაფს თურმე!

ვერ შეაკეთებთ დაზარულ რწმენას
მოგონებათა ცისარტყელებით,
ო, მეგობრებო,
ჩემი სახელი
თქვენი სულების თეთრი დროშაა!





ოტია იოსელიანი

სამოგზაურო-სათავგადასავლო, დიდაქტიკური ხასიათის საყმაწვილო წიგნიდან: „მუხლზე დაწერილი მოთხრობები, ანუ მტრედებს გამოგანებული ბარათები“.

ნებარ პარიან მორჩუნენი

მითუმბტძს, უცხო გზებზე დამდგარმა, უნდა იცოდე, როგორც მრავალფეროვანია ქვეყანა, ასევე მრავალგვარია ადამიანები. კაცი რწმენით ფასდება. ყველას თავისი გზა და სალოცავი აქვს. ცხოვრების გზაზეც და ამ მოგზაურობაშიაც, ბევრი ურწმუნო მინახავს და მოწმუნეც შემხვედრია. ვინ ეშმაკს მსახურებს და ვინ — მამაზეციერს.

ალბათ, იმ ჯვალის შავ კაბაში გახვეულ მლოცველსაც (ქალი იყო თუ მამაკაცი, რომ ვერ გავარჩიე), გულგრილად ჩაეუვლიდი, შუადღის თავარა სიცხე რომ არ ყოფილიყო და ირგვლივ, რაიმე შენობა კი არა, საჩრდილობელი ხე მაინც რომ მდგარიყო, ხე კარგი მოგეცა, ბუჩქი ან ზირგვი... რა ხანია ღერი ბალახი არსად შემინიშნავს.

ამ გათარანებულ სიცხეში, კვერცხი რომ შეიწვება, დაცემულა მუხლებზე შავხამოსანი, მოწიწებით აღტყურია ხელები და უსათნოესი მხერით ცას შეჩერებია. ერთი ახედვა კი ავიხედე, ნამდვილად ვილაცას თვალბეჭეში უცქერის და დავიღუბე. დავბრმავდი, მე ვერ ვამჩნევ-მეთქი. ღრუბლიანი რომ ყოფილ-

იყო, დავექვდებოდი, იქნებ იქ მართლა არის ვილაცა და მლოცველის მზერა ღრუბელშიაც ატანს-მეთქი. არადა ისეა მთელი ზეცა პირწმინდად მოკანკალებული და გათარანებული მშით გავსებული, ფრინველიც კი ფრთებს შეიტრუსავს.

მე ნაბადი და ნაბდისავე ქული მაინც მიფარავდა და უძრავი მლოცველის გარუჯულ, ტიტველ შუბლს რომ დავაჩერდი, ვთქვი, არამტელ მზის დაკვრა მოუვა, თავზე ცეცხლი წაეკიდება-მეთქი; მივბრუნდი, გზიდან გადავუხვიე, ახლოს მივედი და გვერდით დავუდექი, — მე ჩემი მჭირს, მჭირს და ამ განწირულს ერთხანს მაინც მოვუჩრდილა-მეთქი. ტუჩებით რაღაცას უხმოდ რუღუნებდა და ამით თუ შეამჩნევდით სიცოცხლის ნიშანწყალს.

— იწამე ღმერთი, მზეს ნუ წამართმევ! — ხელები ჩემსკენ მოაპყრო და შემომლაღადა.

— მზე კი არა, ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულია! — ავუხსენი, რომ გონზე მომეყვანა.

ოტია იოსელიანი
მოთხრობები



— იყავ მოწყალე!.. — შემევედრა გულდათუთქული.

— კი, ბატონო!.. — რა გზა მქონდა, განზე გავდექი.

— უხილავი ხარ ბრმათა და უგუნურთათვის, შენ სახიერო და ხილულ მოწმუნეთა... გავარჩიე ძალიან ხმადაბლა ნათქვამი. იმდენად ხმადაბლა, რომ მეგონა საკუთარი გულისხმა მომესმა.

— ვის ხედავ, შე საცოდავო. ამ გამდნარი ფოლადივით ადუღებულ ცაზე? — დაყვავებით და მზრუნველობით ჩავაჩერდი, რომ მეგონა, გუგებში ხანძარი აქვს ჩანთებულ-მეთქი, თვალეში ისეთი სიმშვიდე და სასოება ჩაბუღებოდა, ისევ დავეჭვდი, ნამდვილად ვიღაცას ხედავს. ვისგანაც მისთვის სიგრილე და სალბუნი მოედინება-მეთქი და მის მზერას თვალი გავაყოლე. როგორ გეკადრებთ, უკიდია ცას ცეცხლი და იწვის!

— ხედავ ხომ?.. — თვითონ იმდენად აშკარად ხედავდა რაღაცას და ისე დაჭერებით და აღფრთოვანებით მკითხა, მკრეხელობას ჩავიდენდი, რომ გამეწბილებინა.

— ვხედავ, რა თქმა უნდა, ვხედავ...

— მერე, სად იხედები! მე მიცქერი?! მუხლებზე, მუხლებზე დაეცა!

— კი... მაგრამ მე ცოტა მორცხვი ვარ და ასე თვალის კაკლებში ცქერა მეუხერხულება.

— უჰ!.. — სახე გაუბრწყინდა აღტაცებით, — შენ ჩემზე სათნო და მოკრძალებული ყოფილხარ. ვცოდავ, ასე უტიფრად რომ შეეჩერებივარ, ხომ?

— უტიფრად რა საკადრისია, პირიქით, ღრმა მოწიწებითა და თაყვანისცემით შესცქერიოთ...

— და არაა ასე მიგეზება ღვთიური, ხომ?

— ჰო, რა აუცილებელია, ჩავემხოთ ამ თაკრა ღაღარში და თვალი გავუშტეოთ... წავიდეთ, ჩრდილი ვეძიოთ და თუ მაინცადამაინც, იქ ვილოცოთ.

— რავე, ცხელა თუ?!

„აღუღებია ტვინი ამ გაჭირვებულს და გადაწვია“ — ადამის შვილი, ადამიანს

გულს როგორ არ მოგწვავს, და ავტორი:

— სიცხით არ ცხელა, მაგრამ მაინც წავიდეთ, ეს ტალი უდაბნო რა აუცილებელია, „სახიერს“ და „ხილულს“ ჩრდილიდან ვერ დავინახავთ?

— ცოდვა გამხელილი ჯობია, თავიდან მეც დამცხა და დავილაღე...

— ახლა აქ ცოტა სიცხე და მოთენთილობა რომ იგრძნოს კაცმა, დიდი მკრეხელობა არაა. — ვანუგეშე და წამოვაყენე.

— რა ვიცი, ვიფიქრე, ალბათ, წაწყმედილი ვარ, რომ ღვთის გაჩენილ ქვეყანაში, რაღაცა მანუხებს და რაღაცა მაწვალებს-მეთქი. თუ აქ ზე და ჩრდილი უნდა ყოფილიყო, იქნებოდა... ან რატომ უნდა მოვინდომოთ ის, რაც ღმერთს არ გაუჩენია.

— ღმერთმა გააჩინა, ალბათ, მაგრამ უღმერთოდ მოჭრა და მოჩეხა, მამაზეცერი ხელებში ხომ ვერ ეცემოდა.

— ალბათ იმან, ვისთვისაც უხილავია...

— რა თქმა უნდა, აბა, ვინც თვალეში უცქერის და მის ნება-სურვილს მორჩილებს, ის ხომ არ ჩაიდენდა.

— თქვენ წმინდა ადგილების მოსახილველად ჩამოსულხართ... — დაასკვნა ისე დარწმუნებულმა, რომ შედავება არ შეიძლებოდა.

— კაცმა რომ თქვას, თვალს არაფერზე ვხუჭავ, რასაც ჩემი ღარიბი გონება მიწვდება, მაგრამ შემინდოს უფალმა და უწმინდურ, გავეჩ ნებულ და გაუდაბნოებულ ადგილებს, წმინდა, აყვავებული მიჩვენია.

— მაგრამ ეს უდაბნო ხომ უფრო წმინდაა და შეურყვნელი, ვინემ სასახლეები და დარდილული ბაღები

— ალბათ, სასახლეები და ბაღები ადამიანებითაა საესე, ადამიანი წმიდაცაა და უწმინდურიც, აქ კი ძეხორციელი არავინაა და უთუოდ შეურყვნელი იქნება.

მივდივართ ამ ღაღარში, მივჩლახუნობთ, მე ოფლით ვრწყავ ნაფხებურებს. ეს ოჯახამენებული ისე მხნედ მომდევს,



გეგონება, შუბლზე აპრილის სიო დათამაშებს და ელამუნებაო... ვხედავ, თვალებს არ ვუჯერი, არ გამიწყრეს ღმერთი, მართლა არ გრილოდეს და ამას კი არა, მე არ მეჩვენებოდეს სიცხე და პაპანაქება!

— შენ რაღაც გაწუხებს, ვილოცოთ... — შემომთავაზა ჩემმა, სამოთხის ბაღში მოსვირნემ.

— არა, ლოცვა არ მიშველის, წუხელ გავცივდი, უქმური შემეყარა, და დღეს ცოტა ოფლი უნდა მოვიდინო, ამიტომ დავაჯერე თავი, რომ გავარვარებულ უდაბნოში დავდივარ და ღვითქი გადამდის.

— შენ ისეთი რწმენის ადამიანი ყოფილხარ, საკირეში რომ ჩაგაგდონ, ცეცხლი არ მოგეკიდება.

— ჰო, მაგრამ ჩემი გაჭირვება ისედაც მყვოფა და საკირის არავითარი სურვილი არაა მაქვს.

— თუ უფალს ასე ნებას?! — გაუკვირდა, რაღა წინააღმდეგი ხარო?

— აჰ, ღმერთმა ნუ ჰქნას, რა დავაშავე ასეთი.

— დანაშაულისათვის ადამიანები ჰყრიან ადამიანებს საკირეში, სადაც ღვთის ხელი არ ურევია.

— ჰოდა, მაგი ჯერ ადამიანებს არ უქნიათ ჩემთვის, და მით უმეტეს, მეუფე რას მემართლებს.

— თუ უფლის საქმე ჩვენ განვსაჯეთ, უფალი რაღა უფალი იქნება?! — გაუკვირდა, შენ ასე ღვთისმოსავი კაცი რას ამბობო.

— არა, მაგრამ, ასე განუსჯელად დასჯას რას მერჩის?!

— როგორ, საკირე და ჯვარცმა სასჯელია, თუ რწმენის გადასარჩენად ესოდენი პატივი გერგო?

— არა, ახლა ასე კი არ გამიგოთ, მაგრამ საკირე მაინც ვერაფერი სასიამოვნოა.

შეცბა და თვალბში ჩამაჩერდა. რა ვიცი, რა დაინახა ასეთი საშიში, რომ ათრთოლებულმა უკან დაიხია და მუხლები მოისერა:

— ურწმუნო ყოფილხარ!.. — და ხე-

ლები ალაპყრო, — უფალო, შეუწდე და შეივრდომე, ჰყავ ბედნიერი და ხილვა შენი...

ვიფიქრე, ეს უბედური აქედან ფეხს არ მოიცვლის და აბედით დიწვებამეთქი. ავუსხენი:

— ხომ გითხარი, გაციებული ვარ, ტანში სატანა მყავს შემგდარი და თვალბრიც იმან ამომღვრია. უდაბნო წარმოვიდგინე, რომ ტანიდან გამოვდენო. თუ სადმე ჩრდილი ვიპოვეთ და იქვე წყაროც იქნა, მალე მოვიკეთებ და თვალბში ისევ ღვთის წყალობა ჩამიდგებამეთქი.

— სატანა გყავს შემგდარი?! — გასასვსავა ხელები — ვიჯმნი ეშმაკისაგან!

— რა დაგემართა, რატომ გაფითრდი! შენ ასეთ ღრმა მორწმუნეს, ეშმაკი და სატანა რას დაგაკლებს. მაცდური, რისი მაცდურია, თუ არავის შეუჯდა.

— ვიჯმნი ეშმაკისაგან!

— კაცო, ღმერთს არ მოუსპია ეს ეშმაკი და სატანა და ჩვენ გავწყვეტო?

— ვიჯმნი ეშმაკისაგან! — მთლად წაუვიდა ფერი-ფურო.

— მე რომ მკითხო, ყოველი მანენ და მაცდური ჩვენ უნდა მოვიზიდოთ, რომ ისეთ ურწმუნო ვინმეს არ შეუჯდეს, სადაც თავი საკუთარ სახლში ეგონება. ჩვენ, ღვთის შეწევნით, იოლად განვდევნიოთ...

— აჰ, არ უნდა გავუბრბოდეთ? — რაღაცა სარწმუნო ენიშნა ჩემს ნათქვამში და ერთბაშად მოიკეთა — არ უნდა ვემალებოდეთ?

— რაღა გეკადრება! იმ დაწყევლილსაც ხომ თავისი საქმე აქვს, ვიღაცას უნდა შეუჯდეს... ესე იგი, როგორ მოვიქცეთ, ჩვენ ავიცილოთ და სხვა აცდუნოს? ასეთ საქმეში, თუ სიმართლე გინდა, ღვთის ხელი არ ურევია, სატანა და მავნე თუ საცთუნებელი და სატანჯველია, ჩვენ უნდა მივიდოთ, რომ ეხსნათ მოყვასი ავისაგან.

— ჭეშმარიტებას ლაპარაკობ!

ოტია იოხიშვიანი
მოთხრობები

— როგორც გინდა ისე ჩათვალე, მაგრამ მე პირიქით, კარს ფართოდ ვუღებ მავნეს. მოვიდეს, იყოს ერთხანს, თავი შეიქცოს. მართალია, ტანში რომ შემიჯდება, მაყრკოლებს, მამტვრევს, თვალებს მიმღვრევს, გუნებას მიწამლავს, უშპური მყავს შეყრილი, აბა, იოლი კი არაა, მაგრამ არ მეშინია. ხედავ, როგორ გადამდის ღვითქი სახეზე და არაფრად ეგადებ, იმას კი უჭირს, ვერ გაუძლებს და გამეყრება.

— ღმერთმა გამომიგზავნა შენი თავი, რომ თვალეები ამიხილო! — დაასკვნა შვებაშკაბოსანმა და მხარში ამომიღვა — ჯობია ჩვენსკენ მოვიზიდოთ, ვინემ განვავლოთ და ურწმუნო დავათრგუნვინოთ ხომ?

— მგონია, მოყვასზე უნდა ვიზრუნოთ. თორემ საკუთარ თავზე მაცდურიც ზრუნავს.

— უდბნოსა შინა ღალადი, ვითომ არაფერს მოგვცემს?

— ვფიქრობ, ბევრს არაფერს, ცხელ

ღალადში თუ დაიჩოქებ და ხანდახან დებულ ცას თვალს არ მოაშორებ, მართო ღმერთს კი არა, დასტა-დასტა მანვესა ლოზებსაც დაინახავ, მაგრამ სატანა რომ აუშვა და მის ჰქუაზე აჯირითო, შენ გგონია სიკეთეს იხამ?

— ჯობია მიწაზე დავიხედოთ და სატანა და მავნე დავთრგუნოთ?

— აბა, ესაა ღვთის სამსახური...

— ჰეშმარიტად.

— წამოდი შენ ჩემთან ეგერ, ე, ხედავ? რაღაც მწვანედ გამოილანდა, დავჯდეთ ჩრდილში, ჩრდილი და განცხრომა მავნეს და მაცდურს რომ უყვარს ისე უნდა, ისიც იქვე იქნება, ან ის რად გვიწინდა, აგერ მე თან არ დამყავს? დავჯდეთ, მოვითქვათ სული და ვუთითხოთ სახარება, ასე არ ჯობია?..

— ნეტარ არიან მორწმუნენი! — აღაპყრო ხელები თანამგზავრმა.

— ნეტარ... ნეტარ... — დავეთანხმე მეც და ნაბიჯს ავუჩქარეთ.

კახიჭამია ბელადი ღურღუბალ ხუბსუ, „სევდიანი აპაზა“

თუთიუშუშობით, კრელი გველებით და ჰორიკანა მაიმუნებით სავსე ჯუნგლები რომ გადაება და გადაება, სოფელი და ქალაქი კი არა, ადამიანის დანახვა გამინატრულდა... ვიპარე, ფარსავ რალაცას გადაეყრები-მეთქი და, ისე ავიხდათ ყოველივე კარგი...

ჯერ იყო და, ტროპიკული წვიმები ატყდა. დღე და ღამე ჩამოდის ცა ფეხად მიწაზე, არ იქნა და, აღარ ჩამოთავდა. ნიაღვრებმა კინაღამ წამლეკა. მივამოტებ მუხლამდე ტბორში და მივდივარ. სად მიდიხარ, ხისკენ პირი მიქნია, შე მამაძალლო! ვერ გაბრუნდები სახლში და ვერ დაჯდები თბილ ბუხართან? ან ეს ბუხარი რამ გამახსენა, შეშა და ნავთი სჭირდება. შეშას — დახერხვა და დაობა, ნავთს — მოტანა და ხელის დასვრა. დაჯექი ცხელ რადიატორთან... ან დაჯ-

დომით რატომ უნდა შეიწუხო თავი, მიადგი ტახტი, დაწევი და თვალების გამოციებამდე უცქირო თეთრ ჭერს.

რაც მომივა, მომივა, ჩემზე ახია-მეთქი, კი ვთქვი, მაგრამ ნიანგებით, ტრიტონებით და ჯოჯოებით ალაფებულ ვეება მდინარეში გადაშვება მაინც გავბედე. დავუყევი ნაპირ-ნაპირ, აბა ვინ გადებს ხილს ამ ფეხდაუდგემელ ტროპიკებში, ისიც ამოდენა მდინარეზე, მეორე ნაპირი ზოგჯერ რომ არც უჩანს.

ადამიანი დიდი მატრახაზი და პატივმოყვარეა, თუ ირგვლივ მეტი ვერავინ ნახა, საკუთარი თავის წინაშე დაიწყებს ჯამბაზობას. მეც გავიქაჩე, მოვიწონე თავი თავთან. თავმაც: ღმერთი არ გავიწყრეს, უკან არ დაიხიო, თორემ ქვეყანაში თავს მოგჭრიო და, მივლევ აღმა მდინარეს.

ალარც ვიცი, რა ხანია დავბოდიალებ ამ ჭუნგლებში, არეული მაქვს გზაც, კვალიც, დღეც და ღამეც...

მოიცა, მოიცა, აგერ საწნახელივით ნავს არ გადავაწყდი! ნავი რომ იყო, იმით ვიგულისხმე, შიგ ტყავები და დახრული ძვლები ეყარა, თორემ სხვაფრივ, ვეება პირლია გამოღრუებული ხეა და მეტი არაფერი.

მივიხედ-მოვიხედე, კაცი-სულიერი არსად ჰქანებს. ასე რომ ავდგე და ეს საწნახელი მდინარეში შევაცურო, პატრონი თვალის კაკლებს არ დამიკოცნის-მეთქი, დავჯექი ერთხანს და დაველოდე. კი დაველოდები, რომ ვინმე ჩანდეს.

აბა, ვიძახე, ვიყვირე, ვიფსტვინე, ვინ გცემს ხმას!

ბოლოს, ადამიანი, რაც უნდა იმას რომ მოიფიქრებს! ალბათ, აქ, რაკი ბონდი და ხიდი არა აქვთ, ამ ვეება როფით, უმებორნე ბორანივით მდინარეზე გადიან და გამოდიან-მეთქი. რაკი, სინდისის წინაშე თავი ვიმართლე, რალა დამაკავებდა, გადავაგდე წყალში საწნახელი, ჩავჯექი შიგ, მტრედებიანი ვალია, ნაბადი და რკინის ჯოხი ავაზის ჭრელ ტყავზე დავწყვე, ხელში ვეება კეტი დავიჭირე (რაკი ნიჩბები იქ არ ჩანდა), ვუბიძგე ჩემს „ხომალდს“ და ჰაიდა! მივტოვაგ.

ეს კეტი, კეტის პირობაზე არ დაიწყუნება, მაგრამ ამოდენა მდინარეს ფსკერზე როგორ დაწვდება, რომ ასე, ჭიკავ-ჭიკავით ვეება, გამოღრუებული ხე გაღმა გაცურდეს. მართლაც ათი მხარის გაშლაზე წყალი ისე გაღრმავდა, ძალაყინს ფსკერზე ძლივს ეუწვდენ. კიდევ ათიოდე მხარის გაშლა და, სადღა ფსკერი, მიჭირავს ხელში კეტი ორთაყვირივით და ამოდ ვეძებ რაიმეს, რომ წამოვდო.

ვურევ წყალში, ვურევ ორთაყვირს და რალაც ისე ძალუმაღ ეტაკა, არ ვიცი, როგორ არ წამგლიჯა. ჩავაფრინდი ორივე ხელით, რავა ვანებებ. შენ არ მანებებო! გასწია და გასწია... უღელი კამეჩი ვერ გაქაჩავდა ისე ძალუმაღ და მიყვავარ მე, ნავი და მთელი ჩემი და სხვისი ავლა-დიდება. გლისერივით რომ გა-

დაიგლიჯინა ეს ამოდენა მდინარე, უთუოდ იქითა ნაპირის ფსკერს შეასკრინათ რა იყო, კეტი დამანება, მაგრამ წყალი რომ ამოდულდა და ამოტრიალდა, ისეთი ხახამორღვეული შავი ნიანგი ამოვარდა, ამოდენა საწნახელში რომ არ ვმჭდარიყავი, ჩემი ნაბდიან-გალიიან-რკინის ქალამნიან-ჯოხიანა კბილის გაუტკავად გადამსანსლავდა.

ნავი ინერციით მისკდა გაღმა ნაპირს და, რალა თქმა უნდა, მშვიდობიანად გადაებარგდი.

გადმობარგება მასე არ უნდაო, აქედან და იქიდან რომ მეძკერენ, ეს არაფერი, ვილაც, ბარე ორი, ზევიდან (ალბათ ხიდან) დამასკდა და გრძელი მოქნილი ლიანებით თვალის დახამხამებაში გამკოქეს, გამიდვეს მხარზე და გამაქციეს. როგორც ყველა ადამიანი, მეც ზარმაცი ვარ და დიდად არ მწყენია, ერთხანზე გზას შემომოკლებენ-მეთქი. ისე, ამ უდაბურში, კაი ძალზე მარბენინეს, თვალის წადებაც კი მოვასწარი და სადღაც, მოზრდილა მდელი უფრო ეთქმოდა, ვინემ მინდორი, ტიტლიკანა, მაგრად მოხალული ყავისფერი ხალხის წინაშე გულაღმა დამდეს.

გადმოკარკლეს დამხვდურებმა თვალეები და გადმოყარეს კრიალა ბროლივით კბილები მომაცვივდა ქალი და კაცი, დიდი და პატარა.

— დაიწით უკან-მეთქი!

ასე. დედიშობილა ადამის ძენი რომ თავზე დამადგნენ, შემრცხვა.

აბა, ვის ეყურება! პირიქით, უკვირთ, რომ ხმა ამოვიღე და იმეორებენ „დაიწით“, „დაიწვინო“, თუ „დაიწვიო“. თვალში და ცხვირში თითს მაჩრიან და მერე თავისაზე იღებენ, — რავა ჩვენსავით თვალი და ცხვირი ჰქონიაო. ერთმა, რომ არ მებღავლა, ყურის მჭკლევაც კი დამიპირა, თავის ყურზე უნდოდა დაეტოლებინა. თმას ხომ მწიწკინდნენ და ყელსაბამებზე ავგაროზად ანასკავდნენ.

ოთხი იოხალიანი
გომთხრობები

— უკან დაიწით! — რომ ვიღრიალე და ვიჭლაველე, ვილაცამ ბრბოს გადასახა.

— უნდა, უკვე დაიწვასო!

— რა ეჩქარება, ხომ მაინც უნდა შეეწვათო?! — შეწუხდა ამდენი ქალი და კაცი, დიდი და პატარა.

— არ გადაიროთ, დაწვა და შეწვა ვინ თქვა! — კი მივძახე, მაგრამ ვინ მისმინა. გაცვივდნენ, გამოცვივდნენ, შეშა მოარბენინეს, საღლაციდან მუგუზალი და იქვე, ჩემს თვალწინ, კაი მსუქანი ხარი რომ შეიწვება, ისეთი გაგანია კოცონი არ დააგოზგიზეს!

რალას შვრები ახლა!

რომ წამოგისვან ხელი და გადაგიძახონ შიგ, წადი მერე და იჩივლე.

ისევ რომ მოიყარეს თავი ჩემთან, გავფართხალდი და შევეხვეწე.

— ასე გაკრულ-გაკოჭილს რომ მწვავეთ, რა სამართალია-მეთქი?

ზოგმა, ღმერთ წინაშე, კი თქვა, გავუხსნათო, მაგრამ უმრავლესობამ არ ქნა, სანამ ბელადი არ მოვა, რა თავი გეტკივავო.

ვიფიქრე, ბელადის მოსვლამდე სიცოცხლეც სიცოცხლეა-მეთქი და დავშოშმინდი, რავე გავინძრევი!

გამოხდა ხანი, ეს შენი დაქინმაჩებული ბელადი მობრძანდება.

ვხედავ, მიახლოვდება უშველებელი ფარშავანგი. ამ ტროპიკების ფერად-ფერადი ჭრელი ჩიტების ბუმბულითაა შემოსილი. შიშველი მხოლოდ შავი ფეხები უჩანს და წაწვეტებული ცხვირპირი.

ასე, თორმეტი ფეხის ნაბიჯზე შეჩერდა და ხელი აღმართა. მაშინვე, ისევ საწნახლის სიმსხო, მორი მოათრიეს და ზედ კი არ ჩამოვდა, პირდაპირ მხედარვით ლაგებს შორის მოიქცია.

ჯერ მე გადმომხედა და ინდაურივით აიფხორა, მერე ჩემს მტრედებიან გლიას და გაიღიმა. ბელადები თუ იღიმებოდნენ, არ მეგონა და კარგად რომ დავაჩერდი, მერე შევნიშნე, მკერდიც შიშველი ჰქონდა, მაგრამ ყელგადაჭლობილი მტრედებით მოსვირინებულნი. ცოტა

მეშელავათა, მკერდზე გველეშაბი რომ აქვს დახატული, იმას მტრედებმტრედვინებებული ბელადი მირჩევნის.

ახლა ბელადის წინაშე გავიქაჩე — ლიანები შემხსენით-მეთქი!

ისევ მოიქუფრა და ქვეშევრდომებს გადახედა — ეს რა გიქნიათო!

მაშინვე ამხსნეს, მოვითქვი სული და წამოვკეცი, მაგრამ, რა გინდა, რა გიზგიზებს ცეცხლი და ამატებენ და ამატებენ შეშას.

— მწვავეთ, მწვავეთ გოჭივით, მაგრამ ვინაა ჩემი დამღუპველი, მითხარით მაინც!

— სევდიანი ავაზა, ღურღუბალ ხუბსუ! — გამეცნო ბელადი, მაგრამ ხელი არ გამოუწვდია.

რაკი სევდა და დარდი სცოდნია, იქნებ რაიმე შევასმინო-მეთქი, იმედი მომეცა.

— სასოწარკვეთილ, უბოვარ ძმათა — ზეთის ხილის ტოტი! — გავეცანი ჩემი მხრივ.

ამხედ-დამხედა მასა და გაგანია ცეცხლს შუა, კრავივით ყურებჩამოყრილს.

— ეს რალაა, ჩვენ სამარხვოს რომ არ ვჭამთ?! — გადაუბრიალა თვალი ჩემს დამტყვევებლებს.

— რა ვიცოდით, სამარხვო იყო თუ სახსნილო! — თავი იმართლა ჩემს გამკოჭველთა შორის წაუფროსომ, შუბლზე ხუთი ღერი თუთიყუშის ფრთა რომ ჰქონდა ბეოლის ტყავით შეკრული.

— აბა, როგორ, ასე წამოუსვით ხელი და გაბაგრეთ? — გადაირია ღურღუბალ ხუბსუ და წაუფროსოს შუბლიდან ერთი ფრთა ამოაცალა, ერთი საფეხურით ჩამოაქვეითა.

— ჩვენებისთვის ნავი წაურთმევია, ალბათ, დახოცა, შეჭამა და მდინარის გამოღმა შემოიჭრა! — ისევ იმართლა თავი ჩამოქვეითებულმა.

— მაშინ რატომ იტყოდა, ზეთის ხილის ტოტი ვარო?! — გაუკვირდა ბელადს და გადმომხედა.

— რა დამიხოცია და შემიჭამია! კაცის შვილი თვალთ არ მინახავს. ნაპირზე გამორჩეული ხე ეგდო, ჩავკეცი და... დაიქცა ქვეყანა? — შეეუბრე

ისედაც ავტორიტეტულად ჩამოქვეითებულს.

— ეჰ, მაგი რა შეუშია, — აცრემლდა ავაზა, — ნდობა დავკარგეთ აღამიანებმა, განუკითხავად ვწავთ და ვჭამთ ერთმანეთს, ჩვენ კიდევ რა, ვწავთ მინც... ჩვენს ირგვლივ ტომები არიან, უმად მიერთმევენ, თან ტაშს უკრავენ, ცეკავენ და მღერაან.

— თქვენ ტირით?

— ვტირით, მოვთქვამთ, ვწყევლით ჩვენი გაჩენის დღეს და ისე ვჭამთ. — თვალზე მომდგარი კურცხალი სირაქლემას ბუმბულით მოიწმინდა.

— ნუ ტირით, დიდებულო დურდუბალ ხუბსუ! — დავაშოშმინე მე, — თქვენები არ დამიხოცია, არ შემიჭამია და თუ საზღვარი დავარდვიე, რა გზითაც მოვედი, იმ გზით წავალ.

— კი წახვალ, მაგრამ საიდუმლოებას წაიღებ და გაგვცემ! — აფლიქვინდა სევდიანი ავაზა.

— რა საიდუმლოება გაქვთ ასეთი და რისი გაცემისა გეშინიათ?!

— გულჩვილი რომ ვარ, ხორცს უმად არ ვჭამ, მტერზე გამარჯვებას არ ვზეიმობ და ვტირთ.

— მერე, მაგას თუ ვიტყვი, რა სჯობია, კეთილშობილი ბელადის სახელი გაგივარდება. და იქნებ, ბოლოს და ბოლოს, სულ გადაეჩვიო კაცის ჭამას. მით უმეტეს, თუ უმ ხორცს ვერ იტან.

— კი, მაგას რა უნდა, მაგრამ, ეს რომ გაიგონ მეზობელმა ტომებმა, ჩემს ტომს შეუწვევად შეჭამენ.

— მაშინ ასე ვიზამ, წავალ და მთელ თქვენს მეზობლებს ვეტყვი: რომ შენს საბელადოში აღამიანს უმად კი არა, ცოცხლად ჭამენ და დაშინდებიან...

— კი, მაგრამ, შენ რომ ცოცხალი იქნები, ვინ დაგიჯერებს? რომ შეგვეწვი, შეგვეჭამე და მერე გეთქვა, ირწმუნებდნენ.

— შემწვარი და შეჭმული კი არა, სალსალამათი ძლივს ვბლუქუნებ, ხომ არ გადაირიე შენ, დურდუბალ ხუბსუ!

— აბა, რა ვქნათ, სხვანაირად რომ არ გამოდის. ტომი დამელუბება, შემი-

ჭამენ ტომს! — აზლუქუნდა სევდიანი ავაზა. — რა ვქნა, რა გზას დავადგე, რომ არ ვიცი?!

— დიპლომატიის გზას დაადექი! — წამოვიძახე ვაცხარებულმა, — დიპლომატიის გზა, პირდაპირ მისწრებაა.

— ეს რას ნიშნავს? — ცრემლიანი თვალები დაყვლია ხუბსუმ.

— მე რომ გითხარით, თქვენები არ დამიხოცია-მეთქი და დამიჯერეთ, გამიკვირდა.

— აბა, დახოცე და შეჭამე თუ?!

— არა, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, დამეხოცა და მე-თქვა, თვალთ არ დამინახავს-მეთქი.

— ეს როგორ შეიძლებოდა! — დაიბნა ავაზა.

— ახლა რომ წავალ, თქვენს მეზობელ ტომებს ვეტყვი, გამომიშვეს, კაცის შვილს აღარ ერჩიან-მეთქი.

— მაშინვე დავგვეცემიან და უმად შეგვჭამენ.

— მაგრამ ჩუმად ვეტყვი, არ დაიჯეროთ, თქვენი მოტყუება და ცოცხლად შეჭმა უნდათ-მეთქი, რას იზამენ?

— მაგრამ ამ დროს შენ რომ შემწვარი და შეჭმული იყო, უფრო არ დაგიჯერებენ?

— არა, როგორ გეკადრება, ვინ დამიჯერებს, შეუჭამიხარ და ესაა, ასე ჩვენც ხომ ვჭამთო. ვინმე იმათგან ახლა სალსალამათი რომ მოვიდეს და გითხრას, კაცის ხორცის ჭამას თავი დაანებესო, დაიჯერებ?

— აჰ, რავა დავიჯერებ! შეიცხადა ბელადმა.

— აბა, შეჭმული რომ მოვიდეს და გითხრას, ხორცს პირს არ აკარებენო, ხომ ეტყვი, მაშინ როგორ შეგვამესო.

— რა თქმა უნდა, — დამეთანხმა სევდიანი ავაზა.

— თუ შენი ტომის სიცოცხლე და დღეგრძელობა გინდა, უნდა გამოიშვა და სამარხვოზე გადახვიდე. დარდი ნუ გაქვს, ისე დიპლომატიურად მოვიტყევი, სულ ვიძახებ: ბალახ-ბულახს ჭამენ, ადა-

ოტია იოსელიანი
მოთხრობები



მიანს ხელს არ აკარებენ-მეთქი! ამას, ამ ჭუნგლებში ვინ დაიჭერებს და შენს მეზობლებს შიშის ზარს დაესცემ. შენ იმას თვლი საიდუმლოდ, შემწვარს ვჭამ და არ გამიგონო... პირიქით, უნდა იბახო, სულ არ ვჭამ, ხორცი დასანახავად მძულსთქო და საგონებელში ჩავარდებიან, კაცი კაცს არ ჭამს, აბა, რა ჭანდაბით ცოცხლობსო! შენი შიშით სულ გადასახლებიან ამ მიდამოებიდან.

— მაგი რომ მითხრას ვინმემ, შენი მეზობელი კაცი ხორცს არ ჭამსო, შემეშინდება და მეც გადავიხვეწები.

— და დიპლომატიაც ამას ჰქვია, ჩემო დურდუბალ ხუბსუ!

— კი მაგრამ, ტყუილს რომ მოგვჩვენებთ! ცრუ, ცბიერი და გარყვნილი ტომი მაინც დაღუპულია... — აზლუქუნდა ისევ სევდიანი ავაზა.

— ტყუილი არაა, შემწვარს ჭამ და იიახი უმად ვჭამო?

— ჰო, მაგრამ, ეს ვითომ საიდუმლოა.

— ისიც საიდუმლოდ შეინახე, თუ რა თქმა უნდა, ტყუილს საიდუმლოდ შენახვა უშველის.

— არა, არაფერი არ გვიშველის, დაღუპული ვართ! — გამომტირა სევდიანმა ავაზამ, დურდუბალ ხუბსუმ და მეზობელი ტომებისაკენ მიმავალ ბილიკზე დამაყენა.

ლომისა და ვეფხვის სიღარიბე

ს ა ზ ღ ვ ა რ ზ ე

ვეფხვისა და ლომის ღრიალი ზოობარკის ვალიიდან, მაჭისსიძისხო გისოსების იქედან რომ გამიგონია, მაშინაც გულს რეჩხი უყვია და, თვალუწვდენელ ველებში, კაცის ჭაჭანება რომ არსადაა და მარტოღმარტო მივბოროძიკობ, რავარი მოსასმენია!

ავიფარე ყურებზე ხელები და დავხუჭე თვალები, მაგრამ ყური მანამდე რომ დამესებოდა და თვალი დამდგომოდა, სანამ ამათ ხელში ჩავვარდებოდი, კარგი იყო, ახლა რაღა დროს!

ვდგავარ ასე გაშეშებული, ხმელ ხესავით, და ვუცდი, როდის გამგლეჯენ. ან მტრელები ვილას ახსოვს ან ბართები. შიშით ისე ვიყავი გამოლენჩებული და გამოყუათებული, ახლაც კი არ მაგონდება, ვფიქრობდი მაშინ რაიმეს? და თუ ვფიქრობდი, რას ვფიქრობდი. მგონი, ზაფრაზე თავი რიყის ქვად მეჭეცა, ვდგავარ და, რაც შემიძლია, ამ რიყის მრგვალ ქვას ორივე ხელს მაგრად ვუჭერ.

გავიდა, ალბათ, ათი წუთი, იქნებ ოცი და ოცდაათიც, და იმ ადგილას — ერთ დროს ყურები რომ მეჭონდა, რაღაც ყრუ ბუული ვიგრძენი, და ამ ხნის მანძილზე რაც გავფიქრე, ის იყო: შევეუჭამივარ

ამ გაუმაძღარ მხეცებს, როგორღაც ყურები გადარჩენიათ და ისღა მტკივა-მეთქი.

ნეტავ რაღას ვხუჭავ თვალებს, ხომ მაინც შეჭმული ვარ და ამ ჩემს ობლად დარჩენილ ყურებს მაინც დავხედავ, ჩემს ცხოვრებაში უსარკოდ რომ არ დამინახავს, თან აქ, სადმე, გახრული თავი და ჩონჩხიც ეყრება, და რაკი პატრონი და დამტირებელი არავინა მყავს, ჩემს ფელებს მე მაინც დავიტირებ-მეთქი.

თვალები წინდაწინ ცრემლით ამევესო. ჯერ ცალი გავახილე (რატომ ცალი და არა ორივე, ვერ გეტყვით), და ჩემს ბედს რა ვუთხარი, საკუთარი ყურები ისევ ვერ დავინახე. სამაგიეროდ, ვეფხვის ყურებს, თვალ-წარბს, უღვაშებს, ლაშებს და კბილებს ვხედავდი.

გავაჭყიტე მეორე — ლომის ფაფარს, ცხვირ-პირს და დრუნჩს ვარჩევ, მაგრამ კბილებს ვერა.

ერთი სიტყვით, ვდგავარ გაშეშებული და აქეთ აქორჩილი ვეფხვი მომდგომია, იქეთ — ლომი მეფური სიღინჯით და სიღარბაისლით, მაგრამ მე ზედაც არ მიყურებენ, ეტყობა, ერთმანეთთან მუსაიფობენ.



ეს რომ შევამჩნიე, მოვიცილე ყურე-ბზე ხელები, რომ რაიმე მკითხონ. ხომ უნდა ვაგიგონო და მაშინვე ვუპასუხო.

— ხომ ხედავ? — ღრიალებს ვეფხვი, — დასუნე თუ გინდა, ცალი ფეხი, საზღვარს აქეთ, ჩემს სანადიროში უდგას. ახლავე გაფხბრიწვე შუაზე, შენს წილს გაღმოგიგდებ მაქეთ და, თუ გინდა, შენს ნახევარს ელაპარაკე.

— აღარაა ახლა მგელ-ტაციობის დრო. ასე რომ აიღო და მუხანათურად თავს დაესხა. ერთიც ვნახოთ, გაიგო ქვეყანამ — და მჯერა გაიგებს — აგრესიობა ხელში გიჭირავს.

— კი მაგრამ, ამდენ ხანს თუ ვიყავით, ახლა რა შეიცვალა?

— სწორედ რომ შეიცვალა და ეს მართო მე კი არა, დროა, შენც იცოდე...

— რა უნდა ვიცოდე!.. — აქუხდა ვეფხვი, — გამოდის, რომ ვერავეინ დაგვიგლეჯია და დაგვიფატრავს!

— დაგლოჯე, მაგრამ მისი თანხმობაა საჭირო... — აუხსნა ლომმა.

— ვისი?! — ვერაფერი გაიგო ვეფხვიმა.

— ვისაც დაგლეჯვას და დაფხბრეწას ვუპირებთ.

— კი მაგრამ, რომელი სულელი დაგეთანხმება, დამბლღვენი და დამაქიპქიეო?!

— რალა თქმა უნდა, ჩემს სანადიროში რომ შემოჭრილიყო, ან შენსაში, მაშინ ქვეყანა დაინახავდა, თავს დაესხათო და შევიხრამუნებდით, მაგრამ, როცა ასეთი შემთხვევაა და ჩვენს საზღვრებს შორისაა გაკვეხებული, ამ დროს მნიშვნელობა აქვს მის სუვერენულ უფლებას.

— ეს „სუვერენული“, რალა ჯანდაბაა?! — გაუკვირდა ვეფხვს.

— მისი ნებაა, ვის შეაჭმევს თავს.

— არა მგონია, ასეთი სურვილი გაუჩნდეს.

— რა უნდა მას სინამდვილეში, ეგ სხვა საქმეა, მაგრამ, როცა ლომსა და ვეფხვს შორის მოექცევა, თვითონაც იცის, დალუპვა გარდუვალაია, და არ ჩევანხეა აქ საქმე: ვის შეაჭმევს თავს —

მისი ნებაა. ძველად რომ იყო, ამდროინდელ შად დაეცემოდი და გაგლეჯდოდა, ახლა ასე ვერ მოგართევს! ნელ-ნელა, თანდათანობით... უნდა შეაჩვიო... ღრენა და ღრიალით კი არა, დაყვავებით.

— ხომ არ უნდა ვეფერო და ვლოკო?! — აღრიალდა ვეფხვი.

— კი, ნადავლს გააჩნია, თუ საჭიროა, უნდა ეფერო კიდეც. შეიძლება კბილი არც კი გაკრა, ისე ელოლიავო და ლოკო; ამ ლოკვა-ტლეკვაში თვითონ სიცილიც კი აუტყდება და ოანდათან შემოაცლი ქონს ისე, რომ სისხლსაც არ გააღდენ, მერე ხორცს შემოაძარცვავ, სისხლს გამოსწვოვ და შემოგადნება ხელში... ის დრო აღარაა, ჩემო ახლო მეზობელო, ასე ხელალებით გადასასწლო. ამას ახლა მე აგერ, ჩემს სანადიროში გადავიყვან.

— რას გადაიყვან, ვის გადაიყვან! — გაიფოფრა ვეფხვი.

— ძალით კი არა, თავისივე სურვილით... ხომ წამოხვალ ჩემთან? ძალიან მიყვარხარ!.. — მომიბრუნდა და მომესიყვარულა ლომი.

— რაფრა... რა ვიცი... ვიცი?.. ვიცი... — თვითონვე გამოიკვირდა, რომ ენა მქონდა და იმას კი აღარ დავეძებდი, რას ვამბობდი, საერთოდ, ამათ ხელში რომ არ დავმუნჯებულვარ, ეს მაოცებდა.

ყოყმანი რომ შემატყო, ვეფხვი წამოიძარა ჩემს შუაზე გასაფხრეწად, და ვერც კი მოვისაზრე, ისე ვისკუბე და ჩემი მტრელებიან-ნაბდიან-რკინის ქალამნებიან-ჯოხიანად ლომის საბრძანებელში ამოვყავი თავი.

დარჩა ვეფხვი, რა საკითხავია, ხახამშრალი. იცოცხლე, იბრღღვინა და ითავცემა. მაგრამ მე იმისთანა მხეცი მმფარველობდა, ჩემს განწყენებას ვინ გაბედავდა!

— მოდი აგერ, ჩემთან იყავი, — ბეჭზე ხელი დამითათუნა ლომმა, მეგონა, მხარს მომტეხდა, მაგრამ არაფერი, მო-

ლოია იოსელიანი
პროზარობანი

მესათუთა კიდეც, — ჩვენ, თუ სიმართ-
ლე გინდა, ძმებიც კი ვართ.

ლომი მეუბნებოდა, ძმები ვართო და
როგორ მეთქვა, მტრები ვართ-მეთქი.
ის კი არადა, ამის დასაბუთებაც კი მო-
ვინდომე.

— ბოლოს და ბოლოს, ორივე ძუ-
ძუმწოვრები ვართ, მართლა და, ზოგი-
ერთებს ის კი ნუ ჰგონიათ-მეთქი.

— აბა, რაიო, — დამამშვიდა, —
აგერ, ჩრდილში წამოწევი, კაცი ხმას
ვერ გაგცემს. აქ ტყე და მინდორი ბევ-
რია, მიდექ-მოდექი, თუ რაიმეს იზოვი,
ბუნაგში მომიტანე, მე არც ისეთი გაუ-
მადლარი ვარ, რაიმე მომრჩეს და არ გი-
წილადო.

— სულ შენ შეჭამე, მე ორ დღეს
მზეს მაყურებინებ, იმისთვისაც მად-
ლობელი ვიქნები.

დელონა ბალაპარჩინა

კაცი სწავილს, მარტო ის გაგიხეთ-
ქავს გულს, რომ წარმოიდგენ... თუმცა
რა წარმოიდგენა გინდა, ხედავ: მარტოდ-
მარტო, ნაფოტივით ტივტივებ უკიდე-
ვანო ოკეანეში. ერთადერთი ძელსკამი
ტივტივებს ჩემდა იმედად, და იმაზეც
გაუღენთილი ნაბადი, ქუდი, ჯოხი და
მტრედებიანი გალია მაქვს ქამრით დაკ-
რული, რომ ეს უწყინარი ფრთოსნები
არ დამედუბოს.

ორიოდე სიტყვით რომ გითხრათ:
მტრისას, იმ ჩემმა, უუშეკობრესმა მე-
კობრემ საქმე დამმართა. ერთ კვირას
მაინც ვაგრძელდა ჩემი დაკითხვა. სულ
კაკალ-კაკალ დამაფქვევინა, თუ რაიმე
მქონდა ნანახი, წაკითხული, გავონილი
და და ყურმოკრული, ნაფიქრი და ნა-
ოცნებარი. ვითომ არაფერი დამიფა-
რავს, მაგრამ ჩემი ერთი საგულდაგუ-
ლოდ გაროზგვა, უუშეკობრესმა მეკობ-
რემ, მაინც ბრძანა, ვინძლო რაიმე და-
ვიწყდა, ან შეგნებულად გვიმალავს —
აჭიკტიკდებაო ნაცემ-ნავემმა, რაღა
თქმა უნდა, პირზე ბოქლომი დავიდე.
დამავლეს ხელი, გემბანზე გამათრიეს

— კი, კაცო, უყურე, ვინ გიშლის.
— ახლა ასე რომ არ დამიშლის.
ჩემს ჰკუაზე გამიშვა, ამ შენს სანაღი-
როში სულაც არ გავჩერდები.

— კი, ესეც შენი ნებაა, მაგრამ მე,
როგორც კეთილის მსურველი, არ გირ-
ჩევ! — ხმადაბლა, დაყვავებით თქვა
ლომმა, მაგრამ თვალეზი ისე ერთბაშად
აენთო, მინავლებულ ცეხლში რომ მუ-
ჭა თოფის წამალი ჩაყარო.

— ეგ ვიცი... მაგრამ... აი, შეტყვის
თაობაზე მინდა ვიცოდე, როდის გადა-
სანსლავთ?

— რა გითხრა, წინასწარ არც მე ვი-
ცი! და ამას გარდა, ეს ბევრადაა დამო-
კიდებული თვითონ შენზე, როგორ მო-
იქცევი, როგორ შემაყვარებ თავს და,
რა ადრე და მალე შემეპყვინებო...

და ზღვაში რომ მაგდებდნენ, ძელსკამს
ჩაებლალუქე. ვერაფრით ხელიდან რომ
ვერ გამომგლიჯეს, იმიანად გადამიძა-
ხეს ოკეანეში და უკან ჩემი ავლადიდე-
ბა მომეყარეს.

წუხანდელი ღამე ასე წყალწალბულ-
მა გავათე. აღარაა საშველი. ძალ-ლონე
რა ხანია გამომეცალა, საცაა გონებასაც
დავკარგავ და წავალ ზღვის ფსკერზე:
მშვიდობით ლურჯო ცაო, თეთრო ღრუ-
ბლებო, მზეო და მოღუღუწე მტრედე-
ბო (მტრედებს, ალბათ, ჩაძირვის წინ
გალიას გავუღებ, მაგრამ ვაი, რომ აქ
ბარათის დაწერა არ მოხერხდება და
ჩემს ამბავს ველარავინ შეიტყობს).

ეტყობა, ოკეანეში დინებები ჩქარი
მდინარეებივით მიემართება, და კარგა
ხანია ვგრძნობ, სადღაც მივყავარ.
ვგრძნობ, რაკი ჩან ვცურავ. ძელსკამს
ვეპოტინები, ხან სანახევროდ ვყურყუ-
მლაობ და ერთ ადგილზე კი არ ვდგა-
ვარ. თუმცა რას გაიგებ, მე შენ გეტყვი,
რაიმე ნიშანია: წყალია სხვა ფერის, ან
ტალღა...

როცა გიჭირს და იღუბები, იცი, სამ-

ველი არაა, მაგრამ მაინც ყვრი. რატომ არ იცი, ყვრილით და ჯღავილით კი ქვეყანას იკლებ. ალბათ, არ გინდა პირში წყალღაგუბებულები წახვიდე ამ ქვეყნიდან.

ვინაა ახლა აქ, რომ მოუხმო? დედისკოს და მამიკოს ვერ გააგონებ, ვერც დაიკო და ძამიკო გამოგიწვდის ხელს. მეგობარი და ამხანაგი კი არა, საერთოდ, აღამიანის სახსენებელი, ალბათ, ათას კილომეტრზე არაა. ვის შეუძლია ოკეანეში გადასროლილს რომ უშველოს?... და იცი, გაგონილი გაქვს, უამრავი შემთხვევა, ზვიგენს რომ უნდა დაეფლითა განწირული და საღაცადან მხსნელი ანგელოსივით გამოჩენილა დელფინი. ეს კეთილი, მშვენიერი, ეს გონიერი... გონიერი კი არა, პირდაპირ ჭკუის კოლოფი, კაცთმოყვარე, მშვიდობისმოყვარე, ლამაზი, საყვარელი და პირდაპირ, გულში ჩასახუტებელი...

ერთი სიტყვით, ჩემი გაჭირვება მეყოფა, რაღა თქვენც გაგიჭირვოთ, ვყვირი... ამოვასხამ პირიდან მარილიან წყალს, ვწვივი და ვკვივი:

— დელფოს!.. სად ხარ, დელფინო!.. რა ხანია ვიღუპები და რატომ არ ჩანხარ, შე კაცო! ესაა შენი სიკეთე და განწირულისათვის ხელის გაწვდენა?... ჰე, თუ მართალია, შენზე რაც ლეგენდა და სინამდვილე დადის! ჰე, თუ შენ მართლა, მხსნელი და საიმედო ხარ, ახლა უნდა კაცი კაცს!.. დელფოს! ე, ბიჭო, ამოიღე ხმა და გამოიღე ხელი! აღარ შემოძლია მეტი, ვი-ვი-ვი-ძირები, შე კაი დე-დე-დედამამის შვი-შვი-ლო, დე-დე-დედფოს!

ფეხები წყლის ზედაპირზე ველარ ამომაქვს, ძელსკამს მოვებლაუჭები, ძლივს ცხვირი თუ გამომიჩნდება, როცა გადმოყირავდება, ვუშვებ ხელს, პირი წყლითა მაქვს სავსე, აი, ახლა ჩამოთრეხ ტალღა, აი, ახლა ჩამოთქავს ოკეანე...

ვითომ ჩემი გაჭირვება არ მეყოფოდა, რაღაცამ წყლის ქვეშ ძალუმად გაიშუილა, ეჭვგარეა ძელსკამს, აატორტმანა, აალაწუნა და გაითრია. საღლა მქონდა

ძალა, რომ მომეკრიბა, გავაფარბახე ჩერადქვეული ხელები, ვითომ დაგეფუქე ვნე ჩემს გატაცებულ ავლა-დიდებს, როდის-როდის წავეპოტინე ძელსკამს ცალ მხარეზე არც ერთი თუჯის ფეხი აღარა აქვს. რაღაცას (ალბათ ზვიგენს) შეაქარყინულოვით წაუკენეტია.

ეს ვინდა შეჩველო შენი გასაჭირი, და უქანასკნელად ამოვითუხთუხე:

— სულ ტყუილი ყოფილა, დელფოს, რაც შენზე უთქვამთ და დაუწერიათ. ზვიგენებს აფლეთინებ ჩემს თავს? სულ წყალში ჩაყარე, რისთვისაც გვიყვარდი და შენი იმედი გექონდა, მშვი-მშვი-მშვიდობით, ძმაო, დე-დე-დედფოს! — და წავედი.

თითქოს რაღაცა წამომედო ფეხებში და კი არ მაგლეჯს, მალლა-მალლა მიბიძგებს. რაღა თქმა უნდა, მეჩვენება, მაგრამ სჯობია, იმედიანად დაიღუპო, ვინემ უიმედობის ზაფრამ წყალთან ერთად ორმაგად გაგვუღოს...

არადა, მოჩვენება უძახე შენ, რაღაცაა, კარგად გატენილი ტომარით თუ ჩაკურატებული ღორით შემომიძვრა წვივებში და ბოლოს, გაზულუქებული, უბელო სახედარივით მომიგლო ზურგზე. არ მჯერა, მაგრამ წყლის ზემოთ რომ ბეჭებადემ ამოვედი და ჰაერს ისევ ვსუნთქავ, ღრუბლებს, მტრედებს, ცაპ და მზეს ვხედავ — ეს ყველაფერი რომ არ დაიჯერო, მაინც ბედნიერებაა.

ძელსკამის ყურში ლატანის ხელის წაველება მოვასწარი, რომ ამ ჩემმა ნაპატიებმა ბედაურმა აიწყვიტა და მიმაჭროლებს.

სიხარულით ცას ხელი მიწვდება, როგორც უნდა, ისე იშლიგინოს და სადაც უნდა, იქით იქნოს, ვინ მკითხავს, ან რომ მიკითხოს, რა პასუხს მივცემ, ვიცი სადა ვარ და საით უნდა წავიდე თუ? ბატონიც თვითონაა, პატრონიც, გამკითხავიც და გზის გამკვლევიც. ცალი ხელით მტრედებიან ძელსკამს რომ ვარ ჩაფრენილი, მეორეთი — ჩემს უბელო

ოთია იოსელიანი
მოთხრობები

ტაიქს გასანსალებულ ზურგზე ვუთა-
თუნებ და ვეფერები:

— მიდი, შენი ჭირიმე! მიდი, გენაც-
ვალე, სადაც გინდა, რავარც გინდა, რო-
გორც მოგეგუნებოს და რავარც გეა-
მოს!

არ მინახავს იმისთანა დაუღლელი
და შეუპოვარი. რა იგლიჯინა ამ უკიდე-
ვანო ოკეანეში, რა დინებები გადაჭრა
და გადასცურა, რა აღმა და დაღმა იჯი-
რითა ის დღე, ის ღამე და მეორე დი-
ლით, როცა მე, ამხედრებულს მეძინა,
უეცრად ფეხებიდან გამიძვრა და წელა-
მდე წყალში გამეღვიძა.

თქვენ, ალბათ, არ იცით რა ბედნიერი
ხართ, რომ ფეხი ხმელეთზე გიდგათ.
ჩემს სიცოცხლეში პირველად განვიცა-
დე ზეაღტაცება, როცა ფეხქვეშ ისევ
მიწა ვიგრძენი.

მრიგხედ-მოვიხედე, რომ ვინც ეს ბე-
დნიერება მალისა, გადავეხვიო (რა ვუ-
ყოთ, რომ იგი ვეება თევზია) და დავუ-
კოცნო ის მოკლე დრუნჩი, ქუტა თვა-
ლები, თეთრი მუცელი, ფარფლები და
კუდი, მაგრამ სადღაა!..

ცისფერი ნაპირი, წყნარი, მოალერსე

ტალები, აქეთ — ლურჯი ზღვი, იქით
— მწვანე ხმელეთი, და არსადღა მთი
მფარველი ანგელოზი.

— დელფოს! — ავყვირდი ფრთაშეს-
ხმული, — რა ქენი ეს! ამდენი სიკეთე
რომ კაცს კაცისათვის ექნა, მთელი სი-
ცოცხლე მონად გაიხდიდა და შენ მად-
ლობაც არ მათქმევინე?! ვინ ხარ, რა
ხარ ამისთანა ღვთისნიერი, დელფოს!
დამენახე, თუ ძმა ხარ... (თუ კი არა, ჩე-
მი ნამდვილი ძმა შენა ხარ) ერთხელ და-
მენახვე და მერე, თუ გინდა, ისევ იმ
შუა წყალში გადამიძახე!..

აბა, გაგონილა! არავითარი...

— თუ ვიცოცხლებ, შენთვის ვიცო-
ცხლებ, დელფოს! შენთვის ვისწავლი
ხატვას და ძერწვას და შენს ძეგლებს
გვეყვანაზე მოვფენ-მეთქი! — მივაძახე,
ფეხებდაკენტილი ძელსკამი ნაპირზე ავ-
ათრიე, დავემხე და ჩემი მხსნელის სა-
კოცნი მიწას ვაკოცე.

ვტიროდი, ვიციინოდი, ვკენესოდი,
ვობრაუდი, ვხითხითებდი და ვხორხო-
ცობდი...

კუნძულ უპატრონოზე ჩემი გამეფების ამბავი

რბ ვრცი, რა დრო გავიდა, ქვეყნად
მეორედ რომ დავიბადე. ამ დაბადებას
თვითონ დავესწარი და დროს და საათს
დაგიდევიდით? ვარ ჩაკრული მიწას, თი-
თებს ბალახებში დავაცურებ და დედის
თმასავით ვვარცხნი. ცხვირი სანაპიროს
ნოტიო თიხაში მაქვს ჩაფლული და დე-
დამიწას გულში ვიკრავ.

— ხალხო! აქეთ, ხალხო! უყურეთ,
უყურეთ! ჩვენი კუნძული ასე ჩვენც არ
გვიყვარს, უყურეთ და დატკბით! —
ჩამესმა და მეც ისე, რომ თავი არ ამი-
ღია, ავღუღლულდი:

— მიყვარს, მიწა მიყვარს, ხმელეთი...
მთელი დედამიწა...

— ესაა ის, ვისაც ჩვენ ველოდით,

ესაა, ჩვენი მხსნელი და ქომაგი, მწყემსი
და პატრონი!.. — მეყურება, მაგრამ
გონს ვერ მოვსულვარ, მიწიდან თავს
ვერ ვიღებ.

— როგორ გეკადრებათ... არაა საჭი-
რო... ისედაც გასაგებია... ხალხი ხე-
დავს... — დამაცხრა ვიღაცის ძლიერი
ხელი და დედამიწას ამგლიჯა.

— ვინა ხარ, კაცო, შენ და, ხომ არ
გადაირიე! — წამოვიძახე და წამოგვა-
რდი...

— ვხედავ, რას ვხედავ! ნაპირს ხალხი
აწყდება, ტევა არაა.

ადამიანიც რომ დავინახე, სიხარულზე
მთლად ქკუა დავკარგე და ყველას გა-
დახვევა და გულში ჩაკვრა მოვუნდომე.

ვეცი, ვინც პირველი ხელში მომხვდა და კოცნით. კინალამ სული ამოვხადე. გალურჯებული ხელიდან ძლივს წამართვეს და ზღვის წყლით მოაბრუნეს. ის რომ გამომგლიჯეს, მეორეს ვერაჲ და ახლა ის ვლოშნე და ვლოშნე. ისიც რომ მისავათდა, მესამეს ვწვდი...

მეცა ხალხი და გამაკავა.
— თავმდაბლობა კარგია, მაგრამ არც ნეტისმეტე ვარგა!..

— თავმდაბლობა და მეტისმეტე კი არა, იმას მოვესწარი, ადამიანს ვხედავ... არ ვიცი პირდაპირ, ყველა როგორ ჩაგვიკრათ გულში, აქვენ გენაცვალეთ, მე, თქვენ!..

— აი, რასაც ვნატრობდით და ვისაც ველოდით — ესაა! — იგრილა ხალხმა და დასცხო მქუხარე ტაში.

ტაში კი არა, პანდური რომ ერტყათ, ღვთის წყალობად მივიჩნევდი და ასეთი აღტაცება და ოვაციები მინდოდა?

— ეს ყოფილხართ თქვენ, რა ხალხი ყოფილხართ!.. — წამიჭირა ყელში ხელი სიხარულის ბოლმამ და ავზლუქუნდი.

ატირდა ხალხიც, ავლიქვინდა. ამოდენა ცრემლმა ზღვაა აადიდა და ააბორგა.

— ასეთი დიდი ვანცდა და ღელვა გავნებთ! — დამიჩოქა იმ კაცმა, პირველად რომ ვეცი და კოცნით კინალამ შემომაკვდა.

— მავნოს მერე, რას დავეძებ... — ისევე დავუპირე გადახვევა, მაგრამ ფერი წინდაწინ წაუვიდა და შემეცოდა.

— თქვენი თავი თუ არ გებრალევათ, ჩვენს ხალხს რას ერჩით, გვლუბავთ? — ჩამივიარდა ფეხებში ახლა მეორედ რომ ჩავეხვიე და პირველზე არანაკლები დღე ვაყარე.

— არ დააობლო თქვენი სამწყსო, კუნძული უბატორო: — განერთხო მიწას მესამე, ბოლოს რომ ვწვდი და გულში ჩავიკაოი.

მივხვდი, ამათ ვილაცაში ვეშლებითმეთქი და გუნება ერთბაშად მომეშხამა. ვეშლები, თანაც უბრალო ვინმეში კი არა, ხალხს რომ ეკუთვნის — მეფეში ან ბელადში. მაშინვე სიმართლის თქმა

ვამჯობინე. იქვე ლოდზე შევდექი, ხელები ავაპყრე და ვალიარე:

— ხალხო, ჩემი კუთვნილი ჭიტლაცები მირჩვენია სხვის ტაშს და დიდებას.

— ვაშა, ჩვენს პატრონს და მწყემსს! ვაშა, ჩვენს ბრძენს და ქომავს! — გამაწყვეტინეს სიტყვა.

— ის არა ვარ, თქვენ რომ გგონივართ!..

ხალხი გაჩუმდა.

— ისაა! — წამოვიარდა და იყვირა. მე რომ თავდაპირველად გადავეხვიე.

— ისაა, ისაა! — აღრიალდა მეორედ ნაკოცნი.

— ისაა, ისაა, ისაა! — ყელი ამოახჩა ბლავილით მესამედ გულში ჩაკრულს.

— არა, ხალხო! მე გადამთიელი ვარ, ვინმე მავანი!..

— გაუმარჯოს დიდებულ მავანს! — იყვირა პირველად გადაკოცნილმა.

— დიდება ჩვენს მფარველ მავანს! — იღრიალა მეორედ ნაკოცნმა.

— დიდება, დიდება, დიდება! — იქუხა მესამედ ნალოშნმა და ჯერ ამ სამმა ამიტაცა ხელში, მერე ხალხმა და ნაპირიდან დაიძრნენ.

მიდიან, მივყავარ ასე, ხელში ატაცებული, გრიალებს ვაშა და ტაში, ვის ესმის ჩემი ვედრება:

— გამიშვით, ჩემი ფეხით ვეთრევი. ის არა ვარ, თქვენ რომ გგონივართ, ერთი წყალწალებული, ზღვას გატანებული, განწირული ვინმე მავანი ვარმეთქი!..

— დიდებულ მავანს, ვაშა! — გრიალებს ხალხი.

— ვაშა და ვაშა, და კიდევ ვაშა! — გუგუუნებს ერი და ბერი.

ხალხის ნებას სად წაუხვალ. მიმიყვანეს ასე უშველებელ მოედანზე, ნემსი არ ჩავარდება, ისეა გაჭედილი. ქალით და კაცით. მოედნის აღმოსავლეთით, კიბე-საფეხურიანი თვალუწვდენელი პირამიდა-მთა დგას. ნოხის სიფართე ფი-

ოტია იოსელიანი
მომთხრობავი

ანდაზია ჩამოშვებული და ზედ მიპირებენ აყვანას.

— არა, ხალხო! ნოხი, პირამიდა და მე რა შუაში ვართ! — გავაფხარკალე ფეხები.

— ქვეყნის პატრონი ასეთი უნდა! აბა, ტახტს რომ არ აკარებენ და ხვლიკვით მაღლა-მაღლა არბის, ის კუნძულის რა მფარველი და მწყემსი იქნება! იქუხა ბრბოში ვილაცა ორატორმა.

— არა, თქვენი ჭირიმე, არა, თქვენ შემოგვევლე! ცდებით, ნუ მიზამთ ამას: ჩემი გაჭირვება მეყოფა...

— კი, გაგიჭირდება, აბა, რა იქნება, მაგრამ ჩვენც გვიჭირს!.. — მომადახა ქვევიდან ახლა სხვა ორატორმა, თან ამ დროს მე მაღლა-მაღლა მიმაჭროლებენ.

— ბიჭოს! დამადგმევინეთ ფეხი მიწაზე და მათქმევინეთ ორი სიტყვა! — ვიბლაველე ბოლოს, თავი რომ კინალამ ცას მიმაბჭენინეს.

— იქ დაბრძანდი, კუნძულ უპატოროს თავს, და იქადავე.

მეც ვიფიქრე, დაწყნარდეს ქვეყანა, სული მოითქვან და ავუხსნი, გავაგებინებ-მეთქი...

დამსვეს, სად დამსვეს! ამ კიბე-საფეხურთან, მთა-პირამიდის კენწეროში. ღრუბლები ხელის გაწვდენაზეა. თეთრი, ქათქათა სვეტები კოლონებით მთავრდება ეს მთა-პირამიდა და ამ თორმეტ სვეტს ერთი ვეება გვირგვინი ადგას თავზე ღრუბელივით ჰაეროვანი და ნატიფი...

კი ჩამსვეს ამ დიბა-ატლასში ხონთქართა ხონთქარვით, მაგრამ აქედან ხალხი ჭიანჭველებივით ჩანს და მე საცოდავი, ისედაც ძლივს ვბლუკუნობ, ამოდენა მანძილზე რა ხმას გავაწვდენ, ან რა გულითადი მუსაიფი გამომივა? უნდა ვიყვირო და ვიჭლაველო. ნაყვირალი და ნაბლაველები: „თქვენი ჭირიმე“ და „თქვენ გენაცვალეთ“, გინებას ემგვანება (არადა რაიმე ტელეფონი და მიკროფონი, ეტყობა, აქ ჯერ არ იციან, სარეცხის გასაყიდი მავთულიც არ დამინახავს სადმე გაბმული).

დამსვეს ამ ქათქათა სვეტებს შუა

ცივ ქვაზე, ქუხს ტაში, მაგრამ რა ქენს, თუ ეს გვირგვინიანი სვეტები დამენგრევა არ მგონია.

— აქედან ვის რა ვუთხრა, ან რა გავაგონო? — ვკითხე იქვე ახლო მდგომს, პირველად რომ ვაკოცე, იმ კაცს.

— ახლავე, ჩვენო ბატონ-პატრონო! — დატრიალდა და ის ხალხი, მე რომ ასე ხელში აყვანილი ციმციმ ამომიყვანეს, ქვევით ჩარეკა.

— ვა, შე კაცო, ესენიც მომაშორე?! — ვუსაყვედურე.

— აბა, ესენი შენს ახლოს ყოფნის რა ღირსია?! — გაუკვირდა.

მეორედ გადაკოცნილი დატოვა ასე, ხმის მისაწვდენზე, მთა-პირამიდის შუა წელთან, მესამედ რომ გულში ჩავიკარი, ქვევით დასვა, მეორედ ნაკოცნი ხმას რომ ძლივს მიუწვდენდა, ისე. მოვიდა მერე და მითხრა:

— ე, ბატონო, ბრძანე ახლა რაც გნებავს, ვისმენთო.

— ხომ გითხარი, აქედან ვის რა გავაგებინო? ხალხს ერთმანეთისაგან ვერც კი ვარჩევ.

— ხალხო! — გასძახა მეორედ ნაკოცნს, მთა-პირამიდის შუა წელზე, — ჩვენი მწყემსი ბრძანებს, ერთმანეთს გავუგოთო! ავისა და კარგის გარჩევა ვიცოდეთო!

— ხალხო! — კუნძულ უპატოროზე სუფევდეს გაგება, ავკარგიანობა, უბრალოება, სათნოება, კაცთმოყვარეობა, თანასწორობა... — მიაყოლა და მიაყოლა მეორედ ნაკოცნმა და გადასძახა ქვევით. მესამედ ნაკოცნმა რაღა დაამატა და ფრთები გამოაბა, ჩვენამდე აღარ ამოულწევია.

ერთხანს კი იყო ხალხი გალურსული და მერე იგრიალა, კოლონები კინალამ ისე თავზე ჩამომიგვრა.

— ეს მე როდის ვთქვი?! — ვუსაყვედურე ამ ჩემს პირველ ნაკოცნს.

— როგორ?! სიკეთის, ძმობის, სათნოების, კაცთმოყვარეობის წინააღმდეგი ხართ? — იმასაც ხმაში საყვედურით ვაგებარა.

— წინააღმდეგი რაღა ვარ, მაგრამ

ჩემს გაჭირვებაზე მინდოდა მელაპარაკა... ქვეყნად სათნოების სუფევას მე ვინ მკითხავს.

— მაგასაც ვიტყვი, — თავი დამიქნია და ხელი აღმართა. ხალხი გაისუსა. — ჩვენი მფარველი მავანი ბრძანებს...

— როდის ვბრძანებ, როგორ გეკადრებათ!

ღიახ, ღიახ! — დამეთანხმა და ხელი გააქნია, — ბრძანება და ძალდატანება არ უნდა დამჭირდეს, რასაც ვიტყვი, უსიტყვოდ უნდა აღსრულდეს!

— რა უნდა აღსრულდეს, აღსასრულებელს რას ვამბობ! — წამოვიწიე ტახტიდან... რა ვიცი, აბა, რა ერქვა, რაზეც ვიჯექი.

ამასობაში ქვევით რაღაც უშველებელ ქადაგებას ისმენს ხალხი და თან ფეხზე რომ წამოვდექი, ქალი და კაცი, ერი და ბერი მიწას განერთხო.

— ხალხო, რას მიპირებთ! აჲ, მართლა მეფის ხელდასმია, თუ რა ღვთის წყრომა გჭირთ, გამატანეთ ჩემი გულა-ნაბადი და გამიშვით!

— მავანი ლაღადებს...

— რას ვლაღადებ, როდის ვლაღადებ!.. — გამოვგლიჯე სიტყვა პირიდან ჩემს უბრალოდ ვამბობ... მე ერთი ვინმე მოხეტიალე გადამითელი ვარ და ჩემს გზაზე გამიშვით.

— დიდებული მავანი აცხადებს: მე რა გზითაც მოვსულვარ, იმ გზით წა-

ვალ... — უცებ მომიბრუნდა... არ თქვით, მფარველო?..

— ასე კი ვთქვი, მაგრამ მე ვისი მფარველი ვარ?

— ეს უკვე ჩვენ ვიცით, ხალხს მართლა ლაგამს ხომ ვერ ამოვდებთ. — და მეორე ნაკოცნს გადასძახა: — იმ გზით წავალ თუო, სრული ერთსულოვნება და მორჩილება არ იქნება!

— რა მორჩილება, რომელი მორჩილება!

— ხალხს ერთსულოვნება სჭირდება, დიდებულო მავანო. რამდენი კაცია, იმდენი ჭკუა და ყველამ რომ აიწყვიტოს და თავის ხუმტურზე იკუნტრუმოს, ქვეყანა რას დაემგვანება.

— იკუნტრუმოს მერე, მე ვინ მკითხავს! — ტახტიდან ჩამოვვარდი და გაქცევა დავაპირე.

— ღუპავ ქვეყანას?! — შეიცხადა პირველად გადაკოცნილმა და ფეხებში ჩამივარდა.

— მორჩილი ვართო! მონები ვართო! ყურებს დავიკრიოთო! — ამოგვძახა მეორედ გადაკოცნილმა ხალხის აზრი.

პირველად გადაკოცნილმა მაშინვე ამიტაცა და ტახტზე ციმციმ დამსვა. საღაც ჩემს ზურგს უკან ხელი გადამყო, რაღაც მოსირმული ღვედები ამოაძვრინა და საღაც დამასკუბა, იქვე მიმბაბა.

— რას შერები, კაცო, შეიშალე? — ვიბღავლე და წამოვიწიე, მაგრამ ნურას უკაცრავად, ადგილიდან ვერ დავიძარი.

მართვა-გამგეობა

ჩამოვი გაჭირვებული კაცი არ მეგულება. ვარ ტახტზე ძალღვივთ მიბმული, ბატონ-პატრონი მქვია. ქვეყანა ჩემს ბედს შენატრის, ჩემი სიტყვა კანონია და არავინ კიტრად არ მაგდებს.

— რას მერჩოდით, თქვენ მოგეცათ ჩემი ცოდვა! — ვეკითხები ჩემს პირველად გადაკოცნილს, რაკი მეორედ ნაკოცნი ჩემგან იმდენ მანძილზეა, თუ არ ვუყვირე, ხმას ვერ მივაწვდენ, მესამედ

ნაკოცნს ხომ თვალითაც ველარ ვხედავ.

— შენი დარდი ვის ჰქონდა, ჩვენი გაჭირვება გეკლავდა, — მიხსნის და ზედაც არ მიყურებს.

— რა ღმერთი გაგიწყრათ, ან მე რა შუაში ვარ.

ოთია იოსელიანი
მოთხრობები



— იმ შუაში ხარ, რომ აქაური არა ხარ.

— მერე, ჩემი ბრალია?

— არც ჩემი ბრალია.

— ჰოდა, რა ვქნა ახლა?

— იჯექი მანდ, სადაც ზიხარ!

— არ მინდა, ბატონო!

— შენი ენაა ძირში მოსაჭრელი, მაგან გიქნა ყველაფერი.

— რამ, კაცო, არ მინდა-მეთქი რომ ვიძახოდი და ვიძახი?

— ჰო, ჰო, ხალხს ჰგონია, კარიერისტი არ არისო და ასეთი მეფე გამოადგება. თანაც უცხო ხარ.

— უცხო რომ ვარ და თქვენი ასავალ-დასავალი არ ვიცი, რად გინდევართ ასეთი ვინმე.

— ხალხი ფიქრობს, რაკი აქ ნათესავი და ახლობელი არა გყავს, ვინმეს დაუმსახურებლად არ დააწინაურებ.

— ეს სწორია, მაგრამ...

— რაა სწორი?

— არავის არ ვიცნობ და არც არავის...

— მე არ მიცნობ?

— არა...

— რა არა, რომ გადამეხვიე და კოცნით კინალამ სული ამომხადე, ის რა იყო?

— გამიხარდა, რომ კაცი დავინახე.

— ჰოდა, მეტი-კი არ უნდა კარიერას, რომ დაინახავ და ვაგეხარდებო. გადაესვევი, კოცნი, ლოწინი და გვერდით მოსისვამ... აი, ახლა, მე პირველი მინისტრი ვარ, მეორედ რომ ჩაიკარი გულში და ვერაფრით გამოგვლიჯეს — მეორე, მესამედ ნალოწინი — მესამე...

— ესე იგი, მე უკვე მინისტრები მყავს?

— დანარჩენი ახლა ჩვენც გყავს, ვინსი დანახვაც გვიხარია, ვკოცნით და გკოცნის და ჩვენ დავაწინაურეთ... ერთი სიტყვით, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა.

აილო და წინ გაზეთები დამიწყო.

ყველა გაზეთის წინა გვერდზე დაუბეჭდილათ ფრთიან რაშ-დელოფინზე ამხედრებული, ვიღაც უმშვენიერეს-ულამაზესი რაინდი, ზღვის ტალღებზე მოჯი-

რიტობს და კუნძულ უპატრონოს წინაშე ტაც ნაპირებს სიბრძნის ღმერთივით გასცქერის.

— ვინაა, კაცო, ეს ზღაპრული ჩაუქი?! — ვეკითხები გაცეხული ჩემს პირველ მინისტრს.

— ვინაა? ვითომ არ იცი!

— საიდან უნდა ვიცოდე, რაშ-დელოფინი არამც თუ მინახავს, არც გამიგონია.

— დელოფინმა არ გამოგათრია, ოკიანიში რომ იხრჩობოდი?

— კი, დელოფინი უნდა ყოფილიყო, მერე?

— მერე და მერე! დელოფინი ზღვის ღორია. მეფეს ღორზე ხომ არ შევსვამდით, ან ღორზე ამხედრებული მეფე კი არა, მელორეც არავის უნდა.

— მაგრამ ეს ამხედრებული უებრო ჰაბუკი ვინაა, სათნოებითა და წინასწარმეტყველის ნიჭით რომ შემოგვცქერის?!

— საკუთარ თავს ვერ ცნობ?!

— მეტი თავი ვაგინხა შენ, ეს მე არ ვიყო! ჩემი ცხვირ-პირის პატრონს, სარკეში ჩახედვა მეზარება და ამ ნახატს თვალს ვერ ვაშორებ.

— ნუ ჩიხედავ მერე, მაგ სურათს გავადიდებთ, დაგიკიდებთ და უყურო.

— რას ვუყურო და ვის ვუყურო! გამიშვით აქედან, არაფერი მინდა! თქვენ ვინ ყოფილხართ!

— დაეტე მანდ და ამ ქალღღებს ზელი მოაწერე! — წინ ახლა ღერბიანი თაბახები დამიწყო.

— რა ქალღღებია, არ გადამრიოთ! — გადავფურცლ-გადმოვფურცლე, ვერაფერი გავიგე.

— ეს შენი გამოცემული დეკრეტი...

— დეკრეტი რაა, ისიც არ ვიცი და რატომ გამოვცემდი.

— ასე ხდება ეს, რომ გელაპარაკებოან შენ! — გადამიბრიალა თვალეები ამ ჩემმა პირველად გადაკოცნილმა.

— კი, მაგრამ, მაინც რას ნიშნავს! — რაღაც ისე ავად აბრიალებდა თვალეებს; შემამინა.

— აქ წერია: ავაშენებთ, ავაყვავებთ, დაგასახლებთ, გაგაკეთებთო!

— ვინ აკეთებს მერე ამას ყველაფერს?!

— არაინ! — გამოსცრა კბილებში უპირველესმა მინისტრმა.

— მაშინ რა, რა საჭიროა...

— საჭირო რომ არ იყოს, მე ხელისგულები არ მეჭავენა. მთელი ღამე არ მძინებია, გადაყვევი მაგის წერას. შენ ხელის მოწერა გიჭირს?

შემრცხვა, ამ კაცს ჩემთვის ამდენი უწვალა და მე ეს როგორ დავუმადლო-მეთქი, წამოფუსვი ბატის ფრთას ხელი და ინიციალი და გვარი მოვაჯღაბნე.

— რაა ეს, რა გავიგო აქედან?!

— ამნაირად ვაწერ მე ხელს და რა ვიცი...

— ვის რად უნდა, როგორ აწერ შენ ხელს, რა გქვია და რა გვარი ხარ.

— აბა?..

— აბა-და, მოაწერე კუნძულ უპატოროს მეფეთა-მეფე, უძლეველი მავან პირველი!

— რომელი მეფეების მეფე ვარ მე? არ გეცოდებით? ან რა უძლეველი ვარ, ისე გამოვიდალე, ჩემი მტრედებიანი გალიის თრევა მიჭირს.

— აი, აქ მოაწერე! — ბატისფრთიანი ხელი დამიჭირა და ჩამახუჭუჭებინა: მეფეთა-მეფე, უძლეველი მავან უპირველესი.

— წელან პირველიო, ახლა — უპირველესი?!

— რომ ვუყვირდები, ასე სჯობია.

რალა ბევრი გავაგრძელო, გამოვეცი დეკრეტი და ხალხს პირდაპირ, შავი დედალივით გაკეთებას დავპირდი: დღეიდან აღარაფერი არ გინდათ, დაჯექით, გადაიდეთ ფეხი ფეხზე და ჭამეთ პური ქვეყანაზე-მეთქი.

შეიშალა კუნძული სიხარულით, გამოცვიდნენ მოედანზე, ცას ხელი უწვდებათ, „ვაშას“ ღრიალით ყელი ჩაუხჩათ და ტაშისცემით ხელისგულებზე ტყავი გადაძვრათ, დაუსისხლიანდათ.

— კი მარა, — გადავულაპარაკე პირველ მინისტრს, — ეს ხალხი რომ სიხა-

რულით გადავრით, მე რა ვაძაჩნია, ამათ რა მივცე...

— მისცე არა, ის არ გინდა!

— აბა, ხვალ რომ მომადგნენ და მომთხოვონ?

— ვეტყვით, რომ ზეგ მოგცემთ-თქო.

— ზეგ რომ ვერ მივცემთ.

— ვეტყვით, მავზე-თქო.

— მავზე, რალა ვქნათ?

— მავზე ან ვირი იქნება, ან ვირის პატრონი.

— არა, ასე არ შემძლია! რალაც, მართლა თუ მეფე ვარ...

— მეფეთა-მეფე, უძლეველი მავან უპირველესი!

— ჰო, ჯანდაბას რაც ვარ, ვადასახადები მაინც გავაუქმით.

— ვადასახადები, დაბევრა და კონტრიბუცია რომ გავაუქმით, ვინ გვაქმევს და სასახლეებს ვინ აგვიშენებს. ვინ შეინახავს შენს მინისტრებს და მოხელეებს, ვინ არჩენს ჯარს და პოლიციას, ხომ არ გადაირიგ შენ!

— რად გვინდა, თუ კაცი ხარ, ამდენი ამბავი, ყველამ ვიმუშაოთ და ჩვენი ნაშრომი ვჭამოთ.

— იფ, შენ დაიკავებ თოხს ხელში და უბაყუნებ?

— რატომ არა, არ მჭერია თუ?

— ამას ჩვენ შენს ბიოგრაფიაში დავწერთ. კარგი გამახსენე, მაგრამ ახლა რომ მართლა თოხით და ბარით ვინმემ დაგინახოს, რას იტყვის ქვეყანა, სახელმწიფოს ვინ მართავსო?

— ქალღმერთზე ხელის მოწერის მეტს მაინც არაფერს ვაკეთებ და არ სჯობია ვიშრომო?

— ხალხს უნდა ეგონოს, რომ მისთვის დღე და ღამე ათენებ და აღამებ. სინამდვილეში წამოწევი მხარ-თეძოზე და იძინე...

— არა, მართლა რომ რაიმე გავაკეთოთ... მართლა პატიოსნად რომ მოვიქცეთ.

ობია იოსელიანი
მოთხრობები

— რა უნდა აკეთო?! — გაოცდა ისევ პირველი მინისტრი.

— რაც სჭირდებათ...

— ეუ! ხალხს რამდენი რამე ჭირდება, შენ გააკეთებ? შენთვის ვერაფრისთვის მოგიბამს თავი და აღოღებულხარ.

— მე ვმოგზაურობდი, ქვეყანას ვსწავლობდი...

— მერე, შე უბედურო, ვერ გაიგე, რომ ერთი ათასისათვის ვერაფერს გააკეთებს? ქალაქს წყალი აკლია, რას იზამ? დაიჭერ ხელში ბარს და გამოიყვან?

— არა, მე... ქალაქის სამყოფ წყალს როგორ გამოვიყვან.

— ქალაქს აკლია რძე. წახვალ, ახალახებ ძროხას, მოწველი და დაურიგებ?

— ამდენ ძროხას მე რა მომაწველინებს.

— აბა, მწვადებს შეუწვავ ცხელ შამფურებს ჩამოურიგებ?

— მწვადი ჩემთვის ვერ შემიწვია, მაგათთვის კი არა...

— ჰოდა, დაეტიე მანდ, ხალხი რომ ტაშს ვიკრავს, შენც დაუკარი.

რა მექნა, მეტი არაფერი შემეძლო და ტაშს როგორ დავამაღლიდი. დაცხე!

შენ დასცხეო, ესლა უნდა ისედაც აფოფინებულ ქვეყანას. ეურტყით და ეურტყით, ვაგრიალეთ და ვაგრიალეთ, სულ გავაყრუეთ კუნძული და მე რომ წამოწოლა მოვიგუნებე, გარეთ ისევე გუგუნებდნენ და ზიმზიმებდნენ სვებენიერი ქვეშევრდომები.

მერე არ ვიცი, მეც კაცი ვარ და ჩამეძინა.

მართლმსაჯულების ანგარიში

რამდენიმე მომჩივანი მაინც უნდა მიიღო უბრალო ხალხის წრიდან, — განმიცხადა ერთ ღღეს ჩემმა პირველმა მინისტრმა.

— რას ჰქვია, უბრალო და ბრალიანი ხალხი! ადამიანი რომ ადამიანია, დიდი და პატარა რომ არ არსებობს, ეს არ გაგიგიათ?! — ვკითხე აღშფოთებულმა.

— კი, ასე ჩვენც ვიძახით, მაგრამ მეკურტნე და მეეზოვე — მეკურტნე და მეეზოვეა, მინისტრი და ვაზირი — მინისტრი და ვაზირია.

— არ ვიცი მე მაგი, ჩემთვის ყველა ადამიანი ერთია.

— შენი გულისთვის, ახლა, მთელ სახელმწიფო წყობას ვერ გადავაკეთებთ, მაგრამ ისე, ჩვენც მასე ვიძახდით და ვიძახებთ... ამიტომაც საჭიროა მიიღო ორიოდე მომჩივანი და სიმართლის მამხილებელი, რომ შენზე ლეგენდები შეეჭმნათ...

— არ მინდა მე ლეგენდები! დაუძახე თუ სადმე უსამართლობისაგან დევნილი და ჩაგრულია. მაინც ძალღივით ვარ მი-

ბმული ამ ტახტზე და მაგ სიკეთეს მაინც ვიზამ.

— კაბინეტი მაქვს, ამ თავიდან იმ თავამდე თვალს ვერ გაუწვდენ. მინისტრი როგორც გავიდა, თმაგაწეწილი, გაფოფრილი ქალი შემოვიდა, ჩამივარდა ფეხებში, მლოკავს და მოთქვამს:

— ჭირისუფალო, უდიდებულესო, მავან პირველო, ბრძენო, მორკმულო და განმგებიახო, შეიბრალებ უბედური დედა....

— ადექი, ქალო; და ისე მელაპარაკე. წუხელი აბანოში წყალი არ იყო და ფეხი დაუბანელი მაქვს.

— არა, აქ, აქ უნდა მოგვედე შენს მუხლებთან... დამიბრუნე შვილი, მალალო, უხვო, მდაბალო..

— რად უნდა შვილი შენისთანა ლაქიას და მიწაზე მხოხავს? შენ შენნაირ ოხერს გაზრდი!

იკადრა, წამოხტა და ახლა კინალამ კალთაში ჩამიჯდა.

— აი, ამ გათახსირებულმა შვილი წაგართვა! — გამახჯდა და ჩემკენ მომავა-



ლი, ორ ბიჭუნას შორის ჩამდგარი, თავ-
აწეული ქალი დამანახა.

— რომელია, ქალო, შენი შვილი?

— დედა ენაცვალოს, უფროსი! მე-
ორე ამ გათახსირებულს თავისი ეყო-
ლა და ჩემსას არ მიბრუნებს.

ბავშვებს გადავხედე, ორივე ისეა ჩა-
ფრენილი დედის კალთას, ჯალათები
რომ გადახვიო, ვერ მოგლეჯენ.

— მართლა ამისია, ქალბატონო, ბავ-
შვი? — ვკითხე დედას.

— მაგის შობილია, მაგრამ ჩემია.

— ხომ ზედავთ, ბრძენთა ბრძენო, უძ-
ლეველო, მავან პირველო. რა პირით ამ-
ბობს ეს გათახსირებული, მაგის შობი-
ლია, მაგრამ ჩემიაო! — იკივლა და
ბავშვს ეტყერა, მაგრამ ბიჭს ძვრა ვერ
უყო.

— საიდან აღმოჩნდა ბავშვი თქვენ-
თან? — ვკითხე დედას, რაკი შევატყვე,
თუ მე არ ჩავეძიებოდი, თვითონ არა-
ფრის თქმას არ აპირებდა.

— როგორ ვიკადრო და მოვახსენ-
ოთ... — ბავშვებს გადახედა.

— არა უშავს, არა უშავს! — გავა-
თამამე მე. — ახლანდელმა ბავშვებმა...

— ის უნდა თქვას მაგ უსინდისომ,
რომ მე ვიყავი უსინდისო. — აკაპასდა
ისევ ეს, კალთაში რომ მიპირებდა ჩა-
ჯდომას და მე არ ვანებებდი.

— დიახ, მსუბუქი ყოფაქცევის... —
გაწითლდა ბავშვებში ჩამდგარი ქალი.

— რა ვუყოთ მერე... — შევავლდიანე
ისევ დედა.

— ეს მისი საქმეა... მაგრამ ბავშვი
სამშობიაროში მიატოვა...

— ლუქმაპური მიჭირდა და, რა მექ-
ნა!

— მე შვილი არ მყავდა და ავიყვანე.

— ნეტავ ვინ ეხვეწებოდა!

— მერე ჩემიც გამიჩნდა, მაგრამ სი-
ყრმის შვილი სხვაა, ათიც რომ მყავდეს,
ამის სიყვარული სხვაა.

— ამ ქალს ახლა რატომ მოაგონდა,
რომ შვილი ჰყავდა?

— არასოდეს არ დამევიწყნია!.. დამი-
ბრუნოს და რაც დახარჯა, ას იმდენს მი-
ვცემ.

— შენ გაჩემდი! — გავუწყვენი
პასებულს.

— მაგი მერე მსუბუქი მრეწველობის
მინისტრს დაუახლოვდა, მან კიდევ სამ-
კერვალო გაერთიანების დირექტორად
დანიშნა. ახლა აღარ იცის, რა ჩაიცვას,
დაიხუროს და შვილიც მოუნდა.

— ქალო, შენ რომ გადირექტორდები,
გამდიდრდები და გასუქდები... შვილი
დუბლიონკა კი არაა, ან ბროლის ჭალი,
ათი ათასები მისცე და შეიძინო. ვი-
ჭირს თუ გილხინს, შვილი შვილია! შე-
მოუშვით შემდეგი! — გავეცი ბრძანება.

ოცი კაცი შემოიყვანეს. ერთი ნაპატი-
ები, მეორე გასუქებული.

— რაში ვერ მორიგებულხართ, რა გა-
წუხებთ? — მივმართე ორთავეს.

— ჩვენ ერთად მივივლეს ერთ დაწე-
სებულებაში, — დაიწყო ნაპატიებმა.

— ერთ დღეს! — დადასტურა მსუქა-
ნმა.

— დიდი უშველებელი ეზო აქვს და-
წესებულებას... — ჰყვება ერთი.

— თვალს ვერ გაუწვდენ, ისეთი, —
კვერს უკრავს მეორე.

— ერთი დარაჯის ადგილას, მეორე —
მებალის.

— ხელფასი ერთნაირია.

— მე არ შემიძლია, სნეული ვარ, თუ
დავჯდები, ან წამოვწევი და ვუღარა-
ჯებ... — მოისაწყლა თავი ნაპატიებმა.

— შენ რატომ, მე ვერ წამოვწევი?!
— არ აცალა მსუქანმა.

— სნეული ვარ, გული მიფანცქალ-
ებს, ამოდენა მიწის დამუშავება...

— მე, ასე რომ მიყურებთ, სული
ძლივს მიდგას. იმ თვალწვდენელი ეზ-
ოს ბალად გაშენება სად შემიძლია! —
ისევ არ აცალა მსუქანმა.

— უჰ, მოიცათ! — მივუბრუნდი ორ-
ივეს, — მაგის ამბავი მე მკითხეთ, მანდ
საქმე სხვაგვარადაა. ის, ვინც მებალედ
იმუშავებს...

— მე, არა! — გაასავსავა ხელები ნა-
პატიებმა.

ობია იოსელიანი
გროთხრომება



— მე, არამც და არამც... — ქვა ააგ-
ლო და თავი შეუშვია მსუქანმა.

— არ მაცლით? ბოლომდე მომისმი-
ნეთ! ის, ვინც მეზღვედა წავა და იქაუ-
რობას ააყვავებს, იმის გადაყვანას ვა-
პირებ იმ დაწესებულების ღირებულო-
ად... დარაჯს ღირებულოად ვერ გავუშ-
ვებთ!

— არა, ამ ბოლო დროს ცოტა კი მო-
ვიკეთე... — გატყდა ნაპატიები.

— შენ ამ ბოლო დროს და მე უკვე
კარგა ხანია! — წელში გასწორდა მსუ-
ქანი.

— არც თუ ამ ბოლო დროს, აგერ ერ-
თი წელიწადია, არა მიშავს.

— ერთი კი არა, ეს მეხუთე წელია,
ჩიტვივითა ვარ!

— მეხუთე წელია კი არა, ახლა მა-
გონდება, ბავშვობაში რაღაც მალარია
კი მქონდა, მაგრამ მერე რომ გამოვიყა-
ნე, კაჟივითა ვარ! — დაიკუნთა ნაპა-
ტიები

— შენ ბავშვობაში მალარია გქონდა
და მე, გაჩენის დღიდან ფრჩხილიც არ
წამომტყენია! — დაიძაგრა მსუქანი.

— ახლა რა ჰქენით, იცით? — ვუ-
რჩიე ბოლოს: — წადით, დაიჭიდეთ იმ
ბაღში და რომელიც მოერევიტ, ის წა-
ხვალთ მეზღვედ და ააყვავებთ იქაურო-
ბას... აბა, აქედან მოუსვით, თქვე ზარმა-
ცებო და კარიერისტებო!

როგორც კი ნაპატიები და მსუქანი
კარში გაკვივდნენ, დედაბერი შემოიყ-
ვანეს. უსინათლო, დაკონკილი შავი სა-
მოსი დამჰკნარ სხეულს ვერ უფარავს.
ორი ჯეელი შემოჰყვა, ორივეს ბუღასა-
ვით აქვს კისერი გასქელებული.

— შენი მუხლ-კალთის ჭირიმე, შენს
სახელს შემოვევლე, გამიკითხე ქვრივ-
ოხერი, უსინათლო და უგუნური... —
საწყალი მუხლებზე დაეცა.

— როგორ გეკადრებათ, აგერ, ჩემს
გვერდით დაბრძანდით! — წამოვვარდი,
მაგრამ ადგილიდან ფეხი ვერ მოვიცვა-
ლე, გამახსენდა, რომ მიბმული ვიყავი.

— არ მოვისმენ. სანამ ჩემს გვერდით
არ დაბრძანდები!

კარისკაცებსაც რაღა ექნათ, ხალხს,

ხომ ვერ დაანახებდნენ, რომ ჩემს სუტ-
ყვა კანონი არ იყო და გვერდით მომის-
ვეს.

— შენ გაიხარე, შვილო! — სული
მოითქვა გაწამებულმა, — სავარძელზე
და სკამზე კი არა, კვირები სასამართ-
ლოს კართან ვუურუტებ და ძალად
არაფინ მაგდებს.

— რა გაგკვირვებია ასეთი, რომ ამ
ხნის უსინათლო ქალი სამართალს ეძებ?
ან ეს ჯეელები ვინ არიან?

— არ ვიცი, დედა, მე ველარ ვხედავ,
მაგრამ მაგ მუტრუკებიდან ერთი ჩემი
შვილია.

მე მუტრუკებს გადავხედე.

— მე არა, ბატონო! — თავი დამიკრა
ბუღასავით კისერგასქელებულმა.

მე, მით უმეტეს, არა, ჩემო ბატონო!
წელში მოიდრიაკა მეორე ბუღასავით
კისერგასქელებული.

— ესენი არც ერთი არ ყოფილა შენი
შვილი. იქნება, რომ ველარ ხედავ, გე-
შლება?

— როგორ არა, ერთ-ერთი შვილია,
რატომ გაჩენისთანავე არ გამიწყალდა!

— ორივე იძახის, არაო და რომელიმე
მართლა რომ იყოს, დავიჭერო ვერ
გცნობს?

— ცნობა დაუკარგოს მამაზეციერმა.
თვითონ კი მცნობს ალბათ, თუმცა დი-
დი ხანია აღარ ვუნახავარ, რაც დავებრმა-
ვდი და დავსნეულდი, მოვტყუდი და და-
ვჩაჩანაკდი. სანამ შემემძლო და რაიმე გა-
მაჩნდა, წერილი წერილზე მომდიოდა
და დებეშა დებეშაზე: გამომიგზავნე, მი-
შველე, ფეხზე დამაყენე და სიბერეში
ხელისგულზე შეგინახავო. ახლა რომ აღ-
არაფერი გამაჩნია და დღის ნათელსაც
ველარ ვხედავ, სულ აღარ უკითხავს ჩე-
მი ამბავი. ვუცადე, ვუცადე, დღეს-
ხვალ, ამ თვეში, იმ თვეში, ამ წელიწა-
დში, იმ წელიწადში, ვილას ვახსოვარ.
წამოვედი, აღარც გზის ფული, აღარც
ლუქმაპური. მათხოვრობით და კითხვა-
კითხვით ჩამოვადწიე. რატომ გზაში არ
ამომხდა სული, არ ვიცი, და მოვადექი
იმ სახლს, სადაც მეგულებოდა. ცხონე-
ბულმა ჩემმა მეუღლემ სიკვდილის წინ



რომ უყიდა და უნივერსიტეტში მოაწყო. მისამართი ხომ ვიცოდი და მივაღდექი. ქალმა გამიღო კარი. შეიღო, ჩემი რძალი იქნები-მეთქი, გადავეხვიე. გველივით ისივლა და ხელის კვრით გამომაგდო. ეს აყროლებული მათხოვარი ვინაა, მომაშორეთო! მეორე მსრიდანაც აქვს იმ სახლს შესასვლელი... იქით გაეთრიეო. ბოდიში მოვუხადე და იქიდან მოვუარე. იქაც ქალი შემხვდა. იმის ძვირს ვერ ვიტყვი: როგორ გეკადრებათ, ჩემს ქმარს დედა არა ჰყავს, დედამთილი თუ მეყოლებოდა, რავე გავთხოვდებოდაო. დავდივარ მას აქეთ და ვეძებ სამართალს.

— ე, თქვე ოხრებო, რომელი ხართ, თქვით! — გადაუბრიალე თვალები ბუღებივით კისერგასქელებულთ.

ორივეს ჩაეღიმა და გულზე ხელის დადებით იუარეს.

— არც ერთის დედა არაა, ხომ!

— არა, ბატონო...

— როგორ გეკადრებათ...

— არა, მართლა!

— არა, სინდისს გეფიცებით!

— ნამუსგარეცხილი ვიყო, თუ სიმართლეს არ მოგახსენებდეთ.

— კარგი მაშინ! — დავემუქრე და კარისკაცს მივუბრუნდი: — ფინანსთა მინისტრს დამიძახეთ, თან, ბანკის რალაცნაირი, საგანგებო ქვითარი რომ აქეთ, ის წამოიღოს.

— გამომეჭიმა ფინანსთა მინისტრი, ოქროს თუმნიანებით უბრწყინავდა თვალები. დამიღო წინ ნომრიანი მოხატული ქვითრები.

— ამ ქალის სახელზე დღეიდან სახელმწიფო ბანკში ირიცხება მილიონი მანეთი.

— მანეთი რაა? — გაუკვირდა ფინანსთა მინისტრს?

— ფულის საზომი ერთეული, აბა, თქვენთან რას ეძახით?

— ჩვენთან, ბატონო, პატორი იყო აქამდე, თუ გნებავთ, მოვახდენ რეფორმას და თქვენებურ მანეთს დავარქმევ.

— რა მნიშვნელობა აქვს, მილიონი

იყოს და თუ გინდა, პატორი იყოს, ავიღე ბატის ფრთა და ქვითარზე მარჯვკვარაზტინე: მავან უპირველესი.

დაუკრა თავი ფინანსთა მინისტრმა დედაბერს, კინალამ ფეხებში გაეგო.

— დედა, ძვირფასო, გიცანი! როგორ ვერ ვიცანი! — იყვირა ბუღასავით კისერგასქელებულმა მუტრუქმა და დედაბერს მოეხვია.

— დედიკო, საყვარელო, შენ შემოგვევლე, ჩემო უსასყვარლესო! — წაართვა მეორე ბუღასავით კისერგასქელებულმა, ხელში აიტაცა და გააქცია.

— დედა, დედა, მაგ უსინდისოსთან რა გინდა, მე, შენს შვილს, ვერ მცნობ?! — გამოუღდა პირველი, კართან დაეწია და მოხუცი ხელიდან გამოგლიჯა.

— წავიდნენ, ახლა თვითონ იართონ სასამართლოებში და ამტკიცონ, რომელია მართლა შვილი და რომელი არა.

— აქ რა ამბავია, რა ბაზარი გამართეთ! — შემოვარდა გაცეცხლებული პირველი მინისტრი. დიდიან-პატარიანად ყველანი გაყარა და კარი მაგრად დაგმანა.

— მოიცა, კაცო! თუ ასეთი უსამართლოდ შეწუხებული ვარეთ დგას, შენ კარს კეტავ?

— ხომ არ გადაირიე, ქვეყნად რამდენი გაჭირვებული და სამართლის მადიებელი დაძრწის, ყველას შენ გაწვდები? კმარა, ხალხი უკვე შენს სამართლიანობაზე ალაპარაკდა, და მგონი, კარგი ერთი მილიონი პატორიც დაჯდა. მასე შენ ერთ კვირაში გაანიავებ სახელმწიფოს.

— დედას შვილი ვაპოვინე და ერთი კი არა, ასი მილიონი არ ღირს?! — გაეკვივრე ჩემს სიბრძნეში და სამართლიანობაში დარწმუნებულმა.

— ჩუ, ჩუ! რამდენი დედაბერია, მილიონებს თუ ჩამოურიგებ, შვილები და რძლები ხელისგულზე დაისვამენ... მაგას რა სიბრძნე უნდა. შენ ასე შენს

ოტია იოსელიანი
მოთხრობები

ჭკუაზე თუ ავიშვით, გააკოტრებ ბანკს. დაეტიე მანდ, არ გაევიგონო შენი ხმა!..

— პირში ბურთი ჩამჩარა ჩემმა მინისტრმა და მრჩეველმა.



წყლის მოტანილი წყალს ბაბბანეს

რალაცა თუ არ ვილონე და თავს არ ვუშველე, წასულია ჩემი საქმე. არც კი გამეგება, რა ქალაღებზე ვაწერ ხელს და ვამტკიცებ, ან რალაცა ორ სიტყვას ჩემთვის დავიბლუტუნებ, აიტაცებენ, ისეთ ათასნაირ კუდს გამოაბამენ, მე სულაც რომ არ მიფიქრია, ქადაგებენ და აჭრელებენ ჟურნალ-გაზეთებს.

ჩემი ბავშვობის ფოტოსურათი, სახლში რომ არ დამიტოვებია, ამ კუნძულზე საიდან გაჩნდა! გამოუკრავთ სკოლების ფასადებზე ვიღაც ნაპატიები, ბუთხუზა ბიჭუნას ვეება პორტრეტი და მიუწერიათ: „უძლეველი მავან უპირველესი, თქვენნი ხნისა რომ იყო“. ღმერთი და რჯული. ერთი გამხდარ-გალეული, მაღარიით სნეული, ყვითელი, გასაცოდავებული ბავშვი ვიყავი. ვინ გაიგონა ჩემი ღელაქა ლოყები და ცისფერი თვალები! ვეუბნები პირველ მინისტრს, მაგრამ ვის ეყურება.

— მოგცლია ერთი, ვის რაში სჭირდება, როგორი იყავი.

— ჰოდა, მეც მავას ვიძახი, სულაც არ გვინდა.

— ბავშვებს არ უნდათ ვინმე მისაბადი და მაგალითის მიმცემი?

— მერე მე რა მისაბადი ვარ?!

— შენ არა, მაგრამ ჩვენ რომ ფუნთულა პორტრეტი გამოვკარით, არ მოგწონს? — დამიღო წინ სრიალა ქალაღზე დაბეჭდილი ფერადი ჟურნალი.

— კი, ვიღაც მსუქანი ანგელოზია.

— ანგელოზი უნდა ბავშვს და ხეთისნიერი, აბა ეშმაკებს და ყაჩაღებს ხომ არ გამოვუკრავთ სკოლის და სასახლეების წინ?! — ბურთი ჩამჩარა პირში პირველმა მინისტრმა, მაგრამ ჩემი არ დავიშალე:

— მე ანგელოზი არ ვიყავი, ბავშვი ვიყავი.

— შენ იქნებ არც ჩაჭიკჭიკებული ხუთები გქონდა.

— არა, როგორ გეკადრება!

— ჰოდა, ჩვენც ავდგეთ და ბავშვებს ვუთხრათ: უძლეველი მავან უპირველესი ორიანებზე და სამიანებზე სწავლობდათქო?!

— პირველი მინისტრი ხარ, შენს ბავშვობაზე ილაპარაკონ თუ აუცილებელია...

— მე მთლად წყალწაღებული და ჯიბიდან ვავარდნილი ვიყავი, რაც აქაურებმა იციან.

— აბა, მე რა დავაშავე...

— შენი ასავალ-დასავალი არავინ იცის და, რაც გვინდა, იმას დაგაბრალებთ.

— არა, მე ადამიანი ვარ და..

— გაჩუმდი, რომ გელაპარაკები მე შენ! — უფრო დიდი ბურთი ჩამჩარა ჩემმა პირველმა მინისტრმა და წინ ხელმოსაწერი ღერბიანი ქალაღები დამიწყო — ა, ამას მოაწერე სასწრაფოდ.. ეს დღესვე უნდა ჩამოვახრჩოთ.

— ვინ უნდა ჩამოახრჩოთ, ხომ არ გადარიე! — წამოვუხვი ქალაღებს ხელი და მინისტრს პირდაპირ ცხვირ-პირში მივაყარე.

— აბა, ყაჩაღი და ბანდიტი ვავუშვით და დააქციოს ქვეყანა?

— თუ არ უჭირდა, რამ გააყაჩაღა და გააბანდიტა კაცის შვილი?

— უჭირდა თუ ულხინდა, ბანდიტი კია და..

— მე ყოველგვარი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი ვარ და თვითონაც რომ ჩამომახრჩოთ, მაგ ქალაღს ხელს არ მოვაწერ.

— აბა, შენი ჭკუით, როგორ მოვიქცეთ? — ჩაიქირქილა პირველმა მინისტრმა.

— თუ ისე მოუღვთ ბოლო, ხალხში აღარ გაირევა, გადავასახლოთ სადმე

კარგ სააგარაკო ადგილზე, პირველყოფილ ბუნებაში, ბალახის მკამელ ცხოველებთან, მგელი, ავაზა და ვეფხვი რომ არ იყოს იმ არე-მარეზე.

— ვასვით, ვაქამოთ და გავართოთ? — ახითხითდა პირველი მინისტრი, სიცილი თუ იცოდა, არ ვიცოდი.

— რასაც ინატრებს... აბა, მშვიერი ანგელოზიც კაცის ჭამას დაიწყებს. თითო-თითო უნდა ამყოფოთ, რომ დაფიქრდეს და ბუნების სიწმინდემ განწმინდოს. ორ ბანდიტთან რომ თხზმოცდა-თვრამეტი კეთილი და საწყალი ერთ ოთახში ჩაკეტო და დაამშო, ასაკაციან ბანდას მიიღებ.

— ნუ ლაილაობ ბევრს! — ისევ პირში ბურთის ჩაჩრა მომინდომა პირველმა მინისტრმა, — ამ ყაჩაღს გამოტანილი აქვს განაჩენი და მოაწერე ხელი!

— ვერა, მე ვერ წავართმევ იმას, რაც არ მიმიცია და ხვალ რომ მოვიწოდო, ვერ დაეუბრუნებ და მე კი არა, არავის არა აქვს ამის უფლება.

— ამით ჩვენ ავსა და ბოროტს ჭკუას ვასწავლით, ნუ გააწყალე გული!

— სიკვდილით დასჯა ჭკუის სწავლება კი არა, დაშინებაა.

— თუნდაც დაშინება იყოს, არაა საჭირო?

— დაშინებული და დაბეჩავებული ხალხი, ხალხი არაა. ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს. რომ მისი აზროვნება სწორად წარიმართოს. მე თუ მწვანე ფერი მირჩევნია და შენ — თეთრი, გგონია, ჩემზე მართალი და ჭკვიანი ხარ?

— მე აქ შენი სახარების კითხვა რომ მდომებოდა, ტახტზე კი არ დაგვამდი, მონასტერში წაგიყვანდი, არ გადამრიო ახლა!

— ტახტზე კი არ დამსვი, დამაბი და გინდა კაცის სისხლშიც გამრიო? შენ კი არა, მე არ გადამრიო!

იმ საღამოს ჩემს საწოლ-დილეგში ტახტიანად რომ ჩამიყვანეს, რკინის კართან ატუხულ თოფიან დარაჯს გამოველაპარაკე:

— რა გქვია, ბიჭო, შენ.

— დარაჯი.

— დარაჯი სახელია, შე საწყალი!

— ყარაული.

— სახელი, სახელი! დედაშენი რას გეძახის?

— დედაჩემი? — თვალები გაუბრწყინდა — ხი-ხი-ხო-ხო.

— ხიხიხოხო რა უბედურებაა.

— ასე მეძახდნენ, ხალისიანი ბავშვი ვიყავი თურმე პატარაობისას.

— მერე, სანამდე უნდა იყო ახლა შენ დარაჯად?

— სანამდე უფროსების კულის მოქცინებას პირნათლად არ ვისწავლი.

— მერე, რა ჰქენი, ამდენ ხანს რატომ ვერ ისწავლე.

— რა ვიცი. ვინმე გაიქცევა დავიჭერ, დამაწინაურებენ. მერე უფროსის სისულელეზე გამეცინება და დამაქვეითებენ.

— შენ არც ისე უჭკუო ყოფილხარ, როგორც გამოიყურები.

— ჭკუა რომ მქონდეს, პირზე ბოქლომს დავიდებდი და უფროსის წინ ღრეჭვას მოვიწოდდი.

— მე რომ მთელი ამ კიბე-პირამიდის დაიცვის უფროსად დაგნიშნო, რასაც გეტყვი, უსიტყვოდ აღასრულებ?

— თუ სისულელეს იტყვი, წინდაწინ იცოდე, გამეცინება და არ დამაქვეითო.

— პირიქით, დაგაჯილდოებ.

— მაშინ ბარემ ახლავე დამაჯილდოვე, უკვე მეცინება, — და მართლა აუტყდა ხი-ხი-ხი, ხო-ხო-ხო!

— კი მაგრამ, რაზე გეცინება.

— მე ამ უამრავი დარაჯების უფროსობას ვინ მალირსებს.

— არა, ასე წინდაწინ ნუ კი იცინი, ხვალ საღამოს რომ აქ მომიყვანენ, თუ ასე არ იქნეს, მერე იცინე, — ვიცოდი, პირველი მინისტრი მეორე დღეს ჩემი სახელობის ახალი ქალაქის მშენებლობაზე მიდიოდა.

მეორე საღამოს ჯინჯილებიან-ჩინებიან ხიხიხოხოს აღარ ვასცინებია. ის კი არადა, წინა საღამოს რომ წინდაწინ გაეცინა, იმისთვისაც კი დავაჯილდოვე „თა-

ვდადებული დარაჯის“ პირველი ხარისხის ორდენით.

— ახლა, ჩემო ხიხიხოხო, აქედან როგორმე ხალხში გამაპარე. ამაში ხომ არაფერია სასაცილო?

— თუ ხალხის პატრონი და მწყემსი თავის სამწყსოსთან ახლოს იქნება, ამას რა სჯობია.

— მხოლოდ ჩემთვისაც და შენთვისაც რაღაც უბრალო, ადამიანური სამოსი იშოვნე. თუ გინდა, მე ჩემი ნაბადი და ქული მომიტანე, შენ კიდევ, სანამ ამ დარაჯის ფორმას ჩაიცვამდი, რაც მანამ გებადა, ის ჩაიცვი.

გამოვძვერით მე და ჩემი ხიხიხოხო იმ უშველებელი კიბე-პირამიდიდან და გავედით ქვეყანაში, მოვითქვით სული. მაგრამ რად გინდა, რა, ყრია ხალხი ქუჩაში და ქვაფენილებზე მშვიერ-მწყურვალი. მაშინვე ავგედევნენ მაწანწალები. შემოგვხედეს, ესენი ჩვენზე გაჭირვებულები და მათხოვრები ყოფილანო, დაგვანებეს თავი. უკან გაბრუნება დააპირეს.

— მოდი თქ, ხალხო! — შევაჩერე და ზედ ტროტუარის კიდეზე ჩამოვჯექი, მაინც მონატრებული მქონდა, მომკლა ტახტზე ჯდომამ.

— ვინა ხართ თქვენ და რა ქვეყანაა ეს? — ვიკითხე, ვითომ არ ვიცოდი. ავხედე ხიხიხოხოს, არ გასცინებია.

— კუნძული უპატოროა! — წამოდგა წინ ერთი ტანჩია ახალგაზრდა, — ჩვენ კი ამქვეყნის ღირსეული და სვებდენიერი მოქალაქეები ვართ.

— რა ღირსეული და სვებდენიერი შენა ხარ! — ხიხიხოხოს არ გასცინებია, მე გამეცინა.

— გაუმარჯოს უძლეველ მავან უპირველესს! — აღმართა მუშტი ტანჩიამ და ხალხიც აიყოლია.

მე ისევ გამეცინა.

— ვინაა ეს თქვენი მავანი და ვის დაეკარგა, ხომ ვერ მეტყვიო?

— ჩვენი მხსნელია, მფარველი და პატრონი.

— რა უნდა გიხსნათ და გიპატრონოთ, თვითონ უგზოუკვლომ და უპატრონომ. — ავხედე ხიხიხოხოს, რა გააცინებდა,

იცოდა, იქ, კიბე-პირამიდის დასაწყისში რა დღეშიც ვიყავი და სიმართლეს ვამბობდი.

— ხომ არ გადაირიე შენ, ჩვენს უძლეველ მავან უპირველესზე ამბობ მაგას! — გაიქაჩა ჩასუქებული, რომელსაც სტომაქი მთლად ცარიელი არ უნდა ჰქონოდა.

— ნუ იქაჩები. თუ კაცი ხარ, მაგ მავან პირველია თუ მეათასეტრთე ჩემსავით არაფერ იცნობს და რომ გეუბნებით, დამიჯერეთ!

— შენ რას იცნობ, მაგი ჩვენ განგებამ მოგვივლინა მხსნელად, მფარველად და პატრონად.

— განგებამ არა, მამაზეციერმა! ერთი ქვეყნიდან ვართ... ერთი სოფლიდან, თქვენ მასწავლით, რა წყალწადებულიცაა?

— რას ბედავს ეს! — გადაირია ხალხი. — იმის იმედით ვართ, დღე-დღეზე უნდა აგვაშენოს და აგვაყვავოს!

— რას აგაშენებს და აგვაყვავებს, თვითონ არაფერი აბადია და მეუღაბნოვა. ვაავდეთ აქედან და თქვენ საქმეს მიხედეთ, რომ დაყრილხართ ქუჩაში, დაგილიათ პირი და ელოდებით მავანი და მავანი აგვაშენებს და გაგაკეთებსო.

— პრავეკატორია ვილაცაა ეს, დაგვაჭერინებს და ჩამოგვახრჩობენ! — აუვირდა ხალხი. ყვირილზე სხვებიც მოიჭრნენ და გაიჭედა ქუჩა.

— აბა, მოვეუსვათ, თორემ პოლიცია ამოდენა ბრბოს რომ დაინახავს... — მსტაცა ხელი ხიხიხოხომ და გამაქანა.

— ხვალ შენ მთლად ამ კუნძულის პოლიციის მინისტრად დაგნიშნავ, მეორე ორდენსაც მოგაკერებ და, თუ კაცი ხარ, ხალხმა რაც უნდა, ის ილაპარაკოს და ვისაც უნდა, იმას მოუსმინოს.

მართლა ფეხად შევასწარით კიბე-პირამიდის საიდუმლო შესასვლელში, პოლიცია ზედ კართან წამოგვეწია.

პირველ მინისტრს ერთი კვირა კიდევ დაავიანდებოდა. იმ ნაპირზე, მე რომ დელფინმა გამომიყვანა, გარდა ჩემი სახელობის ქალაქისა. უშველებელ მარმარილოს ლოდზე წამოყუდებულნი, რაშ-



დღეფინზე ამხედრებული, ჩემივე ქანდაკება უნდა დაედგათ და გაცხარებული მუშაობა იყო. თვითონ პირველი მინისტრი ხელმძღვანელობდა, ხალხი აღმერთებდა ჩემი ტახტის უანგარო ერთგულებისათვის.

მეორე დღეს პოლიციის მინისტრი გამოვიძახე და ტყავი გავაძვრე: წუხელ ქუჩაში შეთქმულება ყოფილა ჩემს წინააღმდეგ და სად იყავი-მეთქი.

— ამან დამასმინა, ხომ! — ხიხინოხოს გადახედა.

— შენ ეს მითხარი, არის თუ არა მართალი!

— საღამომდე მაცალე და ას კაცს მაინც დავიჭერ, ჩამოვკიდებ.

— ასს რას ერჩი, ერთი ყოფილა, თურმე, ვინც მე მაძაგებდა.

— ასეთ დროს ნაკლებს მეტი სჯობია.

— დაწერე განცხადება და პენსიაში წადი! — გავუწყერი, — რა ვიცი, იმ ასში მოყვება ის ჩემი მტერი? აგერაა ხიხინოხო, ამან იცის, ვინ იყო და კაბინეტის ვასალები ვადაეცი.

— რა დროს ჩემი პენსიაა?!

— ხანს არა აქვს მნიშვნელობა, არიან ახალგაზრდა ბებრები და მიხრწნილი ახალგაზრდები. უყუთე ამას შენ!

— გავაგდე, რა თქმა უნდა, ნამინისტრალი და ახლა ხიხინოხოს საიდუმლოდ ვუთხარი, პროკლამაციები დაებეჭდა ჩემს წინააღმდეგ და საღამოს ქალაქში გაეფრცელებინა.

ხიხინოხოს გაეცინა.

— აჰა, ორდენი მოგინდა? არა? — ვკითხე მე.

— ამას გარდა, შენს წინააღმდეგ მე რომ ხალხი ავაჯანყო და ტახტიდან ჩამოგავლო, მერე აქ ვინ გამაჩერებს.

— ვაი, შენ ჩემო თავო! ეს დარაჯი ასე უსაშველოდ იმიტომ დაეწინაურე, ვიჯდე აქ და ამის მინისტრობას ვუდარაჯო? ა, შენ ორდენი! — უჭრაში მეყარა და რომელიც უფრო ბრჭყეილა იყო, გულზე ჩამოვკიდე. — მაგრამ იცოდე, მე რომ ძირს გამომიტხარი და ხალხი აქედან გამაძევეს, ჩემს ადგილზე ვინც

უნდა მოვიდეს, იმის საქმეს ავეფრცოვანებო.

— ასე გამოდის...

— ასე გამოდის კი არა, ასეა. ის მევან მეორე თუ უმეორესი, კიდევ უფრო დაგაწინაურებს. შენ რამდენი მალე მომიშორებ აქედან, იმდენი მალე გაიქრავ მინისტრობას...

— აბა დავტრიალდები! — იშვირა ფეხი ხიხინოხომ და მოუსვა.

საღამოს გავედით ისევ ქუჩაში, ტომრით გავეიტანეთ პროკლამაციები. ვავინებ უძლეველ მავან უპირველესს. მაგას სახელმწიფო კი არა, ორი ბატი რომ შიაბარო, ოთხს დაკარგავს. ტახტზე ჯდომასაც კი ვერ მოახერხებს და გადმოვარდება მიბმული რომ არ იყოს. მოხეტიალეა, მაწანწალა, საიდანაც მოეთრა, იქეთ წაეთრიოს! თქვენ თქვენი ღვიძლი მამულიშვილი უნდა წინაგმძღვრობდეთ და გპატრონობდეთ. არ გამოიგონია, გადამთიელის გაუპირველესება და გაღმერთება! — ვყვირი ქუჩა-ქუჩა და დასტა-დასტა ვყრი პროკლამაციებს.

ხალხი აყაყანდა, პოლიცია დუმს.

ხალხს შენ სიმართლე ათქმევინე, პირზე ხელს ნუ დააფარებ და შენ დაამაგრებ? დილით მთელი კუნძულის მოსახლეობა ფეხზე დადგა ყვირილით და ჯღავილით:

— ძირს, მთხლე მავან წყალწალებული! ძირს! ძირს!

— მავან, თავს უშველე, გაგაპარებ, ყველაფერი მზადა მაქვს, — მომეარდა ხიხინოხო.

— გამაპარებ, რა, კი არაფერი მომიპარავს და არაფერი დამიშავებია, ხალხს სად დავემალეები. აქ უნდა დავხვდე!

— შემოერთყენენ კიბე-პირამიდას, ამოცვივდნენ საფეხურზე, შემოანგრიეს დარაბები, მტაცეს ხელი, მიმართვევენ სამსჯავროზე. ადგილიდან ვერ დამძრეს, რა იციან, რომ მიბმული ვარ.

— უყურე შენ, ტახტს რავა ჩაფრენია და არ შორდებ! — იყვირა ერთმა.

ოტია იოსელიანი
მოთხრობები

— იცის მაგ დაწყევლილმა მიჩვევა...
— დაუჭრა კვერი მეორემ.

— მაგის ავლეჯვა რა გაგიჭირდათ! —
იღმუვლა ვიღაცა ახმახმა და მსტაცა ხე-
ლი ილღიაში, კინლამ მხარი ამომიგდო.
— ხალხო, დაბმული ვარ, ვერ ხე-
დავთ?! — ამოვიკენეს საცოდავად.

— დაბმული?! — ხელი მიშვა ახმახმა.
— ძალივით დაბმული ვარ, თორემ
მე თვითონ მოეუსვამდი, ამდენხანს აქ
რა დამამაგრებდა.

— თუ დაბმული იყო, რა ექნა უბე-
დურს, — შემობრალა ვიღაცამ.

— ამხსენით როგორმე და ჩემს გზას
მწიეთ. არც თქვენ გარგივართ და აღარც
ჩემს თავს.

— ეს საცოდავი, რაღა მთლად და-
ჩიავებულა და დავალხავებულა! — აც-

რემლდა ვიღაცა, გულმომწვაჭმადმანა-
ნი ქვეყნად არ დაიღევა.

— რა გიყოთ ახლა, შე მაგან უსაცო-
დავესო? — მკითხეს, როგორც იქნა ჩე-
მი საბმელი მოსირმული ღვედი რომ
შემომავლიჯეს.

— არაფერი. ა, თქვენ, თქვენი ოქრო-
მკედით ნაქარგი მანტია და ოქროს გვი-
რგვინი. მე ჩემი ნაბადი და ქუდი დამი-
ბრუნეთ. მტრედებიათი გალია, მუხუემ-
ში რომ გიკიდიათ, რკინის ქალამნებზე
ჩამაცვით, რკინის ჯოხი დამაჭერინეთ,
ჩამსვით რაიმე მოძულეებულ კიღობანში
ან კასრში და გადამავდეთ ზღვაში.

ამაზე მკაცრ განაჩენს ვერც ისინი
გამომიტანდნენ. ჩამსვეს მართლა არც
თუ გადასაგდებ კიღობანში და სა-
დაც მავარი დინება იყო, იქ გადამიძახეს.

ფხვლანს ბავრბივარ ოქმანზე

ხდმბა ხოლმე, ჩინ-მედლიანი ტიპი,
ვინმე უჩინ-მედლოს გაჩინ-მედლია-
ნებს, მერე მოხდება ისიც, რომ იმ აღმ-
ზევებელს ფეხი წაუტდება და კისერს
მოიტებს. ახალაღზევებული კი ზედაც
არ დახედავს ან თუ დახედავს, შანსს მო-
უუგებს, კისერი კი მოგიტეხია, და ასევე
გიქნია, კინჩხიც მიგიყოლებიაო. ამას ხი-
ხიხიხოზე ვერ ვიტყვი. შეეძლო. ძველ,
დამპალ კასრში ჩავეგდე და ზღვაში გა-
დავესროლე, მაგრამ, პირიქით, ისეთი
ვეება, მავარი მუხის კასრი შეერჩია ჩე-
მთვის საკიღობნედ, შიგ კაცი თავისუფ-
ლად გაიმართებოდა. თან კონსერვები,
ორცხობილა, შაშხი, ლელვის ჩირი და
სხვა რამ ხორავი ბლომად ჩატანებინა,
არც ცერისისმსხო ნახვრეტების გაკეთე-
ბა დავიწყნოდა, რომელიც საცობებით
დაექოლა. როცა კასრ-კიღობანს თავი
გადაუჭედეს, კუპრი დაასხეს და ოკეა-
ნის დინებას მისცეს, რამდენად თავი
სამშვიდობოს დავიგულე, იმდენად ში-
შმა დამრია ხელი. დავიღუპე, ამ ბნელ
კოდს, თავს ველარასოდეს დავაღწე-
ვითქი.

აბურთავებს ტალღები ამ ჩემს ბნელ

ხაროს, ამერია გული, სული ყელში მო-
მებჯინა. რა ექნა, რა წყალში გადავვარ-
დე (არადა, შუა ოკეანეში გადაგდებუ-
ლი კი ვარ). მეფობას და ხალხის მოტ-
ყუებას, თავგადაკედილი, დაკუპრული
კასრი მირჩევნია, მაგრამ სანამდე. ინჯლ-
რევა კიღობანი, ქანაობს, გადაბრუნდება
ხან აღმა, ხან ჩაღმა. დაგორავს კონსერ-
ვის კოლოფები, ორცხობილიანი ტომრე-
ბი; ღორის ბეჭის შაშხი, ხან აქეთ აწყ-
დება, ხან იქით. მე გალიას ვარ ჩაფრე-
ნილი, რომ მტრედები სადმე არ მიესრი-
სონ, ნაბადს, რკინის ჯოხს და ლელვის
ჩირს რას დავეჭებ, თან გულისყრა მან-
რჩობს... როდის-როდის რომ მოვსული-
ერდი, გუნება გამომიკეთდა. ახლა კინა-
ლამ ამის შიშით გავგიყდი. ჩემს დღეში
მყოფი კაცი რომ გამხიარულდება, ის
ჭკუაზე აღარაა, არ უნდა ამას ლაპარა-
კი, რა მჭირს, რატომ თავში ხელს არ
ვიცემ და არ მოვთქვამ, ვერაფერი გა-
მიგია. ბოლოს, საქმე ისე წახდა, სიმღე-
რაც კი წამოვიწყე, არადა, ჩემს სიცო-
ცხლეში სამღერლად და საბუქნაოდ მო-
წყობილი ქვეყანა არასოდეს მქონია,
მიჩვეული რომ ვიყო, კიდევ ჰო. რაც



გინდა ის თქვი და, ვმღერი. როცა მეფე ვიყავი, შავი ცრემლით ვტიროდი, ახლა, მონის-მონა, ჩემზე ათასგზის ბედნიერია. — (დღის ნათელს მაინც უყურებს), ამ დროს, „ვარხალაღეს“ ვღრიალებ და თავი ქვეყნის მპრძანებელი მგონია. რა გასაკვირია, რომ გავგიჟებულყავი, მაგრამ მაშინ რატომაა, რომ ვიცი, არ უნდა ვმღეროდე და ვმღერი, მეფე აღარა ვარ და მეფრა, ხელმწიფე ვარ ვიცი, აღარაფერი არ მიხსნის და აინუნშიაც არ ვაგდებ.

და ხომ ვითხარით, ხიხიზოხო უმადური კაცი არ იყო-მეთქი, თურმე, სხვა სიკეთესთან ერთად ჩემთვის, ახალგაყოლილი საკონიაცე სპირტის კასრი შეურჩევია, მაშინ სად მქონდა ამის თავი, ეს შემემჩნია. ამ ზღვის ლელვასა და ყანყალში, არყის მძაფრი სუნით დავითვერი, გავიღეშე და ქვეყანა ფეხებზე მკიდია. თქვენი მოწონებული ბუქნაც რომ ჩამოვუარე და დავსწყვილე: „აბა, ტაში, ტაში, ტაში“ — მეთქი, და არავინ გამომეხმინა, ვავბრაზდი. ამ დროს ისიც გამახსენდა, მედოლეები, რატომ სდუმან, როგორ ბედავენ, ახლავე იმ დოღს თავზე ჩამოვახვე! გავიქაჩე, გაღეშოლმტრედებიანი გალია კუთხეში მივდგი, კაცი არ მაკავებს. ისედაც ფეხზე ძლივს ვიდექი და კიდევ გაწევა მინდოდა? ვშვლიძე თავი კედელს და დავცხე მუშტები. ვანგრევე, ვამტვრევე იქაურობას.

არ ვიცი, უგრძნობლად გამტყვარალს როდის ჩამეძინა და ნაბახუსევს უქმურ გუნებაზე როდის გამეღვიძა. არა, მთვრალი ისევ ვარ, მაგრამ ცხვირი საცობამოვარდნილი ჭუჭქრუტანისათვის მიმიღვია და იქიდან სუფთა ჰაერს ვსუნთქავ. ზოგჯერ, ტალღის შხეფებიც შემოიჭრება, და ალბათ, ამან იყო, რომ მომასულიერა.

არიქა, ამ კასრში საცობები ყოფილამეთქი, მივადექი და სულ მისხალ-მისხალ გავსიჩქე კედლები, ფსკერი და ჭერი. კაცმა არ იცის, რომელია ფსკერი და ჭერი, კასრი ხან ერთ გვერდზე გადაკოტრიალდება, ხან მეორეზე, მაგრამ ნა-

ხვრეტებიდან ამოჩრილი საცობებზე რდებზეც ვიპოვე და ფსკერზეც და ჭერშიც. ასე რომ საიდანაც წყალმა ამოასხა, რა თქმა უნდა, მაშინვე შიგ ჩაეჩარე. საიდანაც ზღვაური შემოიჭრა და მომინიავა, დიად დავტოვე, თან სინათლაც შემოიპარა. ერთი ნახვრეტიდან მზის სხივი აბრეშუმის ძაფის შტოლასავით შემოიჭრა და საპირისპირო კედელზე ბაჯაღლო ბეჭედივით დაჯდა. რა გინდა მეტი კაცისშვილს, ბედნიერება სხვა რა ჯანდაბაა!..

საით მივდივარ, კაცმა არ იცის, მაგრამ სულ ქეიფ-ქეიფით და დაფა-ზურნით კი მივდივარ. ცოტა სასმელი წყლის საქმე ჭირს, ზღვის წყალს აქლემის მეტი, ვერაფერი ხმელეთის ცხოველი პირს ვერ აკარებს, მაგრამ ხომ იცით, გადამთვრალი კაცის ამბავი, ვყვირი და ვიქაჩები:

— ვინაა აქლემი! აქლემის რა მცოდნია! აქლემი თუ ჩემზე მაგარი და ვაჟკაცია, მაგასაც ვნახავ! — ვაძრობ ფსკერზე საცობს, ასხამს შადრევანი, ვეყრდნობი ზედ, ვგლარჯავ მარილიან, მლაშე წყალს. დედის რძე არ შემარჩინა მუცელში. გავა დრო, წყურვილი ყელში ისევ წამიჭერს, გამოფხიზლებით მე არ ვფხიზლდები და აქლემს თავზე ასე იოლად როგორ დავისვამ. ვაგინებ, ვანთხევე — შე ართვალო, შე კუზიანო, ვინაა მასხარად ასაგდები და გასაბითურებელი! — ამოვგლიჯავ საცობს, დავემხობი წყლის ჭავლს, ამომიბრუნებს გულ-მუცელს აქლემს არაფერი, ვითომ ლაღიძის გამაგრილებელი შუშუნა წყალი დაელიოს.

— ჰაი, შე მახინჯო, შე ჯოჯო და მაიმახო, ვინ გგონივარ! — ვსვამ ისევ და ისევ... დიდი ძაღლი და მამამაღლია ადამიანი, გულს კი მაზიდებს, მაგრამ გავუძელი. გავუძელიო, მთლად მასხრად ავიგდე უდაბნოს ხომალდი.

— აბა, რა გგონია, შე ასეთიო და ისეთიო, შენ ჯერ ჩემი ამბავი უნდა გეკითხა და მერე გეთქვა, ჩემს მეტი ცხოველი

ოთხა იოსელიანი
მოთხრობები



ზღვის წყალს პირს ვერ დააკარბესო. (არადა, როდის თქვა საწყალმა). შენზე ნაკლებ მსმელს და ცხოველს რა ვუთხრა ჩემდა თავად! — რას არ იტყვის წყალწაღებული ლოთი.

თანდათან ისე შევეჩვიე ამ შენს მლაშე შადრევანს, ანკარა წყაროს წყალი რომ მქონდეს, უკვე გულს ამირევს.

ბედის სამღურავი, დიალაც არ მეთქმის, და არც არაფერს ვდარდობ, მაგრამ გალემილსაც მახსენდება, რომ ასე, ტაღლეშის ანაბარა, ოკეანეში გადაგდებულ მიწაც როდემდის ვიმოგზაურებ.

დაახლოებით არ მაქვს წარმოდგენილი, რა ხანი გავიდა, რაც ამ კიდობნის მკვიდრი ვარ და ხელგაშლილი დროს ვატარებ. ერთ ღამეს სიცოცხემ მომიჭირა თუ რა ღვთისწყრომა იყო, ნაბადს ყურა ავუწიე და შიგ შევძვერი. თან, ეტყობა, ეს ჩემი კონიაკის საბადოც გალარობდა, შიგნიდან მე ვხარჯავდი და გარედან ოკეანე ლოკავდა, მართლა გამოუღეველი რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ერთ ხანს კიდევ რა მიშავდა, გალოთებულ კაცს, მოგეხსენებათ, ცოტა ჰყოფნის, თუმცა, რაც სასმელმა იკლო და ყინვები შემომიჩვია, ამუშავდა გაბრუებული ტვინი. ეჭუ ასე ხომ შეიძლება, უსასრულოდ გაგრძელდეს-მეთქი და თავს ორივე ხელი წაუჭირე.

სამყაროში უძრავად არაფერი დგას, ყველაფერი თავისი გზით მოძრაობს. მყინვარები რომ მყინვარებია, ისინიც კი, კლდეებსა და დედამიწის ქანებშიც ხდება გადაადგილება. მდინარე, ზღვა და ოკეანე, ხომ თვალს ვერ მოწევ, ისე მიედინება და მიდგაფუნობს. რაკი თანდათან ავრილდა, აცივდა და ახლა ყინვებიც დაიჭირა, ესე იგი, ჩემი კიდობანი, ცხელი სარტყელიდან ან ჩრდილოეთით მიდის, ან სამხრეთით. ბოლოს და ბოლოს, სად მივა? მივა რომელიმე პოლუსზე... ხა-ხა-ხა... გამიხარდა მე, წვერი ისე მომეზარდა ამ „ნოეს კიდობანში“, სასულიერო განათლება და სიწმინდე რომ გამაჩნდეს, ჩემი მღვდლად კურთხევა შეიძლება. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ სანამ ფეხს წვერ-ულვაშზე

დავიდგამდე, რალაც უნდა ვიფიქროს ვილონებდი, მაგრამ ნიჩაბი მე არ გამაჩნია და ძრავა, რომ ჩემი კიდობნის სიჩქარეს რაიმე წავეუმატო. ჩვენ ამ მოგზაურობაში ვისწავლეთ. რომ ბედს არ უნდა შეუთრივდე და რალაცა საშველი უნდა გააჩინო, მაგრამ ეუბრში ამოვლებულ კასრში ჩაქედილმა, რა გინდა რომ გააწყო? ასეთი ფიქრის დროს, თავში ორივე ხელის წაჭერაც არ კმარა, საჭიროა ბოლოს ცემაც.

წამოვარდი მაშინვე და კედლიდან კედელს მივაწყდი. ხან აქეთ ვახეთქე თავი, ხან იქით. ეს აზრისთვის ცუდი არაა, მაგრამ მანძილია ცოტა.

მოდი, კიდობანს გადავაბრუნებ, გვერდზე დავაგორებ, და რაკი მრგვალია, რალას შევასკდები-მეთქი. ასეც ვქენი, დავდექი შუა წელზე და გადავდგი ნაბიჯი, გადავდგი და, სადაც ფეხი დაეადგი, სიმძიმის ცენტრმაც იქით გადაინაცვლა; კასრიც გადაბრუნდა, გადავდგი მეორე ნაბიჯი, ისევ გადაბრუნდა, გადავდგი — გადაბრუნდა. გადავდგი — გადაბრუნდა... ვაშა, მივიღვარ! მაგრამ უკან მომდევს ჩემი გუდა-ნაბადი, განსაკუთრებით კონსერვის კოლოფები მოხრივინობს, გამიწყალა გული. ცარიელიც აქ მიყრია და საესეც. რალა ვქნა ახლა. საქმე ისევ არ აეწყო, როგორც მინდოდა, წყალზეც მევლო და ხელცარიელიც ვყოფილიყავ. რალა მექნა, მოვისხი ნაბადი, ავიკიდე გალია, დავიჭირე ხელში ჯოხი, საესე ქილები, შაშხის ნაჭერი და ორცხობილები ნაბდის კალთაში ჩავიყარე. ცარიელა კოლოფებმა ჯანდაბას ირიხინონ-მეთქი და დავიძარი. ვადვამ ფეხს ჯერ მოკლე-მოკლედ და ნელა-ნელა. რომ ინერცია ავილო, მერე ვუმატებ, ვუმატებ და მუხლსაც ვმართავ. მალე ამდენ ნაშწყვედევს და ნაჯდომს ესეც არ მაკმაყოფილებს და რაკი თავი ავიშვი და გასაქცევი ვიშოვე, მივქნძქნძულე, ცირკში ფინია ძალღს მბრუნავ რკალში რომ შეუშვებენ, გარბის და ადგილზე ბრუნავს. მე კი მივეშურები და ჩემი კასრი, ოკეანის ზედაპირზე თავდაღმართში დეგდარებულივით გარბის, იმასაც კი



ვხედავ, მგონია, ჩემი კილოზნის უკან მალა როგორ ასხამს კედელზე ატაცებული წყლის შეხებები.

ყველაფერს წარმოვიდგენდი, ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ თუ წყალზე ფეხით მოგზაურობას მოვახერხებდი. მომკალით და, ამის მსგავსი რამ სიზმარშიც არ მომელანდებოდა.

ამის მერე რაღა დამამაგრებდა და სანამ ქანცი არ გამიწყდებოდა, გავრბოდი და გავრბოდი, მით უმეტეს, თანდათან ყინვა კილოზნის მუხის კედლებშიც ატანდა და მთოშავდა.

ოკეანის ფეხით გადავლა, მოგესხენებათ, ერთი და ორი დღის საქმე არაა, რაც მე ოთხამოღებული ვირბინე და

ვიგლიჯინე, ამას რა აღწერს, ისეც ამ უსაშველო ყინვაში...

ჰო, აგერ, ამ დილით, კარგად რომ გავიმართე მუხლი, მერე კიდევ ვუმატე და ვუმატე, მოეუსვი და მოეუსვი, რომ ამ უსასრულო გზას ბარაქა დავაყარო, თან ცარიელა კოლოფები და შაშხის ძვლები უკან ხრიალ-ხრიალით მომდევს, მთის წვერიდან დაგორებული საცხე კასრი რომ სიბ ტინს შეასკდება, ისე შეეხალა რაღაცას ეს ჩემი კილოზანი და ნაფოტებად იქცა.

მე, ჩემი ნაბადი, მტრედებიანი გალია და ჯოხი ყინულის მინდორზე გადავცვივდი.

არ ვიცი საით მიჰყავს ჩემი

არაფერი გამეგება, რა აღვირახსნილ დინებაში მოიტაცა ეს ჩემი თეთრი, უიალქნო, უზარმაზარი ხომალდი. მეორე დღეს, აღარც ჩემი მასპინძელი ჩანდა და აღარც მისი ქვეყანა. რამდენი აქეთ და აქეთ მოვიწევე, სიცხე თანდათან მიკლებს და ნაბადმოგდებული დავაბიჯებ ბავშვობისდროინდელი ჩემი ეზოსტოლა თეთრ გემბანზე, რომლის კაბიტანიც მე ვარ, ბოცმანიც, მესაპეც, მენიჩბეც და მგზავრიც. ეს რაც ზევით ჩანს, ისა ჩვენი ძველი ეზოსა და ნავენახარის ტოლა, თორემ, რაც წყალშია, რატომ მთელი ჩემი სოფლისოდენა არ იქნება.

ვიცი, აისბერგებს გემები დამდულ-რულოვით გაურბიან. თვითმფრინავიდან, სასწაული რომ მოხდეს და ვინმემ შემნიშნოს, ჩემი ხომალდი ისეთი დაწახანებული მახვილი ყინულის ლოდებითაა შედუღებული, როცა ეზოს შემოვლა მინდა, ზედ ჩემი რკინის ქალამნების გადამიკდე, ფორთხვით ძლივს გადავიღე. ერთადერთი ვერტმფრენი თუ ნოახერხებს ამ თეთრი ტყვეობიდან დამიხსნას, მაგრამ ამ კალიასავით თვითმფრინავს ვინ მომაშავებს, სამყაროს განაკიდეში ვარიყულს. მამშვიდებს ის, რომ ვიცი, აისბერგები უკან არ ბრუნდ-

ბიან. უკან დაბრუნება რომ ნდომებოდა. იქვე არ იყო? ჩემი ხათრით და განკარგულებით კი არ აუწყვეტია.

მაგონდება, ოკეანეში ისეთი ნავით და ტივით გადაუცურიათ, ერთ ტალღას რომ შეეძლო ჩაენთქა. მე, მათთან შედარებით, იმოდენა ხომალდს ვფლობ, თორმეტბალიანი ლელვა და ქარიშხალიც ვერ შეატოკებს. ნავივით და ტივივით ნაფოტივით კი არ ტივტივებს. რაც ზევითაა, რვა იმდენი წყალშია: მართალია, ძრავი და პროპელერი არა აქვს, მაგრამ, როგორც ვიცი, ესენი არც ტივს უნდა ჰქონდეს, თორემ მაშინ ტივიც არ იქნებოდა. აქ მთავარი და ერთადერთი გამწევი ძალა დინებაა. ამ მხრივ კი სამდურავი ნამდვილად არ მეთქმის, რაკი ვგრძნობ, ძვალი ყოველ დღე მეტად და მეტად მიტბება. თან მზეს რომ ვხედავ, ვატყობ, კურსი სწორად მიჭირავს.

იცოცხლე, ახლა დრო თავსაყრელად მაქვს, შემიძლია გაუთავებლად ვწერო ბარათები და ვაგზავნო, მაგრამ აქ რა ფათერაკს გადაყრილიც ვარ, ამაზე უარესი ჯერ არაფერი ჩანს. ამას გარდა, რა-

თბილისი იოსელიანი
მოთხრობები



ლაც ორი ცალი მტრედი შემომჩრა, და-
სალუპავად რომ გავიწირო, ამბის წამო-
მღები, კი მოგესხენებათ, ვინა მყავს.
სხვა თქვენც იცით, აქ რა იქნება: ლურ-
ჯი ცა, კიდევ უფრო ლურჯი ოკეანე, ჩე-
მი ვეება, ბროლივით ჩახჩახა ხომალდი
და ამ ვეება ხომალდს იალქნად რომ შე-
ეფერება, ისეთი ქუნქულა თეთრი ღრუ-
ბლები. ცოტა ესაა, რომ ერთმანეთს და-
შორიშორებულაია, და ქარი რომ დაუბე-
რაჟს, იალქნებს იტაცებს, გემი კი შე-
ურყევლად, მთელი სვლით, მიდის თა-
ვისი, საუკუნეების მანძილზე დაზუს-
ტებული, მარშრუტით. მხოლოდ ესაა,
რომ მე — კაპიტანმა არ ვიცი, სახელ-
ლობრ, სად ჩაუქმვებ ღუზას და სად
იქნება ამ არაჩვეულებრივი მგზავრო-
ბის საბოლოო ნავსაყუდელი.

ის რომ გამახსენდება, მთლად ზღვა-
ში ვიძირებოდი, და უსაშველო იქაც არ
გამჩენია, იმედს არ ვკარგავ. ბავშვმა
თქვა, გამიდის და ვტირიო. იმედი რომ
გამიწყდეს, ავტირდე და ავფივლდე, ვინ
მოვა და თავზე ხელს ვინ გადაამისვამს?
ან, კაცმა რომ თქვას, ვილაცის მფარვე-
ლობის და სხვისი კალთის ქვეშ ყოფაც
რა ყოფაა. ჩემი საკუთარი ყინულის
ეზო მირჩენია სხვის აყვავებულ ბაღს.
მიჭირს თუ მიღზინს, მცივა, მშია თუ
მწყურია, ჩემი უბედურების ბატონ-პა-
ტრონი მე ვარ. უბატონოდ ჩემი ხმის
გამცემი არავინაა. რომ გადავირიო და
ყინულის ქეების სროლა დავიწყო, და-
მშლელი არავინაა.

ყინულისაა მართალია, მაგრამ, ქოხი
ქოხია. აქ ხენა, თესვა და ვენახის გაშე-
ნება რომ შეიძლებოდეს, ძირს ფეხის
გადმომდგმელი არა ვარ. ვივლი ჩემი სა-
კუთარი სახლ-კარით, ეზო-გარემოთი და
ვიმოგზაურებ ზღვიდან—ზღვაში, ოკე-
ანიდან — ოკეანეში, კონტინენტიდან—
კონტინენტამდე, სამხრეთ პოლუსიდან
— ჩრდილო პოლუსამდე. მერე და, ეს
დალოცვილი „თეთრი ხომალდი“ მთ-
ლად ჩემი ბავშვობისდროინდელი ეზო-
სა და ნავენახარის ტოლაა. ესაა, რომ
ნამეტანი უსწორმასწოროა, თორემ ამ
ადგილას, სადაც ეს ყინულის ქოხია,

ასეთივე მორჩილა სასიმილდ ვცემდეს.
რა დამავიწყებს, ერთ წვიმაან, მოწყე-
ნილ დღეს, არ ვიცი, ბარჯგებმა უმტყუ-
ნა თუ მოწყინდა მუდამ ასე უმოძრა-
ოდ დაყუდება, წაიქცა და ბებიაჩემის
მოწითალო-ჩალისფერი ძროხა დაიტა-
ნალიის აღმოსავლეთით, ბურულაინი სა-
მზადი გვედგა და წინა ეზოში ყავარჩა-
მომპალი წიფლის ოდა. ბებია, მუდამ,
სანთები შეშა რომ არ გვქონდა, დარი-
ნში ოდის უკანა აივანში იჯდა, ძვლებს
მზისყურში ითბობდა. ახლა მეც, როცა
ამინდი გამოჩნდება, მზეს ვეფიცებები,
„შეშა“ ვზოგავ, მით უმეტეს, აქაური
„შეშა“ საყვებიცაა. ხმელი, წყალგადა-
ვლებული, ნეშოში შეხვეული, დადარ-
ში შემწვარი ქვირითიანი ტარანი ბავ-
შვობიდანვე მიყვარდა.

ძალიან პატარა რომ ვიყავი, ჩვენი
ეზო დიდი მეგონა, მერე და მერე რამ-
დენი წამოვიზარდე, იმდენი დაპატარავ-
და. ახლაც ვიზრდები თუ რა ღმერთი მი-
წყურება, რამდენი დღე და კვირა გადის,
რამდენს ეკვატორისაკენ მოვიწევ და
ვთბები, ჩემი თეთრი ქათქათა ეზო იკ-
ლებს და პატარავდება. ვაითუ, ბავშვო-
ბისდროინდელი უბედურება განმეორ-
დეს! ნალია რომ წაგვექცა, მეორე წე-
ლიწადს დეკემბრის ცოფიანმა ზენა ქა-
რმა სამზადს ისლის და ლაქაშის ბურუ-
ლი გადავლიჯა და შავი, გამკვარტლული
კედლები და წყალდასხმული კერია და-
გვრჩა. მერე ნავენახარი გამოგვეცალა.
უფრო გვიან, ბებიაც გარდაიცვალა და
განახევრებული ჩვენი ეზო ჩემმა ბიძა-
შვილებმა დაინაწილეს. ახლა იქ აღარც
ის ძველი სამზადია და აღარც წიფლის
ოდა, რომლის უკანა აივანზე, მზისყურ-
ში ბებიას უყვარდა ჯდომა...

მივდივარ წინ, მიდის ჩემი ბავშვობის-
დროინდელი ეზოსა და ნავენახარის ტო-
ლა თეთრი ხომალდი და თვალსა და
ხელს შუა მადნება. რატომაა, რომ, რა-
დაც დიდი და განუმეორებელი თუ არ
დაკარგე, ისე ვერავითარ წინსვლას ვერ
ელირსები?

მე რა გზაც გამიგრძელდა და რა ჭი-
რიც ვნახე, თქვენ რატომ გაგაწვალთ

და გაეჭირვოთ. აღარ მოყვები, როდის გამოჩნდა პირველი ფრინველები გუნდი, სად შევხვდით სელაპებსა და ზღვის ლომებს, როგორ ასხამდა ვეშაპი ზურგიდან შადრევანს და ერთხელ ისე ახლოს ჩამიარა, თუ ჩავუარე, ჩემს ხომალდს გვერდიც კი მიაფხანა. ერთგან, რალაც კლდოვანი კუნძულები შევნიშნე და შემეშინდა, ზედ არ შევასკდე და უკაცრიელ კუნძულზე არ დავრჩე რომ ბინზონ კრუზოსავით, ან გულივერივით თავი ლილიპუტების ქვეყანაში არ ამოვყო-მეთქი. ყველაფერს მშვიდობით გავცდი, მაგრამ, რა გინდა, რა, კარგად რომ დათბა, ჩემი „ეზოს“ დაბლობებში ანკარა გუბურები ჩადგა. დაიწყო დნობა ჩემმა ქოხმაც. ლაფაროებში წვეთავს, ღამით გაყინავს და ლოლუები ჰკიდია, დღისით დნება, წვეთავს. ქოხის სახურავი თხელდება, სიფრიფანა ხდება და როგორც ჩვენი ოდის ყავარიდან — თავზე მაწვიმს. „ეზოსაც“ „ლობებში“ ერღვევა...

ერთ ღამეს დიდი უბედურება დატრიალდა, მიწა იძრა, ქვეყანა კინაღამ გადაყირავდა, ჩამოინგრა ისედაც „ჩამომპალი“ სახურავი, გარეთ ძლივს გამოვასწარი; მეგონა, რალაცას დავეჭახეთ, მაგრამ მერე ისიც ვიპარე, არ შეიძლება ოკეანის დინება სახიფათო და თავთხელ წყლებში და კლდეებში გაოდდეს. შეიძლება ადამიანმა დაუშვას ასეთი შეცდომა, ბუნებამ კი თავისი საქმე ზედმიწევნით იცის.

დილით გამოირკვა, რომ ხომალდს მთელი ნახევარი — ნავენახარის ტოლა „ჩამოჭროდა“ და წყალს მიჰქონდა. ვიწუხე და ვირტყი თავში ზელი, მაგრამ რას ვუშველიდი. ასე რომ, ჩემი განახევრებული და გამდნარი ეზოთი განვაგრძე ოკეანეში ცურვა.

ბოლო დროს, „შეშა“ — საკეები „სასმელი“ რომ შემომეღია, ანკესობაც კი წამოვიწყე. კაკაუტოს ძაღლების მარხილი ზომ ჩემს „ვეშე“ დარჩა (ოდესმე კიდევ რომ დავბრუნდე, ჩემს გულუხვ, ტუმართმოყვარე მასპინძელთან, ვეშეობ, ეს მარხილი უკან ჩავუტანო). დათ-

ვის, სელაპის თუ არ ვიცი, იქნებ ძაღლის ტყავის მაგარი თასმები ერთმანეთს გადავანასკვე, თავში ქაბრის აბზინდისაგან რალაც ბლავვი კაუჭი ჩავაბი და მისატყუარად თევზის ფრთები, ქერცლიანი კანი და ძვლები მივამაგრე. ვერ ვიტყვი, რომ ხელმარჯვე ანკესი გამომივიდა, და ვერც იმას, ზედ წარა-მარა ლლავები ეგებოდაო. რა თქმა უნდა, არც ერთი საზრიანი და ჰქვიანი თევზი ახლოს არ გაკარებია, მაგრამ თევზებშიცაა ისე, როგორც ადამიანებში, ოღონდ რაიმე გადაყლაპოს და არ დაეძებს, რას სანსლავს, ვინმესი ნარჩენია თუ ნასუფრალი. ათასში ერთხელ, ასეთ მუცელდმერთა არამზადს ვიჭერ. ისე, რომ იცოდეთ, ეგ დოყლაპიები სინდისზე არიან მკლედ, თორემ, ხორცად მსუქანია...

დრო კი გადის, იმდენად მოთბა, უნაბლოდაც არხენად დავაბოტებ ჩემს ვაზარტახებულ „კარ-მიდამოსა“ და ქოხის ნანგრევებში. ბოლოს ისე დაცხა, შუადღისას ხალათის გახდა გადაწვევით და ასედაც ვქენი, მაგრამ სასეირნო ეზო-გარემო აღარ აღმომაჩნდა. რალაც საბოსტნე ადგილისტოლა გლუვი, თეთრი ბორცვი ამოზრდილიყო ამ უკიდევან წყლიდან და ისიც დღე-დღეზე, ალბათ, სახედრის ზურგისტოლად გადაიქცეოდა. ოკეანეებში კი სახედრით მოგზაურობა, მოგვსენებათ, უარესად ძნელია.

ადამიანისა არ იყოს, ყველაფერი რომ თავისი თავის მტერია, ეს ჩემი თეთრი „ხომალდი“ ჯერ იყო და, იქ არ დაატია გამჩენმა, სადაც დაიბადა, და ალბათ, ათასი წლები დაჰყო. მოიბრუნა, მოგლჯა, მოწყდა თავის და კაკაუტოს სოფელქვეყანას და, ჩემი არ იყოს, მსოფლიო მოგზაურობა მოიგონა. იქვე, იმ ყინულებიან ზღვებში მაინც დატეულიყო, ჰკრა თავი, თაკარა ეკვატორისაკენ გამოსწია და ახლა, როგორც ფიჩხი თონეში, ამ ცხელ ოკეანეში ისე თვალსა და



ხელს შუა იწვის, ამას ეტყობა, თავი გა-
წწირული აქვს, მაგრამ მე რას მიპირობს
ნეტავი მაცოდინა.

„კარგი მაგრა!“ — გაფიქრა ოთარმა.

— გამართლებაც ამას ბეჭედი, ლოკინით ხურ-
თი და მარდინი! — ჩაიხანთხილა გამცილებელ-
მა და რითხ თვლებში ეშმაკურად აღღებდა.
— გეტყობათ, ღმერთი გწყალობთ!

— უჰ, ძალიან, ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ
დაბადებული, ყველაფერში ასე მომართობს!
— სიგარეტის ბოლი ღრმად ჩაისუნთქა და ბო-
ლიტვებდა ეამოუწვიო.

— რატომაც არა, კარგი ბივი ჩანხართ!
ოთარმა იაზრა, ამ კაცს უცებ დაახლოება და
სიერთო ენის გამოხება ემარჯებოდა, რაშიაც
პროფესორაც უწყობდა ხელს — მახანძელი
იყო.

— აქ ისეთი არავინაა, წინახწარ დაგწვრივ,
— ხმადაბლა თქვა გამცილებელმა. — ვაზზე
კი, ვიყვარდეს, ბლომად იქნებია...

ოთარს გუფიმა, არაფერი უთქვამს. ქალებ-
თან ურთიერთობა მისთვის თვითმიზანი არა-
სოდეს ყოფილა, არც ხმამაღალი ლპარაკი
უყვარდა მათზე, თავსუყავებულ მამაკაცებს
რომ ახასიათებთ, ამასთან ვიყვი და იმასთანა,
ასეთი იყო და ისეთიო, ურც ვლდ რომ ამოშ-
ვლებენ ყოველ დეტალს. ქალებს ოთარი არ
ქმებდა, მაგრამ ისინი, განსხვავებული სახა-
თისა და ბიოგრაფიის მქონენი, თავისთავად
ხვდებოდნენ სხვადასხვა ადგილსა და სიტუა-
ციაში, ამ მხრივ ბედი მართლაც სწავლადი,
და ეს შეხვედრები მსუბუქი ფლირტით, რეს-
ტორანში დროსტარებით ან „სასუფარულო“
ღამეებით მთავრდებოდა ხოლმე.

ოთარი გამცილებელმა — ორმოცს მიღწეუ-
ლი კაცი იყო — გაახალისა და გადწეცტა,
რესტორანში წახლადიყო მასთან ერთად.

— ხომ არ დაგველია?

გამცილებელს სახე გაებადრა.

— სიამოვნებით, ოღონდ ჭვრ სავსურებს
მარშრუტის ხელმძღვანელს ჩავაბარებ, თე-
რეულს დავარიგებ და მერე, თუ გინდათ, ღი-
ლამდე ვურტყათ.

— შო, მართლა, ამ სავსურს რა ვუყო?

— არ ჩავაბარებებით? ახლა ვინდა დამბრუნ-
ნებს, ვკითხავ მაინც უფროსს.

— რესტორანში ვიქნები.

— ათ წუთში თქვენთანა ვარი მაცივარში
არაუცი მაქვს, წამოვიღებ.

— არ გინდათ, იქ ექნებათ.

მატარებელი მთელი სისწრაფით მიქრდა
და ვაგონი აქეთ-იქით ირწურდა. ოთარმა კუპის
კარი დახურა და დერეფანს გაუყვა ბორბლე-
ბორბლით. ფანჯრებს მიღმა შავი, მრუმე სი-

გონიერად მიმდინი
ზომი რამ ფიქრინი კაცის ცნობრივადან

ტიტე-ბიძიამ წააგო,
და ფიქრი-ფიქრს გადააგო,
ჭადრაკი შემომაჩენა
რალაცნაირი წყენით:
— შენ გქონდეს ეს, ამხანაგო,
ჭადრაკი იყოს შენი!

— არ მინდა შენი ჭადრაკი! —
ვთქვი და ავკეცე ფარდაგი
და გავიძურნე კარში;
— აქ აღარ გნახო, ანო, —
ტიტე-ბიძია მკაცრია
და ნამსახური ჯარში...

●
წელს სოფელში ვიყავი
და ბალახი ავცელე,
მაგრამ სამაგიეროდ
ვერაფერი დავწერე.

თევზი მოჰყვა მრავალი
ჩემს ჩაგებულ ფაცერებს,
მაგრამ სამაგიეროდ
ვერაფერი დავწერე.

გამოვხადე არაყი,
ქვევრში ღვინო ჩავწურე,

ბალღი ვიყავი პანია,
კაცი რა ხასიათზეა
მე რა ვიცოდი მაშინ.

არ ვიცი, რას შევადარო,
რთულია კაცის სამყარო,
მაგრამ მეორე საღამოს
კვლავ გავაჩაღეთ ომი;
მოღზე დავაგეთ ფარდაგი,
ზედაც უბრალო ჭადრაკი
და ჩამოვსხედით პირისპირ
ჩვეულებრივად — ორნი;
ვინ ვის აჯობებს, ვინ იცის,
დიდი გვექნება ომი!

მაგრამ სამაგიეროდ
ვერაფერი დავწერე.

გლეხებს ველაპარაკე,
შვებულება გავწელე,
მაგრამ სამაგიეროდ
ვერაფერი დავწერე.

ხოლო ის კი გავიგე,
რა ყოფილა მთავარი:
კაცი ლექსს უკირკიტებს —
როცა საქმე არ არის.

ქ
ძარღვიანი კაცი იყო
ჩემი პაპის-პაპის-პაპა, —
სახელი კი აღარ მახსოვს,
დროის ქარმა გადაყლაპა.

თუმც სახელი აღარ დარჩა, —
ხე შემორჩა ეზოს შხვერთი,

ხე შრიალებს ახოვანი
და წიფელი სივრცეს ერთის.

გონიერი კაცი იყო
ჩემი პაპის-პაპის-პაპა, —
დროს აჯობა, საქმე მისი
ქარმა ველარ გადაყლაპა!

— აი, აქ იყო გალაკტიონი...
— გალაკტიონი არ იყო აქ...
მეტი წონა აქვს ახლა ამ სიტყვებს,
ვიდრე, ზოგ-ზოგის ცხოვრებას აქვს.

ასე იყო და იქნება ასე,
ვერას გააწყობს ვერავინ აქ;

ჩვენ ერთმანეთის არ ვიცით ფასი,
ეს ჩვეულება ქართველებს გვაქვს.

— აი, აქ იყო გალაკტიონი...
— გალაკტიონი არ იყო აქ...
მეტი წონა აქვს ამ სიტყვებს ახლა,
ვიდრე, ზოგ-ზოგის ცხოვრებას აქვს.

3

როდესაც მტერი — მტერია და მომხვედური შენი,
მას ვაჟკაცობა, სიმტკიცე და სიშმაგე შევნიხ.

ასეთი იყო თემურ-ლენგი, გაუმადლარი,
ბათო-ყაენი, შაჰ-აბასი, თურქი, თათარი.

მოდიოდნენ და იცინოდნენ იმათი ხმლები,
სახელოვანი გყავდა როსმე, მამულო, მტრები!

როდესაც მტერი — მტერია და მომხვედური შენი, —
მას ვაჟკაცობა, სიმტკიცე და სიშმაგე შევნიხ.

ასეთი იყო თემურ-ლენგი, გაუმადლარი,
ბათო-ყაენი, შაჰ-აბასი, თურქი, თათარი.

მოდიოდნენ და იცინოდნენ იმათი ხმლები,
სახელოვანი გყავდა როსმე, მამულო, მტრები!

უცროსი ძვის ლეხსი

მე მამა მასსოვს, თუმცა მხოლოდ კუბოში ვნახე, —
შენ კი წამითაც არ გინახავს ძვირფასი სახე.

მე შენსას ვჩივი, არა ჩემსას, ჩემო ჯიმაგე,
შენ იცი აბა, როგორ გასძლებ, როგორ ივარგებ.

არც მამას ახსოვს შენი ხატი, მე ამას ვჩივი,
ვით ახალგაზრდა სემ არ იცის თავისი ძირი.

შენ უნდა გასძლო, უნდა ნახო ყლორტები შენი,
შენ მოგმეპატოს, რაც დააკლდა იმ ბეჩავს დღენი!

— აქედან ფეხი არ მოიცვალო! —
 მითხრა გამზრდელმა და რიგში
 დავრჩი. —
 ვიდექი დიდხანს, სანამდის პური
 არ მოიტანეს ნანატრი დროვით;
 ვიდექი დიდხანს, სანამდის ყველას
 არ მოუწია თავისმა რიგმა, —

ვიდრე დახურეს ფარდული მცირე,
 ვიდრე ბოქლომი აღარ დაადეს,
 ვიდრე დაღამდა, ვიდრემდის ბნელში
 არ მომაკითხა გამზრდელმა ჩემმა,
 როგორც ძუ მგელმა, და დაიღრინა:
 — ნავედით! პური დღეს არ გვექნება!

გიორგი გაქანიძის

მე სახელოთი გავწმინდე
 ციციქნა სადგურზე მინა:
 ჟინჟლავდა უსიამოვნოდ,
 თოვლსაც ურევდა წვიმა.

მარტია... დარ-ავდარია,
 მატარებელი ქშინავს,
 და ბალღი ფართო თვალებით
 მისჩერებია რკინას.

მერია — ერქვა იმ სადგურს,
 შენ გამახსენდი, ჯიმა,

შენი ღარიბი ბავშვობა, —
 თოვლგარეული წვიმა.

ეს უნდა მეთქვა ვინმესთვის,
 თავი ვიგრძენი მწირად,
 მაგრამ თანამგზავს ჩვეულად
 გულარხეინად სძინავს.

მატარებელი დაიძრა,
 ბალღი ბაქანზე დარჩა,
 საუკუნეა თითქოსდა,
 ბედი არა და არ სჩანს!

ნიგინიანი: „შუაფსო“

ერთი პეშვი სიმშვიდე სჯობს,
 ერთ პეშვ ოქროს — ბაჯალლოს;
 კაცი მაშინ ვიქნებოდი,
 მე რომ აქ დამასახლოს.

არც ოქრო მაქვს, არც სიმშვიდე,
 მსგავსი ყოფნაც დაღახვროს;
 კაცი მაშინ ვიქნებოდი
 მე რომ აქ დამასახლოს.

და ჩემს ხალხსაც გავუწევდი
 მე უკეთეს სამსახურს;

კაცი მაშინ ვიქნებოდი
 მე რომ აქ დამასახლოს.

ცხვარს გავშლიდი იალალზე,
 ვინ რა უნდა დამძარბოს;
 კაცი მაშინ ვიქნებოდი
 მე რომ აქ დამასახლოს.

— ადექი და დადგი სახლი,
 თუ არ გინდა ქალაქი, —
 მითხრა ფშავმა, შეჰკრა წარბი
 და გადაჰკრა არაყი.

მე დამივიწყეს სახლიკაცებმა,
 არც წერილს მწერენ, არც კაცი

მოდის;

უჩემოდ აღარ უჭირთ გაძლება,
გულს არ უშპობებთ მოწყენის ლოდი.

არც მე ვკითხვოდობ ამჯერად იმათ,
ვიცი რადგანაც — კარგად არიან.
ჭერი ახურავთ, არ ჩასდით წვიმა,
კმაყოფა მათი, გულს უხარია.

ნუმც, ღმერთმა ნუ ქნას, უცებ
მიკითხონ,
და შემოაღონ უცებ კარები,
და არ ვიცოდე, მე რა ვიფიქრო,
სანუხარი თუ გასახარელი!

მე მომეჩვენა:

(სიზმრად თუ ცხადლივ?)
საიქიოდან მოვიდა ლანდი;

ხელ-ფეხი ესხა, და თავი ედგა,
უჭრიდა თვალი და ყური ება;

მაგრამ მოვიდა ის ლანდი უბრად,
ჩვენ გამოვანწყეთ სასტუმრო სუფრა.

დავკალით ცხვარი, ხორცი არ ჭამა,
მხოლოდ იგემა ქინძი და კამა;

არ შესვა ღვინო, დაღია წყალი,
არას იტყოდა სტუმარი წყნარი.

და გავუშაღეთ ლოგინი როცა.
მან სათითაოდ ყველას გვაკოცა,

და მთვარიანში გავიდა ჭიშკრით,
ჩვენ უცნაური ვიგრძენით შიში,

არ დაუყეფა მას ეზოს ძაღლმა,
და ნება-ნება აუყვა აღმართს, —

მე მომეჩვენა:

(სიზმრად თუ ცხადლივ?)
საიქიოდან მოვიდა ლანდი...



გოდერძი ზეიზვილი

ზოგი რამ უიქრიანი კაცის ცხოვრებლას

მანიერება და სათნობა
ხელოვნების მასალაა.

ოსტარ უაილდი

რომანი

წიგნი პირველი

1.

ოთარ ზეიზვიანს, ტურისტული მატარებლის რბილი ვაგონის კუბეში რომ შევიდა, სადაც ქვედა ადგილები მას და მის ვაჟიშვილს ეკუთვნოდა, ჩემოდანი მაშინვე საბარგოში ჩადგა, პიჯაკი გაიხადა და კართან ჩამოკცდა. ცხელიდა. მატარებელი თბილისის სადგურში იდგა, მოგზაურობის მარშრუტი კი რუსთავიდან იწყებოდა, ტურისტები იქ უნდა ჩაშხდარიყვნენ და ახლა ვაგონში არავინ იყო ოთარის და შავვერემანის, ჩიტისთვალა, ჭმუხი გამცილებლის გარდა, თავის კუბეში რომ საქმიანობდა, ახალმიღებულ თეთრეულს ტილოს ტომრებიდან იღებდა, თადარიგს წინასწარ იჭერდა. ოთარმა ოფლით დაცვარული სახე და კისერი ცხვირსახოცით რომ შეიმშრალა, სიგარეტი და სანთებელა ჭინისის პერანაგის ჭიბეში ჩაიღო, ღერეფანში გავიდა და კუბეს მოპირდაპირე ფანჯარა ბოლომდე დასწია, ჰერი ღრმად ჩაისუნთქა. საღამოს რვა საათი იყო, მზე მთებს იქით ეშვებოდა და ვაგონთან შედარებით ვარეთ გაცილებით გრილიდა. ოთარმა ოთხჯერ ჩაისუნთქა და ამოისუნთქა. ორი და ოთხი. უფრო სწორად, ორმარცვლიანი — „არის!“ და ოთხიანი — „გამოვიდა!“ მისი საყვარელი, გამაშხნევებელი, რწმენის განამტკიცებელი სატყეები იყო, რომელთაც მაშინ წარმოსთქვამდა ხოლმე, რომელიმე რთულ ეპიზოდს ან მოტიანს ნაწარმოებს რომ დაამთავრებდა. ამ ჩვევის გამო, სუნთქვით ვარჯიშსაც უოველთვის ოთხჯერ ასრულებდა, დღეში რამდენჯერმე. ჭიბეში ვალიდოლიც ედო, მაგრამ სუნთქვით ვარჯიშს ნაკლებ მნიშვნელობას რო-

დი ანიჭებდა, ხაკუთარ გულზე ჰქონდა გამოცდილი. მაშინვე შვებას იგრძნობდა ხოლმე. სიგარეტს მოუკიდა, ფანჯრის რაფაზე იდაყვადარდნობილი აბოლბდა და მშვიდად გასკქროდა ბაქანზე შემოსასვლელებს. ბიჭის გამოჩენას მაინცადამაინც არ ელოდა, რადგან მეგობ, დილით რომ ტელეფონით ელაპარაკა, უთხრა — თუ აქ ვერ მოვასწარი, რუსთავში ჩამოვიყვანო. და მატარებელი რომ დაიძრა ოდნავადაც არ აღედგებულა. გუშინ ისე უცებ გადაწყვიტა ტურისტული მატარებლით მოგზაურობა, ვერც წარმოიდგენდა თუ ასე მოხდებოდა. ტრესტი, სადაც იგი მშენებლობის მომზადებისა და დაგეგმარების განყოფილების გაუგებ მუშაობდა, ექსპერიმენტულ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს აშენებდა, რომლის ტექნიკური ზედამხედველობა ჰქონდა დავლებული და მთელი წელი გაწამაწიანი იყო. მშენებლობა, მასალების დროულად მიუწოდებლობის გამო, რაშიც ხან ერთი ორგანიზაცია სცოდავდა და ხან მეორე, კიანურდებოდა და წარამარა უხდებოდა აქეთ-იქით სირბილი, რომანისთვის ვედარ მოიცალა. ზოგიერთი პრობლემატიკით ბევრს არ წერდა. (ბევრს ფიქრობდა და ცოტა ვადაჰქონდა ქალაქელი); და რასაც ახლა აკეთებდა, აუცილებელი საარსებო წყარო იყო მასთვის და მისი ვაჟიშვილისთვის. ცოლზე უკვე შესაშე წელი იყო, აღარ ზრუნავდა. ერთ ჰერტვემ კი ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი დამოკიდებულება მხოლოდ საქმიანი ურთიერთობით იფარგლებოდა, რაც ბიჭის — გიგის ინტერესებით იყო გამოწვეული. მასალების საქმე რომ მოავკარა, მშენებლები ხშირად დაღმამობითაც მუშაობდნენ ხოლმე

და ის დღეც ახლოვდებოდა, ოთარს რომ საშველი უნდა დასდგომოდა განზრახულის შესასრულებლად: ყარაგანდამში მამამისის საყვავი ენახა; რა თქმა უნდა, თუ იქ კიდევ იყო საფლავი, მერე კი ის ადგილები მოველო, რომელთა გარეშეც რომონის რამდენიმე ძირითადი თავის დაწერა შეუძლებლად მიჩნდა. ზოგჯერ, მშენებლობიდან შინ დაბრუნებული, თუ ფხიჯილი იყო, თავის ოთახში ნათურას აანთებდა და ნტერიანი ხაწერი მაგიდის დაახვავზე გული მოეწურებოდა, უფერად მოზღვავებული შინაგანი ძალა თუ ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის სურვილი იქითკენ უბიძგებდა, რომ საკუთარი ფანტაზიით აღეწერა უცნობი გარემო. შეიქმნა ეპიზოდები, ჩავალ მივიხედოვებოდავ და მერე იმის მიხედვით ჩავასწორებო, ფიქრობდა, მაგრამ საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა და პატიოსნება, მწერლის უპირველეს, აუტკლებელ თვისებად რომ მიიჩნდა, უფლებას არ აძლევდა, უნახავად და აღუქველად რაიმე დაეწერა. ეს რომანი პირველი ვრცელი ნაწარმოები იქნებოდა მის შემოქმედებაში და, იმედოვნებდა, დღევანდელითავე გაცილებით სრულად ასახავს შექმნილ მანში, ვიდრე იმ ხუთ კრებულში ერთად, დღემდე რომ ჰქონდა გამოცემული. ოთარს, როგორც კრიტიკოსსა და ნოვლისტს, რა თქმა უნდა, თავისი მკითხველი ჰყავდა და პოპულარობითაც სარგებლობდა ლიტერატურის მოყვარულთა შორის, მაგრამ ორი ან სამი ნაწარმოები, მთელ წელიწადს რომ ანდომებდა, უკვე აღარ აკმაყოფილებდა, აღარ აკმაყოფილებდა სათქმელით, ტიპური და გარემოთი, უფრო სწორად, მათ ჩარჩოებში ვეღარ ეტეოდა. საოუთოდ და ნაწად ეტყობოდა მომავალ რომანს, უფროსობილებოდა, შორიდან უტრიალებდა, რადიან ხტაროდა, აჩქარება უიანის მტეს, არაფერს მოუტინდა.

ოთარმა შუა ივლისისთვის დაამთავრა მშენებლობა და თვრამეტსართულიანი სახლი, წინისაშებრ, ჭერ თავისი ტრენტის ხელმძღვანელობას ჩააბარა, შეზღუდვ კი სახელწიფიო კომისიას. სამუშაოს ვალანე დღე შეტარებულებითვის მხოლოდ და კერძოში დაემსახურა, მაგრამ ახლა ათას ქვებსა და ფულით სავსე ჭიბუხაც კი, იმის შეგრძნება ერჩია, რომ უკვე საკუთარ თავს ეკუთვნოდა. იმ დღეებზე დაწერა შეგებულების განცხადება და სამშენებლო განწყობა, მზადება შეუდგა: რომინისთვის სხვადასხვა ღრის გაკეთებული ჩანაწერები, ზოგი რომ პიქაის ჭიბუხი ედო, ზოგი კი მაგიდის უჭრებში იყო გაბნეული, ამოიღო და ერთად დალაგა. მეორე და მეორე დღის თავისუფალი დროს საანგელოარო მადანებში სიარულს მოანდომა, ხაწერი ქაღალდი და რეზინის საშუკლი კი იყიდა, მაგრამ რბილი ფანქრების შოვნა გაუძნელდა (ფანქრით წერდა, „არქიტექტორ

მ მს-“ იყო შეჩვეული), ძლივს აღმოაჩინა ქაღალდი ლაქის გარეუბნის ერთ პატარა მაღაზიაში. გუშინ დღით ეს ყველაფერი და სხვა აუცილებელი რამერეზე ჩემოდანში ჩაალაგა და შექმლო, დამითვე გამზავრებულიყო, რა თქმა უნდა, თუ თვითმფრინავის ბილეთი იქნებოდა, და სწორედ პაშინ მოხდა ის, რასაც არ ელოდა. სამსახურში რომ მივიდა შეგებულების ფულს ასახლებად, მეგობ დაურტყა: გიგის სოფელში მოსწყენია და ჩამოვიდა, მე განრიგით ოქტომბრამდე არ მეკუთვნის შეგებულება და სადმე წაყვანეო.

ოთარს გული თითქოს ყელში მოეჭინა, სახეზე აღმური მოედო, მაგრამ საქმე ხომ საკუთარ შველს ეხებოდა, ერთობლივ ვაფიშვილს — ლამაზ, მოხდენილ თორმეტი წლის ბიჭს, თავლისფერა, კეკელიანი თვლები რომ მუდამ ახლის ნახვის და შეცნობის სურვილით ჰქონდა სავსე და ოთარი ვინს მოეგო. კარგი, მოამზადე და წავიყვანო, მშვიდად უთხრა ქალს და ყურმილი დადო.

ოთარი კარგა ხანი იყო მეგობთან პირად საკითხებზე აღარ ლაპარაკობდა და, რა თქმა უნდა, არც თავის მომავალ მოგზაურობაზე წამოსცდენია რაიმე, რომ ქალს თავში მოსვლოდა ბიჭის ვამოსილობით მისი შეზღუდვა, რაც ახალი ამბავი არ იქნებოდა მათ ურთიერთობაში... ჩემოდანი ნახა და დაახვავა, სადღაც მიდისო? მაგრამ სახლიდან რომ გამოვიდა, მეგი თითქმის ერთი საათის წასული იყო სავადმყოფოში, სადაც მორიგე ექიმად შემოაბოდა, და ყოველ მეოთხე დღეს დღილიდან მეორე დღილამდე უწყვედა სამსახურში გასვლა. ერთ საათში სავადმყოფოში მიხვლას და შინ მიბრუნებას ვერ მოასწრებდა, სავადმყოფო თითქმის ქალაქის პოლისო იყო. ეს ერთი, მეორე კი — შინ რატომ მივიდოდა, როცა გიგი ბებიათმისმა ჩამოიყვანა სოფლიდან და ახლაც იქ იყო, ფარულავებთან. შუა აზიაში მიემგზავრებო, ვინ ეტყოდა, როცა საკუთარი თავის ვარდა, არავისთვის გაუხმელია! სმაურა და აფიოკატი არ უყვარდა, ეს მისი, როგორც შემოქმედის, სუბიექტური თვისება იყო. მაინც რატომ უთხრა, სადმე წაიყვანეო? შეგებულებაში რომ იყო, ალბათ ეს ვაგიო... თავისუფლება უნდა, გართობა და აქეთ-იქით წაწალო, გაიფიქრა ოთარმა და ერთხელ ქვედ გულისყურით ჩაუტვირდა მეგის ნათქვამს. ქალის ხმას არც ბრძანების კილო ეტკობოდა, არც ნიშნისგების ინტონაცია დაკრავდა — ჩაგოზადე თუ არა გეგმებო, ეს იყო ჩვეულებრივი წინადადება, რისი თქმაც ოფიციალურად გაყრილობიც რომ ყოფილიყუნენ, მამინაც შექმლო.

სამსახურიდან მოშვამულ გუნებაზე გავიდა.

კომლემი ბიუზილი
ზოგი რამ ფიქრისანი კაცის ცნობრბიდან



მუდამ ეძნელებოდა ერთი. შერჩეული ზღვრებში, მერვეში გადაქცევა და ახლა ეს მით უმეტეს ძნელი იყო მისთვის, როცა ვინცა მთელი წლის ნაღვლიანება მოგზაურობის რომანტიკით შეიქმნა გაფლანგული. ქალს კი შეშინებდა, ბიჭს წაფიქვანო, მაგრამ სად წავიდოდნენ, არ იცოდო. შუა აზიაში გამგზავრებაზე ფიქრი თავიდანვე უარყო. იქ მის თავისი გვამები შეიქმნა, უნდადა ხაქმზე გაუკეთებინა. დროც ეტარებინა, ეცხოვრა ნამდვილი შემოქმედის ცხოვრებით, ყოველგვარი რეჟიმისა და სხვისი, თუნდაც შეილის, სურვილებისა და მოთხოვნების აღსრულების გარეშე. დილით დაიძინებდა თუ შუაღამისას, მისი ნება უნდა ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს, ნორალურადაც და ფაზიკურადაც ახლა შეიქმნა ამის უფლება და ბიჭის იქ წაყვანა უაზრობა, მისი მხრივ, უსინდისობა იქნებოდა.

შის სხივებით გასურებულ ტროტუარს მიყვებოდა, გულში ზედიზედ რამდენიმე ჩხვლეტა იგრძნო და ვალიდოლის აბი ენის ქვეშ ჩილი. იმიტომ კი არა, რომ შეეშინდა. ცუდად არ გავხდო. ანე იყო მიჩვეული, გულის ჩხვლეტას „ვალიდოლით“ იყურებდა, იწყნარებდა, როგორც ქირვეულ ბავშვებს აწყნარებენ ხოლმე კანფეტით ან სათამაშობებით.

მიდიოდა უხალისოდ. საკუთარი ფიქრის და სურვილის წინააღმდეგ, ფეხის გადადგმა ეძნელებოდა, მაგრამ შეილის მიმართ ვალდებულების შეგრება, აქტიურად რომ ებრძოდა და ფარავდა ყველა სხვა გრძნობას, არ აძლევდა უკან დახევის, შერჩევების უფლებას და ნაბიჯს თანდათან მოუჩქარა, როგორც მათრახით ზურგამწვარი, დაღლილობისაგან გახავათებული ცხენი მოუჩქარებს ხოლმე ფეხს.

ხიბს იქით, მოედანზე რომ გავიდა, ტროლეიბუსის გაჩერების პირდაპირ ძველი, ორსართულიანი შენობა დაინახა — აქ ერთ დროს კინოთეატრი იყო, ახლა კი ეს შენობა საექსპერსიო-სამოგზაურო ბიუროს ეკისრა — და იქით გაემართა.

ვენტილირული სახლი ირეოდა. მოგზაურობისა და ტექსტურისების მსურველები შედიოდნენ ერთმანეთის მოპირდაპირედ ვანაგებულ ოთახებში და გამოდიოდნენ... განუწყვეტელი, თვალის დაშლილი ფუსფუსი იყო. ოთარი ბაუროს ღირებულების მთავარებს სტუდენტობიდანვე იცნობდა, ოთახიდან ოთახში სიარულს და კითხვას, აქიზინა, ნათან უესტლინი და გაერკია, რა ხაზგარეშები შეიქმნა. ენტიპაული გაიარა და ვიწრო კიბეზე ადგება... შეიგრებინა, მოგრობისაგან, ხიშთათურის ახალგაზრდა კაცი, დღურა კანტაფანი რომ ედვა და თვით პერანგზე მიხაკისფერი პალტუნი იკეთა, ფეხზე აკლამით და მტკნარული დიმილით შეხვდა. ვკითხულობ შენს მათრახობებს და წერილებს, მომწონს, მისაღებებისთანავე უთ-

ხარ, მერე ჰკითხა, რამ შეგაწუხებდა. ნიშნს ბიჭს გვიდა, სადმე ვიმოგზაუროთო. კარგ დროს მოხვედო, ხვალ ბალტიისპირეთისკენ მივალს ნახათ, საუცხოო მარშრუტითა, და რაკი ოთარმა კვერი დაუქრა, ყურმილი აიღო და ბუდეალტერაში დარეკა, ესა და ეს კაცი მოვა და ქვედა აღივლებს ორი საგზური გამოუწერეთო.

სულ რამდენიმე წუთი დასჭირდათ საგზურების შესავსებად. ოთარმა ფული იქვე გადაიხადა და წამოვიდა. იმავე გზით გამობრუნდა უკან, რა გზითაც მოვიდა, მოედანი გადაჭრა, ხიდი გადაიარა და მერე შეცვალა გეზი, კომუნარების პარკის მოპირდაპირედ, საკომისიო მალაზიის გვერდით, ლუდის მოგრძო, ვიწრო დარბაზში შეუხვია. გუშინ საღამოს აქეთ ლუკმა არ ჩივდა პირში და შემოიღმა შეაწუხა. რაც მეგის ვაწუღდა, შინ ივითათად საუფრობა და ვახშობდა. სოსისი შექება პურთან და მღოვვთან ერთად და ორი კათხა ლუდი დააყოლა.

შინ რომ მოვიდა, ფარულავებთან დარეკა. ბოლო სამი წლის განმავლობაში ოთარს მეგის მშობლების ბინაში ფეხი არ შეუდგამს, თუ ბიჭი იქ იყო და ხანახავად ან წამოსაყვანად გავიდა, წინასწარ ტელეფონით დაურეკავდა და ქვემოთ, სადარბაზოსთან ელოდა ხოლმე. ყურმილი გვიგამ აიღო.

— გამარჯობა, გიგი, როგორა ხარ. ბიჭო?
— ოჰ, მამა! კარგად ვარ, შენ როგორა ხარ? რა მიშავს, ძველებურად. სოფელს ზურგობრატომ აქციე?

— ისეთი წვიმები იყო. მამა, გარეთ ვერ გავივდიოდი. აიღე საგზურები?
— ავიღე.

— სად მივდივართ?
ბიჭი სიხარულით ცახ ეწია, მამამისმა რომ ქაღალკება ჩამოუთვალა. განსაკუთრებით ნოვგოროდთან და დენინგრადთან დაშავალი შესვედრა ახარებდა, კრემლს, „ავრორას“ და დამით ნევაზე ხიდის გადახსნას ვნახეთო.

იმ დამეს ბიჭს, დედამისთან ერთად, ფარულავების ბინაში ექნა რა ოთარს იგი არ უნახავს. მერე დღეს თერმეტ სააოამდე შინ ელოდა, მაგრამ არავის მოუყვანია, თვითონ კი ვეღარ მოახერხა იქით გავლა. რადგან რედაქციიდან დაურეკეს, კარგა ხნის წინათ მიტანილი მოთხოვნა აეწყობა და კორექტურის წასაკითხად წავიდა. მოთხოვნის მოგვერთო ანატი აღარ მოეწონა და ანაწყობის გვერდები ააჭრედა, ამოუტარა ზედმეტი სიტყვები, წინადადებები, ერთი ეპიზოდი კი ხელახლა დაწერა და შინ რომ დაბრუნდა, შეიდი იყო დაწყებული. რადღა და სიტხისგან მოთენთილს, ფარულავებთან გავლის თავი აღარ შეიქმნა, აქი შევთანხვდით, ბიჭს დედამისი წამოყვანის, გაახსენდა მეგის ამდღიანდელი ნათქვამი, ერთხანს სავარ-



ძელში იყო გადაწოლილი, მერე ადგა, ჩემოღა-
ნი აძღო და კარი გამოიკეტა...

მატარებელი რუსთავის საფურცელს გაწერდა.
რვა საათი სრულდებოდა. ოთარმა ბაქანს გა-
ხედა, ბიჭი არ ჩანდა. ცოტას გავივლი, ამასო-
ბაში ისიც წავაო, გაიფიქრა და გასასვლელის-
კენ გაემართა. ვაგონში ტურანისებრი ოა მეთი
გამცოლებლებს შემოადარებენ. ოთარის კედელი
კედელ მიიწვიდა წინ. ტამბურში გავიდა, ბუნება
იგრძნო. კინებთან მიხუტმა უკან დასხია. უც-
ნობ ქალიშვილს ჩემოღანი გამოარჩევა და ამ-
ოსვლა უშვედა.

- გმადლობთ!
- არაფერის!

ქალიშვილს სახამოვნო სმა და დამინდი
პატარა სწორი ცხვირი და თაფლისუფროსი თუ-
ღები ჰქონდა, ღია წაბლსფერია. მარცხნივ გა-
დაჩვეული თმა წარჩაშლი ჩამოშლიდა.

— რა გქვიათ? — უნებურად ჰკითხა ოთარ-
მა.

— მარკა, — მორცხვი დამინდით უპასუხა
ქალიშვილმა.

— ტურანისებრი ერთმანეთს ვეცნობით! — სე-
ცილით თქვა ოთარმა და თავისი უაღველი
შეკითხვის გამართლებით კნაყოფილმა დაბ-
ძინა: — მე ოთარი მშვიდა.

— წინებით გიცნობთ, ერთხელ ტელეფონ-
შიც ვხვდეთ.

აჰ, მხოლოდ მასხვებს.. ამ ორი წლის წინათ
იყო.

— დიას.
— მათატიტ, კუბემდე ვერ გაცილებთ,
შვილს უნდა შეცხვდე.

— როგორ გეკადრებათ!

ძირს ჩასული თავის ვაგონს რამდენიმე წა-
ბიჯით რომ გაშორდა, უკან გაბრუნდა, ხალხი
ამაჟურებულ ბაქანს თვალი მოავლო, მაგრამ
ბიჭი ვერსად დალანდა. მოსაცდელ დარბაზში
სულ ტყუილად შეიხედა, ბიჭი და დეჰამისი
რომ მოსულიყვნენ, გამოსასვლელთან დადგე-
ბოდენ ან პირდაპირ ვაგონს მოაშურებდნენ. სა-
დგურის საათი ცხრის ხუთ წუთს უჩვენებდა
მატარებელი კი ნახვარზე გადიოდა. „რომ არ
დამერეკა? — გაიფიქრა და ჯიბეში როგორაჰა-
კიანი მოძებნა. — ცოტა ხანს დავიცდი და მე-
რე დავრეკავ!“ ბაქანზე გამოსასვლელი კარის
გვერდით დადგა და ვაგონების კიბეებზე ამავე
ხალხს დაუწყო ცეკრა. „ხელოვნური წინაღობა
ფორმალობის ნიბითი!.. აბა, ამას სხვა რა უნ-
და უწოდო?... კი, ბატონო, გასაგებია. მატარე-
ბელს რომ „რუსთავი“ ჰქვია, მარშრუტის ხელ-
მძღვანელი და რესტორნების მომსახურე პერ-
სონალიც რუსთავიდან არიან. მაგრამ როგორც
საექსპრესიო ბიუროში თქვეს, ტურანისებრი
ორი მეხამედი თბილისელი უფოდა და რაღა
აქ ჩამოიყვანეს ამდენი ხალხი, იქაურები რომ
ქ ჩამოსდარიყვნენ და აქაურები — აქ, რა მო-
ხდებოდა!.. არა, არა, მშვიდობადაა მოიფიქრე-
ბული, ვერაპარს იტყვი!“

სიგარეტი ხანაგეში ჩაავლო და ისევ ბაქანს
ახედა — ცხრის აბო წუთი იყო. მათატიტ
დარბაზი გაიარა და ოდარბაზში წავიდა.
გუბერეით აჭრებდებოდა, პროფესორებთან
ნათესაული მოვლამდე დასტუმრე ატენობებდა
და ტაქსების განჩივებას ვახდებდა. ხამარტუტო
ტაქსი მძღვანე, მერე ატენობებთან ოთარის
იქნა გაქმნაობა მდგრად ბაქა ოდარბაზის
ერაში აღმოჩნდნენ და არც მეორეში. ოთარის
შევე მიუღწერებდა ვეფორ მანდელე, რაღა
სიგარეტს წოვსოდა, წავიწვიე ნათესა, ჩვე
ხომ არ შევინებთ? — გაუღვდა უნებ და ხა-
ხეზე ოდენ გადაასკდა. — „ისხუდელედა, რა
უნდა შემსახეოდათ, სადაცაჰა წავიწვიე!“

დრო დარბაზში იმდენდა. ოთარის წამილაწვიე მ-
ჯის საათს დასცქეროდა... თხუთმეტისი... თხუთმე-
ტი ცამეტე წუთიღა რჩებოდა მატარებლის დას-
ვლაშდე. მეორე ატენობისც მოვიდა, მაგრამ ბიჭი
არ ჩამოაჭყოლია. „რაშია ხაქმე?“ ოთარა ატე-
იქით მიმავლიოდა, ერთ აღიწვიე ვაგონს წე-
დებოდა. „მეფარე, თვითონ შევინებთ თედა სე-
გონებელში, უნდა შევინებო და წამოშობინაჰა!
ტელეფონის ჯიბურთან მათარბაზი ფარულავების
ბინაში დასარეკად... წარი არ ოთაროდა. წეწე
შინ დარეკა. უფრშითი არავის ადგდა. ისევე
ფარულავების ტელეფონის მანქანა ატენობა,
არც ახლა გადიოდა წარი. ჯიბურთან ვამედა-
და. აღარ იცოდა, რა ექნა. ვამედაზე მანქან-
ნებს აწრი აღარ მქონდა, ჯამბურში უფრის
დროს უფრადდებით იყო, თვითი იქით ეჭირა
და არც მომსვლელი ტაქსი და აღიწვიე ოთარ-
ჩენა შეუშინევედა და არც წამხვლელი. იქ-
ნებ ელექტრომატარებლათ ინებებს წამხვლათა,
გაიფიქრა და ბაქანზე ვამედაზედასკუნ მამ-
რუნდა, რომ ამ დროს მის წინ ცინტარი ითე-
გული“ დაამბურებდა ვილცამ. ხაქმის მარბ-
ნე ელვამე იქდა, მეგას ვამედაზედა მტეონ-
რი, მერხერებებება, ცხვირბაქეუა, ქერამიანი
ოცდათხუთმეტოდე წილის ქალი, ის და მეგას
კოდეგები იყვნენ, ერთად მუშაობდნენ საავ-
დმეალოში. მარინემ მანქანის ფანქრიდან თა-
ვი გამოაჭყო და გაუღია.

— ოთარჩიკ, გამარჯობა!

ოთარს სალაშზე არ უპასუხებია...

დელით უკრამელი მარინე ლენინგრადში
იყო დაბადებული და გარდადილი, პირველი ქმა-
რიც იქაური ჰყავდა, როგორც მეგის ერთ-
ერთ წერილს სწერდა, — ნიჭიერი ფიზიკოსი,
მაგრამ ცოლი მამართ სასტოად უფრადდ-
ბო. ხრინწიანი, უტემპერამენტო და ულაზა-
კალი. ქართველის ცოლობაზე მეოცნებე მარ-
ინე, ამაზე თითქმის უკვდა წერილში სწერდა
მეგობარს. ფიზიკოსს, მასთან შვილი არ ჰყო-
ლია, ვაეუარა და ერთ თბილისელ ფილოლოგს
მითხოვდა, ქალიშვილი შეეძინა, მაგრამ ორი-

გომღმრძი ბიჭიშვილი
წოში რამ შვირინი ბავის ცხომგობიდან



ოდ წლის შემდეგ ფილოლოგსაც გასცილდა (პირველი კმარის ანტიპოდი აღმოჩნდა — ჯიჯინა, ებვიანი და უხეში, სცემდა თურმე) და ლენინსკარეში გაემგზავრა, სადაც დეპუტატი ჰქონდა მშენებლის დანატოვარი ორთახანა ბინა. ეს ბინა ერთ გადამდგარ ოფიცერს თბილისში გადუღვალა და უკან დაბრუნებულად, ვერაშიწვილია ქუჩაზე დამკვიდრდა ქალიწვილითან ერთად. მესამედ აღარ გათხოვია, როგორც მეგი ამბობდა, ეშინოდა, ვაითუ, ისევ არ გაუმართლეს, აუტყვიარი თავი რატომ უნდა ატყვიოსო... მეგი და მარინე ბავშვობიდანვე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მარინეს მამას თბილისში მეგის ზეზობლად ჰქონდა ბინა (გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე გაყიდა), ყოველ წელს ჩამოაყვავდა ცოდ-წვილი და გოგონების მეგობრობაც იმ დროიდან დაიწყო. ოთარმა მეგის ინფორმაციებით, სხვათა და სხვათაგან განაგონით, უფრო მეტად კი საკუთარი დაკვირვების შედეგად, საქმელ კარგად ჩამოაყვავიდა მარინეს სუფიერი და მორალეური პორტრეტი და ცოლს უშლიდა მასთან ურთიერთობას, მაგრამ წყალს ნაყვდა, მეგის ძველ მეგობართან კავშირი არ გაუწყვეტია...

მარინე მაქანაში მარტო იჯდა და ოთარი მიხვდა, მეგის გამოგზავნილი რომ იყო.

— რას იტყვი, მარინე, საინტერესოს და ახალს, სად არიან?

— გიგის დედამისი არ უშვებს, — მარინემ სიგარეტს მოუკიდა.

— როგორ თუ არ უშვებს, შინც, რატომ?

— არ ვიცი... — მარინემ მსუქანი, პომადით გაწითლებული ტურები მოკუმა და სიგარეტის ბოლი წვრილად გამოუშვა, — ისო, ესო...

— პირდაპირ თქვი!

— ერთი სიტყვით, დროს სატარებლად მიემგზავრება!

— რაო?!

— ძველი სატრფოები მოეხატრა, გიგის როგორ გავაყოლებ, გაეჟღერება ბავშვიო! თქვენი საქმე თქვენ უკეთ იცით...

— საცოდავი!

ოთარს არ გასჭირვებია დაეცვა, რომ ეს უველაფერი მის გასამწვებლად, დანამცირობლად იყო მოგონილი. მეგი ზშირად მიმართება სხვადასხვაგვარ ავანტიურას და არა მარტო ოთარზე ხალხის ასალაპარაკებლად სჩადიოდა ამას, არამედ იმიტომაც — ოთარს ამაში ეჭვი არ ეპარებოდა — სხვების წინაშე რომ დაეცვა და გაემართლებოდა თავი.

„უნდა შემეფლო და წამომეყვანა! — ფიქრობდა მოსაცდელ დარბაზში შებრუნებული ოთარი. — „როგორ ასარებდა ეს მოგზაურობა, ამას ვნახავთ, იმას ვნახავთ, იძახდა აღფრთოვანებული... თვითონ მოვიყვანო რომ მიითარა, როგორ დავუტყვი!... გიგი ალბათ ტირის... არ გაუჭირდება მისი დამშვიდება, ჩინისი შარვალს მისცემს, ახალ ფეხსაცმელებს, ბავშვია

და გაჩუმდება... ასეთი რამეები არ უნდა ვერაფერს ვიტყვი, უშარბი, ბავშვი, რომ კარგად ავიცილო... ვერძის საქმეს მშვენივრად ავგარტბის... რამდენჯერმე ველახარაკე ხან ხუმრობით, ხან დაუფავებით, იმ დამეს კი, ორი სახეც ჩემოდნით სწელდამშვენიებული რომ დამარუნდა, სამწარეულოში გავიხმე, გიგის რომ არ გადვებოდა და მკაცრად ვუთხარი: აღარ გარეშვები მაგ მაიმუნობას, როგორ არა გაცხვინა-მეთქი! რას ამბობ, — პირიქით, აქეთ შემომიბია ისეთი სახით, თითქოს მართლა ხუმრობა ეგონა, რასაც აქამდე ვეუბნებოდი, — ისეთს რას ვაკეთებ, სამარცხვინო რომ იყოს, ბავშვის ტანსაცმელებს და ჩემთვის რაღაცეებს ვფიქრობო. ხან დედისაში ხარ, ხან ტალინში, ხან კი ილინოუსში, ეს ნეტალი კარგს არაფერს მოგტანს. მეთქი! მეგობრებთან დავდივარ, ვისი რა საქმეაო! ვიცი, რა მეგობრებიც ვუკავ, კატეგორიულად გაფრთხილებ, მაგ წანწალს თავი დაანებე, ჭრჭერობით ჩემს ცოდად ითვლები, ხალხი მიცნობს, რასაც უნდ აკეთებ, ჩემი შეურაცხველია და არ გაძლევ ამის უფლებას-მეთქი! მოიტანე, ბატონო და მეც მოვეშვენიო! ბევრს არა აქვს, მაგრამ რასაც უნდ სიუხიარ, არ კადრულობენ-მეთქი... შე ტიტველი ვერ ვივლი და ვერც ბავშვს ვატარებო. დევმეუტრე, მაგრამ არც ამან გაქრა... ეს მანამდე იყო, ვიდრე მასთან ურთიერთობას შეეწყვეტდი და ჩემთვის გადავბარებდი. მას მერე, ალბათ შეეშინდა არ დამაბუღლოსო და არალეგალურად მოქმედება, ხან ბათუმში კლავს თანამშრომლის მამას და ადრატალაზე მიდის, ხან რომელიღაც თანაურის სულს აქორწინებს და სოფელში მიემგზავრება... ბრიყვის სიმართლემი დარწმუნება ისევე ძნელია, როგორც სკეპტიკოსისა, ბრიყვი სულ ბრიყვულ პოზიციაზე დგას, სკეპტიკოსი კი შედამტად ფანტაზიორია... რა ვქნა? ლავრჩე? მივიდე და... სისულელიდა, მის წისქვილზე წყლის დასხმა გამოვა.“

ოთარი წინათაც რამდენჯერ უოფილა გულნატკენი და გაწბოლებული ამ ქალისგან, მაგრამ ითმენდა, არ ჩქარობდა განქორწინებას, გიგის რომ დაჩაგრულად არ ეგრძნო თავი, ახლა კი უაზრობად და სასაცილოდ ეჩვენებოდა თავისი დიდსულოვნება, სისუსტედა, სიღარბედაც. მოთმინების ძაფებიც დაუწყვედა, დარგობა, როგორც კლიდან მომსახური ზვავი წვეტეს და გლეჯს უველაფერს, რაც გზად შეხვდება და მტკიცედ გადააწყვიტა, უკან დაბრუნებისთანავე დაესვა წერტილი ამ საქმისათვის.

რესტორანში შეუხვია და სწორედ მაშინ გამოაცხადა აღგილობრივმა დიქტორმა, ტურისტული მატარებელი პირველი ლიანდაგიდან ვადლისი. მებუფეტეს ჩაის ჭიქა კონიაკით გავსებინა და გადაპკრა, მეორესაც დაუდევო, ვაიფიქრა, მაგრამ გარედან მგზავრთა და გამცილებულთა გამოსახულები ხმები მოესმა, ფუ-

ლი გადაიხდა, ბაქანზე გამოვარდა და დაძრუ-
ლი მატარებლის ბოლო ვაგონს შეახტა... თავი-
სი ვაგონის ტამბურში შესული, მოპირდაპირე
კართან გაიჭრდა, წურვინი გამცილებლისკენ,
რომელიც ბაქანზე მოხერხებულ ქალიშვილებს
ედღაბუტებოდა, ქათინაურებს ესროდა, კონკრეტულ
უგზავნიდა. მერე კარი დაკეტა და ვაგონში
დაღინით შევიდა.

ოთარმა სიგარეტს მოუკიდა, კედელს მხრით
მიეყრდნო და ნათურებით განათებულ სივრ-
ცეს მიავსებდა, თან ხანთებელს აჩნებუნებდა.
ანთებდა და აქრობდა, ანთებდა და ისევ
აქრობდა... ბიჭი დაუდგა თვალწინ და ვუ-
ლი მოეწურა. ბიჭს უყვარდა ხოლმე ხანთებე-
ლას ჩხაყუნ, ჭრე ოთარს სიგარეტს მოუკიდებ-
და, მერე კი ერთობოდა, ანთებდა და აქრო-
ბდა...

მატარებელმა თანდათან უმატა სიჩქარეს და
მალე უკან მოიტოვა ქარხნის მიღებით აბო-
ლებული ქალაქი.

ოთარი კარგა ხანს იდგა ტამბურში. მატარებ-
ელი რომ აქსტავას გასცდა, კედელს მოხარ-
და და კარისკენ მოზრუნდა... თავიდან ვაგონში
შეხვდა ელზებრუნებოდა, ეგონა, იმ ქალიშვილ-
მა, აქ რომ გაიწინა და სხვენიც გაიგინა ნაბი
ამბავი და რცხვენოდა, ახლა კი, კონკრეტულ
თანდათან მოეკიდა და სახიმოვნოდ მოთენდა,
საკუთარი თავისადმი გადაჭარბებული კონტ-
როლი, ხშირად რომ აწუხებდა და სტანჯავდა
კიდევ; მიუხუროდა და წიდადნეღივით უხვრბუ-
ლობას აღარ გრძნობდა...

დერეფანში მგზავრები გამოფენილიყვნენ,
უმეტესობა, ორი ხანშიშესული, გურუდი კილო-
ზე მოლაპარაკე მამაკაცის გარდა, ბავშვები და
ქალები იყო. გამცილებელი საგზურებს აგრო-
ვებდა. ოთარს თავისი კუპეს კარი დაკეტლი
დახვდა.

— მანდ ორნი ხართ არა? — ჰკითხა მეზო-
ბელი კუპედან გამოსულმა გამცილებელმა.
— არ ვცი.

ოთარმა კარი გააღო. კუპეში, რაღონც ნა-
ხევარი საათის წინ დატოვა, ისე დაწვდა ყვე-
ლაფერს.

— სადვითაღ იქნებით, წუჟი საწოდები თა-
ვისსუფაჯი, თქვა კარის პირდაპირ შეჩერე-
ბულმა გამცილებელმა.

— რატომ? — ოთარმა პიტივის ნიშნად თა-
ვისი საგზური ანოიდო და მიხტა, კუპედან გა-
მოვიდა.

— გადაიფიქრე წამოსვლა.
ოთარს გაეხარდა. ათასი საფიქრალი ჰქონ-
და და მატრობა ისევე სჭირდებოდა, რო-
გორც სულიერი სიკარბილისას ხეტიალი და
ხალსში ურთობა.

— ჩინა ბიეიცი უნდა წამოსულიყო, იმანაც
გადაიფიქრა, პინეტითა ბანკი არჩია! — ხმა-
მადლა უთხრა გამცილებელს. უფროად აწიფუ-
ტონს არავინ გაუკვირებია, ვაგონის ბორბლე-
ბი გამზულად ხმაურობდა და ასეთი რეგობა-

რით ლაპარაკი ბუნებრივად ჩანდა. ამისთვის
ნოზილიმა ქალიშვილმა, ცინფრესკა, ჩასუტე-
ბული ქაღალჩი ერთად რომ იდგ და ფანჯარა-
სთან და სახე ნიციბივით მიეწიროს, ოთარს
შეხვდა და თავი ისევ ფანჯრისკენ მიაბრუნა,
„კარგი გოგო!“ — გაიფიქრა ოთარმა.

— გამარჯობა! — მან ჰქონა, ლაპარაკი ბურ-
თი და მინდანი! — ჩინახანისა რამდენიმე
მა და ჩიბთ თვალში ემშაყრდა აღინებდა,
— გეტყობა, დამართი გწყალობთ!

— უჰ, ძალიან, ბედნიერ ვარკველვით ვარ
დაბადებული, ყველაფერში ასე მამარჯობებს!
— საყარეტის ბოლი ღრმად ჩაიხუნთვა და ბო-
ლიტვებად გამოფრევა.

— რატომაც არა, კარგი ბიეი ჩინახართ!
ოთარმა იაზრა, ამ კაცს უყვებ დაახლოება და
საერთო ენის გამოხატვა ემარჯვებოდა, რაშიაც
აროფენოვ უწყობდა ხელს — მახინიელი
იყო.

— აქ ისეთი არავინაა, წინასწარ დაგწერე,
— ხმადაბლა თქვა გამოცდილებელმა. — გარე
კი, გიყვარდეს, ბლომად იქნებინა...

ოთარს გულში, არაფერი უთქვამს. ქალები
თან ურთიერთობა მისთვის თვითმიზანი არა-
სოდეს უყოფიდა, არც ხმამაღლი ღდაპარაკი
უყვარდა მათზე, თავშეუკავებელ მამაკაცებს
რომ ახასიათებთ, ამასთან ვიყუვი და იმასთან,
ასეთი იყო და ისეთი, ურც ველ რომ აწიშ-
ვლებენ უოველ დეტალს. ქალებს ოთარი არ
ეძებდა, მებრამ ისინი, განსხვავებულნი სხა-
თისა და ბიოგრაფიის მქონენი, თავისთავად
ხვდებოდნენ სხვადასხვა ადგილსა და სიტუა-
ციაში, ამ მხრეც ბედი მართლაც სწულავდა,
და ეს შეხვედრები მსუბუქი ფლირტით, რცხ-
ტორანში დროსტარებით ან „სასიყვარულო“
დამეებით მთავრდებოდა ხოლმე.

ოთარი გამცილებელმა — ოროცის მიღწეუ-
ლი კაცი იყო — გაახადისა და გადწევიტა,
რცხტორანში წასვლიყო მასთან ერთად.

— ხომ არ დაგველოა?
გამცილებელს სახე გაებადრა.

— სიამოვნებით, ოლოდ ჭრე სავსურებს
მარშრუტის ხელმძღვანელს ჩავაბარებ, თე-
რეულს დავარბებ და მერე, თუ გინდათ, ღი-
ლაშდე ვურტყათ.

— ჰო, მართლა, ამ სავსურს რა ვფუჟო?

— არ ჩაგინარბებთ? ახლა ვინდა დამბრ-
უნებს, ვკითხავ მინც უფროსს.

— რცხტორანში ვიქნები.

— ათ წუთში თქვენთანა ვარ! მაცივარში
არაუკი მაქვს, წამოვიღებ.

— არ გინდათ, იქ ექნებათ.

მატარებელი მთელი სისწრაფით მიქრდა
და ვაგონი აქეთ-იქით ირწეოდა. ოთარმა კუპეს
კარი დახურა და დერეფანს გაუყუა ბორბი-
ბორბიკით. ფანჯრებს მიღმა შავი, მრუმე სი-

გონდობი მიმდინი
წინა რამ წინმრინი კაცის ცხომობიდან

ბნელი ჩამოწოლილიყო. უცებ ისე მოეჩვენა, თითქოს მატარებელი წყა ოკანგეში მიცურავდა. რადგან მიწა, ვაგონის შექიტი განათმნული ფანჯრების კვადრატებში რომ სედვდა, აქაფენილ წყალს მგავდა. სხვა არაფერი ჩანდა, ოღონდ შეუტყვი სასათლევ კი, მატარებელი ახტანაიჯანის ტრამალებში მიიკლდებოდა გზას.

რეჟისორის თითქმის ცარიელი დახვდა. ბუფეტის წინ მდგარ მაგიდას ორი მამაკაცი უფდა. ოთარმა იცნო გურუღი კილოზე მოხალბრთი თანავაგონელები. ერთი ჭილარა იყო, სანდღაფდა, მეორე — გამხდარი და შავვგრემანი. ჩაცივებულ ბორჯომს სვამდნენ. ბორჯომი ვაგონში წასადებადაც ეყიდათ, მაღურბში ჩიქწუთ და სკამების გვერდით ეღლით იატაკზე. მოკლევამაინა, ახალგაზრდა მებუფეტე ქალი, მოწვეული ტუჩები, წვერილი ნიკაბი და ჭორფლიანი სახე რომ ჰქონდა, ქერა, საფეტქლებთან ვადაგლებილი თმა კი კეფაზე წვრილი ბაფთით დამაგრებული, დახლში საქმიანობდა.

— გამარჯობათ! — თქვა დახლს მიმდგარმა ოთარმა. ქალმა საღამზე რუსულად უმასუხა, ისე რომ საქმიანობა არ შეუწყვეტია — ყუთიდან ლიმონათის ბოთლებს იღებდა, ჩვეთწმენდა და მაცივარში ალაგებდა — მერე უცებ უკმაყოფილო უთხრა:

— თუ ვახშამზე მობრძანდით, უკაცრავად! ტურისტთა მომსახურებას ხვალ დიდიდან ვიწყებთ, ბატონო, დღეს არაფერი გვაქვს! — ოთარს გაეცინა.

— არც დასაღვი? — ჰკითხა და ბუფეტის თაროებს ახედა, რომლებზედაც სხვადასხვა მარკის კონიაკით, პორტვინით და დაბალი ხარისხის ღვინით სავსე ბოთლები იყო გამწყობრებული. — ერთი ბოთლი „გერმი“ მომეცით და თუ გაუტო, ჩაცივებული ლუღობა.

— ეს სხვა საქმეა! — თქვა მებუფეტემ და სახიდან მკაცრი გამომეტყველება გაუქრა. — თან წაიდებთ?

— არა, აქვე დავღვებო, რა თქმა უნდა, თუ ნებას მოგვცემთ.

— რომოც გენებოთ. სახელაფლავა და გამხდარი, შავვგრემანი მამაკაცი აღგნენ, მაღურები აიღეს და რესტორნიდან გავიდნენ.

— შემოძლია ცოტა ძეხვი და ყველი შემოგთავაზოთ, — თქვა მებუფეტემ.

— დიდად დამაფალებთ. ქალმა მაცივრიდან ძეხვი გამოიღო და დაქრა დაუწყო, თან ლაპარაკობდა.

— წიღან, ცოტა არ იყოს, უხეშად გამოვივიდა, — ნაწად შეუბედა და გაუღიმა. — მაგრამ შემოდინ და ვახშამს მთხოვენ... ყველას სათითაოდ უნდა ავუსხსნა, რომ დღეს სამწარეულო არ მოსწონს იდეი მომზადვრება... რას მიკეთებს მარშულებს ბედმაღვანედი, ადებს და განოცხადოს! რომელი ვაგონიდან ხართ?

— მეოთხე ვაგონიდან.

— აჰ, იოსთან ყოფილბანათ! — ქალმა დაქ-

რინდი ძეხვი თედზე ლაწყო და მაცხერბნან ურედი ნახაღო.

— იო ვინ არის?

— თქვენს ვაგონის გამცილებელი.

— იო ბჭი?! — იოსები. წეშოლებით იოს ვეძახით... თვითნაწადი მხატვარა. თავის დროზე აკადემიაში რომ შეკლდაყო, კაცი ვარდებოდა... ახლა დადის, მოგზაურობს... სან მოსკოვის მატარებელზეა, სან სოთუმის, სან სოჭის... სულ ფრინველებს ხატავს სოღმე...

— ფრინველებს?

— ზო, — ვაციცა ქალმა. — ადამიანი, მგონი, ჭირ არ დაუხატავს. რამდენი ვიხვეწე, დანხატე-მეთქი, მაგრამ უტოცი არ შეუბერტყია.

ამას წინათ კი მითხრა, კოდალას მგავარ, თუ გინდა, კოდალასავით დავხატავო. ჭერ გამეცინა, მერე კი ვიფრინე, შენც დამეყარე აქედან და შენი კოდალა-მეთქი... არა, ხერთოდ, კეთილი და გულისხმიერი ადამიანია, ზუმრობაც უყვარს, მაგრამ ეს საიდრე მოიგონა! კოდალას რა მგავს, თუ ღმერთი გვამთ?

— როგორ გეყადრებათ!

ოთარმა ოცდახუთმანეთიანი ამოიღო, დახლზე დაღო და თქვა, წინასწარ მიუვარს ვადაღო. ქალმა საწვარიშო აჩხაყუნა, ხურდა დუბრუნა და უთხრა, დაბრძანდით, თვითონ მოგართმევთ ყველაფერსო.

ოთარი მეორე საღონში გავიდა და, მარცხენა კუთხეში მდგარ მაგიდას მიუჯდა. მებუფეტე ქალი, მართალია, რიგიანი მოსაუბრე ჩანდა, გამცილებლის პორტრეტიც კარგად დაუხატა, მაგრამ ლაპარაკის საღერღელაშლილი აღარ მომახვეწებო, — და ამიტომაც განერიდა... პირდაპირ, საღონების გამოყოფ, ცისვრად შეღებულ კედელში დიდი, ოთხკუთხა სარკე იყო ჩასმული. ოთარმა სარკეს გვერდულად გახედა. ნაკეთბდახვეწილი სახე წაოწითღებოდა, დღევანდელი დამბულომბახა და დაღლილობისაგან უბეები შეშუაებული და ამოლურტებული ჰქონდა, შუბლზე ნოჭები კი ჩვეულებრივზე მეტად ჩადრმავებული. თავლისფერ თვალბში ისევე სევდა ჩაუგუბა თავისი მღერი მდგომარეობის გახსენებამ, შინავაგონი წვა განუახლო, გული დაუშქმია. იდაყვებით მაგიდას დაეჭრდნო, ცერა თითები ნიკაქვეშ ამოიღო და ბუფეტს მიაცქერდა. მებუფეტეს ვიდაც მაღალი, მასავით მოკლევამაინი ქალიშვილი ელაპარაკებოდა. დროდადრო ხან ყრბი და ხან მგორი ოთარისკენ თვალს აპარებდა. ქალიშვილს ორივე თედლი ლიმონათიანი ბოთლებით სავსე ცერლოფანის პარკი რომ ექირა და ხაუბრის დროს მუხლიდან მუხლზე აცურებდა, უწნო პროფილი ჰქონდა, ანჯასით კი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ხტოვებდა. ცოტა ხანს კიდევ საუბრობდნენ. ქალიშვილი რომ რესტორნიდან გავიდა, მებუფეტემ ლანგრით ხელში აჭეო გამოეყარა, რაც ოთარმა შეუკვეთა, ყველაფერი მაგიდაზე დააღაგა და თქვა:

— ის გოგოც მეოთხე ვაგონიდანაა, თქვენზე მეტაპარაკებოდა, მწერადაო... მიყვარს მწერლები და მსახიობები, ბედნიერი ხალხი ხართ, ყველა გიცნობთ...

— თქვენი ფიქრობთ, ეს ბედნიერებაა? გააწვევდითნა ოთარმა და სივარტეს მოუკლდა.

— რატომაც არა! — თქვა შებუფებულმა. — სახელი, პატარავნებო... ტელევიზორში თქვენ გამოდინართ და რაიფოში, ყველგან თქვენზე წერენ...

ქალი დაპარაკვ განაგრძობდა. მისი სწორედ, ბუჭტივით გაბერილი აზრების მოსმენა, არაფრით რომ არ განხვავდებოდა ჩვეულებრივი შემწანის შებედულებებისგან, ისედაც გუნება-წამებად ოთარს სასიყვარლოდ ეჩვენებოდა. მაგრამ არ შეუწყვეტივინებია. არც იმის სურვილი აღძვრდა, აეხსნა მისთვის ზელოვანის ბუნების თავისებურება, სულ ერთია, მიიწვ ვერაფერს ვაგვიხსნო, „სად დაიკარგა ეს გამცილებელი...“ ქალი თავის წაქცობებზე, რომლებიც თურმე ერთ დროს წერდნენ, ათანაირ აბლაუბლას ყუბოვდა... „დავადვივინებ, იქნებ გაჩუმდეს!“

კონსტანტინე მთარაძე!

— არა, უმადლობთ! დეიძლი მაწუხებს, ერთი წელთა საბრუნს არ გაჯკარებთან.

— სამწუხაროა!

— რას ვიპაი! შოთმინებთა შენითაო, ხომ ვაგვიგონია? ქალმა გა-ლიმა, დანჯარი აღიღო და ბუჭტივსკენ წაიფრებოდა. ოთარმა თვალთა დაუხრდა, ცქვიტად მიიღოდა. თეძოების რბევით. „აღმათ წინათ სვამდა და მაგრადაც, ახლა კი გამოშკობანებული ავადმყოფივითაა, თვალში რომ გამოიხედავს და ენად გაიკრთება ხოლმე!“

ჩამქრალ სივარტეს მოუკიდა და თავი ფანჯრისკენ მიაბრუნა. არც კი შეუშინებია, მატარებელი რომელიმე სადგურში რომ ვაჩერდა. ბაქანი და სადგურის შენობა ნორც მხარეს, მოსურბებით იყო და ამიტომ ვერ ხედავდა, მეზღუდვებს ეცოლინება, ხალა ვართო, მაგრამ არ უკითხავს. ეს ქალი, ოდნავ მუხზე ხმით და საუბრის თავისუფალი მანერით, მარინე ლევინის აგონებდა და აღარ უნდოდა მასთან დაპარაკო... შემხვედრი სატირთოს ჩამოდაგომისთანავე დაიძრა ტურისტული მატარებელი. ცოტა ხნის მერე, ელმავაჟომა რომ მკვეთრად მოუხვია მარცხნივ, ნათურებით აციმციამებული, ოთარისთვის უცხო დასახლებდა თვალს მოეფარა და კვლავ შავი, მრუშე სიბნელი ჩამოწვა, ფანჯრების განათებულ, ღიანდაგის გასწვრივ დაფენილ კვადრატებში კი ისეთივე მიწა გამოჩნდა, რესტორნისკენ მიმავალმა რომ დაინახა. „აღმათ მარლიანი მიწაა, სხვა რა უნდა იქნას!“

რესტორანში გამცილებელი შემოვიდა.

— როგორა ხარ, ძვირფასო? მამა! — შებუფებულს შორიდან აკოცა, მერე ოთარი დაინახა და სახეგაბადრული მისკენ გაემართა. ათი წუთი ნახვარი საათად იქცაო, დიმილით შეაგება

ოთარმა. მამატივთ, ისე თქვა გამცილებელმა, რომ არც შეწერებულა, სავსურსტს მავარბუნინენ და მოვალა.

— ყველი განისრა, — მინახა ოთარმა და კონიაჟა შექუწა დაახმა. — თითო დავგოთოთ და მერე წადაო.

გამცილებელი მობრუნოა და ბიჭა აიღო.

— ჩვენს შეხვედრას, ჩვენს ვაცინას ვაღმარება!

— ასე იყო!

— უმ, კარგია! — გამცილებელმა ღიადიო ბიჭა მადედაზე დაფა და ყველის ნაჭერს გადაწვდა. მისული არ გეგონებთ, მოსაღლი ვიჭნებო, თქვა და სწრაფად გავიდა.

ოთარმა ღიადი დაახმა. ღიადის დაყოლება კონიაჟე უფრო სიამოვნებდა, ვიდრე არაფრე. კარგ ღიადს რა კონიაჟს ერწანარა ენო ღიადკრავსო, ფიქრობდა, საქართველოში დაქმადებულნი „დედათა“ მარიალანიაზე არ ციტხეცებოდა, ეს კი „თხილინი“ იყო და სიამოვნებით დაიფა.

გამცილებელი მალე დაბრუნდა. მარშრუტის ხელმძღვანელს უთქვამს, საკუთარ დარბუღება შეიძლება იმ შემთხვევაში დატარებოდა, თუ ვადამყოფის ცნობის წარადგენსო. არაფერი გამოვაო, ხელი ჩაიქნია ოთარმა. მწერისის სადგურში იყო თქვეს და ბოდიცი დაიცავდა, მოსრდილი ბიჭებით სვარდნენ...

სტიუარდისა ბეჭი შემხვედრია, დეტსებს რომ წერდნენ, უთხრა ოთარმა კონიას რომ ღიადი დააუფლეს, მატარებელ-გამცილებელი კი პირველი თქვენა ხართო!

— ვინ გაითხრათ, რის მხატვარი, რა მხატვარი?! — ვაიოცა გამცილებელმა. — ახ, ტანია წამოაურანტალებდა ტანოუშა, ერთი ეს მითხარი, წამოხვლისას თუ იხანავე?

— მერე შენ რა?

— ამაღად ნადლად ვერ ვადამირჩები, ვადაწყვეტილი ამბავია!

— ვერ გეგონოს!

— აი, ეხანოთ! თუმცა, როგორ გეგადრება, მე ვინა ვარ... ეტრენსკის საყვარელი იუავი, არა, ტანიოუშა, თუ დენიკინს?

— ილიოთი ხარ!

გამცილებელი ხარხარებდა.

— ტანიათანა გოგოს წყენინება როგორ შეიძლება! — თქვა ოთარმა და ადგა, მერე ბოთლი კონიაჟის მოტანა უნდოდა, მაგრამ გამცილებელმა არ დაანება. ახლა ჩემი „ქაჟა“ გავსინჯოთო, და არუის მოსატანად ვავარდა... თითო ბიჭა ჩაცივებული არაუი რომ ვადაკრეს, ოთარმა სივარტეს მოუკიდა (მგავარო... მისას თქმისი შედოზედ ეწეოდა ხოლმე) და გამცილებელს უთხრა: გოა ურჩხულმსაც სატავდა, და მათ სახეებში სიმბოლოურად მქონდა ვადაწყვეტილი ამა თუ იმ ადამიანის ხა-

გომარკი ვიძვილი ზომი რამ ვიძირანი კაცის ცნობრებდას



სათი, თქვენ კი, სულ ფრინველებს რომ დას-
ტრიალებთ, ალბათ შემთხვევითი არც ეს იქ-
ნებოა.

— გენიოსებთან რა საქმე მაქვს, ჩემთვის
ვცოდვლივ.

— საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც ფრან-
კელები აირჩიეთ და არა, ვთქვათ, ცხოველები.

— ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარდა ფრან-
კელები, ესა და ეს!

— კუბეში ნახატები გეჩვენათ.

არა, — არყიანი ბოთლი აიღო და ქიქები
გააპიანა, — დასვენების დღეებში ჩემთვის
შინ ვერთობი.

— ზვირი გაქვთ?

— არც ისე...

— გამოფენა რომ მოაწყოთ, არ გინდათ?

— არც მიფიქრია, ვის ჭირდება ახლა ჩი-
ტების ხატვა! — გაეცინა და ჭიკა აიღო. —
მოდიო, ამას თავი დავანებოთ, ერთი სადღე-
გრძელო მინდა ვთქვა.

— დიახ, ვისმინა!

— ხელოვნებას გაუმარჯოს, აღამიანს რომ
რწმენას მატებს და აკაიკაცებს!..

რესტორნიდან შუალამისას გამოვიდნენ ვა-
გონის დაცარიელებული დერეფნის ფანჯრები
აწეული იყო, კუბეები კი დახურული. ტურის-
ტებს ეძინათ. გამცილებულს უფრო მოჰკიდებო-
და სასმელი, ვიდრე ოთარს, ტურებს წარამარა
ისველებდა და ექსტაზში შესული უყვებოდა
სოქელი საყვარლის ამბავს, სადგურის ბუფეტში
მეუშაობს. თვრამეტი წლით უმცროსია ჩემზე, მა-
გრამ, მიუხედავად ამისა, მოუთმენლად ელის
ჩემთან შეხვედრას. კარგი ნოვაია, იქიდან რომ
წავსულიყავით, ვნახავდიო.

მასობილ კუბეში შეღწეულ ჩახველა ვი-
დაცამ, საწოლის ჭრიალი და ბუზღული მოიხმა.
მგონი ტურისტები ვავადიჭეო, თქვა გამცი-
ლებელმა და ლამაზაკი შეწყვიტა. ოთარმა
სათს დახედა.

— ორის ნახევარია, სჭობია, დავიძინოთ.

— კარგად იყავით!

— კარგად!

გამცილებელმა ქუდი მოიხადა, თავს ზემოთ
გაქნ-გამოაქნა და თავის კუპესკენ წაბარბა-
ცდა, დერეფნის ბოლოში გასული, ხელის აწე-
ვით ერთხელ კიდევ გამოეთხოვა და კუბეში
შევიდა.

ოთარს დაწოლა არ უნდოდა. სასმელების
არევა ღვიძლს უღაზიანებდა და, როგორც ყო-
ველთვის, ახლაც უსიამოვნო შეგრძნება ჰქონ-
და, თითქოს გული ერეოდა. ფანჯარა ჩამოს-
წია და გახურებული სახე და მკერდი ნიავს
მიუშვია. კარგა ხანს იყო ასე, მერე შესცივ-
და და კუპეს კარს მიეყუდა...

ფანჯრიდან უღრუბლო, ვარსკვლავებით მო-
ქედილი ცა, სრიკო გორაკები და დახეთქილი,
მარტილიანი მიწა მოჩანდა.

„დროს სატარებლად მიღის, ძველი სატრ-
ფოები მოენატრა! — მეგის სიტყვები გაახს-
ნდა, მარინე ლევინისთვის დაბარებულ...
ცალკეად გაედიო. უკვე მთელ მის ნათესაო-
ბას ეცოდინება, ერთობა ალბათ ხალხი... ტუ-
ილებში ისეა გაწაფული, თავის მოწამბი თვი-
თონაც სჭერს და ქნელი წარმოსადგენი არ
არის, როგორი სერიოზულობით, წარბეუბრე-
ლად ჩაუკაკლავდა უველას, ასეა და ასე, და
ბავშვებს როგორ გავატყველიო...“ ფანჯრიდან გა-
დაფურთხა, თავი გაჰყო და თვალში დასუქა,
ლიანდაგის ქვიშაურილიდან ათამაშებული
წვრილი კენჭები არ მოხვედროდა, წვიმის წვე-
თებივით რომ წკაპუნებდა ვაგონის კედელზე.
მოსახვევიდან შემხვედრი მატარებელი გამოვი-
და, ელმავლის პროექტორების შუქი პირდაპირ
სახეში ეცა და თავი უკან გასწია. სახალხო მკ-
ტარებელმა თვლების მონოტონური დაგადვით
ჩაიჭროლა, ოთარმა ვერც ფანჯრებში დღიანდა
ვინმე და, რაღა თქმა უნდა, ვერც წარწერას
მოჰქრა თვლით თვარად გაელვებულ სამარშ-
რუტო ფირინშებზე... დიდი ხნის წინანდელი
ამბები, უცებ რომ ამოუტივტივდა გონებაში,
ჩავლილი მატარებლის ვაგონებივით ერთიანი,
მკრთალად განათებული ეჩვენებოდა და ისე-
თივე სიმშრალის სუნი ჰქონდა, როგორც ფან-
ჯრის მიღმა გადაშლილ ხრიკს და დახეთქილ
მიწას. ოთარს არ უნდოდა ახლა განვლილ
ცხოვრებაზე ფიქრი, მისი ხელახლა განცდა,
რაღვან ის ამბები, ზოგირით ეპილოდის თუ
ლეტალის გამოკლებით, ამოღებული ლუკმის
უკან ჩაბრუნებასავით არასასიამოვნო იყო მის-
თვის...

„დავწვიები, იქნებ დამეძინოს!“
კუბეში სინათლე არ აუნთია. სივარტისანი
კოლოფი და ხანთებელა მაგდალენე დადო, გა-
ხადა და დაწვა... დაწვა, მაგრამ, ფიქრი ხომ
ძალია არ არის, გაუჯარდეს და გააგდოს (ამ
სიტყვებს მეგის ეუბნებოდა ხოლმე პირველ ხა-
ნებში) და ცოლყოფილთან პირველი შეხვედრა
მოაგონდა... ეს იყო ამ თოთხმეტი წლის წინათ.
სამოცდასამის ზაფხულში. იენისის იმ ცნელ
საღამოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კლუბ-
ში სამშენებლო ფაკულტეტის კურსდამთავრე-
ბულთა გამოსაშვები საღამო-კონცერტი ტარ-
დებოდა. მეგი ბიძაშვილმა, პოეტმა და იმხანად
ინსტიტუტის ლიტერატურული წრის ხელმძ-
ღვანელმა რომან ნინიძემ მოიყვანა საღამოზე
და შეხვედრისას ექსტიზიულში შეხვედრილ
ოთარს გააღწია წინათ. როცა ოთარს ის სა-
ღამო მოაგონებოდა, რატომღაც ყოველთვის
მეგის ჩამოსხმულ ფეხებს და ტანს წარმოიდ-
გენდა ხოლმე თეთრი ნახევარკაბით, ცისფერი,
მოკლესახელოიანი ბლუზითა და წითელი,
წვრილქუსლიანი, სახაფხული ფეხსაცმელებით,
მერე კი, მის მრგვალ, ლამაზ, შავგვრემან სახეს
ვნებიანი ტურებით, გამოწვევი ღიმილი რომ
დადამკრავდა. ახლა კი, ეს ამბავი კარგა ხანია
გადა გახსენებაა, ვერაფერი ვერ მოაგონა, რა
ეცვა მეგის იმ საღამოს, ცისფერი თუ წითელი
კაბა... ეს ორი ფერი აეკვიტა — ცისფერი და

წითელი და თავი ვეღარ დააღწია... დიდხანს იჯახირა, მერე სასმელმა და ვაგონის რწმუნებ რული მოგვარა და ჩაეძინა.

2.

ძლიერმა ბიძგმა გააღვიძა, რომელიღაც ბაქანზე წამით შეჩერებული მატარებლის უცებ დაძვრამ რომ გამოიწვია. თავი დამძიმებული პქონდა, ტანში ამტვრევდა, ილიებიში, გზარბზე და მერდზე უსიამოვნო სიგრილეს მგრძობდა. „გავცივებულვარ, მგონი სიცხცე მაქვს.“ გამსრალო. ცხელი ბაგე ენის წვერით დაისველა და სიგარტს გადაწვდა, თან საათს დახედა. თერთ მეტი სრულდებოდა. მოპირდაპირე საწოლიდან ბალიში აიღო და სასთუმალით აიმაღლა.

მზიანი, ნათელი დღია იყო. ტურისტებს ესაუბრებოდა და თხლა ზოგი კუბეში მოკალაფებულყოფ თავიანთ საწოლებზე, ზოგი ბანქონს თამაშით ერთობოდა, ზოგიერთებმა კი დერეფანში იდგნენ დია ფანჯრებთან, მღეროდნენ, ანგადლობებს უვებოდნენ, იცინოდნენ და ეს უვებაფერი — სიმღერის, სიცილის და ბანქონს მათამაშეთა აზარტით სახეზე ხმები, ერთმანეთში იერთოდა და გამაღვიძებლად უდგებოდა.

ოთარი ბავშვებში ხშირად ავადმყოფობდა, უმეტესად გრიპით, რასაც თითქმის ყოველთვის გრანდების წამოხივება და ანგინა ერთვოდა თან. ოპერაციის გაცემების და ცურვება და მძღვონაობის სექციებში მცვადიერების დაწეების შემდგომ, იმგითად თუ გახდებოდა აუადავადმყოფობა, მართალია, დიდხანს არ გრძობდებოდა, მაგრამ ორი-სამი დღეც კი საქმისათვის იყო, განსაკუთრებით სტუდენტობის შემდგომი პერიოდში და მოყოლებულია, რომ მოთმანება დაეკარგა — ავადმყოფობისთვის სად მცვადილია — და საწოლიდან ამდგარიყო. მართალია არ ეცვლა, არც მაშინ (შეწყვეტდა მოთმარების ან წერილის გახატვადებლად მაგიდას მიუჭდებსოდა ხალხში) და არც ახლა; გუშინდელ გადაწყვეტილებას აქ სისრულეში ვერ მოიყვანდა, განცხადების ტექსტი კი, უნდოდა, აუცილებლად შეედგინა. ასანქარებელი თითქოს არაფერი იყო, მაგრამ წვერის ბანძილზე გამოიშუშავებული ჩვევა — როცა მუშაობდა, ყოველდღეურად ერთ გვერდს მინაც უნდა დაეწერა — ეწყოდა იქათენს. პირად ცხოვრებაშიაც ამ პრინციპით ზედმეტვანებლობდა: სადღესო საქმის — სადღესთვის გადადება არ უყვარდა. ადგა და ჩაეცვა. ვადიერლის აბი, როგორც ყოველთვის ნაახუნებზე, პროფილაქტიკისთვის ენის ქვეშ აპოიდო, პირი ელექტრონაპარსით გაიპარსა და ტუალეტში გავიდა დასაბანად. უკან რომ უბრუნდებოდა, მაგიდაზე მაშინ შეამჩინა ოთხდა ლოცვადი ქაღალდი, მისი სახელი რომ ეწერა, ადგა და გაშალა.

„მკვდარვით გქმინა, ბიჭო, ვერაფრით ვერ ჩავადვი სუღლი!“ — წააკითხა ოთარმა — წულის დასხნა მინდოდა, მაგრამ შემებრაღე. კავშირმა

სამთვიან შემოქმედებით მიგვიწვიაში გამგზავნა. მე ერთი ვთხოვე, იმით კი სამი მომცინა.. ლექსების ახალ ციკლს ვწერ ხალხთა მეგობრობაზე და აქეთაც ამიტომ წამოვღედი. თბილისში რომ დავბრუნდები, მერე ბაშე წავად, ჩემი ნება არ არის? შენი ვაგონის განუღებულმა მითხრა, აქ რომ ხარ. ვამხარადა. შეტყვევ ვაგონში ვარ, როცა მოსულიერდები, გამოდი. კუბეში ორნი ვართ. მე და ერთი უმწველი. მშვენივრად წერს, ამავე დროს ღვინის ქარხანაში მუშაობს, შენი სიამოვნის, (სულ მათვეყვება, ულოლი სიამოვნის...) ბიძაჩემის კლდეგა, თუცა მას არ იცნობს. სხვადასხვა მარკის კონიკი და ღვინოები ბლომად აქვს წამოღებული, უელადე ვართ პურმარხილში, არც სხვარამ გვაკლია!.. შენი ვაგონმა აინტერესებს. ერთი სიტუვით, გელოდებით. რომან ნინიძე.“

ოთარს ირონიულად გავღვიძა... რომანმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა მეგობრა და ოთარის დამოკიდებულებად ბოლო წლებში, მაგრამ მასთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია კლდეგადლობის მიმანერებით. ოთარს არ გასპირებია გამოცნო, რა კლდეგადლობაც აწუხებდა ამ პაციენცივარე კაცს — ელოდა, წერილს დამიწერსო და ამიტომაც ელაჭუტებოდა.

„თავის სტაქიაშია.. ახალი მებოტე, ჩვეულებიხამერ, გამგზავნ-გამომგზავნადაც რომ იყენებს ალბათ, პურ-მარხილი, ქაღები, ნახაბზევზეც კი სამი ოთხი ლექსას ზედაზელ გამოცნობა... ერთ წიგნს ნაღდალ აქ დაწერა, მეორეს კი, ალბათ იქ, ბაშე რამ ჩავა.. აქ ეგინებს თბილისში ვერ ვიტანდი და აქ არ გამოჩენებოდა? ავშენდი და ესა!“ — წერილი მომეგზავნა და საყრდელზე დააგდო.

ჩემოდანს ხაწერი ქაღალი ამოიღო, პიჯაკის ჩიბიდან ბურთულიანი კალამი, კუბეს კარი ჩაეკრა და მაგიდას მიუჭდა. სიგარტს ახალედა და ფანჯარაში იცქირებოდა. ივლისის მზე გამეტებით აცხუნებდა და უარესად სრუკავდა ისედე მწირი, დაბეთქილ და ჭჭა სავოიებით მიმოფენილ მიწას. ზოის, გადახრუკული ველს იქით, კასპის ზღვა დაელოდებდა, წყნარი იყო და, შავ ზღვასთან შედარებით, დია ცისფერი გადაპრავდა. ოთარს ამ ეარემოსაგან განსხვავებული სედეები წარმოუდგა, სადღაც ნახაბი ფერწერული ტილო რომ მოაგონა — ლურჯი ზღვა, სუბტროპიკული მცენარერეულით შემოსილი სანაპირო, სილავე. მსატის ქვეშ გაწოლილი ადამიანები... ვერც იმ ბავშვრის გვარი გაიხენა, ვერც ის ადგილი, სურათი რომ ნახა, მაგრამ ტვინი არ უჭყლდებია, ახალ სიგარტს მოუკლია. მერდით მაგიდას მიაწვა და ისეე თავის საფიქრალს დაუბრუნდა. კარგახანს იქდა ახე. არ იცოდა, როგორ დაეწერა განცხადება, გაორებული იყო. ვერ გადაეწყო-

გომდრძი შინუხილი
ზომი რამ ფიქრინი კაცის ცხოვრებლიან

ტა, ფაქტების კონკრეტულად დასახელება სჯობდა თუ ზოგადი ინფორმაციით უნდა დაეკმაყოფილებულიყო და, საერთოდ, ეს ფორმა აერჩია. ხან პირველ აზრზე ჩერდებოდა, ხან მეორეზე, ბოლოს მანაც ზოგადი ინფორმაცია ამტკიცებდა და წერას შეუდგა. ვაგონის რუკისაგან ზოგჯერ ხელი გაექცეოდა, მაგრამ ასობის სიღამაზე არ ფიქრობდა, მანაც უნდა გადაეწერა, მთავარი იყო, განცხადება შეეცრა, ძირითადი ამბავისთვის გაეხვა ხაზი, რედაქტორებს კი, თუ საჭირო იქნებოდა, მერე გაუკეთებდა.

წერას რომ მორჩა, განცხადებას ხელი მოაწერა და თარიღი დაუსვა...

საფრთხელზე სიგარეტი ჩამწვარიყო, კუბეში ბოლი და საღებავის სუნი იდგა — ვაგონი ახლგარემოსტებულა იყო. წიდან ვერ გრძნობდა, ახლა კი კინაღამ სული შეეხუთა და ფანჯარა ბოლომდე ჩამოსწია. თავი სტკიოდა, სიციხე მომატებოდა და ტანში აღარ ამტვრევდა. პიჯაკის ჯიბიდან ციტრამონის აბი ამოიღო, წყლის გარეშე ჩაუხა და წამოწვა. კარზე დააკაკუნეს. „ხედა ვინ ჩანდაბაა...“ ისევ დააკაკუნეს.

— ოთარ, წვეხარ?

გამცილებელი იყო. აუდიენციის თავი არ ჰქონდა და ხმა არ გაუცია.

— სად არის, ხომ არ იცით?

— ვერ გეტყვით; საუზმეზე არ უოფილა, აღმათ რესტორანში გავიდა.

იმ ქალიშვილის ხმა არ იყო, გუშინ რომ ტამბურში გაიცილა. ქალს, რომელმაც გამცილებელი უპასუხა, ძლიერი, ოდნავ სრინიანი სოპრანო ჰქონდა და ოთარმა დაასკვნა, შავგვრემანი, გურული კილოთი მოლაპარაკე ვანო ღლონტის დაბალი, უაშფაშა მეთლდე იყო. გვერდით კუბეში იყვნენ და დილით გაღვიძებულით ოთარმა გარკვევით დავალონა მათი ხმა — კროსვორდის ამოსახსენებლად შესაფერის სიტყვებს ეძებდნენ. ქალიშვილი რა შუაში იყო, რამ მომავანაო, გაიფიქრა და მისი სათნო სახე დაუდგა თვალწინ... მიხვდა, დამამშვიდებელი ფერების დანახვა და აუფრსიანი, თბილი ხმის გაგონება სურდა...

თავის ტკივილმა რომ გაუარა, ისევ მაგიდას მიუჭდა, განცხადება აიღო და უხმოდ დაიწყო კითხვა. რაც უნდაო, რაც უნდაო ჰქონდა გამომცემელი. წერდა, რომ ოქაში სისტემატური უსიამოვნება აქვთ, რაც გამოწვეულია იმით, რომ მოპასუხე (ეს და მეორე ტერმინი — მოსარჩელი, ამ შემთხვევაში თვითონ, სახანოთელი პროცენტებიდან დამასახოვრდა, იმ პროცენტებიდან, რომლებსაც ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ სწორად ესწრებოდა ხოლმე, დამანაშვეთა თუ უღანაშულოთა ტრაგედიას უყვარს ორმაღ რომ გაცნობოდა) არავითარ ანგარიშში არ უწევს მას, როგორც მეფელს, უფლაფერს მის საწინააღმდეგოდ აკეთებს, რომ სუფადასხვა, ერთმანეთისათვის შეუთვსებელი შეჩივრებულები აქვთ ოქაზე, რის გამოც მათი ერთად ცხოვრება შეუძლებელია...

განცხადება გადაწერა, ცარიელ ^{საფრთხელზე} ~~საფრთხელზე~~ შუა ჩადო და ჩემოდანში შეინახა კოსილოვის „ბინლიური თქმულებების“ კვეთით. ეს წიგნი იმითმაც წამოაღო, ბიჭს რომ წყეტოხა, და გულმსტკიცებით ამოიღო. ჩემოდანში სხვა წიგნებისც ჰქონდა: სახას „სიტუვის კონა“... თბილისიდან უცვლელი გამოწვრებისას რომ თან მიიქნა და სულ, ერთი დანწუხები პროსპექტის პირე ნაშუაბრი წიგნი და რამდენიმე ახლანდელმა კრებული, წამოსვლის წინა დღეებში რომ შეიყინა. ჩემოდანიდან წიგნები ამოაღა და მაკადის მარჯვენა კუთხეში დააწყო, ოთხი წვერწითელი ფანჯარი (საწერ მაგიდაზე მუდამ ოთხი ფანჯარი ედო) და ბლოკნოტი კი, მარცხენა კუთხეში მოათავსა, საწოლის მხარეს, დამით რომ ღლონიდან აუღვამლად შექცებოდა რამის ჩაწერა. თავის წიგნებს, ავდილ საფეხურებად რომ მიარნდა, თან არ ატარებდა, მათი დაწერილი გამოწვეული სიხარული იდებანს არ გააყოლია, არ დაუტყვევებია, როგორც მამაღიონი მისივე შედეგმა... საკუთარი წიგნების შექცერება და გულის ჯიბით ტარება, სენტიმენტალური ბითურობაო, ფიქრობდა იგი, მწერალი მაშინ იზრდება, თუ მარშან დაწერილ წიგნს, წელს სიბრავედლორეული სათნოებით მოიგონებს.

დანარჩენი ნივთები: პლასტმანის სასაბნე, კბილის ჯაგრის და პასტა, ელექტროსაპარის და სათბებელასათვის პატარა ბოთლი ბენზინი, ადრევე ამოიღო ჩემოდანიდან და ზემოთ, ცარიელ თაროზე იყო ახლა მისერილ-მისერილი. ვაგონი განუწყვეტლედ ირწვოდა და არც უცდია ერთად დღედავებინა, ეს იყო, ბენზინიანი ბოთლი აიღო — არ გაუტყდეს, და მაგიდაზე გადაიშალა. „ბიბლიური თქმულებებს“ რომ დახედა — მაგიდაზე წიგნების დაწყოებისას სულ ზემოთ დაედო — ისევ ტკინა გული, სიმარტოვე და სიცარიელე იგრძნო. ბიჭი აქ რომ უოფილყო, უყვალეფი სავანირად იქნებოდა... ვერ ეპატრონა საკუთარი თავისთვის, მეგის რომ დაუჭერა და არ შეიარა მის წამოსაყვანად...

ბიბლიიდან ეზრას მისია გაახსენდა. ამ სიუჟეტის მიხედვით ერთ დროს ტრაგედიის დაწერას აპირებდა. შინაგანად თითქოს მზად იყო, უნდა შეედგომოდა მუშაობას, მაგრამ სწორედ იმ დღეს, საწერ მაგიდას რომ მიუჭდა და ხელახლა გაიარა უყვალეფი, მიხვდა, რომ მოხუცი იუდეველი სწავლოლის ქველმოქმედებაზე მხატვრული ნაწარმოების შექმნა, ერთადე უსაქტუმი გადაუწყვეტლად, დღევანდელის ეწინააღმდეგის გარეშე, სისულელე იყო, საინტერესო არავისთვის იქნებოდა. პირველ რიგში კი მისთვის... დიდი ხნის წინათ წარმოსახული სურათები აღუდგა მეხსიერებაში, წიგნში აღწერილი ამბებიდან რომ გამოვიდნარტობოდა... იგი ხედავდა ეზრას შეგონებით გაშლემული მუღის დეკრეტიხაგან განაწამებ იუდეველი ქორების მორდევულ სახეებს, იმ ქორებისა, რომლებსაც უცხოედ ცოდებსა და,



შვილებს რომ აშარებდნენ; ხედავდა, როგორ ეცდებოდა საურდენი, როგორ ინგეროდა წლებს მანძილზე რუდუნებითა და სიუვარულით შვილებს ოჯახები, ხედავდა პროტესტის ნიშნად ცეცხლოვდებულ სახლებს და ნაცარტუტად ქმნილ კარმიდანაოებს... ბავშვების ტირილი, დედების წუველა, მამების გოდება ესმოდა...

„იქ უველაფერი ეროვნული მთლიანობის შენარჩუნების სურვილმა ვადაწვევია, აქ კი, ოო, აქ ასლა, იმათ ანტიპოდ ოჯახებში ვაცილებით მძიმე მდგომარეობაა...“ — გაიფიქრა ოთარმა და როგორც სჩვეოდა ხოლმე აზრის შეტარებულად გამოთქმის დროს, წედმეტად სერიოზული სახე მიიღო. „სხვა რა უნდა იფიქრო, როცა ზოგიერთ წმინდანს ოჯახი კი არა, საკუთარი სიდიხს-ნამუსიც ფეხებზე ჰკიდია...“

სიგარეტს მოსუიდა და მკლავებით ისე დეურდნო ზემო თაროებს, როგორც წვრთნის დროს დეურდნობა ხოლმე ორქელს დადილი ტანმოვარჩივ. მატარებელი ჩრდილოეთისაკენ მიჰქარდა. შუის სხივებით ალალაებულნი ზღვა ანლა გაცილებით ანლოს იყო, ვიდრე ამ ორი საათის წინ. ლინდავს ეკვალე მწირნიდაგიანი, ჭუჭა საქვოებით მიმოფენილი სანაპირო ზოლი გასდევდა, თუმცა ზოგჯერ საქმიოდ განიერი, ზღვამდე გაგრძელებული წვრები ჩაიქროლებდნენ ფანჯრის მიღმა.

„ნაღვალური, ძნელად დასამუშავებელი მიწაა, — გაიფიქრა ოთარმა, — იქ მოინდომებს და წვრები ვააშენებს, აქ კი, ჭერჭერობით — ვერა, იქ, წუალი გამოიყვანეს და გაცივებულს მკვლარი მიწა, აქ კი ისე უწყობილია... ცხოვრებაშიაც ასეა... იქ — გაიმარჯვებ, იქ — პირქვე დეცემი, აქ — სახე ხარ, იქ — ცარიელი ან პირიქით...“

ოთარი იმ სამი წლის წინანდელ მისის დამე მოაგონდა, ორ საათზე შინ დაბრუნებულ, კონიკით შექიკიკებულ მეგის — თავი იმით იმართდა, თანაშორისობის დაბადების დღეზე ვიყავი, ვერაფრით ვერ დავრეტყო, — მოთმინებადარგულმა ხილა რომ გააწინა... ალბათ მოვკლავდი კიდევ, ფიქრობდა შემდეგ, სიცხით გათანგულ, შეშინებულ გიგის რომ საწოლიდან თავი არ წამოეყო.

ოთარი იმ დამეს სახლიდან არ წასულა, მაგრამ ცალკე ოთახში გადაბარგდა წიგნებითა და საწერი მავლით და მას მერე ამ ქალთან, მისთვის რომ მტკივნეულ მოგონებად იქცა, ცოლ-ქმრული კავშირი აღარ აღუდგენია. შემდეგ, როცა განვლილ ცხოვრებას თვალს გადაავლებდა, ოჯახური არეულობის მიზეზს საკუთარ თავშიც ეძებდა, საბოლოოდ კი უოველთვის იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ მეგის სიჭიუტემ და თვითნებობამ, მიმბაძველობისა თუ წამხედურობის ნიქმა დააბრუნა ასე უფულად მათი ცხოვრების ბორბალი, რის 'აფუძვლადაც მის ძარღვებში შჩქეფარე შთამომავლობით სისხლს და მშობლების უფურ-

ადებობას თვლიდა. ქალბატონი ნელი და ბატონი რევაზი, ურთიერთუნდობლობის დეკლარაციის გამო, განწუხვებელი კინკლაობით ისე იყვნენ დაკავებული, შვილის აღსაზრდელად ვერ იცლიდნენ, ხან ერთი ვარბოდა სახლიდან ვინებოთა და ლანძვით, ხან მეორე და გოგონა, თითქმის ყველა სცენის მოწმე რომ იყო, ბებუის ანაბარა რჩებოდა. მოხუცი პატროსანი, მშრომელი, მაგრამ ნერვიული ქალი იყო, ქმარი ახალგაზრდობაშივე მოუყვდა და, შვილიშვილის ხასიათის ჩამოყალიბებაზე მანცადამანც დადებითი გავლენა ვერ იქონია. არც მეგი ცდილობდა, მშობლების ხასიათის დამეტარებულად, მათი ზოგერთი ქცევის საბუნელით აღეწარდა საკუთარი თავი, პირიქით, ბევრი ცხოვრებისეული მოვლენისადმი მათსავით წერებდ და ვულგარილ დამოკიდებულებას იჩენდა, რაც შეურვეველ თვალს, მომხიბლავი გარეგნობისა და საქმიოდ დახვეწილ მანერების წყალობით, შეუმჩნეველი რჩებოდა და თავიდანვე ვერც ოთარმა აუღო გეში. მისი გარე-გარე სიარული და სამსახურებიდან შინ სისტემატური დაგვიანებით მოხვლა, საეკვო უოფაქცევის ქალბატონ მეგობრობა და ქმრის შემოქმედებისადმი უინტერესობა (თუმცა იცოდა, სად ან როდის იმეტდებოდა მისი მოთხოვნა ან წერილი და ჰონორარზე თვისებები ჰქონდა დაქაწული, მათ წასაკითხად კი თავს არ იწუხებდა), როგორც ოთარი ფიქრობდა, შინითაც იყო ვაპრობებული, მეუღლის წინაშე საკუთარი თავის დაკარგვის, დაბეჩავების, არარობად ქცევის ქვეშეცნეული შინით, რის გამოც უკიდურესობაში გადავარდნილმა, განსხვავებულმა საშუაროს ძებნა დაიწყო და ამა, იპოვა კიდევ...

პირველ ხანებში ოთარი საყვედურის თქმას ერიდებოდა, მაგრამ ქალმა რომ სადავო უფრო მიუსვა, მანვდა, თვითშეგნების პირინციპზე დეურდნობა შეცდომა იყო და საქმიოდ მკაცრად ექცეოდა. ხშირად კი, საწერი მავლანთან მეუშობაში ვართული ნაკლებად განიცდიდა მის დაგვიანებას სანეროოდ ვერ ამჩნევდა, რასაც მეგი მყისვე თავის სასარგებლოდ იყენებდა — შეიპარებოდა საძილე ოთახში და წევბოდა; თუ ოთარს ეძინა, მის მოხვლაზე გადვიძებოდა და ჰკითხავდა, აქამდე სად იყავი, დასუხის მზად ჰქონდა... ქალის დემილინაფიცი, ალთაფლული სიტყვებით უარესად გაღიზიანებული ოთარი ცდილობდა, წონასწორობა არ დაეკარგა. რადგან ცოლის ხელყოფა მისთვის ერთად ცხოვრების დასასრულს ნიშნავდა, ბოლოს მას მანიც ვერ ასცდა.

მატარებელი გაჩერდა. ელექტროსაზებისა და ლინდაგებას სიმრავლით, რომლებზედაც რიგრიგობით გამწკრივებულიყო მატარებლები

გოლმარტი ბიშვილი
 ზომი რამ შიპრინენ კაცის ცნობრებინან



ცისტერნებიანი და სატვირთო ვაკონებით, ფანჯრისებრი მიბრუნებული ოთარი მიხვდა, რომელიც დიდ სადგურში შესულიყვნენ. ბენინის სუნი ეცა და ძილში გავლილი თუ ფიქრით დავაუყუებული გულის რევა კვლავ განუახლდა. ახლა გაახსენდა, მშვიტი რომ იყო. ბორჯომს დავლევ, რაღაცას შევქვამ და ვამივლდისო, გაიფიქრა, პიჯაკი ჩაიცვა და დერეფანში გავდა სიღვისაგან მუხლები მოსუსტებული. სიგრძელ ეხამოვნა, ღია ფანჯრიდან რომ შემოდიოდა. მოღრუბლული შუადღე იყო, სუსტი ქარი უბერავდა, წედან პიჯაკის ჩაცმა არ უფიქრია, უნებურად, ჩვევის ვაჟო ასწია ხელი ჩამოსაკიდებლისაკენ. როგორი ცხელი დღეც არ უნდა ყოფილიყო, პიჯაკს ყოველთვის თან ატარებდა მკლავზე გადაკიდებულს ან მხარზე მოადებულს, რადგან ფანქარი და ჩანაწერები, სიგარეტთან და ვალიდოლთან ერთად თუ ჭიბებში არ ეწყო, რაღაც აკლდა, თავს ცაში გამოკიდებულად ვგრძნობდა.

პირველი ღიანდაგიდან რომ ელექტრომატარებელი გავიდა, სადგურის შენობა დაინახა. — დერბენტში ვყოფილვართო. ირაკლი აბაშიძის ომისდროინდელი სტრიქონები გაახსენდა... გვერდით ვიდაცამ ჩაუარა და მიესალმა, არც შეუხედავს, ისე უახსუსა სალამზე. კარი რომ გამოაღო, მაშინ მოიხედა უკან და გუშინ გაცნობილ ქალიშვილს მოჰკრა თვალი, თავის კუბეში შედიოდა. გულე დაწვდა, ადრე რომ ვერ შეამჩნია. თითქოს რაღაც უნდოდა ეკითხა, ვერაღარ მოიგონა. მერე დაასვენა, გამოაღარაკება მინდოდა, სხვა არაფერია.

რესტორანი ტურისტებით იყო სავსე. მიმტან ქალებს, ეს ჭრი ნახევარ სათში უნდა გაესტუმრებიათ და ასაკისათვის შეუფერებელი სიციქვითი რომ მოძრაობდნენ, სახეზე ხვითქი ჩამოსდიოდათ. ერთი, სამოცს მიტანებული, მაღალი, გამხდარი დ გრძელცხვირა, სადილის პირველ კერძს არიგებდა, მეორე — შედარებით ახალგაზრდა და მსუქანი, დაცარიელებული ხონჩით სამწარეულოსკენ მიიჩქაროდა. ოთარმა ქალს გზა დაუთმო, ბუფეტთან მივიდა.

— ომ, ეს თქვენა ხართ? გამარჯობათ! — ეკულუცად გაუღიმა ტანიამ. — ხომ კარგად?

— ვმადლობთ. თქვენ როგორ ვაკითხობთ?

— რა მიშავს, დაიწყო ჩვენი ვაწამაწია, ვგრძობლობთ, რამე არ შეგვეშალოს.

— აბა თქვენ იცით!

— შარბანი ხალხია, ყოველ წვირილმანზე დაობენ. წედან, ღიმილნათი ვაკითვავდა, გროხნოში ამოვიტანთ-მეთქი, რომ ვთქვი, ერთი ამბავი დამაწიეს! რა ჩემი ბრალია, რაც მომიცეს, ის წამოვიდეს!..

— არც ბორჯომი გაქვთ?

— ბორჯომი, ახლავე.

ტანიამ მაცივრიდან გამოღებულ ბოთლს საცობი მოხადა და ჰიქასთან ერთად წინ დაუდგა. ოთარმა დაიხსა და დალია.

— დილით იო გეძებდათ, თქვენი „საბჭოთა“ ახლავს. გამოუვინა უნდოდა. არაუშეგონებოდა ახლა კუბეში სიხანავს.

— ზოო?

ოთარს ცივი ბორჯომი ესიამოვნა. ისევ დაიხსა.

— აქ აწუვია. როცა სახაზხოვრა, ამდენ უფლებას არ აძლევს ხოლმე თავს.

— აქ ვითომ, რაო?

— ტურისტული მატარებელია და, ხომ იცით, თავი ქუდში აქვს.

ოთარმა ბოთლი რომ გამოსცალა, კიდევ გაახსენებია, მაგადებს შორის ვაიარა და მეორე სალონიში შეიხედა. ყველა სკამი დაკავებული იყო. უკან გამობრუნებულმა ხელმარტნივ, სარკის მოპირდაპირედ მდგარ მაგიდასთან, სამი ქალი რომ უჭდა, ცარიელი სკამი შეინიშნა. ქალებიხან უფლება აიღო, ბოთლი მაგიდაზე დადგა, სკამი გამოსწია და დაჯდომისას სარკეში ნაცნობი ქალიშვილი დაინახა. ოთარი რომ ნებუფეტეს ელაპარაკებოდა, იგი მაშინ შემობრუნებულიყო რესტორანში, ცულოფანის პარკით ხილული შემოეტანა, წედან რომ წამოღებდა დაფიქრებოდა, და ახლა თანაკუბელებთან ერთად მიხედა ზურგმუცკევით იჭდა. გვერდზე გადავარცხნილ თმაზე წითელწინწკლებიანი ოთხუთხა სამაგრი ეკეთა, შალის ყავისფერი ბლუზი ეცვა, რომელსაც საამოდ ესამივლიდა მარტინის უელსაბამი. მის პირდაპირ ქერა, ჩახუქებული ახალგაზრდა ქალი და ნაწნავებიანი გოგონა იხსდნენ, გვერდით კი, თმანუქუჭა, შავ-გვერდმანი ქალიშვილი უჭდა, რომელსაც მოწყუენილ სახეზე ზოგჯერ ცივი, ნაძალადევი ღიმილი გადაურბენდა, შეუჩვეველი გარემო ან მარტინობის სევდა რომ იწვევს ხოლმე გაუთხოვარ ქალებში... ქერაშიანი ბორჯომს შეეკცეოდა და ხან პაუზებით, ხან საქაოად გრძელი წინადადებებით რაღაცას ყვებოდა. სახეზე ეტყობოდა, მის ნააზრობის იუმორიც ახლდა თან, ვაღიშებისას ტურის კუთხეებში ოქროს კბილები უბრუნდებოდა. ოთარს სიტყვები არ ესმოდა, მაგრამ ხედებოდა, ქალის მონათხრობი მის შვილს — ნაწნავებიან გოგონას შეეხებოდა, დედის იუმორზე რომ ქვეშ-ქვეშ, ეშმაკურად ჩაიციენდა ხოლმე.

ოთარმა ისევ ნაცნობ ქალიშვილს შეხედა. თეფში გვერდზე გაეწია, თავი ოდნავ მარცხნივ გადაენარა და სახეზე სათნოებდაადეენილი ქალს უხმენდა. ოთარი უცებ შეაშფოთა მისმა გამომეტყველებამ. იგი პირველიად არ ხედავდა ამ სახეს, გაცნობისთანავე მოეწონა, მაგრამ მაშინ არც მისი სინაზისთვის და არც სათნოებისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუცევია, ახლა კი, სწორედ ახლა იგრძობ, ახლა მიხვდა, რომ ჩვეულებრივი წარდელი ადამიანის ნიღაბთან არ ჰქონდა საქმე. ეს იყო გრძელწამწამებიანი, თაფლისფერი, უნიავო და უწვიმო აღინიღვით მშვიდი თვალებიდან გამომდევრილი



ნათელი: ოთარს წამით ექვი შეეპარა, ზომ არ მერყენება, ზომ არ ვაზვიადებო, მაგრამ რაც უფრო აკვირდებოდა სარკეში ქალიშვილის სახეს, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ათასობით უაღბლო და მართალი სახეების ფონზე, დღემდე რომ ენახა, ეს რაღაც სხვა იყო, რაღაც ახალი, სიხარულის მომგვრელი, გამომავახიზღებელი და სულის შემძვრელიც კი...

ქალიშვილმა ხმადაბლა გაიცინა და ნაწნავებიან გოგონას სიუვარულით შეავლო თვალი, მერე მზერა სარკეზე გადაიტანა, იგრძნო, იქიდან ვიღაც უცქეროდა. ოთარის თვალებს წააწყდა და ალაღად, მორცხვად გაუღიმა. ოთარსაც უნდოდა ღიმილის შეგებება, მაგრამ ვერ მოასწრო, ქალიშვილმა თავი ისევ მიაბრუნა ქრათმიანი ქალისაკენ, რომელმაც თხრობა ამ სიტუვებით დაამთავრა: ასე იყო ღიკუნასი და მამამისის შარშან ვოლგაზე მოგზაურობის ამბავი.

ვიო. ქალმა, — ლარისა ერქვა, წარმოშობით ლონელი, თბილისში იყო დაბადებული და...

მიმტანმა ქალებმა თეფშები ალაგეს და სადილის მეორე კერძის ჩამორიგება დაიწყეს... ოთარმა კარტოფილის პიურესა და საქონლის ხორცის შემწვარ ნაჭერს ბოჩქოში დააუოლა. გული უკვე აღარ ერეოდა. გახალისებულს, სიგარეტის მოწვევა მოუწინა, ადგა და გასასვლელისაკენ გაემართა. ქალიშვილმა სარკეში გააუოლა თვალი, ოთარმა იგრძნო, მივიხედავო, გაიფიქრა, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან ეს იგივე იქნებოდა, ხმამაღლა ეთქვა, რატომ მიცქერიათ.

დასასრული იქნება



ტრამვიანი აღარ გაჰყვამა ლიანდაგს

გამოიღვიძა ერთ დილას კაცმა
 რაღაც არეულ ხასიათზე, არეულ ფიქრზე...
 ცოლი უკვე წასული იყო სამსახურში.
 ბავშვებს ეძინათ.

არ აუღია ჰანტელები და ესპანდერი,
 არ შეუხედავს მაცივარში,
 არ ჩამდგარა რძის რიგში,
 ხურდა არ აუჩხრიალებია გაზეთების კიოსკთან,
 მაგიდაზე არ დაუტოვებია ნახევრადბრძანების

ტექსტი:

— შვილო, მათემატიკა დაწერე,
 მერე მუსიკა იმეცადინე,
 აბა, შენ იცი, ჭკვიანად იყავი!..
 არც წვერი გაუპარსავს,
 არც ფეხსაცმელი გაუპრიალებია,
 არც კარაქიან პურს და ჩაის მისჯდომია,
 არ უბრძოლია ადგილისთვის ტროლეიბუსში
 და სამსახურში წასვლის მაგიერ
 სხვაგან წავიდა... —

ტრამვიანი ასცდა თავის ლიანდაგს.
 ცარიელი იყო მისი სკამი სამსახურში,
 არ ჩხრიალებდა ჩოთქი,
 არ ხრიალებდა „ფელიქსი“...
 ცარიელი იყო ლოგინი, —
 ფიქრებზე — ხორკლიან რკინებზე
 აღარავინ იწვა.

ათი დღის შემდეგ წერილი მოვიდა:
 მამა-პაპათა ნაფუძარს დავუბრუნდი,
 აქ ერთ პატარა ქოხს ვაშენებ,
 ხეხილს დავრგავ, ძროხას ვიყოლებ,
 მანდაურ ჰაერს ვერ ვიტან და. აქ ვიცხოვრებო...
 გოცმბულნი იყვნენ მეზობლები, ნათესავეები,

მეგობრები

— კაცმა ქალაქში ცხოვრება მოიწყო და ახლა რამ
 გადარიაო.

... მხოლოდ ცარიელმა ლოგინმა იცოდა
 რამ გადარია,
 მაგრამ ის დუმდა, დუმდა და დუმდა...
 ტრამვიანი აღარ გაჰყვამა ლიანდაგს,
 ის ირმად იქცა და მშობლიურ ტყეში წავიდა.

ეს ღამე თითქოს დირიჟაბლია,
ჩემი გავლილი ცხოვრებით სავსე.
აქაა ჩემი იმედი და ჩემი ოცნება,
ჩემი არაგვი, ჩემი მთები და ბურსაჭირი...
ჩემი ბავშვობა, ჩემი სიყრმე და სიჭაბუკე,
ჩემი როლები, გავლილ გზებზე რაც ვითამაშე,
როლები, სადაც გავაბნეე სისხლი და სუნთქვა,
სადაც ნამდვილი გულისცემა და ხმა დავკარგე,
როგორც არაგვმა სარწყავ არხში გადაგდებულმა.
რომ ვინმემ მკითხოს: — სად მიხვალო?
ვერ ვუპასუხებ.
რომ ვინმემ მკითხოს: — რას ეძებო?
ვერ ვუპასუხებ.
მივეხეტები, მივსრიალებ, მივფრინავ სადღაც.
... მაგრამ რომ მკითხონ: — რა გტკივაო? —
ვიცი პასუხი:
— მე უფესვეზოდ მოგლეჯილი სხეული მტკივა.

მთვარე ცაში უნდა იყოს

ნეტავ, სადაა ის სიყვარული.
არ გადმოვიდა სიზმრებიდან,
არ იქცა ქალად,
თეთრმა მთამ ნისლი არა და არ გადაიყარა.
წრთხელ თითქოს მისი ხმა გავიგონე,
თითქოს გაშლილ თმებსაც მოვკარი თვალი,
თითქოს სურნელიც ვიგრძენი მისი...
მაგრამ თურმე მდინარის ხმა იყო,
თურმე ქარებმა მზის სხივები ააფრიალეს,
თურმე იმ სურნელს ია აფრქვევდა...
ნეტავ სადაა ის სიყვარული?
ნეტავ სადაა ის სიყვარული??
ნეტავ სადაა ის სიყვარული???
ვინ იცის, იქნებ არც შეიძლება
მასთან შეხვედრა,
იქნებ სიზმრებში
და დაუვინყარ სიმღერებში რჩება მუდმივად?! —
არ შეიძლება მთვარე ქუჩებში დადიოდეს —
... ვინმემ რომ ჭუჭყიანი ხელები მოხვიოს
ან მანქანებმა შეაშხეფონ ტალახი
ან მეგზოვის ცოცხს ემსხვერპლოს
ან ვინმემ დაჭაობებული თვალეებით შეხედოს...
მთვარე აუცილებლად ცაში უნდა იყოს.

ბავშვები ფოტოსახელოსნოს სარეკლამო დაფაზე:
ილიმებიან,

იციინიან,

ქუჩაში გამვლელთ ხელებს უქნევებ,

შემკრთალ სახეზე აყვავებული ცრემლები მოჩანს,

როგორც ცირცელი შემოდგომის ტყეებში...

ერთი ყვავილებს რწყავს,

მეორეს ტანკი უჭირავს,

მესამეს პეპელა ახატია კაბაზე...

ბავშვები ყვავილებია,

მაგრამ რისი ყვავილებია?

მოცარტიც იყო ერთ დროს ყვავილი და ჰიტლერიც!

თაგორიც იყო ერთ დროს ყვავილი და რიპენტროპიც!

ამ ყვავილებში რა ნაყოფი ჩაინასკვება?

აი, ისტორია —

სიყვარულისა და სიკეთის,

მარადიული წინსვლის ისტორია.

მაგრამ ხომ არსებობს მეორე ისტორიაც —

სისხლის მორევში გაზრდილი ქედი.

ახლა შევყურებ ამ ბავშვებს და ვფიქრობ:

ესენიც ირმის ნუკრები და მგლის ლეკვებია?

რომელი დაწერს ახალ „მთვარის სონატას“?

რომელი გახდება სისხლიანი დიქტატორი?

რომელი შეებრძოლება კიბოს?

რომლის ხელში იელვებს მკვლელის დანა?

ესენიც ირმის ნუკრები და მგლის ლეკვებია?

ესენიც ირმის ნუკრები და მგლის ლეკვებია??

ესენიც ირმის ნუკრები და მგლის ლეკვებია???

ესენიც მოჰკლავენ და ამათაც მოჰკლავენ?

ესენიც დაიმონებენ და ამათაც დაიმონებენ?

ესენიც უღალატებენ და ამათაც უღალატებენ?..

ნუთუ

ეს წყალი ქვესკნელშივე მოწამლულია?

ნუთუ

გაფილტვრა და განმენდა არ შეიძლება?..

რამდენმა თქვა და არ გაუგონეს!

რამდენმა თქვა და არ გაუგონეს!!

რამდენმა თქვა და არ გაუგონეს!!!

გავიმეოროთ კიდევ ერთხელ:

უნდა ვიბრძოლოთ

ჩვენსავე გულში ჩასანგრებულ მტრის გასაყვანად,

ჩვენსავე ტვინში ჩაბუდებულ მგლის მოსაკლავად.

ოცი წელია ამ მდინარის ნაპირზე ვცხოვრობ,
ოცი წელია ერთად ვართ და ერთად მივყვებით
დღესა და ღამეს —
ქამთასვლის ამ ორად ორ ვაგონს.

... მე მართო ვიყავ,

ერთადერთი ის მყავდა მაშინ,

ვისაც ვუყვარდი,

ვისაც ჩემი იმედი ჰქონდა.

ხან დანმენდილი წყალი იყო, კენჭები ჩანდა —

მაშინ გულღია, გულუბრყვილო ბავშვს ჰგავდა იგი.

ერთად ვხვდებოდით გაზაფხულზე მოფრენილ

მერცხლებს

და ერთი მთვარე გვინათებდა გულს ღამლამობით.

ხან იმღვრეოდა, ირეოდა, იგრაგნებოდა

და ვგრძნობდი, რაღაც არ მოსწონდა და აცოფებდა...

ერთად დავიტირეთ ერთი საერთო მეგობარი —

შხამადქცეული სიყვარულით მოკლული ბიჭი...

მაშინ პირველად მივუშვი გულთან

ფიქრი: აქ, სადღაც ძალიან ახლოს

დაბორიანობს სიკვდილი და თვალს არ გვაშორებს...

ჩემი სიყვარულიც ამ ტალღებშია ჩანწული —

მთვარიან ღამეებში ახლაც ბრწყინავს ქალის ყვითელი
თმები

და გვიან, როცა ყველა იძინებს, ჩურჩულიც ისმის...

მარადიულია ამ მდინარის მეხსიერება,

ბევრი გულისტკენა მარხია ამ ჭალებში,

ბევრი შხამიანი გველი გასრიალდა ამ რიყეებში...

ზოგჯერ მეგონა

— არავის არ ვუყვარვარ...

ზოგჯერ მეგონა

— არავინ არ მიყვარს...

ზოგჯერ მეგონა

— ველარ ავიტან...

მე არ ვაჭარბებ, რომანტიკოსივით გულს არ აფყვები,

მე ეს მდინარე მშველოდა მაშინ —

არ ვიცი როგორ, მაგრამ მშველოდა

შრიალით, დგაფუნით, დუღუნით,

შორეული მთებიდან მოტახილი ლოცვით,

შორეული ისტორიიდან მოტახილი შეძახილით.

ოცი წელია ამ მდინარის ნაპირზე ვცხოვრობ

დღეს გავბედე და პირველად ვთქვი:

— ჩემი მშობლიური მდინარე...

ისმის გაზაფხულის პირველი ქუხილი,
 ელოდებიან გუგულს და მერცხალს.
 თოვლმა უბიდან ამოუშვა ნაკადულები —
 კვდება და ახალ სიცოცხლედ ჩნდება...

გარდაიცვალა ბიჭურ ბადრიშვილი —
 შუაფხოელი თავხევისბერი,
 ჭკუით და გულით სხვაზე მაღალი,
 „ღვთის ნების გამომთქმელი“...
 ჩაანვინეს ხის ყუთში,
 თავით დაუდგეს დოქი და სანთელი,
 კიდევე ერთხელ თქვეს:
 — ეჰ, რა არი კაცის სიცოცხლე...
 და ჩაატირეს:
 — შენც დაგრივა ხელი სიკვდილმა?!

ისმის გაზაფხულის პირველი ქუხილი,
 ელოდებიან გუგულს და მერცხალს,
 თოვლმა უბიდან ამოუშვა ნაკადულები,
 კვდება და ახალ სიცოცხლედ ჩნდება.
 დნება ბიჭურიც — იმისი სული
 მომავლისაკენ ლურჯ არხებად მიემართება,
 რომ ტყეები და მინდვრები მორწყოს,
 რომ ფშავის ხევის მარადიულ წყლებს შეუერთდეს.



სამშობლო

მე მხოლოდ შენით,
 მხოლოდ შენით,
 ვარ უმდიდრესი მდიდართა შორის.
 მე მხოლოდ შენგან,
 მხოლოდ შენგან,
 ვიცი რა არის ცისფერი ზეცა,
 თეთრი მტრედები
 და მოშრიალე ხასხასა ნერგი
 შენ ამიხილე,
 შენ ამიხილე საოცნებოდ ორთავე
 თვალი

და შემაყვარე
 მშობლიური „ნანინა-ნანა“.
 შენ მზარდე,
 შენვე მაძლევ
 მზის მცხუნვარე სხივთა მარგალიტს.
 შენვე გამითხრი
 უკვე ვალმოხდილს
 ჩემს მშობელ მიწას,
 და ისევ შენვე დამაბრუნებ
 ვაზად გარდაქმნილს.

ერთხელ,
 ბავშვობაში —
 ცაში ავტყორცნე ოცნება ჩემი,
 და შა,
 მას შემდეგ

ველი ოცნებას,
 როდის მეწვევა
 კვლავ აქ —
 მიწაზე.

გულები...

„რა დაგიბალოთ უგულონი ღიღხანს
 ცოცხლობენ“.

შ. ნიშინიანიძე.

მოაწყვეს ერთხელ, ერთ ქალაქში,
 ძალზედ უცნაური გამოფენა,
 არც ნახატები და არც ქანდაკება
 არ ყოფილა თურმე დარბაზში.
 კედლებზე ეკიდა
 ადამიანთა მფეთქავი გულები.
 კარეგნულად ურთიერთმსგავსნი,
 ვით წყლის წვეთები,
 და რას მალავდნენ შიგნით გულები,
 ეს ღმერთმა უწყის.
 გამვლელები აუჩქარებლად და
 მასლაათით

ავლებდნენ მზერას გამოფენის
ერთფეროვნებას.

ექიმთა ჯგუფი — პროფესორის
მეთაურობით
განმეორებით აკვირდება პარკუჭთა
წყობას.

ცოცხალი გულის სიგრძე-სიგანეს
მხატვარი ფანქრით ხატავს
ფურცელზე.
მეცნიერების წარმოგზავნილი
ფეთქვის სიხშირეს ნუსხავს
ფორმულით...

იღება კარი.
შემოდის ბავშვი თეთრი მიხაკით.
მივიდა გულთან, დაადო ხელი,
მიუღალერსა, მიუგდო ყური...

იღგა დუმილით...
შეპყურებს ყველა.
ლაპალუპით ჩამოსდის ცრემლი.
ცრემლმა დანამა მიხაკი თეთრი,
და უცებ მოხდა სასწაული,
იმ გულს, კედელზე ჩამოკიდებულს.
მიეკრა ბავშვის პატარა გული.

— რა მოხდა ნეტა! —
უკვირდა ყველას,
და მოიმარჯვეს კალმები უმალ:
— მეცნიერებას არ ახსოვს ჯერაც
ბავშვი გადაიქცეს პატარა გულად
.....
ისინი დიდხანს მსჯელობდნენ,
ნერდნენ...
ორი გული კი ფეთქავდა
ჩუმად.





ალო, ნაცარქეჩია!..

უთვალავ ზარად ჩამოსხმულა მთელი სამყარო,
ჟღარუნობენ ეჭვნები, ჩუმად, სალამურა!
ვილაც მოაბიჯებს ბავშვობის მინდვრებიდან,
ვილაც მოტანტალებს მუხლგადაყვლეფილი.
ანცი და შავტუხა,
ეზოში იყეფება ერთგული მურია, გახედე,
სალამურა!.. —
ო, ჩემო, საყვარელო, ზღაპრების გმირებო,
რომელ კუნძულზე დაივანეთ,
რომელ ვარსკვლავეთზე,..
იქნებ ავტომობილის ფარებს მოჰყვებით
საუკუნეებადქცეულნი,
ჩუმად, სალამურა!
დევები ხორხოცობენ ალოობაზე, ამნეები იგრძელებენ
კისერს,
ტყემლები წკარუნობენ იდაყვგაგლეჯილი
მინდვრებიდან,
ვილაც გვირეკავს შორეული კოსმოსიდან,
— ალო, ნაცარქეჩია!..

სხვისი

მთელი ცხოვრება ასე მიდის.
არ მინდა, მაგრამ ასე ხდება.
უნებურად, უმიზეზოდ და... მაინც ხდება —
მშია და სხვის პურს შევექცევი,
მწყურია და სხვის წყაროს ვენაფები,
შველა მჭირდება და სხვის ხელს ვებჯინები,
მოფერება მინდა და სხვის სიყვარულს ვეპოტინები.
ყველგან მიბღვერენ და ქურდიაო ზურგს უკან
ჩურჩულებენ.
მე კი გულგატეხილი დავცქერი საკუთარ ხელისგულზე
გახაზულ ისრებს და
ნადვლიანად ვემკითხავები:
ნუთუ ეს არის ყველაფერი, რაც სხვამ წაიღო?!





50

ზურაბ კუხიანიძე

50

სულ ასე ჭაბუკურად

მისი ლექსები ქართულ პრესაში 1951 წლიდან იბეჭდება. ხოლო პირველი კრებული ცნობილი ქართველი მწერლის კ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით 1958 წელს გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“. მას მოჰყვა წიგნები: „ბროწეულების ცეცხლი“, „ათინათი“, „როგორც ცერზე მიმინო“, „გულისცემა“, „იქ, ამერიკის მობარბაცე ცათამბჯენებთან“, „როცა სისხლ ლაპარაკობს“, ქართული საბჭოთა პოეზიის ბიბლიოთეკით გამოცემული რჩეული ლექსების კრებული... ამჟამად ზ. კუხიანიძე ოცამდე წიგნის ავტორია.

ნიუიორმა პოეტმა პირველივე წიგნებიდან მიიქცია ქართველი მკითხველისა და ლიტერატურული კრიტიკის ყურადღება: თავიდანვე ჯეროვნად აღინიშნა მისი პოეზიის სინედლე, თვითმყობადობა და ორიგინალობა, პატრიოტული ლირიკის სიღრმე და სისადავე.

ზურაბ კუხიანიძე ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო ლიტერატურაში, მის მიერ შექმნილ ლექსებისა და მოთხრობების წიგნებს „როგორ ვნახეთ გაზაფხული“, „რიონის პირას“, „წყალწითელა“, „მატილელი შავლეგო“, „კალიების კარნავალი“, „გარსკვლავებზე მონადირენი“ სიყვარულითა და დიდი ინტერესით კითხულობს ჩვენი ნორჩი და ახალგაზრდა თაობა.

ზ. კუხიანიძე ხშირადაა შემოქმედებით მივლინებებში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ამის შედეგად მის მიერ შექმნილი ნარკვევები მურმან-სვისა და კამაზის მშენებლობებზე, სოციალისტური შრომის გმირებზე, გამოირჩევა აქტუალობითა და მაღალმატერაულობით.

ზ. კუხიანიძე ჩვენი ჟურნალის აქტიური ავტორია. პირველი პოეტური ნაწარმოებების შემდეგ, მისი ლექსები, მოთხრობები, მხატვრული ნარკვევები სისტემატურად იბეჭდება „ცისკრის“ ფურცლებზე.

ზ. კუხიანიძე ამჟამად გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ქუთაისის ფილიალის ხელმძღვანელია და თავდადებით ემსახურება ქართული წიგნის გამოცემის საქმეს.

ეურნალ „ცისკრის“ რედაქცია, მის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად, ულოცავს ზურაბ კუხიანიძეს დაბადების ორმოცდამეათე წლისთავს და უსურვებს კიდევ 50 წლის შემდეგ ყოფილიყო ასეთი ენერგიული, ქაბუჯურად შემართებული და ლექსდაუშრეტელი, როგორც დღესაც.

არა ერთი გზენიერი ხაზი

აბაძის ქუთაისში ჭიუტად ჩარჩენილ-ჩასანგრებელი, — ჩვენს „მეორე დედაქალაქში“, როგორც ქუთათურები იტყვიან, — „სატახტოს“ პოეზიასთან იქიდან მოპაექრე და ხმის შემაწევარი... ჩაფსკენილი, კერკეტი, ათას საზოგადო საქმეში ჩაბმული და ამავე დროს ლაღი და თავისუფალი, მიხვილ-გონიერი და ხალისიანი, ძვირფასი ქუთათური პურისა და მარილის მასპინძელი — ასეთია ჩვენი ნიჭიერი პოეტი და ჩვენი საიმედო მეგობარი, ზურაბ კუხიანიძე...

დაბადების 50 წლისთავი მიიწვინა მიველოცო ჩვენს ზურაბს. ხელთა მაქვს პოეტური სინდის-ნამუსით განმსჭვალული, „ქართული საბჭოთა პოეზიის ბიბლიოთეკის“ ხაზით გამოცემული მისი „რჩეული“; „მანანა“ და „ტვიბერის ვიწრო ბილიკებით, ცისფერ მულახში...“ „სახურავები ღამით“ და „თვლები მისთვის მომცა გამჩენმა...“ „ხოშეკა“ და „ოქტომბერი იმერეთში“... ვფურცლავ კაცის ცხოვრებას, ცხოვრების მთელს მინაპოვარს და, ჩვეულებისამებრ, ვუხსენებ იუბილარს საუკეთესო ლექსებს, როგორც ერთადერთ საზომს და გამართლებას პოეტის ცხოვრებისას...

...იყო უზადო პენელობა, იყო ლაურა,
იყო ღვთიური ბეატრიჩე, იყო ლელი;
ბევრმა ღამაზმა დღენიაზე გაიხმაურა
და თან დატოვა ბევრის გული დაღდაჩენილი

ზოგი ჩაუქრობ ტრფიალებით თვითონ იწვოდა,
ზოგმა ტრფობის წილ განუწონა ბევრ ვაჟს ლახვარი...
იყო კრიმპილდი, იყო ვისი, იყო იზოლდა —
სხვადასხვა ქვეყნის ათასგვარი მზეთუნახავი.

ღამაზ ქალისთვის რაინდები იხდიდნენ ოპებს,
მისთვის ასულან უშმაზე და აიღამაზე...
უნდ ერთგულება, ერთგულება მითხარი, თორემ
ახლაც ბევრია ქვეყანაზე ქალი ღამაზი...

ორი ასპექტი აქვს ჭეშმარიტი პოეზიის ფაქტს: დახვეწილი სიტყვა და პოეზიის საგნის უმცდარობა. რაგინდ დახვეწილი სიტყვით არ შეუმოსავთ აზრი, თუ საგნის არჩევანი მცდარი ყოფილა, პოეზია არ შემდგარა. ზურაბის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გულის კარნახს მიჰყოლია და, კიდევაც ამიტომ, არ შეშლია პოეზიის საგანი. ქართველი კაცის ადამიანური ვნებებით ფეთქავს მისი წრფელი გული ამ ოცდაათი წლის მანძილზე, რისი შედეგიც არა ერთი მშვენიერი ხატი გახლავთ.

ჩაყუჩებულხარ ნექტარნასვამი,
საბანს ამშვენებს შენი ხელები,
ტუჩზე ღიმი ხტის თავუნასავით,
ფეთქავს სიცოცხლე დაუძლეველი...

სულით და გულით ვულოცავ ზურაბ კუხიანიძეს დაბადების ორმოცდაათ წლისთავს, ათას წარმატებას ვუსურვებ ჩვენს საყვარელ და თავადაც მოსიყვარულე მეგობარს.

გურამ ლეზანიძე

ქარვია. როსა...

ძმარო ზურაბ!

ნაგონდება გაზაფხულზე ტალღებაგორებული რიონი და მისი დაძვერებით ათრთოლებული, თეთრი ხიდი. მენატრება იებით მოხასხასე ბაგრატის ტაძრის ეზო, სადაც ლექსების კითხვაში ბევრჯერ დავვიღამებია; მახსენდება აჯამეთის ტყის დასაწყისში მიყუყული პატარა რკინიგზის სადგური, სადაც ბუღბუღების გალობის მოსმენისას თავს დავგვთენებია.

ვიყავით პოეზიის ცეცხლით ანთებული ჭაბუკები და ერთმანეთს აღსარებასავით ვანდობდით ჯერ კიდევ მელანშეუმშრალ ლექსებს.

ერთად გვიოცნებია პირველი წიგნის გამოცემა-გამომზეურებაზე, დღეს, ქუთაისში, შენ თვითონ განაგებ ამ საშვილიშვილო საქმეს და სხვებს ანიჭებ პირველი წიგნის განუმეორებელ სიხარულს. დღეს შენ თვითონ აცოცხლებ აღრეწასული პოეტების ფერფლწყარო ლექსებს, სათუთად კინძვ მათ... და მზის სინათლეზე გამოგყავს, როგორც დიდი ხნით სიბნელეში დამწყვდეული ფრინველი.

შენ მუდამ საკაიკაცოდ ხარ შემართული, ლექსებს სულის საგზალივით დაატარებ და მათ დაცვარულ სტრიქონებში ქართული მიწის ფეთქვა მესმის. ხოხბის ფრთებივით მოხატულ ჩვენს ზეცას ვხედავ.

შენ ლექსს ერთი ამოსუნთქვით სწერ, მეგობრების სადღეგრძელოს სულ-მოუთქმელად სვამ, ორმოცდაათი წელიც სულსწრაფად მოგდგომია კარს.

დაგელოცოს შემოაქმედებითი წვით განვლილი ნახევარი საუკუნის შაგაზა, კიდევ უფრო შორს გაენავარდოს შენს ალაღმართალ სტრიქონებს. აკი თვითონ გითქვამს: „...ხოლო ლექსისთვის უკეთესია, რაც შორს წავა და არ დაბრუნდება“...

ღმერთმა გიმრავლოს შინმოუსვლელი ლექსები, მაკრამ ჩემთვის — შენი უტყუარი მეგობრისთვის, ყველაზე უფრო... „კარგია, როცა ჩავივლის ვინმე და შენს სტრიქონებს ჩაიღიღინებს“...

იცოცხლე, მრავალქამიერ!

ოთარ მამფორია.

პოეტი

ალამიანის სახე — სულის სარკეაო, ამბობენ.

ჩემი მეგობრის, ალაღმართალი ქართველი პოეტის. ზურაბ კუხიანიძის

სახე მუდამ კეთილი ღიმილისა და თანაგრძნობის ცრემლის გამოსახატავად არის გაჩენილი.

იმეიათად ხდება, რომ ადამიანის პიროვნება და მისი მშობლიური ქალაქი ისე ჰგავდნენ და შეეფერებოდნენ ერთმანეთს, როგორც ზურაბ კუხიანიძე ჰგავს და შეეფერება ჩვენს შეუღარებელ, სათაყვანო ქართულ ქალაქს — ქუთაისს! „ქუთაისელობა“ კი ყოველთვის საუკეთესო ატესტაცია იყო ქართველი პოეტებისთვის და ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება.

„დიდსულოვანიო“. — მინდოდა მეთქვა ზურაბ კუხიანიძეზე, მაგრამ მის სულს სიტყვა „ხელგაშლილი“ უფრო შეშვენის. ხელგაშლილია ბატონი ზურაბი თავის ცხოვრებაში და შემოქმედებაშიც — მუდამ სიკეთის მქადაგებელი, ხან ვაჟკაცურად შემართული, ხან კი ღირსეულად დანაღვლიანებული...

მე მიყვარს ზურაბ კუხიანიძის ლექსები პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მათში მის პიროვნებას — მთელი ქვეყნის, მთელი კაცობრიობის ბედ-იღბალზე ჩაფიქრებულ ქართველ კაცს ვხედავ!

...ზურაბ კუხიანიძეს 50 წელი შეუსრულდა!
მის სახეს ამის გამო ისევ ღიმილი გადაჰყვანია, მაგრამ სევდაც ჩასწოვლია თვალებში.

რა ჩქარა გავიდა წლები!..
ეჰ, ჩემო ზურაბ, ალბათ შენ თვითონაც არ გჯერა, რომ ნახევარი საუკუნისა გახდი, რადგან ვერასოდეს ვერ ამჩნევდი ეამთასვლის დინებას, რადგან, შენი თქმისა არ იყოს, —

ჩემი სული საქართველოს
აჩქარებულ სუნთქვაშია!

მე მინდა ეს „აჩქარებული სუნთქვა საქართველოსი“, — ისე ომახიანად და ნაზად რომ ისმის შენს ლექსებში — არა მარტო ჩვენში, შორს, ძლიერ შორს კავკასიონის მიღმა და იმის იქითაც გაიგონონ ადამიანებმა!

გიხევილ კვლივიძე

ზურაბ კუხიანიძე

იხვივით...

ორმოცდაათი —
ნახანძრალი ორმოცდაათი...
არ დამიღანდავს
აქლემ-აქლემ წლების ტაატი —
შემომეფლანგა
თითქოს ხუთჯერ ათი საათი,
ხან უხილაეთან,
ხან ხილულთან სჯა-მასლაათით.

ორმოცდაათი
რომ დასკუბდეს მხარზე მესკია,

კაცი გახდება
ქედმოხრილი მათი ვასალი...
ყველა წელს თვის წილ
მკერდის ღიბო დაუკენკია,
ხან სიხარულიც
გაუღია წყალობასავით.

ორმოცდაათჯერ
დახერილი გული ღალატით,
მიწყვი ჩვენი მზის
გაღიმებას განუკურნია...

ორმოცდაათი,
გაფრენილი ორმოცდაათი,
ბრონეულივით
ვახლეჩილი საუკუნეა.

ისევ და ისევ,
ან, დაღმართის დასასრულამდე,
ორმოცდაათჯერ
საქართველოს მინას ვემთხვევი;
მის აჩქარებულ
გულისცემას დავაყურადებ,
სულს მოვიბრუნებ
მოშრიალე მისი ვერხვები.

სუნთქვა ეკუთვნის
საქართველოს ზეცას ხომლიანს,

ძარღვებში მისი
ბრონეულთა მიჩქევს ბინული;
უმისოდ ქვეყნად
ერთი დღეც კი არ მიცხოვრია
და მის კედლებში
ზურაბივით ვარ ჩაკირული.

ორმოცდაათჯერ
კიდეც წელი ორმოცდაათი,
არსთა გამრიგემ
რომ მაჩუქოს წვად და სიკეთით, —
გავენთებოდი
საქართველოს მთიდან ბარამდე
და წლებს მის გზებზე
იუბივით დავარიგებდი.

ხმა საკვირველი

თუ დაგვხვდეს
ხანჯლის გამომპირველი —
მკლავო,
შენ მკლავო,
იყავ პირველი.

თუ გაგვიფრინდეს
ლურჯი ფრინველი —
მუხლო,
შენ მუხლო,
იყავ პირველი.

თუ გვსურს
ვიხილოთ
უცხო ხილვები —
თვალო,
შენ თვალო,
იყავ პირველი.

თუ გვსურს
ვისმინოთ
ხმა საკვირველი —
ყურო,
შენ ყურო,
იყავ პირველი.

თუ სიმართლისთვის
ვინვით,
ვიღვეით —
ენავ,
შენ ენავ,
იყავ პირველი.

თუ სიყვარული
თრთოლვით
მიგველის,
სულო,
შენ სულო,
იყავ პირველი.

თუ გვსურს
მოვთოკოთ წყალვარდნილები —
აზრო,
შენ აზრო,
იყავ პირველი.

თუ დუდილია
მაჭრისმიერი —
სისხლო,
შენ სისხლო,
იყავ პირველი.

თუ მსხვერპლად
გვიხმობს
მინა ივერის —
შენ,
თავო ჩემო,
იყავ პირველი.

ჩვენზე ცივ დანას
თუ ვინმე ლესავს —
გულო,
შენ გულო,
უპირველესად.

ქარმა ქალის ყრუ ქვითინით გადმოლახა
ბორცვები და მოეხვია ხეს;
უქვითინოდ არ შეეძლო, მაგრამ რალა,
რალა ჩემი დაბადების დღეს.

უცებ მოსწყდა ცას ვარსკვლავი (ნეტავ ვისი?),
ვით კურცხალი ჩაძინებულ ღმერთს;
ამ დღეს უნდა მომწყდარიყო... დედავ, ისიც —
რალა ჩემი დაბადების დღეს.

გალიიდან გამიფრინდა რუხი ღალღა,
თავი მისცა ჭაობსა და ტყეს...
ხვალ-ზეგ ასე მოხდებოდა, მაგრამ რალა, —
რალა ჩემი დაბადების დღეს.

ცას ღრუბელი გადეფარა, აღმა-დაღმა
ინრიალა, ჩრდილი დაჰკრა მზეს;
სექტემბერმა ასე იცის, მაგრამ რალა,
რალა ჩემი დაბადების დღეს.

მომარიდა თვალი, როგორც ურჩმა ბაღღმა,
მოეფარა ფლატესა და ღრეს...
ცალი წარბი მითამაშებს, მაგრამ რალა
რალა ჩემი დაბადების დღეს.

ყრუ სიმღერა წამოიწყეს კვნესით საღღაც,
გულში სული შეუბერეს ღველფს..
დოქშიც ღვინო გამითავდა, მაგრამ რალა
რალა ჩემი დაბადების დღეს.



წიგნის წარმართი

მეტი უფლებები წლის კური

„წმირ ჩემი სიკვდილი შორს იყო, სიცოცხლე მინდოდა“, — წერდა გურამ რჩეულიშვილი 1959 წელს ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხრობაში — „მე ასეა ოცდახუთი წლია ვარ“. ეს სულისშემძვრელი, საოცრად მძიმე სიტყვები დაღუპვამდე ერთი წლით ადრე დაწერა.

გურამ რჩეულიშვილი სიცოცხლეხვით დაღალდა დადიოდა ამ ქვეყანაზე. მისი ხანმოკლე ცხოვრება ძიებით, მიხწრაფვებით და მოძრაობით იყო ავსილი. უშიშარი, პირდაპირი. კეთილშობილი, ვაჟკაცური ყველა მის გარშემო მყოფზე დიდ გავლენას ახდენდა. მეგობრულად განაწყობდა. ძნელია კიდევ შეხვედრე ისეთი მრავალმხრივი, ძლიერი და დახვეწილი ბუნების პატრონს, როგორც გურამ რჩეულიშვილი იყო.

მან ძალზე ცოტა ხანს იცხოვრა, ცოტა ხანს უცქირა კაშაჟა მზეს და ამწვანებულ მიწებზე, ყველაფერ იმას, რაც ასე უყვარდა, შთაგონებით ავსებდა.

ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე უტყუარი ტალანტით დაჭილდოებულმა, ადრე დაბრძენებულმა ჰაბუქმა ბევრი რამის გაკეთება მოასწრო და კაცურ სახელთან ერთად მიადგინა იმას, რომ თავისი ღამაში, წარუშლელი კვალი დატოვა მდლიარი ტრადიციების მქონე ქართული მწერლობის ისტორიაში, თაობის საყვარელ მწერლად და რომანტიკულად ამაღლებულ პიროვნებად იქცა.

დღეს საქართველოში ალბათ იშვიათია ალა-

მანი, რომ არ იცნობდეს გურამ რჩეულიშვილის მაღალი ოსტატობით შესრულებულ ნაწარმოებებს. ფართო საზოგადოებამ გულით მიიღო და სამუდამოდ შეიყვარა მისი კეთილშობილური სიღარბისლით, დიდი ნიჭითა და განუზომელი სიყვარულით ავსილი ქმნილებები, მრავალი თბილი სტრუქტურული მიქცევა მის ხალხს, ძარღვიან, უაღრესად თვითმყოფად შემოქმედებას.

ამ წიგნის წერიხას მიზნად არ დამისახავს მეც კრიტიკოსის თვლით განმეხილა გურამის ნაწარმოებები. უბრალოდ, გადავწყვიტე, მწერლობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხთან ერთად უშუალოდ გურამზე მელაპარაკა, გამეხსენებინა მეგობრების წრეში მის გვერდით გატარებული დღეები, სტუდენტობის დაუვიწყარი წლები, შემოქმედების მძაფრი დასაწყისი, ნაწარმოებებში გადმოცემული მართალი განცდები, შთაგონებული ცხოვრების ზოგიერთი, ახლა უკვე ყველასათვის საყურადღებო ფურცლები.

მწერლის რთულ ცხოვრებასთან შეკიდება დასაწყისიდანვე კარგი და იმედიანი იყო. 1956 წლის ზაფხულში მითხრა, რომ უკვე ბევრი მოთხრობა მქონდა დაწერილი და რომელიღაც კონკურსში სურდა მონაწილეობის მიღება.

ერთ დღეს შინ მიმიატიყა, ლარსის ქუჩაზე, ნოველები წამოკითხა. აღტაცებული ვიყავი მისი ღრმა აზროვნებით, გადმოცემის მანერით და წერის ორიგინალური სტილით. ბავშვივით მიხაროდა ქემშარიტი მწერლის დაბადება.

ეს იყო განგების ძალით უკვე მწერლად მოვლენილი გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისი, რასაც, სამწუხაროდ, სულ ოთხი წლის არსებობა ეწერა.

ათორღე თვის შემდეგ ჩემს მიერ წაკითხული მოთხრობებიდან ხუთი გამოქვეყნდა ფურცელად „ცისკრის“ ფურცლებზე და როგორც ცნობილია, ერთბაშად დააინტერესა მკითხველი საზოგადოება.

გურამის სისხლსავე ცხოვრებიდან დღეს უკვე ბევრი რამეა გასახსენებელი და ეს გახსენება, უდავოდ, საინტერესო იქნება, რადგან ჩვენს მკითხველს ყოველთვის აინტერესებდა და აინტერესებს მართალი სიტყვა გურამ რჩეულიშვილზე, სიტყვა შემოქმედზე...

პირველ ხანებში ძალზე ძნელი იყო გურამ რჩეულიშვილზე საჯაროდ ლაპარაკი და წერაც, მაგრამ მისი მოულოდნელი დაღუპვიდან რამდენიმე წლის მერე, როდესაც მძიმე ტრაგიკული კაცული ტკივილი ოდნავ მაინც შენედა, ზოგიერთი უახლოესი მეგობარი დაერწმუნდით, რომ საქირო კი არა, თითქმის აუცილებელი იყო ამ ბრწყინვალე ახალგაზრდა მწერალზე წერა.

ყველაფერი მიღის, იცვლება, ბევრი რამ დავიწყებას ეძლევა. გურამთან გატარებული მჩქეფარე დღეებიდან უკვე მრავალი წელი გავიდა — საუკუნის მეტოქეზე მეტი. ბევრი რამ თავისთავად დაიფარა კამათა სრბოლის ბურუსით, ბუნდოვანი გახდა და ზოგჯერ მათ, სადაც სულია თუ ტვინის უხილავ შრეებში მისუთული, გაცრეცილი ფრესკებისვით კირდებით აღდგენა.

შესანიშნავად წერდა გამოჩენილი ქართველი პოეტი ირაკლი აბაშიძე ლექსში „მომიანი წლები მისხაგონარი“, როდესაც გარდასული წლების დავიწყებისა და ბევრი აღამიანური ვნების აღსახსრულის გრძნობას აღწერდა:

მათ კედლებს დასცემს;
მათ ჰერს დასცემს ბრმად და უგულოდ,
მათ ფესვებს დათხრის,
ძირებს დათხრის მისი ხელები;
წავა ის წლები,
სულ უკვალოდ, სულ საუკუნოდ,
ის ჩვენი თეთრი ღამეები, ის სიმღერები...
ვინ, ვინ მიაგნებს
იმ სურათებს რაგინდრაფერებს;
ვინ, ვინ მიაკვლევს,
იმ სატკივარს ვინდა მოარჩენს;
ვინდა დაადგენს იმ სიყვარულს,
იმ აღმადგენებს;
ვინ გათხრის იმ წლებს
იმ ღამეებს ვინ აღმოაჩენს.

ძალზე თბილი, შთამბეჭდავი და ჩამაფიქრებელი სტრუქტურა. რამდენი საინტერესო დღე

მოითხოვს გადარჩენას, რამდენი პოეტური დამე შეიძლება აცდეს მარადიულ წყვილაღმე ჩაფლობას, რამდენი საყურადღებო ფაქტი შეიძლება გახდეს სხვისთვისაც ხელმისაწვდომი, რათა ზოგაერთი ლიტერატურული თუ ცხოვრებასეული მოვლენა კიდევ უფრო ნათელი და გასაგები იყო. ამგვარმა ფაქტებმაც განსაზღვრეს ჩემს მიერ გურამ რჩეულიშვილზე წინამდებარე წიგნის დაწერა.

ეს თავისთავად განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ გურამის ცხოვრება საოცრად იდენტურა იყო მისივე ნაწარმოებებისა. ძალზე სახამოვნოა ის ფაქტი, რომ მისი უხინჯო, ვაჟკაცური სწრაფეთა და დაულოკებელი ლტოლვით ავსილი სიცოცხლე ბედნიერად შეერწყა მისსავე უდიდესი ძალისა და პოეტისის მქონე შემოქმედებას.

მაგრამ ეს დიდი იმედების გამაღვივებელი ცხოვრება მოულოდნელად შეწყდა. 26 წელი მას 1960 წლის 4 ივლისს შეუსრულდა, თვეწინაბერის შემდეგ კი, იმავე წლის 28 ავისტოს, ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა.

მისი ხანმოკლე სიცოცხლე საუკეთესო თვისებებით იყო განათებული. ხშირად მითქვამს ხოლმე და ახლაც ვიმეორებ, რომ ძნელია ერთ ადამიანში, მით უმეტეს სრულიად ახალგაზრდაში, ასე ბარმონიულად შეერწყას ყველა ის მაღალი თვისება, რაც გურამს ახასიათებდა.

გურამ რჩეულიშვილი დიდ მწერლად შინაგანი და გარეგანი ძალების წყალობით ყალიბდებოდა. როგორც პიროვნებას, მას თავიდანვე საუხურო მონაცემები გააჩნდა ყოფილიყო თვალსაჩინო და გამოჩენილი, ძალუდი აყოფილი მიწის გარეშე გამოველინებინა თავისი ვეება ბუნებრივი ტალანტი ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების თუ სპორტის სფეროში. იგი ისეთი კატეგორიის ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც არ შეუძლიათ იდგნენ ჩრდილში, იყვნენ შეუმჩნეველი. იცხოვრონ ჩვეულებრივი მოკვდავის, შეიძლება ერთი შეხედვით ძალზე ტპილი და უდრტივნიველი, მაგრამ სინამდვილეში უფრო უდიდესი, არაფრის მომტანი ცხოვრებით. ის თავიდანვე, დასაწყისიდანვე იტევდა თავის ბუნებაში სიმადლებს, შემართებას და საკუთარი ნიჭით, ბეჭობით, ვაჟკაცობით გამარჯვების გარდუვალობას.

ფიქრისა და მოგონებისა ყოველთვის ასეთად მჭრევენება ხოლმე გურამის მიერ გამოვლილი ხანმოკლე ცხოვრების გზა, რომელიც ახლა ოცდაათი, ოცდახუთი, ოცი წლის წინანდელი ამბების გახსენებით მაფორიაქებს.

შორიდან ნაცნობობა და ერთგვარი თვალყურის დევნება ადრე დაიწყო. ეს იყო ომის შემდგომი თბილისის განუშეორებელი წლები. მა-

ნუშპარ წამართელი
მე ახლაც იცვლება მდგომარეობა

შინ არც აძლენი სკოლა იყო და, ბუნებრივია, არც მოსწავლეთა ამხელა რიცხვი. ასე თუ ისე, ჩვენი ტოლების შესახებ ის მაინც ვიცოდით, ვინ რომელ სკოლაში სწავლობდა.

მაშინ თბილისის სხვადასხვა რაიონებისა და სკოლების მოსწავლეთა გამაერთიანებელ, თავსურის საყვარელ ადგილებს წარმოადგენდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სახალმე, მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრი, რუსთაველისა და პლექსანოვის პრისპექტზე მდებარე კინოთეატრები. ეს ალბათ ახლაც ასეა, მაგრამ მაშინ რაღაც უფრო მეტი სითბო და სიახლოვე იგრძნობოდა.

მე სახალმეში ქართული ენისა და ლიტერატურის წრეში დავდიოდი. სახალმე მაშინ ძალზე შორს გვეჩვენებოდა და მშობლებიც ყოველთვის როლი გვიშვებდნენ ხოლმე მეცადინეობებზე, განსაკუთრებით საღამოობით, კიდევ უფრო მეტად კი ზამთრის პირქულ, მოწყენილ დღეებში, როცა 5-8 საათზე უკვე ბნელოდა და თუ მშობელს არ ეცალა, ჭერ კიდევ გაუნათებელ ქუჩებში სიარული ვერაფერი სასიამოვნო იყო.

ალბათ ამიტომ უფრო მიზიდავდა შინ ჯდომა და მოცემული რეფერატების წერა, რამდენჯერმე ჩემი ბავშვური ნაშრომებისთვის საქებარი რეცენზიები დავიმსახურე, წიგნივე მივიღე სამახსოვრო წარწერებით და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მიმანდა, რომ ლიტერატურის წრე ყველაზე საბატიო და საინტერესო იყო.

გურამ ჩრეულიშვილი და მისი მეგობრები ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრეში დადიოდნენ. მეცხრე კლასს ვამთავრებდით, როდესაც გავიგე, რომ ამ წრის წევრები ექსკურსიაზე ხევსურეთში მიმავდით. ექსკურსია, თუ არ ვცდები, მთელი კვირით ხევსურეთში ყოფნის ითვისწინებდა. იყო ერთი მზადება და ფაქოფუცა, წრის წევრებს გადაჰქონდათ ალმინისტებისათვის განკუთვნილი საჭურველი, ეზიდებოდნენ კარვებსა და ჭურგანთებს.

მთელს ამ მოფუსფუსე ახალგაზრდობაში როგორცდ გამოირჩეოდა გურამ ჩრეულიშვილი. მას ან ყველაზე მეტი ტვირთი გადაჰქონდა, ან ყველაზე მეტს მიდი-მოდიოდა, უკან დასდევდნენ ბიჭები და ყველას რაღაც დაჯილბუხს აძლევდა, ფართო ბეჭებს უკვე თავმოწონდნენ დაარბხვდა და ხუჭუჭთმიანი თვაი ამყავდ ექვართ.

ჩვენ ვიცოდით, რომ იგი პლექსანოვიდან, კერძოდ, მეცხრამეტე სკოლიდან იყო, ზოგაერთები ამბობდნენ, სიორტის ყველა სახეობაში ერთნაირად გამოდის და ტოლი არ ჰყავსო, ქილაობა-სა და კრავიში მთელ სახალმეში ვერაინ მოკრევა, ისეთი დონის პატარონიაო. მისი სპორტული აღნაგობა ჭერ კიდევ ფერმკრთალ და ბეჭებჩამოყრილ ბიჭებს დიდი პატივისცემით გვაჯახებდა.

მაშინ კი მართლს დამწყედა გული და ჩვენი ლიტერატურული წრეც არ მომეჩვენა ისე უბა-

ღლოდ, როცა ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის წევრები დიდს ზარეიმით გაემგზავრნენ ხევსურეთისკენ, ჩვენ კი თბილისში დავრჩით და ჭერჭერობით მსგავსი ექსკურსია თუ ალბინადა ჩვენთვის შორეულ მომავალშიც არ იყო გათვალისწინებული.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლებზეც ვხედავდით ხოლმე გურამ ჩრეულიშვილს. მას ყოველთვის ახლდნენ ამხანაგები — ჭაფუჭურად მოპყვებოდნენ.

ეს ჭაფუჭური სიარული, საერთოდ, მაშინ მოდდა იყო ქცეული. ჩვენ, მეშვიდე ვაჟთა სკოლელები ერთად დავდიოდით, მეექვსე ვაჟთა თუ მეექვსე ქალთა სკოლელები — ერთად, პირველი ან მეცხრამეტე სკოლელები — ერთად, რკინიგზის მეშვიდე თუ ცდამესამე სკოლის მოსწავლეები — ერთად. ჩამოთვლილი სკოლები თითქოს სხვებზე უფრო მეტად ცნობილი იყვნენ თბილისში და ყველა ჩვენთაგანს ეამაყებოდა საკუთარი სკოლის ღირსებისა და სახელის დაცვა.

სკოლას ანდა კლასს ჰყავდა თავისი ცოტად თუ ბევრად „ცნობილი“ პიროვნებები. მათ ხან ყლჩებს ეძახდნენ, ხან უდავანებს, ხან ჭილებს. ასე კი, უბრალოდ ჩხუბისთავები და ზედმეტად მკლაყინწები იყვნენ. მწელი იყო მერვე-მეცხრე კლასი მწერლობით, ხელოვნებით, მეცნიერებით თუ სპორტით თავის გამოჩენა, ბიჭებს კი ეს თავის გამოჩენა მეტისმეტად სურდათ. გავ მომწვევად დადიოდნენ ეს პატარა, უმწიფარი, სასაცილო შესხედაობის ბიჭები და ქვეყანა თავისი ეკონათ, განსაკუთრებით იბღნებოდნენ გოგონების დანახვისას და ვითომცდა ვუტყავური საქციელთ ცდილობდნენ მათი ყურადღების დამსახურებას. ეს პატარა მოჩხუბრები და წვრილი დებოშიორები მოზარდ მაყურებელთა თეატრსაც იყვნენ შერეულები. სპექტაკლებზე ნაკლებად დადიოდნენ, კართან აიტულებოდნენ ხელშეხვეულები ან თავშეხვეულები, ვითომ დიდი ჩხუბსა და შერკენებას იყვნენ გადარჩენილები. ბევრ ჩვენგანს ერთდებოდა ამ ვაუბატონების და ვცილობდით და კარგად ვყოფილიყავით მითთან, ან საერთოდ აგვერიდებინა თავი.

მეათე კლასში უკვე საკმაოდ მოწიფებულებს, რუსთაველისა თუ მარჯანიშვილის თეატრებში მაინც იშვიათად გვიშვებდნენ, მოზარდ მაყურებელთა თეატრი კი ყველაზე ახლოს იყო და მშობლებსაც თვალთ მისკენ ექვართ.

ზამთრის ერთი ცვიი და მოდუშული საღამო იყო, როგორცდ ხშირად იცის ხოლმე თბილისში თებერვლის დადგომისას. ქუჩებში ჭერ კიდევ იდო თოვლი და ძალზე სუსხიანი ქარიც უბერავდა. შედამებულში სპექტაკლი დამთავრდა, „რომეო და ჯულიეტა“ გადიოდა და, კარგად მახსოვს, ყველას ძალიან მოგვეჩონა, ალბათ იმიტომაც, რომ ამ პერიოდში თვითეულ ჩვენთაგანს ვილაც უყვარდა, ვილაცაზე ოცნებობდა,



ცხადად თუ ფარულად ეტრფოდა და შექსპირის უკვდავი ტრაგედია ცხელსა და გულს გვიფრთხილებდა.

მეშვიდესკოლებმა თავი მოვიყარეთ და საუბრით გართულები ქუჩაში გამოვედით. ჩვენ წინ ახვევ ჭაუჭვად მიდიოდნენ მეცხრამეტესკოლები.

გურამი უკან მიდიოდა, გვერდით მიჰყვებოდა ძალზე დაბალი, გამორჩეულად ტანმორჩილი, შავგვრემანი ბიჭი და მასთან საუბარში იყო გართული. ციოდა, მაგრამ ქული არ ეხურა. ხშირი ხუტუქა თმა შუბლზე ჩამოშლილი, რუხი ფერის მოკლე პალტო ეცვა, კისერზე ღილი შეხსნილი პქონდა და ისე დინჯად მიჰყვებოდა მეგობარს ხელგადახვეული, თითქოს სექტემბრის თბილი საღამო იდგა და ისიც სასიეროდ იყო გამოსულა.

რუსთაველის გამზირზე ქარი ნამქერს ატრიალებდა. ქუჩაში ცოტა ხალხი მიდი-მოდიოდა, მაქანა იშვიათად თუ გაივლიდა, ტრამვაია და ტროლეიბუსს კარგა ხანი უნდოდა ღოდინი.

გასტრონომის წინ, კადართან, სამ მამლაკინწას ორი გოგონა გაეჩერებინა და ნაძალადევი ღიმილით ელაპარაკებოდნენ. გოგონები ძალზე უხერხულად გრძნობდნენ თავს და ვაგაციცებით იხედებოდნენ თეატრის მხრიდან მომავალი ახალგაზრდობისაკენ, თითქოს ნაცნობების გამოჩენას ელოდნენ. გოგონებს არ ვიცნობდით და არც ის ვიცოდით, რომელი სკოლიდან იყვნენ.

გურამი და მისი ლილიპუტა მეგობარი სწორედ ამ დროს გაუსწორდნენ ხის ძირას შეჩერებულ ახალგაზრდებს. ბიჭებს, როგორც ჩანს, გოგონების გაცნობა უნდოდათ ასე თავზედურად და თუმცა ისინი უარზე იყვნენ, მაინც არ ეშვებოდნენ.

გურამმა, ეტყობა, უცებ იგრძნო ეს დაძაბული ვითარება, მყისვე მიატოვა თავისი მეგობარი და შეჭკუფებულებთან თამამი ნაბიჯებით მივიდა. — რაშია საქმე? — რიხიანი ხმით იკითხა. სამი ბიჭიდან ერთ-ერთმა მას ხელიც ჩამოართვა, როგორც ჩანს იცნობდა. ჩვენ ნაბიჯი შევანელებთ და შევჩერდით რალაც გაუგებრის მოლოდინში.

— რა შენი საქმეა. შენ შენ გზაზე გაიარე, — საქმოდ უხეშად უპასუხა შედარებით დაბალმა ბიჭმა, რომელმაც თანამზარაველის ხელის ჩამოართმევაც კი არად ჩააგდო.

— ჩემი ნაცნობები არიან, მეზობლები, — დინჯად უპასუხა გურამმა, რომელსაც უგონებლი იმედიათი თვალთ შესცქეროდნენ და ბიჭების რკალისაგან განთავისუფლებულები მის მხარეს მიყუთულობდნენ.

— შენი ნაცნობები არიან, ჩვენ კი გაცნობა გვინდა, გაიგე! — კვლავ უხეში კილო გაირია ხმაში ბიჭმა, — წადი, სანამ დროა, ჩვენ ამით რაფერს ვაწყენინებთ.

— ერთად წავალთ, — კვლავ დინჯად და დამაჭრებლად უპასუხა გურამმა, — თუ გაცნობა არ უნდათ, ძალაზე ხომ არა ხართ.

— ძალაზე ვართ, ასე გვინდა! — კვლავ უხეშად მიუგო დაბალმა და გურამს მკერდზე საკმაოდ ძლიერად ჭკრა ხელი. გურამი, ეტყობა, ამას არ ელოდა და ოდნავ შეტორტმანდა, იმავე წამში გასწორდა, ორივე ხელი ჩავლო ყვინჩილა ბიჭს ძველი ქრელი ჭუბის საყელიწო და მალა ასწია. ჩვენ დავინახეთ რა უმწეოდ ააფხარკალა ბიჭმა ფეხები მაერში და თითქოს გარტყმის მიზნით ხედები არეულად მოიქნია.

გურამმა დაუსვა ბიჭი, დაშვებისას ბეჭებით შედარებით მსუბუქად ხესაც მიარტყა და უკვე დამაბული ხმით უთხრა: — ჭკვიანად იყავი, თორემ ისე ამოგინაყავ ცხვირ-პირს, გაცნობა კი არა, მეგობრებიც ვეღარ გაცნობენ.

ერთი წამით უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. გურამის მოწინააღმდეგე ბიჭებმა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედეს, ჩვენ, ათი-თორმეტი ბიჭი და ამ წუთში შემომატებული სხვებიც სულ ახლოს ვიყავით მისულები. ეტყობა, იგრძნეს, რომ გაჭირვების შემთხვევაში აუცალიბლად უმცირესობის მხარეს დავიჭვრდით და ხმა აღარ ამოუღიათ.

წავიდეთ, — დინჯად მიმართა გურამმა გოგონებს და ამჟყ, გამარჯვებული გამომეტყველებით გაჰყვა მათ.

შერცხვენილი ბიჭები კი ჩუმად შეტრიალდნენ და პროსპექტის მეორე მხარეს გადავიდნენ. გურამმა გოგონები იქვე ახლოს ტროლეიბუსის გაჩერებასთან მიაცილა. ბედად, ტროლეიბუსიც ჩამოვდა, მან აუშვა გოგონები, დაემშვიდობა, მოუტრიალდა ჩუმად მდგარ და, როგორც ჩანს, შოშისაგან ჭერ კიდევ გაოგნებულ მეგობარს, ხელი ღიმილით გადახვია და ერთად ჩაუყვინნ საქმოდ გასიბულ ელბაქიდის დაღმართს.

რალაც საოცრად კმაყოფილები და გახარებულები ვიყავით, რომ ჩვენი თანატოლი ასე უშიშრად მოიქცა, დაეხმარა გაჭირვებაში ჩავარდნილებს. და ამ მოხუციგნო ბიჭების სულაც არ შეეშინდა.

— ეგ ისეთი ღონიერია, სამივეს გატყუავდა, — თქვა ერთმა ჩვენთაგანმა; — ბოქსზე დაღის უკვე პირველი თანრიგა აქვს, — დაუმდაბა მეორე და სახლისაკენ მიმავლებმა კიდევ დიდხანს ვიკამათეთ და ვიმსჯელებთ ამ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შორიდან თვალყურის დევნება გრძელდებოდა. მე ბევრი რამ ვიცოდი გურამის შესახებ და ძალადა მინდოდა მისი გაცნობა, საერთო მეგობრების წყალობით მანაც იცოდა ზოგი რამ ჩემზე, მაგრამ ალბათ ჭერ კიდევ პატარები ვიყავით

ნუშზარ წარმთელი

მი სხლაც ოცდაამეხსი ფწისს შარ

და მისაღმება-დახლოებისა როგორც გვერი-
დებოდა.

გურამი შშობლებთან, დასთან და ბებიასთან
ერთად ცხოვრობდა რენინგერის ქუჩა №4-ში
მდებარე, სახლში, კალინინისა და რენინგერის
ქუჩის კუთხეში, ეკლესიის პირდაპირ, ეს იყო
სვეტი, ისტორიული სახლი იდელი, ეგრძაღალი
ოთახებით, ფართო აივნით და შესანიშნავი ეზო-
თი.

სწორედ ამ სახლის შესახებ წერდა გურამის
უახლოესი ნათესავი და მეგობარი მწერალი და-
თი, ჭავჭავაძე: „ქართული ლიტერატურის
კლასიკოსი, პოეტი ვახტანგ ორბელიანი, ივანე
ჭავჭავაძის მეთულის, ანასტასია ნიკო-
ლოზის ასულ ორბელიანის მამის მამა იყო. სწო-
რედ მას შეუძენია იმხანად ჭერ კიდევ ქალაქის
გარეუბანში მდგარი ეს სახლი, მაგრამ თავად
აქ ცხოვრება არ დასცალდა და იგი მისი ქალი-
შვილის, მარიამ ვახტანგის ასულ ჭამბაკურ-ო-
რბელიანის პირად საკუთრებაში გადასულა“ („ი-
ვანე ჭავჭავაძის სახლი“, გაზეთი „ლიტერატურ-
ული საქარველო“, 7 იანვარი, 1977 წელი).

ამ ორსართულიან სახლში ცხოვრობდნენ გა-
მოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართული ის-
ტორიოგრაფიის მამამთავარი ივანე ჭავჭავაძე,
ქართული კრიტიკული აზრის ცნობილი ბურჯი
იკტა აბაშიძე, ი. ჭავჭავაძის ძმა პროფესორი
გიორგი ჭავჭავაძე.

როგორც აღვნიშნე, ამავე სახლის პირველ,
დაბალ სართულზე ცხოვრობდა გურამი, ამის
შესახებ დ. ჭავჭავაძე იმავე წერილში წერს:
„და ბოლოს, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ
ამავე სახლში დაბადებული და 1958 წლამდე
მცხოვრები კიდევ ერთი ადამიანი, ივანე ჭავ-
ხაძის დის შვილიშვილი, ქართველი მკით-
ხველსათვის კარგად ცნობილი და საყვარელი
მწერალი გურამ მიხეილის ძე რჩეულიშვილი.
აღარ ვავაგრძელებ სიტყვას იმის შესახებ, თუ
რა ძლიერი და მაცოცხლებელი ნაკადი შემოიქ-
რა — და რა დროულად — 60-იანი წლების
ქართულ მწერლობაში ამ ახალი სახელის გამო-
ჩენით. აღარც ამ მოსაზრების დასაბუთებით
შევაწუხებ მკითხველს, რის უფლებასაც მაძ-
ლევს მწ წლის ქაბუჯის ტრაგიკული დაღუპვის
ილიდან გასული დრო — მწერლის შემოქმედ-
ებისადმი კრიტიკის ობიექტური ინტერესისა და
მკითხველის გულწრფელი საყვარულის შეუნე-
ლებელი ზრდათ აღნიშნული 16 წელიწადი.“

ეს წერილი იწერებოდა 1976 წლის ბოლოს,
როცა გურამის მოულოდელი დაკარგვის დაი-
დან თქვენს მტკანველი წელი იყო გასუ-
ლი. აქვე დავით ჭავჭავაძე, სხვა საკითხებთან
ერთად, სრულიად კანონზომიერად აყენებდა
საკითხს რჩეულიშვილების საცხოვრებელი სახ-
ლის კედელზე გაკეთებულიყო მემორიალური
დაფა.

საკმაო ხანი გავიდა ამ წერილის გამოქვეყნ-
ების შემდეგ.

1978 წლის ოქტომბრის წყნარ კვირადღეს მე
და ჩემი უფროსი შვილი, თხოთმეტი წლის გიგი,
ჩვეულებისამებრ, სახიეროდ გამოვედი თბი-
ლისის ქუჩებში, გადავიარე რუსთაველის პრო-
სპექტი, გავედი კარლ მარქსის მოედანზე,
ძველ ქალაქურ უბნებს შევაველით თვალი და
რენინგერის ქუჩაზე აღმოჩნდით. მე მიხლოდა
შვილისთვის ახლოს მჩვენებინა ის სახლი, სა-
დაც მისი საყვარელი მწერალი და მის ბავშვურ
ოცნებაში რამანტიკულად ამაღლებული გურამ
რჩეულიშვილი ცხოვრობდა.

მაშინ პირველად ვნახე კედელზე გაკრული
ნაცნობი ფორმის საკმაოდ სტანდარტული და-
ფა, რომელიც გამველ-გამომველს აუწყებ-
და, რომ ამ მყუდრო თბილისურ სახლში დაი-
ბადა და ცხრამეტი წლის მანძილზე ცხოვრობდა
ცნობილი ქართველი მწერალი გურამ მიხეილის
ძე რჩეულიშვილი.

მღელვარებისაგან ურუნდელმა დამიარა და
ცრემლიც მომადგა. გამახსენდა, რამდენჯერ ვი-
ყავით აქ ჭერ კიდევ 1958 წლამდე, სტუდენტო-
ბის პირველ წლებში, როგორ უყვარდა გურამს
შინ მეგობრების მიპატიჟება, რაიმეს დაიკუ-
ლებდა თუ არა. გამახსენდა როგორი თბილი,
ზედმწივენი იტელიაგენტური, ქალაქურად სა-
და და სტუმართმოყვარე იყო მისი ოჯახი —
ბებო საშა, დეიდა მარო, ძია მიშა, პატარა მა-
რინე, გამახსენდა და საოცრად მეტიკინა გული
ამ უღვთოდ დანგრეული ცხოვრების გამო.

რენინგერის ქუჩაზე უკვე შემოდგომა იდგა,
ხანდახან შემოფარფატებული ქარი ყვითელ
ფოთლებს აშრიალებდა, სიჩუქ და მიწვენი-
ლობა იყო ირგვლივ გამჩვებული, შორს პატა-
რა ბიჭები ერთმანეთს აყრიდნენ ფოთლებს,
დასაქერად დასდევდნენ და იციონდნენ.

მე გამახსენდა გურამის ცქიკო ნოველიდან
„სიყვარული შემოდგომაზე“, რომელიც „გრძელ
მოწყენილ ქუჩას მიჰყვებოდა ნელი ნაბაჯით...
გაყვითლებული ფოთლები ფეხის დაბიჭებისას
შრიალებდნენ“.

ახლაც ირეოდნენ და შრიალებდნენ მუხ-
ლებამდე შერგროტი ფოთლები, მიხუცი მეე-
ზოვეც ვცადა ტროტუარს, გურამის გმირებიც
დადიოდნენ ირგვლივ, ძველი თბილისური სახ-
ლიც იდგა ძველებურად, მაგრამ აღარ. იყო გუ-
რამი და ამ წყნარი თბილისური შემოდგომის
დარღისმომგვრელი ყვითელი ფერებით ავებ-
ბული ღღეს ეს გაუნელებელი ტკივილი კიდევ
უფრო ძლიერდებოდა.

მაშვიდებდა მხოლოდ იმის შეგრძნება, რომ
გვერდით მომედევდა ჭკვიანი, ფიჭორანი, ამაკი
ბიჭი, რომელიც თავისი შესახედაობითა და
ბუნებით თითქმის ჩვენს მშფოთვარე ახალგაზ-
რლობას განასახიერებდა.

ამ ახალგაზრდობის დაუფიყარი, საუკეთესო

წლები კი, რა თქმა უნდა, მაინც სტუდენტობის წლები იყო.

თვალწინ მიდგას მცხუნვარე მზით ანთებული სექტემბრის ღამაში დილა.

აღრიანად მივაშურე უნივერსიტეტს, უკვე პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი და თავს ამ სახელოვანი ტრადიციული ოჯახის წევრად ვოვლიდი. უნივერსიტეტის ეწო ახალგაზრდებით იყო სავსე, ერთმანეთს ვესალმებოდით, ვულოცავდით.

შეკრებილთ თბილი სიტყვით მოგვმართა უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა ნიკო კეცხოველმა. მას უკვე კარგად ვიცნობდით და ღრმა მოკრძალებით ვუსმენდით. მედლოსნებისაგან გამოცდებში, შეიძლება ითქვას, პირდაპირ მან ჩაიბარა და ჩვენც თბილისის უნივერსიტეტში უშუალოდ მის მიერ მიღებულად ვთვლიდით თავს, ეს კი მართლაც დიდი პატივი იყო, რადგან იგი განუსაზღვრელი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა.

სახელდახელო მიტინგის დამთავრების შემდეგ იმ სართულებს მივაშურეთ, სადაც მდებარეობდა ლექციებისათვის განკუთვნილი აუდიტორიები. ლექციების დაწყებას ჯერ კიდევ ათიოდ წუთი უკლდა, კიბეზე მხიარული, ბედნიერი, მზუნველ დამწევარი და ღმილით სავსე ახალგაზრდობა ამოდიოდა.

მე მეორე სართულის ფოიეში ვიდექი, კლუბის წინ, ძირითად აუდიტორიებში მიმავალი მხარისაკენ და შეუცნობელი მელღვარებით ანთებული, ზედიზედ ვეწეოდი პაპიროსს. ამ დროს ჩემთან მოვიდა სკოლისა და სიყრმის მეგობარი, თანაკურსელი და თანაგუფელი აკი აბაშიძე და გურამ რჩეულიშვილი მოიყვანა, მაშინ ისინი ჩვენს მიერ უკვე ზემოაღწერილ სახლში ცხოვრობდნენ, მეგობრებაც იყვნენ და ნათესავებიც. ერთმანეთს დიდა ხნის უნახავებივით ღმილით ჩამოვართვით ხელი.

უხეში ქსოვილის ჭიბებიანი ხალათი ეცვა, ძალზე ღამაზად ჰქონდა გადატყეცილი ბეჭებზე, გახსნილი საყელიდან მწემოკიდებულ კისერი და მკერდი მოუჩანდა. რაღაც საოცრად გამოირჩეოდა სხვებისაგან ამაყი, ვაჟკაცური შესახედაობით, სახეზე ღმილი და სიკეთე ეხატა.

ყველანი ერთად წვაივით ლექციებზე. იმ წლებში ფილოლოგიის, ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობისა და დასავლეთ ევროპის ფაკულტეტების სტუდენტებს მრავალი საერთო ლექცია გვეკითხებოდა. პირველ და მეორე კურსებზე თითქმის ყოველდღე ან დღეში რამდენჯერმე გვაერთიანებდნენ, ლექციებზეც ერთად ვიყავით, ლექციების შემდეგ კი —სულ განუწყურლად.

ის დღე იყო და ის დღე, მგონი, მას შემდეგ, იმ ავადსახსენებელი ავგისტის პირველ დღეებამდე, ერთმანეთს აღარ დავცილებდით და ერთად დავაბიჯებდით თბილისის ქუჩებში ჩვე-

ნი საყვარელი, მახლობელი მეგობრებით გარშემორტყმულნი.

გურამს მართლაც თავიდანვე ეზარებოდა. ყოველთვის ვილაც ახლდა ან რამდენიმე ბიჭი დაჰყვებოდა. რაღაც საოცარი ალღო თუ ნიჭი ჰქონდა მეგობრების შეკრების, გაცნობისა და დაკავშირების, თითქმის ხარობდა, როცა ბიჭები ერთმანეთს უახლოვებოდნენ, ერთმანეთს ეთვისებოდნენ. ჩემი მეგობრების უმრავლესობა, რომლებთან ერთად საცაო ოცდაათი წელიც იქნება განუყრელად მოვიდვარ, გურამმა გამაცნო. ის იყო ჩვენი მეგობრობის ბურჯიც, დულაბიც, სათავეც, სულიც და გულიც.

ამავე პერიოდში, კერძოდ, 1958 წლის გაზაფხულზე, მოხდა რჩეულიშვილების ოჯახისათვის სასიამოვნო და პირადად ჩემთვის უაღრესად სასიხარულო ფაქტი, მათ ახალი ბინა მიიღეს ვერაზე. პეტრიაშვილის ქუჩის თავში მდებარე ღარის ქუჩაზე. გადასვლის დროს ჩვენც გულმოდგინედ ვესმარებოდით.

ჩემი სიხარული გასაგები იყო: გურამის ახალი ბინა ჩვენი სახლიდან სულ ხუთი წუთის სავალზე მდებარეობდა, ქობულეთის ქუჩიდან მხოლოდ მაშინდელი ჯერ კიდევ მოუწყობელი ვარაზის ხევის გადავლა მჭირდებოდა და პირდაპირ ღარის ქუჩაზე ავდიოდი. მეგობარი მუდამ გვერდით მეყოლებოდა, ამაზე კარგი რა უნდა ყოფილიყო, უკეთესს ვერც ვინატრებდი.

ხშირად სახლში გავუვლიდი ხოლმე. გამოვდიოდი ღარის ქუჩით, ჩამოვუყვებოდი პეტრიაშვილის დაღმართს და მელქიშვილის ქუჩის გავლით მივემართებოდი რუსთაველის პროსპექტისკენ, ჩვენი უახლოესი მეგობრის გურამ რუსთაველის სახლისკენ, რომელიც მაშინ რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში, საკადრაკო კლუბის გვერდით ცნოვრობდა. ამ სახლში მრავალი მეგობრული საათი და საღამო გვაქვს ერთად გატარებული. მაშინ რუსთაველის პროსპექტი ჩვენი თავშესრის ერთ-ერთი საყვარელი ადგილი იყო. გამოყოფილი ტრადიციის მიხედვით, აქ ჯერ კიდევ დასიარობდნენ გალაკტიონს ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ლეო ქიანელი, იოსებ გრიშაშვილი და სხვა სასიქალღულო ადამიანები.

ჩვენთვისაც რუსთაველის პროსპექტი კამათის ადგილი იყო. ხშირად გულათადო საუბრით გართულები ათჯერ-თხუთმეტჯერ მაინც ავივლ-ჩავივლიდით ახმაურებულ გამოჩირზე.

ზოგჯერ დაღლილები ავივლიდით ჩვენს თანაკურსელთან და უახლოეს მეგობარ გურამ გეგეშვილთან. მაშინ ის ლენინის მოედანთან, მანკლის ქუჩის პირველ ნომერში ცხოვრობდა. მშენიერი, თბილი ოჯახი იყო, ყოველთვის

ნუგზარ წარმოთელი
მე ახლაც იცნობა მისი წლისა ვარ

სიხარულით გვხვდებოდნენ. არც მასპინძლობას გვაკლებდნენ. ამიტომაც გვიყვარდა იქ მისვლა.

გურამს ერთ ადგილზე გაჩერება არ შეეძლო, კახეთსა და თელავში ყოფნა უყვარდა, საქართველოს ყველა კუთხე არაერთხელ ფეხითაც ჰქონდა მოვილია. უფრო სწორად თელავში იმყოფებოდა, წარმოშობით სწორედ ამ უძველესი ქართული ქალაქიდან იყო.

მშობლიური კუთხის სილამაზით, შექმნისა და შენების ხაუყუნოვანი ვენებით დამუხტული გურამი შესანიშნავად წერს თავის დიდებულ „ნაღვერლობაში“:

„მთელ ამ უზარმაზარ ველზე არ არის არც ერთი გოჭი, არ არის არც ერთი წირტილი, სადაც აღმაიან წარსულიდან დღემდე არ შექმნას თავისი შრომით მატერიალურად თუ სულიერად ძლიერი და ღირსეული რამ. ტყისპირას გაკონილ, დაუწერელ, ერთად მოვარდნილ სიმფონიასავით იღვრება თვალწინ ძველი ციხეები, მკლესიები, ბურჯები და ამ ეპოქაში ნაშენი ხიდები, სწორი, უეგმიანენი ალენებით“.

თელავის გულში, ნადავარზე, ერთადერთი ხაცხოვრებელი სახლი დავა, ძველებური ნაშენი, ერთსართულიანი კვოთკირის სახლი, სქელი კედლებით, მყუდრო ოთახებით, ბუხრითა და ფართო აივით დამშვენებული. სახლის უკანა ფასადის აივანი სწორედ ალაუნის ველისაკენ გადის და აქედან ისე დამატკეველად ჩანს ალაუნის ველი, როგორც ოქროსანიდან თბილისი.

„ოქროსანიდან ვინც არ დახედავს, იმან არ იცის, რაა თბილისი“ უთქვამს პოეტს და მეც მგონია, ვისაც ნადავარიდან არ დაუხედავს, იმას მთლიანად ვერ შეუგრძენია ალაუნის ველის გაუმეორებელი სილამაზე.

სახლი ნადავარზე რჩეულაშვილებს ეკუთვნოდა, თავის დროზე აქ ცხოვრობდნენ გურამის პაპა დიმიტრი რჩეულიშვილი, ბებო საშა ჭავჭავიძე, გურამის მამა და ბიძები, მამიდა და მამიდაშვილები.

ეს კარმიდამო გურამს უყვარდა, ისევე როგორც უყვარდა ბარაქაინი, მადლიანი კახეთი და თითქოს ცდარობდა ჩვენთვისაც შეეყვარებინა.

უკვე 1952 წლის სექტემბრის ბოლოს შეგვრება თორმეტამდე ამხანაგი და ორი დღე წაგვიყვანა თელავში.

ძალზე თბილად განწყობილი ახალგაზრდული ხაზოგადლება შეიკრება, საკუთარი თუ სხვისი ლექსები კითხვით ვერაუბლოდით. ვეკიბრებოდით ერთმანეთს. თან ულამაზეს შემოგარენს ეცნობოდით. ყველა მოგვხიბლა კახურმა შემოდგომამ. სიამოვნებით ჩამოვუარეთ ქარვას-ფერგადაკრულ ბაღ-ვენახებს, დავათვალიერეთ უძველესი ქალაქი, დავტყობთ ნადიკარის ხედებით. ჩვენმა მასპინძლებმა დემნა და ედიშერ რჩეულიშვილებმა ისეთი გულთბილი შეხვედრა

მოგვიწყეს. რომ ეს მოგზაურობა ჩვენთაგანს დღემდე არ დავიწყებია.

გურამი ღრმად მკაყოფილი იყო, რომ ასე მოგვხიბლა: მისმა მშობლიურმა კუთხემ, ბუნებამ, ალაუნა აღამიანებმა და ხშირად გულიანად გვეპატუებოდა ხოლმე თელავში.

1952 წლის ზაფხულში ბორჯომ-პარკში ვისვენებდი. მენატრებოდა მეგობრები და სიამოვნებით ვფიქრობდი აკვისტოს ბოლო დღეებზე, როდესაც ყველანი ერთად შევიკრებოდით თბილისში.

სწორედ ამ დროს თელავიდან მივიღე წერილი. გურამი მწერდა: „გამარჯობა, ნუგზარ! გწერს და ყველა კარგს გისურვებს შენი ძმა-კაცი ვამბე რჩეულიშვილი. მანდარო ამბებს ვირადგენ. აქ ღვინოა, რომელზედაც აგრე მღერია: „სმა და სმა უნდა ღვინოსაო“. ბიჭები ლოთობენ. მე მოწმე ვარ... შენს ჩამოსვლამდე თავს ვიჭერ! საქმეზე: გელით მოუთმენლად 25 ივლისს, დღით“.

დეპეშა წინასწარ გამოგზავნე, ხინკლის შევეთას მივცემ.

ჩამოდი აუცილებლად. მოგაკითხა თენჯინა, ელმე, დელამ, მარინემ, გულით ქართული გულით... შენი გურამი“.

აქვე მინდა შევნიშნოთ, რომ სახელი ვამბე გურამს ძალიან მოსწონდა. მას ერთ-ერთ ზედმედ სახელად სწორედ ვამბეს ვეძახდით.

მოთხრობაში „ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ“ გურამი წერს: „პატარას ვამბე და ვარკვი. ეს სახელი ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო, ძლიავს ავიხარულე“.

საერთოდ, გურამს ძალზე უყვარდა ძველქართული თუ ისტორიული სახელები: იგივე ვამბეხი, ვუა, მშია, ზვაშაქი, კრავაი. ვახსენეთ თუნდაც აქ მოთხრობის დასასრულად, როდესაც მთავარმა მოქმედმა გიმრამ, პატარა ვამბეხის მომავალმა მამამ. ცოლად შეირთო ანდრონიკაშვილის ასული კრავაი.

ბორჯომში რაღა გამაჩერებდა, 25 ივლისს დილის ცხრა საათზე თელავის სადგურზე ვიყავი. აქ შელოდებოდნენ ჩემ მეგობრები გურამი, ედიშერ, დემნა რჩეულიშვილები, თენჯინა და მიშა ჭავჭავიძეები, გულით გავიხარე თელავისა და მეგობრების ნახვით.

დღესაც ცხადად მახსოვს ალაუნის ველისაკენ გადამდგარი აივანი, სადაც მე და გურამს სწოლები გვიდვა. დილით დეიდა მარო გვასაუწყებდა, შემდეგ მივდიოდით ნადიკავარზე, ქალაქში სახიეროდ: შუადღისას ვისვენებდით, შურნალ-გუგუებსა და წიგნებს ვკითხულობდით.

ხშირად შუაში გვიჭდა და რომელი საინტერესო წიგნს გვიკითხავდა ან ფერაგულიდან გვითარგმნიდა გურამის ბებო. უკვე მოხუცებული და დიდი ჭაფისაგან წელში მოხრილი საშა ჭავჭავიძე, მრავალმხრივად განათლებული და განსწავლული, სათნო და სასიამოვნო



ადამიანი, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის იფანე ჭავჭავაძის დიდი და. ექვი არ არის, შვილიშვილს მანაც თავისებური დეაწლო დასდო და გურამის მოთხრობებს მისი ამგავს ანარქლიც ატყუა.

თელავში დასვენებისას სერიოზოა და უმშვენიერესი ადგილების დათვალიერება არ გვაქვს. მაგრამ გურამს ერთ ადგილზე გაჩერება არ აქაოლოვებდა — ხან წინანდალში ვიყავით, ხან შუამთაში, ხან იუალითსა თუ ალავერდში. რამდენიმე დღით ვწვივით თელავის ახლოს, ცივკომპორის კალთებზე მდებარე სოფელ თეთრწყლესაც, საუკეთესო საგარაკო ადგილს, სადაც ცხოვრობდნენ ჩვენი ხევსური ამხანაგები. ისინი ჩვენთან ერთად სწავლობდნენ უნივერსიტეტში.

ქარგი პატივი გვცეს ხევსურებმა. ნასადილევს ლუდის სახმელად მიგვიპატივეს. ვისხედით მათი სახლიდან ცოტა მოშორებით ხეხილით დაფარულ მწვენი მინდორში. მზე უმოწყალოდ აცხენებდა და ჩვენც ჩრდილში ვიყავით შეუფუფლები. წინ ახლად მოდულვებულ სურნელოვანი ლუდით სავსე დიდი ქაზი ვხედავ, იქვე ყველი, პური და ხორციელი ელავა.

ივსებოდა და იცლებოდა ჩივის გრძელი უხვეები. შიგადაშიგ პატარა თხის უხწით ერთსახადი ალალიც ჩამოივლიდა ხილზე. ამ დროს იქვე-სამაქანო გზის გადაღმა ჩხუბი ატუდა. ცოტა ხანში მოჩხუბრები ქალებმა დააშოშინეს და ახლა მამალაყნებებით კისერდამარტულები ჩუმად უბღვეოდნენ ერთმანეთს. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ჯან-ღონით სავსე ხევსური ვერ გაჩერეს, ის ვიღაცას გაგულსებულები ექანებოდა, საქაოდე მთვრალი იყო და ვეღარ ისვენებდა. ცოტა ხნის შემდეგ მახლობლად მდებარე სახლში შევარდა და აპრიალეზული ხმლის ქნევით გამოვარდა. ხალხი გაშრა, სიწყემე ჩამოვდა, უცებ ქალებმა წიოკობა ატეხეს. თითქოს ამას ელოდოდ, გურამი მარად წამოსტა ფესზე, დაეწია ახალგაზრდას, ხმლის ქნევით რომ ვარბოდა, მოატრიალა და ხელი მაჭამო ჩაავლო. ცოტა ხანს რაღაც ილაპარაკეს, იძივილია და უცებ ხმალი გურამის ხელში აღმოჩნდა, ხევსური კი იქვე ჩაქდა. გურამმა ხმალი მოიტანა და მოხუც ხევსურს ჩააბარა. შემდეგ სასიერწოდ წაყვდით.

სადამო ხანს ცივკომპორის ირმების გადასახედიდან, გაყურებით მზის ჩასვლას, დაბინდების მოლოურჯო-მომწვანო ფერებში გახვეულ კახეთს. აქედან სულ სხვანაირი ეშხით ვავსებ და კი დიდებული კუთხე საქართველოსი, დაუღელავ შრომით წელგამართული კახეთი. მის სიღამაზეში ახალ შტრიხებს ვპოულობდით, ახლებურად შევიგრძნობდით.

„მან არ იცის კახეთი, ვისაც ცივკომპორის ქედზე შემდგარს არ დაუნახავს ალაუნის კალი-

დან ამოვარდნილი ალავერდი...“ (ალავერდი „საბჭოთა ქვეყანა“).

ეს მართლაც დაუფიქარი სანახაობა იყო. შორს პორიზონტთან ლამაზონები მძივებით გახმულად კაფობდნენ. ეს იყო დამეუფი თბილისის სინათლები.

ლაშის ვასათყვად გოგოქურებთან დარჩით. ოთახში ცხელიდა. შეტუთული მარტი იდგა. გურამმა ვერ მოისვენა. გარეთ მოინდომა დაწოდა. სადღაც გამოპრის ფერდაზე. ღრმა და ტუთი დაფარული ხეობის თავზე ვიწქით გურამი. მე და ჩვენი ორი მასპინძელი. არ გვეძინებოდა, შუადამემდე ვსაუბრობდით პოეზიაზე, უფრო მეტად ხალხურ და ხევსურულ პოეზიაზე. მერე, მთის ცივი მარით გამარუბულეებს, დიდხანს გვეძინა ტქილი და ჯანხად ძილით.

მეორე დღეს სერიოზოსას ტუისპირად მოხალხე ცხენებს წავაწვდით. გურამმა შეარჩია ერთ-ერთი მათგანი, უმალ ვადევილო უბელო ცხენს და ვააქენა. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა და უწყალოვლო სახით ჩამოქვითდა.

— ნამდვილი ჯაღლაგია, ვერ დარბის, — თქვა.
— რა, ვააქე, არ მოგეწონა ცხენი? — თითქოს ეწინა ურჩუას, — იქნებ ახალ ვახედნილ გარჩევნის.

— თუგინდ ვაუხედნავი იყოს, მიჩრევნია.
— იქნებ შევეციბროთ კიდევაც!
— შევეციბროთ. მაგას რა სჯობია!
— თუ მომიგებ, პატანი იყოს შენი.
ურჩუა და ბერდა წავიდნენ. ბერდა ჩვენს თანაურსელი იყო, ურჩუა კი მისი ბიძაშვილი. მალე წახლისფრად მზინავი, ტანმორჩილი და შემართული სამი უბელო ხევსურული ცხენი მოიყვანეს, მართლა ნაპერწყლებს ურიდნენ ბრიალა თვალებიდან და ადგილზე ვერ ჩერდებოდნენ.

ერთი შეხედვისთანავე ყველაზე ფიც ულავს მოახტა გურამი, ცხენი იმწუთს უაღუზე შედგა და მხედრის ოდნავი მუხლის შეხებაც საქარისი აღმოჩნდა, რომ ისარივით წინ გავარდნილიყო. მას თავდაპირველად გვერდ-ვერდ მოიყვინენ ბერდა და ურჩუა. ჯერ მინდორს შეუყვინენ ქენებით, კლდოვან გორაკამდე მივიდნენ, შემდეგ მოაბრუნეს ცხენები და ქენებით ვაპოემართნენ ჩვენკენ. ჩვენ ვიდექით ამაღლებულ ადგილზე ღრმა ხრამის პირად. დაბურული სიოების ვალშით უზარმაზარი მწვანე ველი იყო, უფრო ზუსტად, ფერდობი, პატარ-პატარა ბეჭონებითა და ნაკადულებით კალაპოტებით დასერილი.

მხედრებმა ყუიწით ჩააქანეს ცხენები ხევში. გურამი პირველი მიაქროლებდა ცხენს, ასევე პირველმა გადალახა ხევი და შეუყვამწვანე ფერდას, რომელზედაც საქუთარი ხედისგულივით ვხედავდით ყველაფერს.

ნუგზარ წარმთელი
მე ახლაც იცავამეძის წელია ვარ



წინ გავარდნილ გურამს მიჰყვა ურჭუჟა, მერე ბერია. ურჭუჟას სურდა, დასწროდა გურამს და ცხენს არ ზოგავდა. გზის შემოკლებილ მიზნით, ცხენი პატარა ბექობზე გადახატუნა, მაგრამ ეტყობა, ცხენს წინა ფეხები ნაკადულის კალამოტნი ჩაუფარდა, ნახებრად ჩაიმუხლა და დაძაბული მხედარი გვერდით გადავარდა. ცხენი გაიქცა.

გურამი უკვე ფერდობის თავში იყო ასული. მოიხედა, დაინახა უმხედრო ცხენი და უყვლო ფერს მიხვდა. უკან მოაბრუნა თავისი ულაყა და მიმქროლავ ცხენს გამოეკიდა. კარგა ხანს სდია, იწვალა, ბოლოს ფერდობის მარცხნივ შეებარე ტყესთან წამოეწია, მისწვდა ფაფარში, შებლო მოთოვდა და გაქცეულ ცხენს პატაროსს მიჰგვარა. მითხოვნი უყვლო სახეობაში წაგებულ იყო. დარცხვენელმა ურჭუჟამ გურამს ხელი ჩამოართვა, ზემოთ ამოსდისთანავე ცხენდაცხენ წავიდა და კარგა მოზრდილი ბატანი მოიყვანა. სადადმოხანს გურამმა ბატანი დაკლა, ცეცხლიც თავად გაჩაღა და უყვლანი მწვადებზე მიგვიატოქა.

ოდნავადაც არ ვაქარბებ: ბევრჯერ მინახავს ცხენზე მჭიდონი, მოჭირთე მხედარი, მაგრამ იხედაზთანად და ლამაზად ცხენზე ჩდომა და ქენება, როგორც გურამმა იცოდა, გადაქრით შემიძლია ვთქვა, არასოდეს შეხვედრია.

ცხენებისადმი მისი ღტობა ფართოდ იყო ცნობილი. ის თითქოს ცხენთან იყო შეზრდილი. მის უკველ მოძრაობას გრძნობდა. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა ჯიშის თუ ღონის ცხენი იყო. საოცრად გაბედულს, უფრო ფიცხი, უცნობი და გაუხედავყო, თანაც უხელო ცხენები მოსწონდა. ერთის შეხებით გადაეკლბოდა გინდ უნაგირიანს, გინდ უხელო ცხენს, ფართოდ და კუნთებადქცეულ ბექებს ოდნავ გადახრბდა, ძლიერი კისერი და ლამაზი ხვეული თმით დაფარული თავი ამაყად ეჭირა.

ბევრჯერ მინახავს ასე ქარივით მიმქროლავი. უშინარი მხედრის დაუყოლებელი ფინი კარგად მოჩანს მის უზალო მოთხრობებშიც.

გავიხსენოთ ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილი ამ აზრის დამადასტურებლად: „მე ბავშვობიდან ჩირითის ტრფიადი ვარ, ცხენზე ჩდომა და ქენება გაგიფებით მიუყარს...“ („დაღვერობა“).

ეს ალბათ იმის მიზეზიც იყო, რომ გურამს სპარტანულად ზრდიდნენ. მამას იგი სანადიროდ დაჰყავდა და მონადირის სიფთიან ცხოვრებას აჩვევდა. „ამის შემდეგ სულ თოფს ვწმინდლო“.

ერთი ციციქნა ბიჭი იყო, როცა უკვე სახედარს დაჰქენებდა. მოთხრობაში „ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ“ გურამი მისთვის დამახასიათებელი თბილი იუმორით წერს: „იქვე ოცვისწავლე ვერზე ჩირითი. მაშინდელი ჩემი ოცენება ყოფილია, მყოლოდა საკუთარი სახედარი“. იგივე „აღავერობაში“ ძალზე ოსტატურად არის დახატული მხედრისა და ცხენის დამოკიდებულება, ის რაღაც უხილავი, საერო და ძლიერი ვნება, რაც ზოგჯერ აკავშირებს მხედრებს ადამიანსა და ამ ერთგულ ცხოველს: „მოწვევით გაგვარდა მხედარი სიგრილიდან გასურეთი გაგვარდა მხედარი მხედრისაკენ, ფეხდაფეხ აიყოლია ცხენი... გახურდა მხედარი, გასწორდა წამოწეული ცხენი და თვალის დახამხამებაში ორივე ერთს ხეუღლად იქცა“.

„...ტუის კიდედა ღარივით გაწოლილ შარავ გამოვარდება ქვენებით მომავალი მითიულური ცხენი უცნობი მხედრით... ის მოლოდ გახელებულ ქვენებას გრძნობს, გრძნობს, რომ თავს ვეღარ შეტრს გახურებულ ფაშას... ვერ უჭერს თავს გურამი ცხენს და ოზრდება მის ჩახსულაპავად აღავერდი“. აქ უკვე მინდორი თავდება და ხრამი იწყება, ბედისწერასთან თამაშს ეხსება ცხენის ქენება, მთვრალი, გაოგნებული, გაოცებული ხალხი ხედავს, „როგორ ბრჩაიდა ღლიდვით გადაეშვა ცხენი და მხედარი ხრამში“.

მაგრამ შეუძლებელია დიდი ვნებისა თუ ნადვრის შეჩერება, „უხედავი მხედარი, ხრამიდან ამოვარდნილი, მომეტებული ძალით მოაქენებს ცხენს“.

ანდა გაიხსენოთ ეს ქენების, სწრაფისა და არშეჩერების უნი მოთხრობიდან „სიკვილი მთებში“, რასაც ძლიერად განიცდის ახალგაზრდა მწერალი და ჩვენი ასევე განგაცდევინებს: „ვუამ რაღაც სადეკრძოლო თქვა, — რა, არ გამოვიცა (ვაუ) ეს არის გურამის მეგობარი ნიჭიერი ქართველი მწერალი ვუა გიგავილი — ნ. წ.), უაზროდ ვიუტრებოდი ხეცს ვადამ, იქ მასპინძლის ულაყი ება. არხოტში ვერსად ჩავიგდე ცხენი ხელში. არც მიცდა ძალიან, ახლა კი მომიხდა; ვგრძნობდი, როგორ მიპყრობდა ქენების ფინი, ალბათ ცოტა დროდა მჩრბობდა ხეცსურეთში უოფნის და იმიტომ უფრო მომიხდა ქენება“.

ამ დროს უცნობი ხეცსური მოიტანს ამბავს, რომ ცხენიდან გადმოვარდა გერმანელი ქალი და სასიკვდილოდ დაეშვა. ადამიანებს უჭირთ, გურამს რაღაც გაჩერებს უმოძროდ: „მე პირდაპირ გადავახტი უნაგირს. გზა ხევზე მიზნოდა. სახეში ნიავი მირტუამდა, მწვავდა. შუბლი გამიხურდა, ფაშატი მოსლე თოხით გადადიოდა ქვენზე და მე გიყვივთ ამიტაცა ქენებამ... ცხენიდან ჩამოვტეხი, უნაგირი მოვამერ ზურგიდან და იქვე დავაგდე. ახლა უხელოზე გადავჭექი. ძალი მიეცა ფაშატს“...

გურამი სწრაფად მივიდა შემთხვევის ადგილას, მაგრამ უხედურება უკვე მომხდარი იყო. ცოტა ხნის შემდეგ ის ბრუნდება ხალხის მოსაყვანად, უკვე იციხს, რომ ცხენმა იმსხვერპლა ქალი, მაგრამ სულაც არ ეშინია ამ ფაქტის, სიფთხილეს ოდნავადაც არ იჩენს, პირიქით, რაღაც საბედისწეროსა და შეუცნობელის შეცანობად უფრო გამეტებით მიქრის: „...უვაი-



ლები დაკრიფა, თავთან დაუწყო და ცხენს გა-
დააჭადა. ცხენი ღლოღლიანებს შუა მიხტოდა.

„სამ შეიძლება მეც გადავვარდე?!“ — ფიქ-
რობდა გურამი და უფრო მიაქუნებდა ცხენს“.

ახეთი იყო გურამი, არავითარი საშიშროების
წინაშე უკან არ დაიხევდა, სხვისთვის საშიშსა
და მიუღწევებს არ შეეპუებოდა, ზოგჯერ ბეწ-
ვის ხიდზე გავლა ერჩია წუნარ, უველაფერთან
შერაგებულ ცხოვრებას. მისთვის დაბრკოლე-
ბათა გზა იდუმალისა და საიდუმლოს უკეთე-
სად შეცნობის გზა იყო.

იმავე ორმოცდაცამეტე წლის აგვისტოში,
როცა თელავში ვისვენებდით, წინანდლის ალ.
ქავჭავაძის სახლ-მუზეუმის დასათვალისწინებლად
წავადით გურამი, მე, ედიშერ რჩულიაშვილი,
თენგივ ჭაშაშვილი და ორი სხვა თელაველი
ახსანავი.

მუზეუმის, ბაღის, დვინის ქარხნის დათვალა-
ერების შემდეგ ბაღის შემოსასვლელთან მწვან-
ენეზე გაიშალა სუფრა, დალაგდა ჩვენს მიერ
წამოღებული სანოვავე, ტანინიანი კახური
ღვინოც გაჩნდა.

ცოტა ხნის შემდეგ გურამს და მე გვხვდა წი-
ლად წახსულთუავით სახაიდლოში და მიხარე-
ბული ხროცისაგან მომზადებული კერძი მოგ-
ვებდა.

სახაიდლო არც ისე ახლოს იყო, როდესაც
მას მივუახლოვდით, დავინახეთ დიდ მწვანე
მინდორზე საბალახოდ დაბმული საქმოდ კარ-
გი შესახედაობის, მოშავო ფერის ცხენი. ვუ-
რამი აღვლდა, სასტიკად მოუწდა ჭენება. შო-
რიანლო ვენახში მომუშავე გლეხკაცებს ჰკით-
ხა, ცხენი ვისიაო, სახაიდლოშიც გაიკითხა, მა-
გრამ პატრონს ვერ მიაგნო. ცოტას ვაჯაქუნებო,
თითქოს მოიბოდიშა და ცხენს ერთი ხელის და-
კვით მოახტა.

საკმაოდ ფიცხი ცხენი აღმოჩნდა. ტუვიასა-
ვით დაქროდა შარაზე და მხედრის შეძახილისას
მალად ბუჩქებს მოხდენილად ახტებოდა.

როცა გული იჭერა ჭენებით, მე შემომთავა-
ჯა, შეგქეიო, მაგრამ ულაჟი ისე ტოკავდა და
ხტოდა ადგილზე, რომ უარი ვუთხარი. აქამდე
სულ ერთხელ ვიქეიო ცხენზე, ისიც ძალით
შემსვა გურამმა თეთრ წულეში სტუმრობისას.
მართალია, მაშინ ცხენის ქროლვით კი ვისია-
მოვნი, მაგრამ გადმოვარდნის სიმწარტე ვიწუ-
ნივ და აიტომ სიფრთხილეს ვიჩენდი. გურამმა
ბევრი იცინა ამაზე, მერე ზურგს უკან შემო-
მისვა და ახლომანლო მიდამო მომატარა.

ამ შემთხვევას, სამწუხაროდ, საკმაო მწვავე
ინციდენტაც მოჰყვა, თუმცა ცხენებით თავდა-
ვიწყებული ჭენებისადმი გურამის სიყვარული-
სათვის ბევრი არაფერი დაუქლია.

ერთ დღით ადრე გვადიოთ ნადიკვარზე გა-
სვარჯიშებლად. ამ დროს გურამმა ქვემოთ,
საფხულთა თეატრის მხარეს მობალახე ცხენი
შენიშნა. ნადიკვარის კულტურისა და დახვეწე-

ბის პარკში ცხენის გამოჩენა, ცოტა არ იყო,
მოულოდნელი იყო.

იმ წამს იქით გაეშურა. თურმე, უბრალო ნავ-
თის ურიკის ცხენი უფილია, მძიმე სამუშაო
დღის დაწყებამდე პატრონს გაეშვა და აბალა-
ხებდა. გურამს ნიჩო წაუხვდა, მაგრამ, რა ექნა.
თითქოს ჯიბრზე, იქვე, გზასთან მდგარი სახლის
მეორე სართულზე ერთი კობტა გოგონაც გად-
მოდგარბო, რომელიც გურამს ადრე მოსწონ-
და კიდევ.

სხვა გზა არ იყო, პატრონს თხოვა, შევცდე-
ბიო, ისიც დათანხმდა.

ღამის დასვენებამ იშოქმედა, დღით ცვრი-
ანი ბალახის ძოვამ თუ გამოცდილი და მონდო-
მებული მხედრის რაღაც თავისებურმა მიდგო-
მამ, ძნელი სათქმელია, ჯაგლაჯი ცხენი თითქოს
შეიცვალა, ახლგაზრდობა გაიხსენა, ისე დაქ-
როდა და დაქენაობდა, რომ საცქერლად სალ-
ხიცი კი შეიკრიბა, თვალუბაცემიებული გო-
გონაც აივანს აღარ მოსცილებია.

გურამმა გული იჭერა და ცხენი პატრონს
მიგვარა, ის კმაყოფილი იყო, პატრონი კი გა-
ოცებულად — ეს რა ცხენი მოულოაო.

ამ შემთხვევის გამო ამბობდა, ცენსაც ვა-
გება და მხარის ახმა უნდა, როგორც მას ესმის
აღამიანის, შენც უნდა შეეცადო, ისევე გაუგო
და ისიც შეუძლებელს შეძლებსო; ცული მხედ-
რის ხელში ბრწყინვალე ჯიშის ულაჟიც გაუჭუ-
დებდა, მთავარია, კარგი მხედარიც იყო და ცხე-
ნიც გიყვარდესო.

1954 წლის სექტემბერში ხევსურეთის ჭაუ-
ხებზე წვადითი უნივერსიტეტის მიერ მოწყო-
ბილ აღმინიდაშო. ღამის გასათვად ულამაზეს
სოფელ რიზში ვავტრადით, სადაც შავი არავის
ხეობის თავზე ორსართულიანი ძველი სახლო
იდგა აღმინიტებისა და მონადირეებისათვის.
ავტობუსიდან ხარგი გადმოვიდეთ.

გურამმა თვალ მოჰკრა შორიანლო მობალა-
ხე ტენებს, სწორფად გაეშურა იქით, გაცნო,
გამოესაუბრა ახლგაზრდა მთიელებს და მალე
უბელო ცხენით მოიქრა. ნახამოვნები, ამაყი
სახით ღამაზად წელამართული იქდა ფიცხელ
ულაჟზე, რამდენჯერმე შემოუარა ბანაკს, ისე-
დაც ფიცხი ცხენი გაახტრა, მერე საოცარი სი-
სწრაფით ჩააქანა ღრმა ხევში, გაიარა შავი არა-
გვი და ჭენებით შეჰყვა ძალზე დამრტე ფე-
ლობს, რომლის წვერზეც რამდენიმე მოსახლე
მოჩნდა.

სალამოდებოდა, მზე წითლად ჩადიოდა, მდი-
ნარის ჩქაფანი ისმოდა ხევიდან. ჩვენ ვიდექით
და მოჯადოებულებით ვუცქერდით ფრიალო
ფერდობს, ვიწრო, ქვიან, ღვედებით მოქნილ
ბილიკებს და უშიშრად მიჰქროლავ მხედარს.

ამასობაში დაღამდა კიდევ. საკმაო დრო გა-
ვიდა. შევფიქრიანდით და მისმა მეგობრებმა

ნუგზარ წარეთელი

მე სწავლ ოცდაექვსი წლისა მარ



გადავწვითო ხაძენიდალ ვახლა. ჯიხის ფარ-
ნების მოვძენით და ხეც ჩავუყვით. ფერდობა
ჩავიარეთ და კიდევ შემოაგდო გურამმა ცხენი
არავსში, ცალი ხელით ბედაური მოჰაყვდა, მე-
ორეში კი საკმოდ მოწრდილი დოქი ეკავა,
ერთხანადი მთიულური არაუი ეყიდა სადაც
წემო სოფელში.

მერე ჩვენ უველანი გვიანამდის ვისხედით,
გურამის მოტანილი ფიბიტარით ვითობდით
თავს და ათას რამეზე ვსაუბრობდით.

ისევ როგორც ცხენოსნობაში, გურამი სპორ-
ტის მრავალ სახეობაში ნამდვილად ბრწყინვა-
ლედ მონაწილეობის სპორტსმენი იყო: მთასვლე-
ლობა, ცურვა, თხილამურები, კრივი, ჭიდაობა,
კალათბურთი მის საყვარელ სახეობებს წარ-
მოადგენდა.

გავახსენით თუნდაც ერთი ადგილი ნოველი-
დან „სიყვარული მარტის თვეში“: „ახლა იგი
უკვე კალათბურთის მოედანზე იყო. გოგონები
მის ლამაზ ტანს მალულად ჭვრებდნენ. მას სი-
ამოვნებდა ქალთა ჭვრეტა. უნდოდა, რომ „ნი-
საც“ ეტყირა მისთვის... გაწითლდა — მერე
რიგში დანახა თავის ამხანაგებთან ერთად
მჭადი“.

ცხენოსნობა მინც რაღაც განსაკუთრებული
სამუარო იყო მისთვის, თავის რაინდულ ბუნე-
ბას თითქოს უველანზე უკეთ აქ ავლენდა, შა-
ნაპროტან უხვად მომადლებულ ვენბას აქ უფ-
რო მეტად განმუხტავდა ხოლმე.

გურამის შემოქმედებაში ცხენებისადმი თით-
ქოსდა მადლიერი, კეთილშობილური დამოკი-
დებულება არაერთ მოთხრობასა და ნოველში
გამოჩნდა, თანაც იმგვარი ძალით, რომ უველა
ჩაავიქრა და სულ სხვა თვლით დაანახა ადა-
მანის ეს ერთგული მეგობრები, დაანახა, რო-
გორც სულიერი არსებები.

გავახსენით მისი ბრწყინვალე „თვითვლია“,
„ერთგული“, „სალამურა“, „ეხტატე“, „კოლა
და ვანო“ და სხვა. რა ოსტატურად გვახატავდა
ამ ჭკვიანი ცხოველების ბუნებას, ცხოვრებას,
ღრობით წარმატებებს თუ უბედურებას.

რა საოცარი ძალით არის დაწერილი თუნდაც
„სალამურა“. ერთა წუთითაც არ სცილდება
მკითხველის მეხსიერებას ამ მოთხრობის რყე-
რები: „მხოლოდ დიდე შავი თვლები ჰქონდა
წულიანი და მოწვენადი“.

სალამურა თავისუფლებისათვის იყო დაბა-
დებული, სამი წლის ულამაზ ახლოს არავის
იკარებდა. ჭოჭოხეთური საშუალებებით დაიწ-
ყეს მისი გახედნა: ქამანდებით იჭრდნენ უმო-
წყალოდ სტემდნენ, აშოშობლებდნენ, რკინის
ლაგამს უყვებდნენ პირსა და ნესტოებში, გან-
ძრევისას სისხლი მოსჩქეფდა, მთელი კერა
მარტო წუაღზე ჰყავდათ, დაახსტებს და დრო-
ებით დაიშორეს.

მიზანი ერთი იყო: დოღში გაესწრო სხვა
ცხენებისათვის, გაერთო და გაემხიარულებინა
მყურებელი. თითქოს მიღწეული იყო მიზანი,

მაგრამ თავისუფლებისათვის დაბადებული ძლი-
ერი სალამურა სხვებთანაგან მკვეთრად განსხვავ-
დებოდა, მას არ შეეძლო ზურვით ეტარებინა
ოინანა მხედარი და მისი სურვილის მიხედვით
ერინა.

ერთი წლის გახედნილ ულაუს უწომოდ მო-
უნდა ტრამლებში ნავარდა კიდევ უფრო
სწრაფად მოუნდა ჭრენა და მთლიანად და-
კარგა შეგძნება. უცებ მოხსნეტილ გადახტა
გვერდზე, ხალხს თავზე გადაევლო და გაუჩი-
ნარდა.

ძირს დაგდებული ნებდარი მოედანზე დარ-
ჩა“. გართ კი შემოფთებული მანქანისაგან
გამფრთხალი სალამურა ხიდიდან გადაეშვა.

საშინლად მძიმე შემოქმედების მომხდენია
მოთხრობის ფინალი. ასე მხოლოდ მხატვრული
სიტუვის ჭეშმარიტ დიდოსტატებს ძალუძთ გა-
ნაცდევინონ სათქმელი, შეგძრან სულით ხორ-
ცამდე და დიდხანს დაგტოვონ ჩაფიქრებელი.

სულ უკან-უკან წასულა ლამაზი, ამაყ და
ფიცვი სალამურას ბედი: ორივე ფეხი მოიტე-
ხა, დიდისთვის აღარ ვარგა, ახლა იგი ჯახახანა
„ლინეიკაშია“ შებმული და ახანა, ლოთი,
წვერებინა მედროვე ზატოლის. მას უკვე სა-
ლამურა კი არა, უბეში ქალაქური სახელი კოლა
ჰქვია.

თავისუფალი ცხოვრების გზები სამუდამოდ
გადაიკეტა მისთვის, სადაც ბუნდოვან წარ-
მოდგენაში დარჩნენ მთები და ტრამლები,
ღრმა სიბუბები და სურნელოვანი ქარები.

ის მოქმედებს ეს დასასრული ჩვენზე და
ისე განვიცდით, თითქოს დიდებისათვის დაბა-
დებული ადამიანის განრუდებულ ბედს განვიც-
დებოდით. პატარა ადამიანები თავისი საქმით იყ-
ვნენ გართულნი, თავისი გზით მიდიოდა ქალა-
ქის გარეუბნის მდორე ცხოვრება. „კოლად
წერქმეული სალამურა კი იდგა ფერდებზეცვი-
ნული, დახუსტებული. მხოლოდ თვლები
ჰქონდა ძველებურად მოწყენილი და წულიანი“.
ნოველა „სალამურა“ მძაფრ შემოქმედებით
ვენებას გამოხატავს, იგი თავისუფალი და ამაყ
სულის უბედურებაზეა დაწერილი.

მოთხრობების ეს ციკლი, როგორც ვთქვით,
ძალზე ძლიერია და მაღალ დონეზე გადაწყვე-
ტილი.

ნებისმიერ თემზე მუშაობისას ასეთი იყო
გურამი, მთელი სულითა და გულით ეძლეოდა
სათქმელს, არ შეეძლო საქმის ზურეღედ მოჰ-
კიდებოდა, მისი უსაზღვრო ნიჭი და კეთილ-
სინდისიერი მწერლობა ბუნება უველად დიდ
თუ პატარა ნაწარმოების წარმატების მყარ სა-
ფუძველს წარმოადგენდა.

ის სისხლითა და ხორცილ მწერალი იყო, წი-
რის სურვილი უველგან დაჰყვებოდა და არ ახ-
ვენებდა. სწორედ დიდმა სიყვარულმა, დიდმა
ნიჭმა და ვენებამ შექმნა მისი მშვენიერი და მა-
შვიდველი სამუარო.

წერის ეს დაუთკებელი სურვილი გურამის



ბევრ მოთხოვნასა და ნოველში ჩანს, თან ეს განცდა ისე უშუალოდაა ნაჩვენები, რომ შკოთხვეული დამაჭერებლად გრძნობს ახალგაზრდა მწერლის ერთდროულად ლტოლვის ქეშპირიტებას.

შეიძლება მოვიყვანოთ არაერთი ადგილი მისი ზოგიერთი ნაწარმოებიდან.

„ვეფრიკო. ვიწუბ წერას. არ შემიძლია ამდენი ვნახო და არაფერი დავწერო. ფურცლებს ვუწიარებ ჩემს განცდას“ („უხახლო უფლისციხეში“).

„არ უნდოდა წერა, დღეს კი რატომღაც მოუნდა, მერე უფრო მოუნდა... ვაჟა ფიქრებში წავიდა: არც ერთი ჰკელი ჩანაფიქრი აღარ მოეწონა... ისევ მოუნდა წერა. იღვა იყო, მშვენიერი იღვა... ახლა დიალოგებში გატურბინეს თავში... უნდოდა წერა, მაგრამ შინ არ წავიდა... როცა უფრო მომიხატება, მაშინ წავალ, ჯერ ჩაქდეს თავში კარგად. დიალოგებიც დაიხვეწება... უფრო მოუნდა წერა. მერე უფრო, დიდი აზრი იყო.“ („ნადირობა“).

„ძალიან მოუნდა საწერ-კალამი. საძილე ტომარაში სიცივისა და წერის უნისხაგან ტრიალი დაიწყო.“ („ახვლა“).

„...ყოველი წინადადება თუ დროზე არ აღადგმე, შეიძლება რომამამდე გაიზარდოს... თან, რომ არ ვწერო, ის შეიძლება საშუალოდ დაიკარგოს ჩემთვის. მე კი თვითეული ჩაუწერელი ამბავი ისე მეცოდება, როგორც ნომწიფეხული ქალის უბავშვოდ არსებობა“ („დღიური“).

თუ ფიქრი შემოუტყვდა, სადაც უნდა ყოფილიყო, მაინც მოაძებნებდა დაწერას, რა პირობებშიც უნდა ყოფილიყო, რაიმე ჩანაწერს მაინც გააკეთებდა, თითქოს რაღაც არსებულ რითმს მიავნო და ეცინო, არ დამავიწყდებოდა. მაშინ ამას იზივითად თუ ვინმე გაიგებდა, ახლა კი მთელი სიხადით ვირდგენ, რა წამლეკავ ძალით ბოპქრობდა მის არსებაში წერის უნის.

1956 წელს, ივლიანის თვეში, ერთთვიან სამხედრო შეკრებაზე ვიყავით დღეებში. ერთ დამის რაღაც გადარბენა მოგვიწყვეს, მცირე შესვენების ვარდა. სულ მივიდილოეთ, თითქმის ოცდაათი კილომეტრი გავიარეთ, დილაადრიან მოვბრუნდით. და დადლილ-დაქანტულებშია, გაოფლილნი, სახვევებით ფეხებდაიარებულნი, მაგრამ მაინც ენერჯიაშენარჩუნებულნი იყავით ავიღეთ საკუთარი ბანაკი.

უძილობისაგან თავი ვეღწვოდა, თავი ვებრუნოდა. რამდენიმე საათი მოგვეცეს დასახვენებლად. ძლივს მივალწიეთ კარვამდე.

ულმერთოდ დასვრილი ხალაით და ჩქიმებით მოცილობით დავეცა ხაწილზე.

გურამი დოვინზე ჩამოვარდა, ზურგჩანთა გამოათრია, ქაღალდი და ფანქარი ამოიღო, მუხლებზე რაღაც წიგნი დაიდო და წერას შეუდგა. მე უცებ მეგონა წერილს წერდა, გავვოდო, ჰიჰო, რას შვებები, ხომ არ გავიფიქრე, გავიფიქრე

ძოთ და მერე წერე-მეტე. არც კი შევძლებოდა ისე მიხასუბა, — მერე გვიან იქნებოდა.

ლანარაისი თავიც აღარ მქონდა, ისე წავიდა ბურანში. რამდენი ხანი მეძინა, არ ვიცი. გამომეღვიძა, გურამი ისევ წერდა. მერე ნაწერი ფრთხილად შეინახა, აღარ დაუძინა. ეწოში ვავიდა და უნუღივით ცივი წულით დაიბანა ტანი, ცოტაც წაივარჯიშა და მშვენიერ ფუნებზე დადგა, როგორც იცოდა მუშაობით დაკმაყოფილების შემდეგ.

1956 წელს მეტიხებდა ცხელი ზაფხული იღვა. ქალაქში ვავისიერნეთ, შემდეგ ლაღობის წულგობის სარდაფში ჩავდივით. აქ უკვე ავგასტოს ხვდით და დუღილი აღარ იგრძნობოდა, საამურად გრილოდა. ხუცეს მეთი ორი-სამი კაცი თუ იყო. კარვა ხანს ვსაუბრობდით.

მე გამახსენდა, რომ აუცილებელ საქმეზე ვიყავი მისახველი, გურამმა მოთხრა, აქ დაველოდებო. რადგამ მერე თბილისის ზღვაზე ვაპირებდით წასვლას.

თითქმის საათ-ნახევრის შემდეგ დავბრუნდი. ზოგა შეიძლება დაეჭვებოდა მოჩვენოვს, მაგრამ ეს ზუსტად ასე იყო: გურამი მარტო იჯდა მაგიდასთან და თავდაღუნული წერდა. თეთრი ხელსაწმენდი ქაღალდები აეღო და თავისი ბარჯიანს ასობით იმღებდა და წერდა, ჯიბეში ძლივს ჩაიტენა.

ასე ძლიერად მქონდა გამჭდარი მთელს არსებაში წერისა და შექმნის სურვილი.

შემოქმედებითი მუშაობა კი მართლაც თავდაუზოგავად იცოდა. ზოგჯერ მთელი კვირაობით ჩაიკეტებოდა ხოლმე, არავის სვდებოდა, მარტო რჩებოდა საკუთარ თავთან და ეს სიცოცხლის, მეგობრების, ბუნების, უველფერო აღამიანურის მოუვარული ვაჟაკი ბიჭი მხოლოდ ნაფიქრისა და ვანცილის ქაღალდზე გადატანით იყო ვართული.

მან იცოდა, რომ მოხვეწება და მშვიდი ცხოვრება არასოდეს ეღირსებოდა. მაგრამ დიდი მწერლის ამ რთულ, მიუჩვეველისათვის გაუგებარ სვედრს შეგუებული იყო. იოლი, ადვილად მისაღწევი, ფუქსავატური გზა მისთვის არ არსებობდა, გარეგნული თვითკმაყოფილება კი ის ადამიანური ნიღაბი იყო, რითიც სულში ამომრავებულ განცდებს მალავდა, უცხო აღამიანის თვის სახუცისწერო ფიქრებსა თუ ტკივლებს არ უჩვენებდა.

მას ყოველთვის თან სდევდა „შინაგანი დაძაბულობა შემოქმედისა“. ვავისხნით თუნდაც სტრიქონებ გურამის „ნათელადან“, სადაც მისთვის დამახასიათებელი დამაჭრებლობით წერდა მწერლისა თუ პოეტის, საერთოდ, შემოქმედის თავდაუზოგავი შრომის შესახებ:

„...პოეტი არასოდეს არ მუშაობს, აქედან გამომდინარე, არც სვენებს არასოდეს. მისი გო-

ნუზზარ წარმართილი
მი ახლავს ოცდაამცხი წლისა ვარ

ნება თუ სხეული ერთნაირად აღტაცებულია როგორც ღამე, ძლიან დროს, ისე ექვს საათამდე. როცა სხეები მეშინებენ, ექვსი საათის შემდეგ — როცა სხეები ისვენებენ. მას ისევე შეუძლია სიყვარული ზამთარში, როგორც ზაფხულში და ის თავისა სურვილების ნაყოფს ყოველთვის იმის წილიწაღებს დროებისა თუ დღის საათების გარუნიჩველად“.

უსაზღვროდ უყვარდა თავისი არჩეული პიროვნება, უფრო ზუსტად, სოწოდება, სულიერი სწორება, სწორ გზაზე მყარად იდგა და ღიად სიმაღლესთანაკენ მიდიოდა, ისეთი მუხლი ჰქონდა, ყველა მწვერვალს ადვილად გადაინადარებდა, ყველა მდინარეს გადაცურავდა, ზღვასაც კი შეეჭიდებოდა. შეეძლო კიდევ და მან მუხბთლად, ზურგიდან მიპარვით დაამარცხა.

გურამი ბერს რამეში იყო მაგალითის მოძიებში. ადღეს არცთუ იშვიათად გვეხვით საყვედური და თავადაც ხშირად ვსაყვედურობთ ხოლმე ახალგაზრდა მწერლებს, რომ სათანადოდ არ იცნობენ ცხოვრებას, არ მიიღიან ხალხის გასაცნობად, ცდილობენ მხოლოდ ნიჭითა და წიგნურობა გამოცდილებით შექმნან ნაწარმოებები.

გურამს არავის დაძალებდა და მითითება არ სჭირდებოდა. მიდიოდა ყველგან, ეძებდა, ისმენდა, იწერდა, ვანიცდალა, ფიქრობდა; უნდოდა ყველგან მოესწრო ყოფნა, ბევრი რამ ენახა, შეეგრძნო და შეეთვისებინა.

იგი მეგობრებსაც ევიჩივდა, რაც შეიძლება ბევრი გვეკითხა, გვენახა, გამოცდილება მიგველო, ხშირად დაგვეკითხებინა ნაადრევი წერის სურვილი, სათქმელი უფრო მეტად გადაგვეხარშა და მერე დაგვეწერა. მის ყოველ რჩევასა თუ დარიგებაში დიდი მეგობრული სიფიქსი და სიყვარული იგრძნობოდა.

გურამს შემოქმედის სულიერი თავისუფლება ღრმად ჰქონდა გამჭვრელი და დიდი სათქმელის საკუთარი ხელით, საკუთარი ცოდნით, საკუთარი ინტუიციით მიგნება სურდა. ის თავის მამულიშვილურ, მოქალაქეობრივ რწმენას წუთითაც არ დალატობდა, თავისა სჭეროდა, დარწმუნებული იყო საკუთარი სიძლიერეში, მაგრამ ეს თვითკმაყოფილებიდან არსადღეს არ უბიძგებდა.

საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ბესარიონ ზეღინსკი ასე წერდა მწერლის თავისუფლებისა და მოვადუნობის შესახებ: „შემოქმედის თავისუფლება ადვილად ითანაწყობა თანამედროვეობის სამახაურს: ამისათვის საჭირო როდია, თავს ძალა დაატანო, შეზღუდო ფანტაზია; ამისათვის მხოლოდ ის არის საჭირო, რომ იყო მოქალაქე, შენი საზოგადოებისა და შენი ეპოქის შვილი, შეითვისო მისი ინტერესები, შეუერთო შენი მისწრაფებანი მის მისწრაფებებს; ამისათვის საჭიროა ხიშპათია, სიყვარული, კრწმარბიუბის განსაღი და პრაქტიკული გრძნობა, რომელიც რწმენას არ წყვეტს საქმისგან, შემოქმედებს ცხოვრებისგან“.

სწორედ ასეთი შემოქმედებითი თავისუფლება ხისკენ მიისწრაფვოდა გურამი, ის იყო ეპოქის შვილი და კრწმარბი მწერლად მოვადუნობდა კაცო.

ყველა კრწმარბი შემოქმედის მხვავსად, გურამს შეუძლია ისე საზოგადოდ, ცხადად დახატოს სურათი, ისე ძლიერად თქვას სათქმელი, რომ მკითხველიც მთლიანად შეიყვანოს თავის განზოგადებულ და ამაღლებულ სამყაროში, აავსოს იმ განწყობილებით, იმ სულიერი მდგომარეობით და განაცდივინოს ყველაფერი ისე, როგორც წინასწარ ჰქონდა განზრახული და შემდეგ მხატვრულად ხორცშესხმული.

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი თუნდაც ერთ ნაწევებს კოეტურს და ფაქიზი მოთხრობიდან „ნათელა“, როცა ახალგაზრდა გმირი ქალაქიდან სოფლად ჩაიხს სამშუაოდ და განსხვავებულ სამყაროში ხვდება:

„ის მიდიოდა დიდი ნაბიჯებით, კვლიდან კვლზე მიიმედ ადამადა ფეხებს, უხარხარა, რომ მის ფეხქვეშ ნამდვილი მიწა იყო, ის ნაბიჯებდა და გრძნობდა სრულ ერთიანობას, სისავსეს გონებასა და სხეულს შორის, ებერებოდა ფილტვები, უსურდა სახე, წითლად უღვივოდა მთელი ორგანიზმი, მისი ნაბიჯები ყოველი გოგონას უკან დატოვების შემდეგ უფრო უცნაურად მიიმე, მსუბუქად მიიმე ხდებოდა, დაკუნთული მკერდი ადიოდა მაღლა და ყოველგვარ კონკრეტულობას მოკლებული უფროსი სიხარული მიწასთან ერთად ეხებოდა ჰაერსაც, დღის გაურყველი, უცოდველ პაერს. ის იყო იმ მდგომარეობაში, რომლის შემდეგაც ადამიანს შეუძლია მაღლა აფრინდეს, თან აიტანოს მიწაც, ეს უზომოდ ბუნებრივია ასეთ მდგომარეობაში, რადგან არც ჰაერი ეჩვენება მას მსუბუქად, არც მიწა, არც თავისი თავი. უბრალოდ, ამ დროს არაფერს წონა არა აქვს, სწორედ ამაში არის სიმძიმე, ოღონდ დიდი გრძნობადი სიმძიმე, რომელიც არც ერთ ბუნების კანონს არ ემორჩილება“.

ამ ნაწევრშიც კარგად ჩანს გურამ რჩეული-სოფლის მრავალწახანგოვანი მიმართება სამყაროსადმი, მასთან შინაგანი განცდის უხვად დამაკავშირებელი ხაზები.

როდესაც ამ მოთხრობას კითხულობთ, თქვენშიც დვარავით გადამოიხს ახალგაზრდა მწერლის უნაპირო განცდა, თქვენც უცნაურ სიხარულებს, ძაღას, სიმსუბუქეს გრძნობთ, გრძნობთ ხალხის შემოქმედების სიდიადეს და თვით კაბუკი შემოქმედის მარადი ღტოლვის დაუხანამობას.

გურამი საკუთარი თავისადმი ძალზე მომთხონე იყო. ისედაც უფარესად განათლებული და ინტელექტუალური პიროვნება მოთხრობის შექმნისას ყოველთვის ცდილობდა მეტი წიკითხა, მეტი ენახა, გაუღწეოდიყო სათქმელი და მერე დამჭდარიყო საწერად.

სიმარტოვე ეგავრებოდა, გვერდით ყოველ-



თვის ვიღაც ახლდა და მეგობრებიც არასოდეს კლებია, მაგრამ, როცა საყვარელი საქმე, როცა მწერლური შთაგონება მოითხოვდა, იგი სრულიად მარტო, საკუთარ თავთან ჩაღრმავებული და ჩაფიქრებული მიდიოდა სხვადასხვა ადგილას: აღავერდი იქნებოდა ეს თუ უფლისციხე, მოსკოვი თუ ჩრდილოეთ კავკასია, თუმეით თუ ხევსურეთი, შავი ზღვისპირეთი თუ შატლიხის კოშკები...

ამგვარად შეიქმნა ღრმაშინარსიან მოთხრობათა წყება, ასე ჩაეყარა საფუძველი ორიგინალურსა და თვითმყოფად მწერლობას.

„...მიძინებულნი სევდა, რომ ქალაქი დიდი ნინო დატოვა, უფრო კარგად მოქმედებდა მახე“ („ნათელი“). დიდი, მძაფრი ვნება, უსაზღვრო ხილვები და შინაგანი დაძაბულობა ყველგან თან დახდებდა ქალაქად იყო თუ ქალაქგარეთ, ქართლში იყო თუ რუსეთში. სიცოცხლის, სიკეთის, ცხოვრებისეული განცდების შეგრძნობის ეს აუცილებელი პროცესი გურამს ისე ძლიერად, ისე შთაშვებავდად და მადლმხატვრულად აქვს გადმოცემული მრავალ ნაწარმოებში და მათ შორის ნოველაში „ორინა“, რომ იგი საყვარელი ლექსივით იკითხება:

„უყვე მთელი კვირაა დადიხარ მარტო, ხან ცარიელ ქუჩებში, ხან ხალხსავე მოედენებზე. შენ მოცილილი ხარ და დადიხარ მარტო. მხოლოდ ერთი თვით — ერთი თვის მერე შენ წახვალ ამ ქალაქიდან. წახვალ სოფლად, ურბნისში, არქეოლოგიურ გათხრებზე, მუშებს თავზე დაადგები და იმუშავებ. შენ დაგწავის ქართლის თაყარა მზე, მაგრამ ეს იქნება ერთი თვის შემდეგ. ახლა გარშემო სიცოცხლეა, სიცილი. უცებ შეიცვალა ბუნება, კვირტები დასქდა და გაიშალა, მაგრამ ჭერ მიინც პატარები და საყვარლებია. მთელი ქვეყანა შენი ნაცნობია, ყველა გიყვარს, ყველას ეხალმები გუნებაში...“

მისთვის სადმე წახვლა სასურველ სახლებთან და შეცნობასთან იყო დაკავშირებული. ეს სურვილი ყოველთვის თან დაჰყვებოდა. იგი ვერასოდეს ვერ ეტეოდა ცხოვრების მდორე კალაპოტში და მთის გაფი მდინარეხავით ჭებობის მინარცვდა. შეუცნობელი ეძახდა და მოსვენებას არ აძლევდა.

„...ახლა კი საშინელ სიცარიელეს გრძნობდა, არ იცოდა, სად წასულიყო... ძალიან მოუნდა სადმე წახვლა. ისე იგრძნო შიში იმის გამო, რომ ეს ოთახი, სადაც მთელი წამთარბი ვაატარა, უღმერთოდ მოსწყინდა“ („ორინა“).

სიტუვა ერთფეროვნება მასზე უარყოფითად მოქმედებდა, შემოქმედებით შრომაში ხელს უშლიდა. „რას ამბობ, მთებს რა შეედრება! ასე ერთფეროვანი მაინც არ არის“ („ტრამალი“).

უნდოდა ეცხოვრა ისე, რომ თავისი ვეება უანტაზია, ელასტიური აზროვნება და მოუცილებლად თანმდევი საოცარი ძალის ხილვები

საკოვდელთად მიღებულ ნორმებში არ ჩაქედით და ფრთები არ შეკვეციოდა.

რა უსაზღვრო წარმოდგენები ჰქონდათ მისთვის? „...ნინო თუნდაც იმავე „ორინადან“ გურამი ფიქრობდა, წერდა, ოცნებობდა, ერთი წუთითაც ვერ ისვენებდა, „შუადღემდე იმუშავა, მერე გაირინდა: არა, იველები იციან სიხადით დაინახა თავისი ნოველის გამოცემა“... იგი ხან ხევსურეთის ბილიკებზე მიგვირბობდა უბელო ცხენით, ხან „ჩაღებოდა მანქანაში, მიდიოდა რომელიმე სტანციაში“, ხან კი ოცნებით „ტოვებდა ყველა ამას და სამხრეთ ამერიკაში ან შავინაზე“ მიიღმგზავრებოდა, ხან ქისტეთს ესტუმრებოდა გატაცებულ ულამაზეს იათაშესთან ერთად, ხან მინდიას და აღლუღასთან ნადირობდა კიუხებში.

პოეტური დამღიან დატიფრული მისი არსება თავისუფლებას თხოულობდა, თავისუფლებას არა რაიმე სხვა გაგებით, არამედ შემოქმედებითი მიზნებით. როცა საჭირო იყო, ოთახიდან უნდა გასულიყო, როცა სათქმელი აღარ აცლიდა, ოთახში უნდა ჩაეკტილიყო, როცა სახლი სულს შეუხუთავდა, ფართოდ გაშლილი სივრცეებისათვის უნდა მიემართა, რათა თავისი პირადი ცხოვრება მთლიანად მწერლობის მოთხოვნებისათვის დაემორჩილებინა.

„...რა, ახლა არაფრით არ უნდოდა სახლში წახვლა. მთაწმინდიდან გაღვიძებული მიწის სუნით მოდიოდა, აბრუებდა...“ („ორინა“).

ქართული მწერლობის ერთ-ერთი ფენომენი ყოველთვის იყო მიწის სიყვარული. ეს გაუნელებელი სიყვარული გურამის ნაწერებშიც გამოჩნდა. მისთვის მიწა ის განუშორებელი საგანია, რასაც ადამიანი დღემდედაც არის მიჯავუული, მისი მარჩენალიცა და შრომითი არსებობის გამამართლებელიც.

ნოველაში „შემოდგომა ბაბუა კოტისი“ გურამს განსაკუთრებული სიმწვავით აქვს ნაჩვენები მიწის ეს საუკუნოვანი სიყვარული.

ღრმა სიბრტე მიაღწევს თელემე და კოტემ. მათ მარტო ყოფნა აღარ შეეძლოთ. გაიადეს მშვენიერი სახლ-კარი, საკუთარი მიწა, დიდებული ხეხილის ბაღი. შვილთან და შვილიშვილებთან გადმოვიდნენ საცხოვრებლად თბილისში. ახლა სხედან მოღუშულ ოთახში გამოკეტულნი, იშვიათად გამოდიან გარეთ, ასეველები ბუღის გაძლება არ შეუძლიათ, უღრტვირებლად ითვლიან შემოდგომის დღეებს, შიშით ფიქრობენ კარს მომდგარ წამთარზე და თვალს უსწორებენ ჩიქურ მომავალ სიკვდილს.

ამ ნოველაში სხვა საკითხებთან ერთად არის ადგილები, რომელთაც სწორედ მიწის სიყვარული თუ მიწის ძალით უნდა ვუწოდოთ. ამ

ნუგზარ წარბთელი
მე ახლაც ოცდამეცხე წლისა მარ



მიწის სიუვარულში დიდი ადამიანური აზრებია ჩადებული.

როგორ ღრმად და ჩამაფიქრებლად წყვეტს ახალგაზრდა მწერალი ამ რთულ პრობლემას, როგორ წვდება მოხუცის არხებს, სულში ამოპარვებულ განცდებს და მათ მხატვრულად ხორკვეხსმულს წარმოვადგენს:

„ისევ მოავლიდა თავისი კოხტა სახლ-კარი, უწომოდ მოუნდა, ვინმეს მიაღმებოდა და შემდეგ მიწა მოეჩიქნა, თუნდაც სულ ცოტა.“

...ძლიერ მოუნდა მიწის ჩიჩქნა; გაახსენდა, რომ ქვაფენილის გასწვრივ მდგარი ხეების ძირში მიწა ეუარა და გახარებული გამოვიდა გარეთ“.

მაგრამ მოხუცი აქაც პირისპირ შეეგახა ცივ სინამდვილეს, მისი პატარა ოცნება თუ იმედოვანი გაქრა. დიდი ზემოქმედების მომხდენია მშრალი რეალობის მარცხვინი ეს სტრუქტურები: „... უსიამოვნო გრძობამ შეიპყრო — მიწა არ ემორჩილებოდა. ნელა დაიხედა ქვევით, — ქვაფენილს და ხეს შორის ოთხკუთხე დამცველი ბაღე იყო ჩადგმული...“

ცივად შემობრუნდა, თვალეზზე მომდგარი ცრემელი მოიწმინდა“.

მოთხრობებსა თუ ნოველებში გურამი ხშირად ხმარობდა სიტყვა ვნებას. ვნება მისთვის სამუაროს შეცნობისა და სამუაროსთან ჭიდილის სინონიმი იყო, რადგან იცოდა ჭეშმარიტი ვნების გარეშე არც შექმნილია და არც შეიქმნება დიდი ნაწარმოები. მას ადამიანსა თუ ბუნებაში უვლავრებზე მეტად სწორედ ვნება, უინი, მისწრაფება, გატანა და მიზნების მიღწევა მოსწონდა.

გავხსენით ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილი: „ღამის წყვილიაღში ადამიანის გონებას სძლიევნ თავშეუკავებელი ვნებები... განუსაზღვრელად ბატონდება მხოლოდ ჭეშმარიტი არსი — ვნება! ესაა შეუჩერებელი ღტოლვა ერთის-ადმი, ერთისაგან, ერთნაირი ძალით“ („დევენიის ცეკვა“).

„ოტენება მათი სხეული ფარული ღრმა ვნებით და სულ პატარა ბიძგი აკლია ამ ვნებას, რომ დაიღვაროს უზარმაზარ სიუვარულად“ („ნათელი“).

„...არაფერი შეეძლო ნადირობისა და იმ ვნების გამოხატვის გარდა, რომელსაც მასზე მოგონებით სიმებს ათქმევინებდა“ („ბათარეკა ჭინჭარული“).

ამიტომ იყო, რომ გურამი ადამიანებისთვის ამ აუცილებელი ვნების მოდუნებას ვერ იტანდა და ცდილობდა მის გაღვივებას, გაღვივებას, გაძლიერებას.

გურამს მდიდარი, მაძიებლისა და პირველადმოჩენის ბუნება ჰქონდა, უვლავრებს გულიანად, მთელი არსებით უდგებოდა, ცდილობდა უოფილიყო მართალი საკუთარ თავთან, ხალხთან და მოვლდებოდათ, არაოდეს ეღვლიათა დასა-

ხული მიზნებისათვის, საკუთარი შრომით, ცრადნით და შთაგონებით გადაეღება უვლავრებულად.

ის, რაც დაგვიტოვა ახალგაზრდა მწერალმა და რითიც შეძლო ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდის გამდიდრება, როგორც ცნობილია, სულ ოთხიოდე წლის განმავლობაში იქმნებოდა. სისტემატური შემოქმედებითი მუშაობა გურამმა მაშინ დაიწყო, როდესაც თავი ამ ურთულესი საქმისათვის მომზადებულად იგრძნო. რა თქმა უნდა, უოველივე ამას წინ უძღოდა, ასე ვთქვათ, მოსამზადებელი პერიოდი. ის ბევრს კითხულობდა, ფიქრობდა, ეძებდა, განიცდიდა, მხატვრულად საინტერესო საკურსო თემებსა და რეფერატებს წერდა, ზოგჯერ ლექციის დროსაც ოცნება გაიტაცებდა და თავისი ლაპაზი ქართული ხელოვნებით, მხევილი და ხატოვანი ასოებით ავსებდა ფურცლებს.

ამ პერიოდში საქართველოს მდიდარი მრავალსაუკუნოვანი ისტორია აინტერესებდა, დავიკრებოდა ეცნობოდა პირველწყაროებს, ხშირად ხაჯარო ბიბლიოთეკასა და მუზეუმის არქივებში ეძებდა საჭირო მასალას. უკვე ისტორიის ფაქულტეტზე იყო გადასული და საკურსო თემებს საქართველოს ისტორიიდან იღებდა. მეოთხე კურსის პირველი სემესტრის ბოლოს მიმინია მის მიერ დამუშავებული რეფერატის წაკითხვამ და მეტისმეტად მომეწონა, იმდენად ღრმად, თავისებურად და კეთილხინდისიერად იყო დაწერილი.

შესანიშნავი ნაწარმოების — „უსახელო უფლისციხეების“ შესავალშივე კარგად ჩანს თუ როგორი პასუხისმგებლობით, როგორი მონდომებით უდგებოდა გურამი საქმეს.

მას საქართველოს ისტორიაში უბრალო მშრომელი ხალხის როლი აინტერესებდა.

ძუნწი მასალების გაცნობის შემდეგ გადაწყვიტა დაეწერა ნარკვევი უფლისციხეზე. დიდხანს აწვებოდა იდეა, დაიფილა და ფიქრობდა, სათქმელს სულის ქურაში ხარშავდა, რამდენჯერმე ადგილზეც იყო, რომ უშუალოდ შეეგრძნო ისტორიის ფერფლწყარული დღეების სუნთქვა.

„გადავწყვიტე, უფრო ღრმად შემესწავლა უფლისციხის ისტორია. პირველადვე წყაროების სიმცირე და მშრალი ფაქტები მომხვდა თვალში, მაგრამ აღარ დამიხეცია უკან. გავეცანი აღმოსავლეთ საქართველოს უძველეს სავაჭრო გზებს, რომლებიც აქ გადიოდა, გავეცანი მის მიდამოებს; სადაღაც აქნა მძივი, შევადგინე კონსპექტი: უფრო კარგად ვიგრძენი უფლისციხე“. სწორედ გულმოდგინე მუშაობამ, საკუთარი საქმის უსაზღვრო პატივისცემამ განაპირობა ის ფაქტი, რომ გურამის „უსახელო უფლისციხეში“ აღფრთოვანებით მიიღო მკითხველმა საუროგადოებამ.

მინც რა ბრწყინვალედ დახატა სამშობლოს აღრიანად მოწვევითი უნო ვაჟაკი, რომლის შტეგნებაში უკველთვის ცოცხლობდა ფიქრი, რომ ის ქართველია. უნომ, მტრის ვარაუდით მონადეცეულმა ადამიანმა, უდიდესი პატრიოტული საქმე გააკეთა. შეფხა და მთავარზე მეტიც კი, თავგანწირვის ნაცადი გზებით თავისი ნამდვილი სამშობლო აოსრებას და იავარქნას გადაარჩინა.

„საინტერესოა, რატომ არ შემორჩა ვინმე გმირის სახელი, გლეხი გმირისა“...

გმირის სახელიც არ შემორჩა შთამომავლობას, არც მიტყველება ჰქონდა და არც წერა იცოდა. ზოგადად აღინა მისი სამაგალითო დამსახურება. ასეთი გმირები ბევრი იყო საქართველოს ისტორიაში, მათ გმირული თავდადების ფასად გადაარჩინეს მამული და გაუმკლავდნენ ათახტერ ძლიერ მტერს.

ახალგაზრდა მწერალი სრულიად მართებულად წინ სწევს ხალხის როლს, კვლავაც ადასტურებს, რომ ერთი და ორი პიროვნება ვერ შექმნიდა ისტორიას, მისი შემოქმედი იყო მშრომელი ხალხი, მასები, დიდი და ერთიანი ძალა.

„უსახელო უფლისციხეების“ გამოქვეყნების წელს ჩემი სოფლიდან ზესტაფონში ჩავსულვარ, ეს იყო 1957 წლის სექტემბერში. მაშინდელი დღიურის ფურცლებზე იმ დღევანდელ ჩანაწერს შევხვდი: „დიდი თხოვნის შემდეგ ვიწვეე „ცისკარი“. იქვე დავიწყე ჯურამის „უსახელო უფლისციხეების“ კითხვა. საოცრად ნახიამოვნები დავრჩი. მორჩა, გამარჯვებულა ვამქე! აჯობებს ყველას!“.

ისტორიის მოუვარულისა და თანამედროვეობასთან მისი შემარწყმელის მაძიებელი ბუნება ჯურამს ათქმევინებდა: რამდენი ცოცხალია მკვდარ ისტორიაშიო, ამიტომაც ცდილობდა მოეძებნა ეს გარდასული, დავიწყებული, გაქვავებული და თანამედროვეობის სიმაღლიდან მიკროსკოპული სიწუსტით დაეხედა მისთვის.

თავისი ფიქრებითა და ვანცდებით ჯურამი ქეშმარიტად დღევანდლობის მესობტე იყო, ამაზე მიგვიბოთებს მისი აზრებაც და გამომცემების საშუალებებიც.

თვით უფლისციხის უძველეს ისტორიასა და შორეულ წარსულში ჩაღრმავებული თანამედროვეობის ძლიერ სუსტვას ვგრძნობდა, „ორი ათასი წლის წინანდელი სამოსახლოების“ ცქერის დროსაც კი აწმოს ნათელ სურათებს აღიქვამდა:

„აგერ კახის ცემენტის ქარხანა, იმის გადაღმა თერთად დათხრილი საბადოები, კოლმეურნეთა შრომით აუვაგებული ველ-მანდვარისა, დაბურული ბაღები, გორაკებზე გამომდგარი ახალი ფართოივნიანი სახლები...“

„ნიშანდობლივია ეს ვარემოება, რომ იგი სამშობლოს წარსულსა თუ დღევანდელ დღეს მარმონიულ მთლიანობაში ხედავდა, ყველაფერს საუკეთესოსა და პროგრესულს შეხმაროდა.

ჯურამი თავისი ხალხის ნამდვილი პატრიოტი იყო. მას, მართალია, ისტორია იწიდავდა, იტაცებდა, ეძახდა, მაგრამ თანამედროვეობის მძლავრი სუთნევის გარეშე ეს სიყვარული მისთვის არ არსებობდა. როგორც ვთქვით, იგი თაბათა საქმიანობაში ორგანულ კავშირს ხედავდა. წარსულისა და აწმოს დამაკავშირებელ ლაბირინთებში შიშავალი ჯურამი გარდავილიხსა და უშორეს საუკუნეებს, მეოცე საუკუნის ადამიანის თვლით ეძებდა, დღის სინათლეზე გამოჰქონდა და დღევანდელი დღის პრისმიდან ქვრტდა.

რამ შექმნა ყველაფერი ეს, რა ძალამ მოიტანა ჩვენამდე, როგორ გადაარჩა განადგურებას პატარა საქართველო, რა ვნება ამოძრავებდა ხალხის უკვდავ სულს? სვამს კითხვებს ახალგაზრდა მწერალი და კიდევ ერთხელ პასუხობს — შექმნა შრომამ. ვერ მიღწეულიხსაეც სწრაფვამ, მიღწეულით არ დაეკოფილებამ; ერთი ციდა ადვილიც არ არსებობს, რომ რამე არ იყოს აშენებული, ქვა ქვაზე არ იყოს დადუღებული, ეს პატარ-პატარა ადგილები და მონაკვეთები კი ერის დიდ ისტორიას ქმნიან, შრომისა და შენების ისტორიას. ამიტომ აცხადებს ამაუად პატრიოტული სულისკვეთებით ავსილი შემოქმედი:

„ქიანჭველასავით მშრომელი ჯა დაუწარელი უოფილია ჩემი ხალხი“.

საქართველოს ძნელბედობის ეჟი ბევრგან წუხილად და ტკივილად შემოიჭრა ჯურამის შემოქმედებაში.

მე არასოდეს მავიწყდება პატარა, უმძაფრესი ვანცდით დატვირთული ნოველა „ლაშაშა გურჯის ქალი“.

მოძალადე, ქურდულად მომხდურ ოსმალებს კავკასიონზე გადაჰყავთ ვასახუიდად მოტაცებული ქართველი ტყვეები. მამას და ქალიშვილს დასტეხიათ თავს ეს დიდი უბედურება. ცემისაგან თავპირდასიებულებს სისხლი სდით გავოკილი თითებიდან. მიუხედავად ასე-

ნუგზარ ჯურამელი
მე ახლაც მოცადივსი წლისა ვარ

თი მძიმე მდგომარეობისა, უღამაზეხი თინათინი მაინც არ ნებდება და ველურ გამტაცებელს კბენით სისხლს ადენს ვენიდან. მას სიკვდილისაც კი არ შეეშინდა და მტერს ტკივილი მიაყენა.

ასეთი იყვნენ ქართველები. არ დრეგობდა არც კაცი და არც ქალი. სამშობლოს სამსვერპლზე სიციცხლზე კი მიჰქონდათ. მამულის სიუფარულთა შიში არ თავსდებოდა. პატრიოტიზმის უპირველეს გრძობას ყველაფერი ეწირებოდა და ეს იყო ბრძოლის, თავდაცვის, გაძლიების, შექმნის უტყუარი ბერკეტი.

ახალგაზრდა მწერალი ეძებს ასეთ ძლიერ ხასიათებს, გადმოგვიცემს მათს ცალკეულ თუ საერთო ძალით ავსილ მისწრაფებებს, აგრძელებს იმ პატრიოტულ სულისკვეთებას, რაც იმწინდრობივი იყო ქართული ლიტერატურისათვის, რითიც ყველაზე უკეთ გამოხატავდა ხალხის ფიქრსა და ოცნებებს, ჭირ-ვარამსა და იმედებს და რის გამოც მოპოვებული ჰქონდა ერის წინამძღოლის საპატიო სახელი.

გურამი საფუძვლიანად იცნობდა ქართულ, რუსულ, საზღვარგარეთულ მწერლობას. მის უოფლდღიურ სამაგიდო წიგნებსა, არაერთი ცნობილი პოეტის კრებულების გვერდით, შეზღუდულით ტოლსტოის, დოსტოევსკის, ჩეხოვის, ბალზაკს, შემინუევის, პლუტარქესა თუ „ქართლის ცხოვრებას“.

გერმანული საფუძვლიანად იცოდა, ბავშვობიდანვე იყო დაუფლებული და დედანში კითხულობდა გოეთეს, შილერს, თომას მანს, ჰაუპტმანს, ჰაინეს...

გერმანული ენა რომ მართლაც კარგად იცოდა, ამაში ზნორად დაგრწმუნებულვართ. ერთხელ, 1954 წლის ზაფხულზე გურამ რჩეული-შეილი, ნოდარ ჩხეიძე, გურამ გეგეშეძე და რამდენიმე ამხანაგი ფუნქიულიორის პლატოზე იყავით ასულეები. რესტორნის ღვირანდაზე ვიდექით და შეხინდენის ვარდისფერ ბურუსში გახვეულ თბილისს გადმოვცქეროდით. ქალაქში ცხელიადა. ბული ტრიალებდა, აქ კი სით ქროდა და დახვეწებას კიდევ უფრო სახამოვოვლ ხდოდა. ჩვენს გვერდით გერმანული ტურისტების ჯგუფი იდგა. მათ ვიდი რაღაცას უხსნიდა, ზოგიერთი საკითხზე, როგორც ჩანს, ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ და კამათობდნენ. ვიდიც გამოუცდელ მოსწავლესავით იყო დაბნეული.

თურმე, მერე ვავაგოთ, იგი რაღაც საქამოდ სულიერულ შეცდომებს უშვებდა თბილისისა და საქართველოს ისტორიიდან.

გურამს სახე დეძაბა, ცხვირის ნესტოები დაებერა, როგორც ეს აღვუვების დროს იცოდა ხალხმე, შემდეგ ერთ მომენტში ძალზე დუღილურად ჩაერთა საუბარში.

დიდხანს უხსნიდა რაღაცას, გერმანელები შეკითხვას შეკითხვაზე აყრიდნენ, ზოგჯერ გახარებულეები ხელეებს შლიდნენ და ხტუნაობდნენ კიდევ. ვიდი ცოტა დარცხენილი, მაგრამ,

როგორც შევატყუეთ, ნასიამოვნები გამომეტყუელებით უსმენდა გურამის საუბარს. მერე ჩვენ ფუნქიულიორის ღია პარკზე ვისხედით, ნაცნობი გერმანელები კი დარბაზში აღმოჩნდნენ. ცოტა ხნის შემდეგ სტუმრები ჩვენს მაგიდას მოადგნენ და დიდის ამბით დალიეს გურამის სადღეგრძელო, თან მისამართებიც მოართვეს.

1958 წლის სექტემბერში გურამმა პირველი სტიპენდია აიღო. ლექციების მერე სახელდახელოდ გადაწვიტა ამ ფაქტის აღნიშვნა, შეკრიბა ამხანაგები და მიიპატივა რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ლუდხანის ტიპის სასადილოში. ძალზე თბილი და მხიარული, ახალგაზრდობის უღრუბლო დღეებისათვის დამახასიათებელი შეხვედრა გაიმართა.

ოფიციალტი ქალი გერმანელი გამოდგა. ცოტახნის შემდეგ გურამი გერმანულად გამოეგაპარა. შევატყუეთ. ქალს უზომოდ ეხამოვნა მშობლიურ ენაზე საუბარი. ლამაზაკი დიდხანს ვაკრძედა, შუახანს ვადაცილებული ოფიციალტი, ეტუბობდა, თავის ცხოვრებაზე უყუებოდა, რამდენჯერმე ცრემლებიც გადმოსცვიდა. გურამი ამშვიდებდა, რაღაც მაგალითები მოუყავდა, გულკეთილად უღამოდა. შემდეგ, როცა დანახარჯი გადაიხადა, რაც კი დარჩა სტიპენდიიდან, მთლიანად გერმანელ ქალს დაუტოვა.

ერთხელ ღენინის მოედანზე მოხუცებულმა ცოლ-ქმარმა ვავაჩერა, ტურისტები იყვნენ, ძალზე სიმათიურება, გვითხებს ხელოვნების მუზეუმში როგორ მივიდეთო. გურამმა გერმანულად აუხსნა. რატომღაც ვაოცებულეები შესცქეროდნენ. აღექსანდერ ყაზბეგის შეხვედრა გამახსენდა ფრანგებთან მთაში, მაგრამ იქ მთა იყო, აქ კი ცივილიზებული ქალაქის მოედანი, აღმათ იმითმ ჰქონდათ ასეთი სახე, რომ პირველივე შემხვედრე კარგი გერმანულით დაედა პარაქათ.

შემდეგ მუზეუმამდე მივაცილეთ, ბილეთებიც ვუყიდეთ. გურამმა თავის მოვალეობად ჩათვალა მათი ვიდი უოფილიყო. დიდხანს უხსნიდა ყველაფერს, მიუხედავად იმისა, რომ ვერჩქარებოდა, მოხუცი ტურისტები ბოლომდე არ მიუტოვებდა. ძალზე კმაყოფილები იყვნენ, წუხდნენ, რომ მეორე დღეს მიდიოდნენ და ერთმანეთს ვერ ნახავდნენ, ამითმ გურამს გულიანად ეპატიებოდნენ სტუმრად კარლმარქს-შტატში.

გურამი, საერთოდ, კეთილი, გულიანი და კაცთმოყვარე იყო, სხვისი დახმარება უყვარდა და სხვისი ვასპირის დროს თითქოს უფრო უშისარო ხდებოდა. თუკი ვინმეს უშეყო მდგომარეობაში ჩავარდნილს დაინახავდა, უოფილურად იყო მისი ვარეშე მიემეცვლებოდა. მის პატიოსან, ვუყაცურ ბუნებას ადამიანის ჩავარა-დამცირება ვერ წარმოედგინა.

მოსზრობაში „ირინა“ არის ასეთი ადგილი: გურამი კომკავშირის ხეივანს ვაფიით ადის

ცხნის გაღვაწეზე, შემდეგ კი გუმბათის თავზე. მის წინ უღაპაჩეხი ქაქაქია გადაშლილი, „სადაც უხასრულოებიდან მოდის მტკვარი“.

„მითი და ოცნებით ავსებულ გურამს ესმის ქალის შეკვლევა, „... შენ გრძნობ, რომ ეს ქალი მარტოა, არავინა ჰყავს მომხმარე და შეურაცხყოფას აყენებენ. გარბინარ...“

ეს ის რთული პერსონაა, როდესაც ზამთარი ფაქრა და დადაც დიდებული თბილისური გაზაფხული. გაზაფხული ახალი სურვილები და ვნებები მოჰყავს. ზამთრის დაუსაბამო ფანტაზიით დაღლილი გურამი კვირტების სკდომასავით ეღოღებდა სიხალეს. ოღონდ ეს სიხალე კარგის, მისაღების სახით უნდა გამოიხატოს და არა იმით, რომ ბოროტებაში გაიხარჯვოს.

კვილის ადგილს გურამი უშიშრად უახლოვდება. მისი რაინდული წარმოდგენები ხატვენ წარბთ შემორტყმულ ცხეთა მძაღლ გაღაფენებს. მარტო დარჩენილი უშურო ქალის გადარჩენა მხოლოდ გურამს შეუძლია. შენასუყუნეების სიღრმეიდან მო!ული რაინდივით მიიჭრა იგი შემთხვევის ადგილას.

„... რომ კაცს თმებსა და მკლავებში უტაცნია მისთვის ხელი... ამოად არ ჩაუვლია კრივის გაკვეთილებს, ერთი უკვე გვირდნე ავლია, მეორეს ორივე ხელს უჭერ უღელში, ხახა ვიჭრება, ადარაფერი ვესმის. ამ დროს გაკირვებით დგება ფეხზე პირველი. დანახ შლის. განმეორებით იასმის ქალის კვილი, ეს კვილი ახლა მხოლოდ შენ გეკუთვნის. რაღაც თბილი და სასიამოვნო გედვრება ტანში. ისინი ვარბიან...“

ახეთი ვაჟკაციური ჩარევას საწინდარი იყო შემდეგ ის ძლიერი ხიყვარული, რომელიც წილად ხვდა თუნდაც ჩვენს მიერ დასახელებული ნაწარმოების გმირს — გურამს და რომლითაც ჩვენს სულიერ სამყაროსაც თბილი განწყობილება შეეპაძა.

გურამს აქვს უქანასკნელი პერიოდის ერთი ნამდვილად ღრმა შთაბეჭდილების მომხდენი, ჩამაუაქრებელი ნოველა „შაილა“.

დაუსრულებელ სტეპში ხეტიალით დაღლილი ნოველის გმირი საღამო ხანს პატარა ღულახანაში შედის. გლეხები ღულას სვამენ. ბარში შემოდის შაილა. ეს არის საცოდავი ურუ-მუნჯი, სულიერი, ჩამოხუტულ-ჩამოფხრეწილი კაცუნა. გამოხარულეზულა გლეხები მას ათასგვარ იღეთებს აკეთებინებენ. შემდეგ კი ღულდის ნარჩენებს უხსამენ კათხაში და ასმევენ.

მიყრუებული სტეპის პატარა ღულახანაში შეკრებილებს თითქოს მეტი საქმე არა აქვთ, თანაგაგრძნობის ნაცვლად, ბუნების მიერ ისედაც უღვთოდ დასჯილ შაილას ამომუნებენ და მიაოდნავ ღირსებებსაც ფეხქვეშ თელავენ.

„უცებ ვიგრძენი, რომ გავნერვიულდი და მთელი ძალით ვკარი ბატონკა კათხას, რომელიც დასლ მიახვდა და გატყდა. რამდენიმე გლეხი გაწუწულ შარვალს იწმენდა. ყველაწი გაჩუმდნენ...“

შემდეგ გურამი სახლისკენ მიაცილებს ბარში მომუშავე გოგონას. მზე ჩადის. ბინდდება. სტეპიდან გრილი ჰაერი უხერავს. მუქი ფერები ში ეხვევა სივრცე და შარავნა. საუბრით მიმავალ ქალ-ვას შაილა გარშემო ურბენს.

აქ გურამი შეიტყობს, რომ შაილას დიდი ხანია ეს გოგონა უყვარს, უყვარს თავისებურად, თავისებურად ეკვიანობს კიდევ. გოგონას განმარტოებულ „ხატასთან“ მისული გურამი დიდსულოვნად ეშვიდობება მასპინძელს, ტოვებს გაოცებულ ქალს, თავისი პატარა თავისებობით ნასიამოვნებ შაილას და ბრუნდება უკან ნაცრისფერი სიხალელით დაფარულ სტეპში.

ამ პატარა ნაწარმოებშიც, ყველა მისი ნაწარმოების მსგავსად, ნათლად ჩანს გურამის ამაღლებული კეთილშობილება, კეთილშობილება, რომანტიკული ბუნება და ცხოვრებისადმი მხოლოდ მისებური მიდგომა.

სწორედ გურამს შეეძლო ეთქვა თავისი ნაცრისფერი სამყაროს შესახებ:

„ყველა გაუფარს, ყველას ესალმები“.

მისი შინაგანი სიკეთე უტყუარი და ცხოვრებაში მრავალმხრივ განსხვავებული იყო, ფუტკრისა და ბაქიის სიკვდილსაც კი ვერ იტანდა. გაიხსენეთ „ირინადა“ უკვილის მოწვევები დროს ფუტკარმა რომ უტყვის: „რა ჩემი საქმე იყო ყვავილების კრფა“. — გაუბრაზდა თავს... გული დაწუდა, რომ ფუტკარი სადაც მივარდნილიშ მოკვდა“.

ან გაიხსენეთ მშვენიერი მინიატურა „ტივილი“ — არა. რაღაც გათავდა“. მშვიტი ბაქია ბალახს ეძებდა, თვია ან ყლორტი ენატრებოდა, ამ დროს მონადირემ დაუნდობლად ესროლა, მოკლა და შვილს აბგაში ჩაუგდო. აქაც დიდი ადამიანური ტკივილით არის დანახული ცხოვრებისეული გულგრილობა. კაცი თავის შვილს უფრთხილდება, სხვისას კი, თუნდაც ეს ცხოველი იყოს, დაუნდობლად კლავს, პატარას და უმწუროს, ამ მინიატურაშიც საოცარი თანაგრძნობაა ყოველი სულდგმულისადმი. მე ამაში პანთეისტური მსოფლმეგრძნების ნიშნებსაც ვხედავ, რაც იმას მოწმობს, რომ გურამს ღრმა კავშირი ჰქონდა ქართული ხალხური ლიტერატურის ტრადიციასთან.

აქ ისმის გამოძახილი ვეფხისა და მოყმის ლექსები თუ ვეფ-ფშველას მითოლოგიური სამყაროსა.

ადამიანების დახმარება მის უღალატო არხებაში ღრმად იყო გამჭვდარი. „...არც მიწას, არც ჰაერს არ შეეძლო შეეცვალა მისთვის ადამიანი, ცოცხალი, მოღაპარაკ ადამიანა“ („ნათელა“). უქანასკნელ ღულმას დაუთმობდა გაკირვებულს, უქანასკნელ პერანგს გაიხიდა და სხვას ჩააცმევდა. თვითონ რა ჰქონდა, ჩვენ დროს ტანსაცმლის ასეთი სიუხვე სად იყო და

ნუშზარ წარმთელი
მი ახლავ ოცდაექვსი წლისა ვარ

თუ იყო, ჩვენ მაინც არაფერი გავაჩინდა, მაგრამ რაც ჰქონდა, სხვისთვის არ ენანებოდა.

ერთ ზაფხულს ლამაზი უცხოური კუბოკრული პერანგი უყიდე. თავადაც ძლიერ მოსწონდა. კოსტად ადგა ვაზლილ ბეჭებზე. ნაღიკვარზე ერთ-ერთი შეკრებისას ჩემს თელაველ ნაცნობს. ჯემალს მოეწონა პერანგი და თავიანი მოსწონება ამოხვრით გამოხატა. ემ. ეგუა რომ მქონდესო, იწამსვე უსუჟანსო ვაიხდა და ჯემალს ჩააცვა. შინ წელზევით მოშველი გურამის გამოჩენაზე შეიცხადეს, მაგრამ იცოდნენ მიხი ხახიათა და ბევრი შენიშვნებით თავი აღარ დაუკლიათ.

ერთხელ, ლექციების შემდეგ, ელბაქიძის დაღმართზე მივიდოდით, ძალზე მოშვივებულბო ვიყავით და პლენხანოვის პროსპექტზე ვკონდოდა გვეხაუჭა. ვერის ხიდის უფრეში, მარჯანიშვილის ქუჩის მხარეს, საცოდავი შესახედარობის მათხოვარი იჯდა. ციოდა, ქარი ქროდა, მას კი ქული მუხლებთან დაეგდო და მტკვრის ხეობაში გამოყოლილი ნესტოანი ქარი ჭუჭუიან თეთრ თმას უფრიალებდა.

ჩვენი სტუდენტური ავღაღიდემა ოცდახუთ მანეთს შეადგენდა, ახლანდელ ორმანეთ-ნახევარს, მეტი კაიკიც არ გავაჩინდა. მათხოვრის ნედა. უხერხულიდ ჩაფურთ. რამდანიმე ნაბიჯი გადავდგით. ერთიც მოვისხედეთ უკან და გურამი უცებ მტკიცე გადაწვეტილებით მიტრიალდა, დინჯად მივიდა მათხოვართან, ჩვენი ოცდახუთი მანეთი ხელში ჩაუღო და ასევე წყნარად გამოჩრუნდა. გამოცხადებული მათხოვარი ხეამაღლა გვიხდიდა მადლობას და თერთმეიან თავს მიწამდე ხრიდა.

პირველ წუთს ოდნავ ვავშრი, რომ ფულის ნაწილი მაინც არ დაიტოვა, მაგრამ ვიცოდი გურამს სხვანაირად არ შეეძლო და ხმაც არ ამოჰიღო.

გვედით მარჯანიშვილის მოედანზე. იქ არავინ შეგვხვდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ფხვით დავბრუნდით უკან სახლებისაკენ, რადგან ტროლეიბუსის ფულიც კი აღარ აღმოგვაჩინდა.

ხიდის მეორე მხარეს ისევ იჯდა საწყალი თერთმეიანი მათხოვარი, რომელიც თავის საკეთილ გურამმა მცირე ხნით მაინც გააბედინებდა.

ერთხელ ნაცნობი ჰუაჟდა სტუმრად. ედიშერ რჩეულიშვილის ბინაში მიიპატიჟა, რომელიც სოლოღაისს წუნარ, მზიან ქურჩაზე მდებარეობდა. სახლში სასმელი და სასოვავე არ აღმოჩინდა, სტუდენტობის პერიოდში შენახნახავად ვის რა ვადარჩებოდა!

სტუმარს მოუბოდიშა, ცოტა ხანს მარტო დატოვა, რომ ღენინის მოედანზე სურსათი ეყიდა. ფულიც არ ჰქონდა ჩიბეში, რაც იმ დროს ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ზედად, ვრიბოდოვის თეატრთან მეგობარი შეხვდა, რაც ჰქონდა გამოართვა, ორი-სამი კაცისთვის საკმარისი იყო. გამობრუნებულმა დაინახა შეკრებილი ხალხი და მომხიარული მოხუ-

ცი სოფლელი ქალი, რომლისთვისაც ტროლეიბუსში ფული ამოცალათ. გურამი ცოტა ხანს შეჩერდა, გული ატინა ქალის ტირილს. მასთან და მსუღი ფული მიხცა, თვითონ კი გამობრუნდა სადმე ხესხების მიმდით.

გურამს სხებემაც მიმაძეს და მოხუცი ქალი მხურვალედ მოცვიდა ახალგაზრდას, რომელმაც იგი გასაპირს გადაარჩინა.

ვაკირვებულს რომ დაინახვდა, თავად რაგინდ გაკირვებულაც უოფლილო აუცილებლად დაეხმარებოდა, მას არ უყვარდა დიდი სიფრთხილედ. ფაქრი და ქედანტური აწონდაწონვა თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის გაბედულად დახმარებას და ხელმოცარულის მხარეში ამოღვამას.

შემოდგომის ერთ დღეს ძლივს შეისრულა ოცნება, სახლში ფული მისცეს, რომ ახალი უცხოური ბათინკები ეყიდა. სამასი მანეთი, ანუ დღევანდელი ოცდაათი მანეთი ედო ჩიბეში და სამი მეგობარი მივეუბოდით საყიდლად.

ახალგაზრდები ვიყავით, მუხლი გვერჩოდა ტრამვებით თუ ტროლეიბუსით იშვიათად დავდიოდით. ახლაც ფრთხილ მივეშურებოდით ვაკიდან. გურამის მიერ შეგულებული ბათინკები, თუ არ ცდებოდა, ლესელით ან პუშკინის ქურაზე იყიდებოდა.

მაშინ პირველი საშუალო სკოლის წინ, ახლი ილიასა და აკაკის ძველი რომ დგას, მშვენიერ სკვერში, ძველი, გრძელი, ფართოფანჯრებიანი შენობა იდგა, სადაც უნივერსალი იყო მოთავსებული. აქ წინასწარგანზრახულივით გურამს ისეთი დაბრკოლება ელოდა, რომლის გადალახვა არ შეეძლო.

უნივერსალის ფანჯარასთან იჯდა ახალგაზრდა ქალი, ფერმერთალი და ჩამოხუელი, გვერდით ეჯდა ასე რაც-ცხრა წლის გოგონა, რომელსაც უყლი და უფრები ჭუჭუიანი სახვევით ჰქონდა შეხვეული. დასვრილი, ძველისძველი პალტო ეცვა, ფეხებშუა კონსერვის ქილა ედო და მდუმარედ შეჰყურებდა ვამვილედ-გამომდეგლეს. გოგონას გვერდით ედგა პატარა და ემა. უმწყო, საცოდავი ბიჭი ექვსი წლისა იქნებოდა. გამხდარი, ერთი ციქქნა გოგონა კი — სამ წლამდე. ზოგს ეცოდებოდა ასე სამათხოვროდ ვამოსული ოჯახი და დროგამომვებით კონსერვის ქილაში ხურდები ვაჩნაქუნდებოდა ხოლმე.

ჩვენ ზარდაცემულებივით შეჩერდით, მცირე ხანს შევეუბრებდით ამ შემხარავ სურათს, მერე ჩიბეები მოვიხიარეთ და რაც ხურდები აღმოგვაჩინდა, ქილაში ჩავუყარეთ გოგონას.

გურამი ჩუმად იდგა. ნესტოები დაბერვოდა და ოდნავ გასაგონად ცხვირით ფრუტუნებდა, რაც აღედგების დროს იცოდა ხოლმე. შემდეგ ბავშვებთან მივიდა და პატარა, სიცვისივან მობუზული გოგონს ქილაში ქაღალდის ფული ჩაუღო, უხმოდ მოტრიალდა და წავიდა, ჩვენც ვავეყვით.

— რა ჰქვინი, რამდენი მიეცი? — ჰკითხა ერთმა მეგობარმა.

— რამდენი უნდა მიმეცა, რაც მქონდა. მთლიანად მივეცი მაგ საწულესს, — უპასუხა გურამმა.

— შე კაი კაცო, ასი მანეთი მიგეცა. ცოტას დაუფიქრებდი და ვიყიდდით, რამ მიგაქცივინა ამდენს!

გურამს ხმა არ ამოუღია. ამ დაუფიქრარი შემთხვევის შემდეგ კარვანს დადიოდა ძველი, დაკრებულ ბათიქებით, მაგრამ გულის სიღრმეში აღბათ კმაყოფილი იყო, რომ დახმარების ხელი გაუწოდა უბედურ ადამიანებს.

ცხოვრებაშიც და ნაწერებშიც ისე განიცდიდა სხვის ბედს, როგორც საკუთარს, მისთვის არ არსებობდა სიტუაცია სხვა, სხვისი მდგომარეობა თუ სხვისი გაჭირვება. შეძლებისდაგვარად ყველა ადამიანს მხარში ამოუდგებოდა, რაღა თქმა უნდა, თუკი ის ბოროტი და დამნაშავე არ იყო.

გავიხსენოთ ორიოდ ნაწყვეტი მისი შესანიშნავი „დღიურიდან“, რომელიც პირადად მე დიდი, ძლიერი, დასრულებული ნაწარმოების ტოლფასად მიმართა, ჩემს გარდა, სხვებიც ადასტურებენ ამ აზრს.

საშოფრო კურსებზე მისულმა გურამმა დინახა უბრალოდ ჩაცმული, საშუალო ტანის ბიჭი, დიდი ოთხკუთხედი თავით, საოცრად უწინო და უსახური, საცოდავი და უსუსური. ბუნებაც კი მოწყენილი იყო იმ წუთში, ბუნებაც ენმარებოდა გურამს განცდების ოსტატურ გადმოცემაში. ისიც წერს თავისებური სიკეთით, შინაგანად ენმარება ამ ბიჭსაც და ასობით მის მსგავსსაც.

„რა უფლება ჰქონდა, გულში გაველო ვინმეს, რომ არ უნდა იცხოვროს ამ კაცმა, რომელიც აშკარად სუსტია“. ყველა ადამიანი ადამიანი და მას უფლება აქვს საკუთარი სიხარულიც, წინსვლის, ბედნიერების. რასაკვირველია, ეს უფლებები მან სიკეთის განმტკიცებას უნდა მოახმაროს.

ახალგაზრდა მწერლის კაცთმოყვარული, ჰუმანური ფილოსოფია ნათლად ჩანს აქ.

„ამ კაცის მთელი ეს სევდიანი, უწინო აღნაგობა, რომელიც თითქოს მართლაც არ არის ცხოვრებისათვის შექმნილი, განსაკუთრებული ხაზგასმით ლაპარაკობს, რომ მას ისევე უნდა სიცოცხლე, როგორც უძლიერესთა ამა ქვეყნისა, რომ მას იმდენივე უფლება აქვს სიხარულზე. როგორც უბედნიერეს ადამიანს“.

ყველა დიდი და ზოგადსაკაცობრიო იდეების დამფუძნებელი მწერლის მსგავსად გურამს ხარვეზი ულიწვილის დამოკიდებულება ნებისმიერ ადამიანსადმი მასობრივია, განპირობებულია სიკეთით და გულწრფელი სურვილებით.

გავიხსენოთ ამავე ნაწარმოებიდან კიდევ ერთი პატარა და თავისთავად ტევადი მომენტი, როდესაც მოწივებული გურამი საკონდიტროში შედის და მაგიდასთან მიმდგარი, ნაშტვარს შეეკეცვა. დაუვიწყრად: „ჩემს პირდაპირ ზის თათარი შუშა. მან შესამე ეკლერი მოითხოვა, მე უმიზეზოდ მესიამოვნა, რომ იმას ფული ჰქონდა“.

ყველას დახმარებას ცდილობდა, გაჭირვებულს წუთითაც არ მიატოვებდა, ვინც არ უნდა უოფილიყო, ყველა ეცოდებოდა, მოლაღატის გარდა. ამიტომაც იყო რომ ნოველაში „კიდევ ჩრდილოეთ კავკასიაში ყვებოდნენ“ მან ქმრის მოლაღატე ახალგაზრდა ლამაზი ქალი, „მხრებზე დაუყრილი წაბლისფერი თმებით“ სასტიკად დასაჯა; დიდი მწერლისა და ადამიანის ეს მართებული შურისძიება მაშინ გამოჩნდა, როდესაც მოლაღატე ცოლმა ნიკელის საწოლზე პირსახოცით ჩამოიხრჩო თავი.

ასევე ძლიერი მწერლური ვნებით დაწერილ ნოველაში „მოხუცებული“ გურამი მთლიანად მოხუცი ნულალტრის ევგენი პროკოფიევიჩის მხარეზეა.

მოხუცი შემთხვევით, მოულოდნელად შეესწრო ცოლის დაღატ. ჩვენც ამ მომენტს ერთი გაღვებით აღვივავთ და ოთახში ვტოვებთ ვიღაც სულმდაბალ. ავსორც ქალს, რომელიც, რა ბუნებრივი ვამართლებაც არ უნდა მოუძებნოს ვინმემ, მაინც მოლაღატეა.

უფიქარი ადამიანური გულისტიკვილით ავსებული მოხუცს ახალგაზრდა მწერალი მთელი არსებით უთანაგრძნობს, მის ხასიათში, ბუნებაში, ცხოვრებასთან დამოკიდებულებაში ახალ-ახალ შტრიხებს აღმოაჩენს, რაც ენმარება ევგენი პროკოფიევიჩის საღად შეხედოს უღმობელ სინამდვილეს და თავის ცხოვრებასაც პრაქტიკული თვალი გადაავლოს.

შეიძლება მასზე ბევრად უმცროსი ცოლი რაღაცაში მართალიცაა, შეიძლება მოხუცებულს სხვანაირადაც უნდა მოქცეულიყო, მაგრამ რაც მთავარია, მან მიაგნო თავშეკავებისა და საკუთარი ძალების განმტკიცების გზას, რისი საშუალებითაც იგი კვლავ გააგრძელებს თავის პატოსან, წუნარ სიცოცხლეს და რაშიც მას დიდად დაეხმარა ადამიანების უსაზღვროდ მოყვარული უნიკიერესი ახალგაზრდა მწერალი.

გაგრძელება იქნება





ალმა ხვანა და დღამა ფარცხვა

მცირედად უკან დავიხიოთ, ქართლის ამბებს კახეთის თავგადასავალი შემოეფუტოლოთ და უწინარესად ეს გავიხსენოთ, კეთილი მკითხველო: 1728 წელს, თურქები რომ ტფილისს მოადგნენ, ქალაქის კლიტენი დამპყრობლებს კახთა მეფე კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანმა მიართვა, მაგრამ ოსმალებმა კონსტანტინეს ეს „დამსახურება“ არ დაუფასეს და მეორე ქართველის თხოვნით ციხეში ჩააგდეს.

ეს „მეორე ქართველი“ გახლდათ ბაქარი, ძე ვახტანგ მეექვსისა.

მერე კონსტანტინე ისევ ბაქარს შემოეფერა, ციხიდან გამაპარეო და ბაქარმაც დასრულა ეს თხოვნა.

ციხეში თვითონ ჩააგდო და ციხიდანაც თვითონ გააპარა.

კონსტანტინე ტფილისიდან მარტყოფს მივიდა, იქ დატოვებული ოჯახი გაიყოლია და თელავს დაფუძნდა.

მაშინვე, ცალკე ოსმალებს და ცალკე ლეკებს მოციქულები გაუგზავნა შერიგება-დასავების თხოვნით.

ამის პასუხად იმავე წელს ოსმალებმა დალაშ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1, 2, 3, 4, 5, 8.

ქრეს მარტყოფი — „მოსწყვიტნეს, მოსტყვევნეს, ხატნი და ჭვარნი შემუსარნეს, მოსწყვეს და მოაოზრეს და წარვიდნენ ტფილისვე“.

ხოლო ლეკებმა „პ.სუნი“ მომავალი წლისთვის გადასდეს, — 1724 წლის გაზაფხულზე „იყო ლაშქრობა ლეკთაგან ძლიერი, ხდომანი, სრვანი, ტყვევანი, ოხრებანი დაუცადებულნი და იავარნი კახეთსა შინა“.

კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანმა თელავი საიპედო სადგომად ვეღარ მიიჩნია და „დედოფლით, დედაწულით და წარჩინებულთ, თიანეთს გადასახლდა“.

ისევ გამართა სამშვიდობო, „სამეგობრო“ და „ეთელ-სამეზობლო“ მოლაპარაკება კახთა მეფემ ქარელბთან. დათანხმდნენ ქარელნი. მაგრამ მაინც ძნელი სანდობი იყო „ლეკური ზავი“.

გამორჩევით, კონსტანტინეს ძმა, თეიმურაზ ბატონიშვილი არ ენდობოდა ლეკებთან მეგობრობას. ამიტომ მან თიანეთი შიატოვა და ანაწურს მიასურა საცხოვრებლად. მას, ოჯახთან ერთად, თან გაჰყვენენ ეპისკოპოსნი და „უმეტესი კახნი დედაწულით“.

ანაწურს მიმავალ კახელ „წმიდა მამებს“ თან მოჰქონდათ წმინდანთა ძვლები, მათ შორის — ნაშენი სახელოვანი ქეთევან წამებულისა.

არავგეს რომ გადადიოდნენ, შუა მდინარეში

ცხენს აგორებულ ქაზე ფეხი დაუსხლტა, დაეცა და ტვირთი წმინდანთა ნაშთებისა წყალში გაიტაცა.

(მართლაც რომ უცნაურია ბედი ადამიანისა: დიდი მარტვილი ქალის, საქართველოს დედისა და დედოფლის სისხლი ერანის ცხელმა მიწამ შეიშრო, ხოლო ძველთაგან ნაწილი ევროპას განისვენებდა, ნაწილი ინდოეთს, ნაწილი რუსეთს და ნაწილსაც ახლა ქართული წმინდარე მიქანებდა სადღაც, ადგილსა მიუსაფარსა, მიუგუნებულსა და სამარადჟამოდ მიუწევდომელსა).

ანანურს დასახლდა თეიმურაზ ბატონიშვილი თითქოს ეს „უნდობლობა“ იწყინეს „მოკავშირეებმა“. მაშინვე წამოემართნენ ლეკები და გარს შემოადგინეს ანანურს. გამოუხდნენ კახელები ცხის ვარტე და შეებნენ. მაშინვე უკუიქცნენ და გაუჩინარდნენ ლეკნი.

„შემდგომად მცირედისა“ ახალგაზრდა ჭარბლთა ჭარი წამოემართა კახეთის შუაგულსკენ, კონსტანტინე მამადა-ყული-ხანმა „არა კეთილად“ შეაფხა „კეთილ მეზობელთა სტუმრობა“ და ქიწიყისკენ გაემართა, აღბათ, ზესი ჩა-საქრელად. მაგრამ მომხდურნი და დამხდურნი ზაზუნ ერთმანეთს ასცდნენ. ლეკები ანაზღაოთად დაეცნენ თიანეთს, „შემოესივნენ დედოფლსა და ქონებასა მისსა“, მაგრამ რაკი მეფე ვეღარ იპოვეს, მხოლოდ ქონების დატაცება იქმარეს და ქარს გაბრუნდნენ.

სულ ერთი ყოფილა — რალა თელავი და რალა თიანეთი, — იფიქრა გამწარებულმა კონსტანტინემ და ისევ თელავს ვადმოვიდა ატირებულნი ჭალაბით.

თელავიდან მეფემ ჭარბლებს შეუთვალა: სტუმარ-მონდობილად მიგინიეთ და ასეთი რამე როგორ მაკადრეთო!

ლეკთა უზუცუცებმა კახეთის მეფეს ქონება უკანვე დაუბრუნეს და თან ასეთი ზოდისივი შე-მომუთვალეს: რაც მოხდა, სულ „ჩვეილმა ლეკებმა“ მოახდინეს ჩვენდა უცნობებლად; ამისათვის ისინი კიდევაც „ვსტანჯეთ“, ხოლო ამიერიდან ჩვენ „კვალად ვართ მეგობარნი შენი მტკიცედეთო“.

ერთხელ კიდევ დაზავდნენ და „დამეგობრდნენ“ კონსტანტინე და ჭარბილი.

ჭარბლენი პირობას იძლეოდნენ, კახეთის მოსახლეობას ხელს აღარ ახლებდნენ, თუ კახთა მეფე ქართლისკენ მიმავალ გზებს არ დაკეტავდა. კონსტანტინესაც სწორედ ეს უნდოდა: ლეკებს მუდმივი თარეშით დაესუსტებინათ ქართლში ჩაბუდებული ოსმალები და ამდენად ოსმალებს ხელი აეღოთ კახეთსა დაპყრობის ფიქრზე. ამ შემთხვევაში კონსტანტინეს სრულებით არ ენაღვდებოდა, რომ ქართლისაკენ გზავახსნილა ლეკები მარტო ოსმალებს კი არა, ქართლებსაც გააჩანაგებდნენ. წთავარი იყო, ოსმალებს და

ლეკებს ერთმანეთი დაეუძლურებინათ და სხეთის მიწა არ შეეწულებიათ.

აკი ასეთი იყო კახეთის მესვეურთა „საქართველომად“ დაქუცმაცდა და „დაიპანტა“ ..

1724 წელს, როგორც ზემოთ მოვახსენე ჩემს მკითხველს, მაინც იყო ცდები ქართლებსა და კახელთა გაერთიანებისა, „ყოველი მტრის“ წინააღმდეგ ერთხლი ბრძოლის „განაზრახით“, — პირველად — ბაქარსა და კონსტანტინეს შორის, მეორედ — გვიე ამილახორსა და კონსტანტინეს შორის.

მაგრამ არც ერთხელ და არც მეორედ არაფერი გამოვიდა ისე.

ოსმალებმა იხვე ვაიმარჯვეს, ქართლს მტკიცედ დაეუფლნენ და კახეთი მოხანში ამოიღეს.

კახეთი სპარსეთის უმად ითვლებოდა. კონსტანტინე მამადა-ყული-ხანიც შაჰის დანიშნული კაცი იყო და კიდევაც სამაგიერო და „სამაგალითო“ ერთგულებით აღიარებდა სპარსეთის „მფარველობას“ და „პატრონობას“.

მაგრამ იმუშად სპარსეთს კახეთის „პატრონობა“ კი არა, საკუთარი თავის მოვლაც აღარ შეეძლო. ამიტომ თვითონაც „უფრო დიდი“ მფარველის ძებნა დაიწყო კახეთის მეფემ.

და ისევ რუსეთი აემართა თვალწინ იმედად კახეთის საჭეთმპყრობელს.

1724 წელსვე კონსტანტინემ წერილები გაუგზავნა რუსეთსა საიმპერატორო კარს. ვახტანგ მეფეს შევხვრივდიო. მეც მზად ვარ ქრისტიანობისთვის ეზბაქოლოო, თავს არ დავიწოგავ, რომ ოსმალებს საქართველო არ დავანებოო, — სწერდა კახთა მეფე.

ჭრ ვინმე რო სე ბა გაგზავნა ელჩად რუსეთში, მეგრ — ბერი ზებედე, ბერი ქრისტე ეყო რე და თავად და ვთე ბეუანის ძე. ელჩები 1725 წლის 8 მარტს ჩავიდნენ მოსკოვს.

მაგრამ დედოფალმა ეკატერინე პირველმა არ მიიღო ისინი.

ეს გასაგებია იყო: აკი რუსეთის საიმპერატორო კარს საქართველო ოსმალების „გავლენის სფეროდ“ ჰქონდა აღიარებული და ხელმოწერილი.

დავით ბეუანის ძემ ჩამოუტანა ეს სამწუხარო ამბავი რუსეთიდან კონსტანტინეს.

ზებედე და ქრისტეფორე მოსკოვში დარჩნენ — „სხენცკელ ქართველებთან“.

(ზებედე ადრეც ცხოვრობდა რუსეთში. გენერალ-ფელდცეხმაისტერ აღექსანდრე არჩილის ძეს ახლდა რუსეთ-შვეციის ომში).

მაშ, კახეთი სავსებით „უპატრონოდ“ და უმ-

ლევან სანიკიძე
შაბრძაშვილი ხმლები



წილად დარჩენილიყო ოსმალური ვეშაპის ხახხასანი.

ხოლო ოსმალებს აშკარად „ნებავდათ დაპურობა კახეთისა, მხგავსად ქართლისა“.

რაკი მეთი საშველი აღარსიდან ჩანდა, ისევ თავისი „საფარელი სპარსიებისკენ“ გაიპოტინა ხელი კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანმა. მან შაჰთან გაგზავნა სახლფუხუცესი საჭურველი და სხოზო „ნიკნი საგანძურთა“ ოსმალთა წინააღმდეგ საომარა ხარჯებისათვის.

სანამ სპარსეთიდან პასუხი ჩამოვიდოდა, მანამ კონსტანტინე, კახთა და ლეკთა ჭარით, უაზახისაკენ დაიძრა.

შეიტყვეს ოსმალებმა, სასწრაფოდ ამხედრდნენ და მოულოდნელად თავს დაეცნენ „ხილხილას მდგომს“ კახთა მეფის ბანაკს.

ძლივს გასწრო კონსტანტინემ მისი ქონება და „გულის სალაღობედ“ წამოუყვანილი ხარჭები ოსმალებს დარჩათ.

გაქცეული კახთა მეფე მივიდა ვანქას, ხალაც მასინ შაჰის ბრძანებით მმართველად იქდა კონსტანტინეს ძმისწული მამა დამიროზი. მაგრამ ძმისწულმა არ შეუშვა ბიძა ქალაქში. „ვიინადან ეშინოდათ განცუტთა ოსმალთაგან“.

ქალაქგარეთ კი უძღვენეს განჯელებმა კონსტანტინეს „დიდნი მიწები“, მაგრამ აღარ დადგა და კახეთისკენ გასწია კახთა მეფემ.

ღამით მოჰყვებოდა შტკვრის ნაპირს, რამეთუ „აქენდა შიში ლეკთაგან“. მეგზურ-ეტიკად ჩვენითვის უკვე ცნობილი ტურა რამაზაშვილი მოუძღლოდა.

საგარეჯოს მოატანა მეფემ და მასინვე დაეცნენ ლეკები თავზე. ბეწვზე გასწრო კონსტანტინემ — „განივლტო ღამით და მივიდა თელავს და განამაგრა იგი“.

იღმა 1725 წელთ.

ლეკები მოსდებოდნენ კახეთის ციხე-ქალაქებს. სოფლებს და „დაბნებს“. უკვე „დაპურობილად“ და „დასაკუთრებულად“ თვლიდნენ ლეკები კახეთს. ის, რაც დიდმა თემურლენგმა და შაჰ-აბასმა ვერ შეძლეს, თითქოს შარაგზის ქურდ-ბაცაცებმა შეძლეს. მოღლებიც კი გაუსიეს ახლმა „დამპურობლებმა“ კახეთის სოფლებს, სუნიტური მამადიანობის გასავრცელებლად.

სწორედ მასინ მიიწვიეს ქართლის თავადებმა კონსტანტინე თავისი ჭარებით ოსმალთა წინააღმდეგ საომრად. როგორც ითქვა, კონსტანტინეც მივიდა მუხრანს, კახთა და თუშ-ფაშა-ხევისურთა თანხლებით. მაგრამ ისიც მოგახსენეთ, რომ ამ „ერთობას“ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

კონსტანტინე ახალგაზრს გადავიდა და ოჯახიც იქ გადაიყვანა, „რამეთუ ვერღარა შთავილოდა კახეთს ლეკთა გამო“.

აქვე კახთა მეფეს ეახლა სახლფუხუცესი საჭურველი, რომელიც მას ელჩად ჰყავდა გაგზავნილი შაჰ თამაზთან. უნეს თავისი მმართველი მაჰმად-ყული-ხანის თხოვნა მართლა შეუწყნარებია და გამოუგზავნია 18 400 დრაჰაკანი. მაგრამ ეს ფული მეფეს იქვე, ქსანზე შემოეკეპა, „რამეთუ დაუძვირეს უოველნი საზრდელნი ქსისსეველთა“.

კონსტანტინემ შანშე ქსის ერისთავიხაგან ასეთი უპატივეცემლობა „ვერღარა იტვირთა“ და ფშავის მთებს მიაშურა. თან წაიყვანა საკუთარი ოჯახი და მძა, თეიმურაზი „დედა-წულოთურთ“.

ერთი წელიწადი გაატარა მეფემ ფშავში „იშროლებითა დიდითა“.

კახთა მეფის „გადაკარგვამ“ კიდევ უფრო გაათამაშე ლეკები. ისე გათამამდნენ, რომ ვერღვლა ლეკებმა დაღვინდნენ თავისტომნი ჩამოიყვანეს და დიდძალი ჭარებით ვარს შემოადგინენ თელავს.

ერთი სიტყვით, საქმე იქამდე მისულა — ლეკებმა კახეთის სატახტო უნდა აიღონ და ამ დიდებული ქართული ქვეყნის „დაპურობის საქმე“ ერთხელ და სამუდამოდ გაათავონ.

ერთი კვირა ებრძოდნენ ერთურთს მომხდურნი და დამხდურნი.

მერე ქალაქის გალავანს ვარეთ გამოიჭრნენ თელაველნი და „კახური გახელებით“ დაეტაკნენ ლეკებს. დედუკენ და „მოსრნეს ბანაკის მათნი. აოტნეს და აღრდეს ალაფნი მათნი“.

თელაველთა გამარჯვების ამბავი რომ შეიტყვეს, კახელებმა მთელს კახეთში, უოველ ლეკს, რომელსაც კი ზელი დაატანეს, მუსხი გაავლეს.

ლეკთაგან რომ „განიწმინდნენ“, კახელებმა კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანს ფშავში კაცი გაუგზავნეს და შეუთავაღეს — მოდი, ქვეყანას უმეთაურე და მოუარეო.

კონსტანტინეც თელავს მობრძანდა და დაბრძანდა მუშაზარულზე.

მასინვე ჭარში მოციქულები გაგზავნა და ლეკებს ისევ ზავი შესთავაზა.

ლეკებმა იღიქრეს: კახელები მაგრები არიან, ხოლო ქართლი მდიდარი და უპატრონოაო. ამიტომ სჯობია, კახელებთან დავზავდედეთ და მათი გზებით და მეგზურობით ქართლში ვითარე-შოთო.

ასედაც მორიგდნენ: კონსტანტინე ლეკებს ქართლისკენ გზებს გაუხსნიდა და მეგზურებსაც გააუწოდებდა. სამაგიეროდ ქართლში მოალაფე-ბული ნადავლის მეხუთედს ლეკები კახთა მეფეს მიაართმევდნენ.

ახე „ვაათავა“ საქმე კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანმა, ლეკების „მეგობარმა, მძამ და მეყვისმა“.

მაგრამ მანვე იცოდა, რომ ლეკები „ბოლონი-დე სანდონი“ შინც არ იყვნენ და მალაროში დიდი ციხე-სიმაგრე გაამართინა „მოკავშირეთა“ მოსალოდნელი თავდასხმის უკუსადგებად.

...მხმამდ ოსმალები აჩაყებულნი შანშე ქსნის
ერისთავისა და რევან არაგვის ერისთავის და-
ხალაშქრავად მილიოდნენ და კონსტანტინეს დაბ-
მარება სთხოვეს. კახთა მეფე „სიამოვნებით“
დათანხმდა, „ვიწადგან შტერ-იყო მამამად-ყული-
ხან შანშესი უპატოო ყოფისათვის წინ-თქმულ-
თა“. წაჰყვა კონსტანტინე დამპყრობლებს მოშ-
მეთა ასახობრებლად, მარტო კახთა ჭარით კი არა,
„მოკავშირე“ ლეკთა ნიჭადის (დამხმარე ჭარა)
თანხლებით.

ახე შეეხივინენ ქსანსა და არაგვს ოსმალები,
კახელები და ლეკები.

რევან არაგვის ერისთავი წითულეთს გაიქცა,
წეს ნაცვლად არაგვის ბატონად ოსმალებმა დას-
ვეს პაპუა ერისთავი.

შანშე ქსნის ერისთავმა ქრთამით ისევ დაი-
წარჩუნა ქსნის მფლობელობა.

კონსტანტინე მამამად-ყული-ხანმა ანაურის
ციხე-სიმაგრეს ზარბაზნები აჰყარა და თელავს
გაგზავნა.

არაგვისა და ქსნის დალაშქრის შემდგომ, რო-
გორც ითქვა, ოსმალებმა დალაშქრეს ლიახვის
ხეობა, დაამარცხეს და გააქციეს თეიმურაზ მაჩა-
ბელი.

ხოლო უკან რომ გამობრუნდნენ, სწორედ
მაშინ „ინეტეს ოსმალთა დალატით შეპყრობა
მამამად-ყული-ხანისა“. მაგრამ კონსტანტინემ
ისაყ ფაშას მწაყრობა დროისად შეუტყო, გა-
წოქცა და მშვიდობით ჩააღწია თელავს.

ერთი წლის შემდგომ, ისაყ ფაშას შვილმა და
ახალციხის მმართველმა უსუფ ფაშამ კონს-
ტანტინეს შეუთვალა: მე ახლა ყარაღაქს მივ-
დივარ. იქ სურხაი-ხანს უნდა შევხვდე და შენც
იქ უნდა მოხვიდე, რამეთუ ბოლოს და ბოლოს
კახეთი ხონთქრის მორჩილად ხცნო და აღა-
როო.

კონსტანტინემ ოსმალ ფაშას შემონათვლის
პასუხად ფეხი დაჰყრა და ისევ ფშავის მთებზე
მისცა თავი.

უსუფ ფაშამ ალავერდის ეპისკოპოსი და სარ-
ღლი თარხან ლუარსაბი გაუგზავნა გაქცეულ
მეფეს: დაარწმუნეთ, თავისი ფეხით მოვიდეს და
არას ვაწინებო, თუ არა და, მერე ყველაფერი
თავის თავს დააბრალდოსო.

შეუწინდნენ და ეჩინინენ ალავერდელი და
თარხან ლუარსაბი კონსტანტინეს: ფიცით გარწ-
მუნებთ, ეახელ უსუფ ფაშას და წყალობის
მეტს არაფერს შეგყრისო, ხოლო უკეთუ არ
ეხლებები, ერთის მხრიდან ისაყ ფაშა წამოვა
ოსმალთა მხედრობით, მეორეს მხრიდან სურხაი-
ხანი ლეკთა ჭარით, კახეთსაც მოხობიან, შენც
ხელთ ჩაგვიდებენ და სასიკვდილოდაც აღარ
დაგვრგავნიო.

დაიჭრა კონსტანტინემ. შექდა ცხენზე, კახთა
მცირე მხედრობა აიყოლია, ალავერდელი და
თარხან ლუარსაბიც იახლა და გეგმართა ბეჟან-
ბაღსკენ, სადაც მაშინ იდგა ოსმალთა ბანაკი.

...დიდის ამბით, ხელგაშლითა და „სიყვარულ-
ლო“ შემოეგება უსუფ ფაშა კახთა მეფეს
დად „პატივცა“ და მერე სხოსოვა: ახლად
გაბრუნდით და, როცა მოგიწოდოთ, მაშინ უფ-
რო დიდის ჭარით მეწვიეთო.

ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

იქვე მამამად-ბეგი იდგა, ისაყ ფაშას „მე-
საქურჭლე“.

იმსაც გამოეთხოვა კონსტანტინე და ცხენი-
საკენ გაემართა.

უზანგში ფეხი შედგა და ის იყო ცხენს მოახ-
ტა და უნაგირზე შეისწორდა, რომ ზურგში
მქალავი დარტყმა შეიგრძნო.

ეს მამამად-ბეგმა შესტყორცნა შუბი.

კონსტანტინემ დარტყმა შეიგრძნო-მეთქი. მა-
გრამ ვეღარ კი შეიძინო: უკვე უსუფად ეგდო
ლელამაწაზე.

„მერმე მიეტყვენ ოსმალი კახთა, მოსწყვიტ-
ნეს და ტყვე-ჰყვეს მრავალი“.

შეიპყრეს ალავერდელიც და თარხან ლუარსა-
ბიც. ისინი უკვე აღარ სჭირდებოდა უსუფ ფა-
შას და მისი ბრძანებით იქვე ორივეს თავები
დააგდებინეს.

ერთად მოაქურეს წარკვეთილი თავები —
კონსტანტინე კახთა მეფისა, ალავერდის ეპის-
კოპოსისა, თარხან ლუარსაბისა და „სხვათაცა
მრავალთა“ და ისაყ ფაშას ჩაუშაბარებლეს
ტფილისში.

ისაყ ფაშამ ეგზოში „მჭირფახი და ხაამური
ძღვენი“ თავის მბრძანებელს — ოსმალეთის ფა-
დღეშას გაუგზავნა სტამბოლში.

ეს ამბები 1728 წელს დატრიალდა.

ამის შემდგომ შეხვდნენ ერთმანეთს უარა-
ღაქში უსუფ ფაშა და ყაზი-ყუმუხის ბატონი
სურხაი-ხანი. შეხვდნენ, ითაბირეს, გადაწყვი-
ტეს და დაშორდნენ.

ოსმალთა ბელადი ტფილისს დაბრუნდა.

ლეკთა ბელადი კახეთს შეესია.

ლეკები ჯერ თელავის ხახახლეს დაეცნენ.

კონსტანტინეს ცოლ-შვილი თავისი ნებით ჩა-
ბარდა სურხაი-ხანს.

ამის შემდგომ სურხაი-ხანმა „შემუსრა შილ-
და, ყვარული და გავაზი, მოსრნა, მოსტყვევნა,
წარაყვანა მრავალი სულნი და წარვიდა თვი-
სადეი“.

ყარაღაქის ციხე საგანგებოდ განამტკიცეს
ოსმალებმა — „განამარეს ზარბაზნებითა და შე-
აყენნეს გუშაგნი და სხანი ჯაუდგინენს“. ეს არ
მოეწონათ ლეკებს, რადგან ფრიად იწოდებო-
და მათი ძარცვა-ბრძენის წრეწირი კახეთის მი-
წა-წყალზე. არ მოეწონათ, მაგრამ ვერაფერს
გახდნენ.

მაშინ ქართლისაკენ დაიძრნენ ჰარენლი, მო-
ვიდნენ და „მოსტყვევნეს ბოლნისებო“. გამო-

ლევან სანიკიძე
უტარტაშვილი ხმლები

უბრათ ისაყ ფაშა ოსმალთა და ქართველთა შა-
რით, — „და მოსწყვიტნენ ურიცხვნი ღმერთნი,
აოტნენ და მოყვნენ ზოციოთა და სპიოთა დღე
და ღამე ალაზნამდე, ვითარ მცირედნილა გარ-
დაეხვეწნენ და უკუნ-იქცა გამარჯვებული ისაყ
ფაშა ტფილისსვე. არამედ ქართველთა მიერითგან
ვერღარა იკადრეს რბევად და კირთებად...“

ამ დროს თეიმურაზ ბატონიშვილი ფშავს
აფარებდა თავს, „ფრიად უპოვარი“.

რუსეთს წასვლა „მოინება“ თეიმურაზმა.
მაგრამ ზელი ააღებინა მისმა მრჩევლებმა,
გაუთავებელი ჩიხარით.

მაშინ თეიმურაზმა ისაყ ფაშას მოციქულს გა-
უგზავნა და ხელშეუხებლობის პირობა ითხოვა.
კახეთი ხონთქარმა ისაყ ფაშას შეიღს, უსუფ
ფაშას დაუმტკიცა, მაგრამ ისაყ ფაშა კარგად
ხედავდა, რომ კახეთის მორჩილება იყო „სახე-
ლით ოდენ და ვერა რის მოქმედებითა“.

ამიტომ ოსმალთა მთავარსარდალმა კახელებს
თან ისევ შერიგება აპოზინდა და თეიმურაზი
ტფილისს მიიწვია „სახურველ სტუმრად“.

თეიმურაზს ყოყმანი შეუღდა, მაგრამ ბოლოს,
„განზრახვითა და იძულებითა კახთათა“, მანც
წავიდა ტფილისს.

ისაყ ფაშამ „ერთილად შეიწყინარა“ თეიმურა-
ზი და „წარმოავლინა კვალად კახეთსავე, რათა
დაადგრეს ერთგულებასა ზედა და იყოფებო-
დეს თელავს“.

ახე იწყებდა კახეთს მეფობას თეიმურაზ
მეორე (1733-1762 წწ.).

ერთი წელიწადი აცალეს ტახტზე „მორჩი-
ლად“ მჭლომარეს თურქებმა.

ხოლო „წელსა 1734 უსუფ ფაშა მოვიდა დი-
დის ჭარით ქიხიყს-მალაროს და დასდგა მუნ,
რათა ნებისმიერ თვისისა დაიპყრას კახეთი“.

აგრე არ უნდაო, თეიმურაზმა და „შემოიკ-
რიბნა კახნი, მოვიდა ღამე და თავს დაესხა და
გაემარჯვა ოსმალთა ზედა და მრავალნი მოსწყ-
ვიტნენ“.

თავპირისმტკრევით მოცოცხა უსუფ ფაშამ
და მისმა განახევრებულმა მხედრობამ.

„მიერით ვერღარა იკადრეს ოსმალთა შესვ-
ლად კახეთად“.

არც ისე „თვინიერი“ ჩინდა ახალი მეფე კახე-
თისა, მეფე თეიმურაზ მეორე, მამა „პატარა
კახისა“.

ხოლო პატარა კახი — ერეკლე ბატონიშვილს,
მამის მეფედ აღზევების შაშხ იყო ცამტკინის
ნაადრევად და სამუდამოდ გამოსულიყო უმ-
კაცრესი, უნებვირო ბავშვობისა და ყრმობა-
წლებიდან. სამუდამოდ უკან დაეცოვებინა ხა-
მუშ-ხამუში სიხარული გლეხებთან და მწყემსებ-
თან გატარებული დღეებისა უკვე უმღერდნენ
კახეთში პატარა კახის „ბუნებისშვილობას“

ბატონიშვილს ერეკლესა
იქმის ძუძუ უწოვნი;
საჩაღში გადაგდოთ,
მონადირეს უპოვნი;
წყალი უსვამს ალგეთისა,
თრიალეთზე უძოვნი.

ბავშვობის საყვარელი ცხენის, ბაჩას ზურგზე
ესწავლა ცხენოსნობა.

საომარ ხელოვნებას აბელ ანდრონიკა-
შვილი ასწავლიდა, ღვთისმეტყველებას —
ონოფრე ბოდელი, გალობას — დიმი-
ტრი ხელაშვილი.

ეს ტკბილ-მწარე ამბავიც ჩავლილი იყო: ერ-
თხელ ერეკლეს ნადირობის დროს შვლის ნუკ-
რი დაუქერია, ბიყინა დაურქმევია, თავის ხე-
ლით გაუზრდია და შეუზრდია. უფლისწულის-
გან გათამამებული ბიყინა ბევრს დარბოდა და
დახტოდა თურმე სასახლეში, ბევრსაც გულზე
ქვალად ესობოდა შვლის სითამამე. და ერთხელ,
როცა ყრმა უფლისწული შინ არ იყო, ბიყინა
შეიპყრეს და ყელი გამოსჭრეს.

თეიმურაზი უკვე „პარგა ხნის“ პოეტი გახლ-
დათ და ლექსიც შეთხზა წუხილით შეპყრობილი
ძის სანუგეშოდ:

ჩიოდა ამას ბიყინა,
როს ხლომა ჰქონდა სულისა:
„სად მყავს აწ ჩემი ბატონი,
ჩემი ამგები ხულისა?
უმისოდ მომკლეს დიაცთა,
არ მყვანდა მტკენი გულისა“.
და აწ თქვენ შეგაადრეთ უგრძობლად
სიკვდილი მის ბედკრულსა.

ცამტკინის იყო უფლისწული მამის გა-
მეფების შაშხ, 1733 წელს.

ყმაწვილს ყმაწვილობისთვის აღარ სცალოდა.

გამოსვლა ნადირ ავშარისა

ერანი ჩვენ ორი ყაენის მბრძანებლობის ქვეშ
დავტოვეთ: ისფაჰანში ავღანეთი მირ-მამყული
იჭდა, ხოლო თავრიზში — სეფიანური სისხლის
„კანონიერი“ ხელმწიფე, თამაზ მეორე — უნი-
კო, უწყალო, უგუნური, ღოთი და გარყვნილი

დესპოტი. დავით გურამიშვილმა სრულად და-
ხატა შაჰ თამაზ მეორის სახე:

იჭდა ყაენი შაჰ-თამაზ,
ძე ძისა შაჰ-აბაზისა,

მან შექმნა ბილწად ღრანჯობა,
ბეგრი ღვინო სვა ვახისა,
ალარ ახსოვდის სიმთვრალით
ხელში მირთმევა არხისა,
და მით სამართალი დაფასდის
ცხრა ქანკრად ცხრა აბახისა.

შეყვარებოდა ორივე მას,
ლოთობა მეძაბოანი,
მით დაბნეოდა, წართმოდა
თავისი ტკევა და ცნობანი;
მუდამ შინ იჯლის განცხრომით
ვერ გასძლის ვარკობანი,
და მის გამო ველარ შეიძლო
მან ქვეყნის პატრონობანი.

1725 წელს მირ-მამხუდს მისი სისხტაკით
მოთმინებადაცლილმა ავღანებმა შეთქმულება
მოუწყვეს და ყელი გამოჭრეს.

ისფაჰანის ტახტზე მირ-მამხუდის ბიძაშვილი,
აშრაფი ავიდა.

ახლა ეს ორი ხელმწიფე დაუდგა ერთმანეთს
პირისპირ, ხმაღლე ხელდადებულნი — თამაზ
შაჰი და აშრაფი შაჰი.

თამაზ შაჰს ერთი სარდალი გამოუჩნდა, დი-
დად ნიჭიერი, ხერხიანი, მამაცი და თავზეუ-
ლაღებული, სახელად — ნადირ, შვილი მწყე-
ლისისა, ყმაწვილობაში თვითონაც მწყემსი, წა-
რმომავლობით ავშართა ყიზილბაშურთა ტომისა-
გან (შვიდი იყო ყიზილბაშურთა ტომი: შამლუ,
რუმლუ, თექელუ, უსთაქლუ, ავშარი, ყაჯარ
და ზულყადარი).

ძალიან მაღელ მოხიბლა და დატყვევა შაჰ
თამაზი „უერთგულესმა, უნიჭიერესმა და უმა-
მაცესმა“ ნადირ ავშარმა, ბოლოს, ნადირმა ხე-
ლმწიფის საამებლად და „საბოლოოდ დასატ-
ყვევებლად“ ახალი სახელიც კი დაირქვა —
თამაზ-ყული-ხანი, ანუ „თამაზის მონა
ხანი“.

ერთ დღეს თამაზ შაჰმა ნადირ თამაზ-ყული-
ხანი დაიბარა და უთხრა: ჯარები უნდა გამოწე-
ლო, ისფაჰანზე გაილაშქრო და ავღანელები გა-
ანადგურო.

დიდის სიამოვნებით ვკისრულობ ეგვომ სა-
პატიო ბრძანების აღსრულებასო, უპასუხა თა-
მაზ-ყული-ხანმა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვე-
ვაში, თუ ერთ თხოვნას წინასწარ შემისრულე-
ბო.

რა თხოვნა არისო?! — იკითხა შაჰმა.

ყოველი საომარი და სახელმწიფო საქმეების
წარმართვა მე უნდა მომანდო, შენ უნდას ტა-
ხტითა და პაკით დაკმაყოფილდე და ჩემს
მოქმედებაში არ ჩაერო; დარწმუნებული
ბრძანდებოდე, ასე აჯობებს; იმედი მაქვს, ჩემს
ერთგულებაში ექვს არ შეიტან და ყველაფერს
ისე წავიყვან და განვასრულებ, როგორც შენს
უმაღლესობას სურს განხორციელდესო, — მი-
უგო ნადირ თამაზ-ყულიმ.

აღმოსავლელი დეხპოტის კარზე ასეთი კადნი-
ერი სიტყვანი ერთის შეხედვით დაუტყვევებლად
გვეჩვენება, მაგრამ, როცა გავისინებთ თამაზ-
შაჰის სრულ უსუსურობას და ახლად აღწევე-
ბული ავშარის სიძლიერეს — მისდამი მეომ-
რთა თავანისცემას, პირად ნიჭსა და სიამა-
ცეს, ადვილად გასაგებია ხდება ნადირ თამაზ-
ყული-ხანის სიამამეც და თამაზ შაჰის „შემ-
წუნარებლობაც“: ყანემა ერანის „ყოველი სა-
ქმის“ წარმოება „დამოუკიდებლად“ მიანდო
დროის გმირს.

დაიძრა ნადირ ავშარი სპარსთა მხედრობით,
ისფაჰანს ერთი დღის სავალზე მიუახლოვდა და
დაიბანაჟა.

აშრაფ შაჰიც გამოვიდა ქალაქიდან ავღანთა
ჯარებით და შეება „გულდელად ყიზილბაშებს“.
სახტკი ბრძოლა გახურდა. მრავალი მეომ-
არი ჩაწვა და ჩაიხიწა ორივე მხრისა.

უკუიქცა დამარცხებული აშრაფ შაჰი და
შეასწრო ისფაჰანის კედლებში.

ყიზილბაშები გარს შემოადგნენ ერანის სატა-
ხტოს. ალყა ერთი კვირა გაგრძელდა; კვირის
თავზე კი გამოიქცა, რომ ტყუილად მდგარან
ასე გაფაციცებით და გაწამაწიით: ქალაქის კა-
რიბეგები რომ შეეღწეს და შევიდნენ, მაშინ
შეიტყვეს, რომ შაჰ აშრაფი თავისი სახლეთ-
ლით და ამალით შარცხის ღამესვე გაპარული-
ყო და გაქცეულიყო ისფაჰანიდან.

ნადირ თამაზ-ყულიმ შაჰ თამაზი მოიწვია,
სტეფანთა ტახტზე დააბრძანა და „დადი გამა-
რჯება“ მიულოცა.

ისფაჰანიდან შირაზს გაქუსლა ნადირმა, გა-
რტყა იქ შეხიზნული ავღანელები და ეს დიდი
საბეგლარბეგოც დაუმორჩილა თავის ხელისუ-
ფალს.

მხრებში გაიშალა და გაწვიადა ერანის ხე-
ლმწიფე.

ოსმალეთისა და რუსეთის მთავრობებს მო-
თხოვნა გაუგზავნა: ერანის კუთვნილი ქალაქე-
ბი, რომლებიც თქვენ ავღანთა ძალმომრეობის
დროს ერანისთვის წაგართმევითა, კეთილ ინე-
ბეთ და უკანვე დაგვიბრუნეთო.

რუსეთის საიმპერატორო კარი აღარ აპირებდა
კავკასიისპირეთისათვის სისხლი დაეჭვია. გარა-
ღდა დიპლომატიური წიაღსკვანის ისფაჰანსა და
პეტერბურგს შორის.

ხოლო მანამ ნადირ თამაზ-ყულიმ ოსმალეთს
შეუტბა და ზედოზედ დააგდებინა ერანული ქა-
ლაქები: თავრიზი, ქერმანშაჰი, შამადანი და
მიწა-წყალი ზენჯანის დასავლური მხარისა.

მერე აღმოსავლეთისკენ გაეშურა ნადირ ავ-
შარი, დიპყრო ხორაზანი, აიღო ჰერათი, ყან-
დაშარი და მიწასთან გაასწორა ყიზილბაშთა
მიხისხლე ავღანისტანი.

ლევან სანიძემ
შტატარაში ხმლები



სანამ ნადირი აღმოსავლეთში იბრძოდა, მანამ ოსმალებს ისევ დაეპყროთ მამათანი მ:შ. ერთჯერ კიდევ აყვირდა უმწიფობა თამაზ შაჰს. ხა. მან ხელის განძრევაც ვერ მოახერხა უნიღროდ ისფაჰანი და თავარიზი პანიკამ მოიცვა. ყაენმა ოსმალო სერასქერთან მოლაპარაკება გაართა. სერასქერმა უმძიმესი საჯავო პირობები წამოაყენა. ის „პირობები“ შაჰს თამაზმა ნადირ თამაზ-ყული-ხანს გაუგზავნა „შესათანხმებლად“.

ახვადლა და აიშალა ნადირ ავშარი შაჰის ეგზეომ ლარსობითა და სამარცხვინო გადაწყვეტილებით, და მანინვე წერილი აფრინა ისფაჰანს: „ქონიეთ მოთმინება, სანამ მე თქვენ განახლებთ. ღვთის წყალობით მე მოგვევლინებით იმ ჯარით, რომელიც ძლიერია მუდნივე გამარჯვებებით, შეჩვეულთა ყოველ ქირათა თმინანს საომარ ველზე; უთვალავია, ვითარცა ქიანქველას ბუდე, მაგრამ ამასთანავე მამაცი, როგორც ლომები, ახალგაზრდული გამბედაობისა და შუა ასაკის კეთილგონიერების შეზავებით. მოვალ და მაშინ დაინახავთ, რომ ჩვენი შტერი, ცეცხლის მოთაყვანე, თავზე ღაღარს დაიყრის. რამეთუ ამბობს ბრძნული ანდაზა: „ვისაც ტალღებში სხვისი დახარობა სწადია, თვითონ ჩაიხარობა წყლის შორეულში“.

ეს მოიწერა და მოწერილს თვითონვე გამოჰყვა თავისი ერთგული და მრავალრიცხოვანი ჯარით. მაგრამ შაჰს თამაზის დასახსნელად უკვე აღარ მოდიოდა ნადირ ავშარი...

ისფაჰანს მოვიდა და ამოქმედდა ნადირი. შაჰს თამაზის ერთგული ჯარები პროვინციებში დაგზავნა და დაქაჰსა. თვითონ შაჰს საგანგებოდ დაბრუნდა ნადიმზე მიიწვია, უგარძნობლად კათარო, ხელფეხი შეუბოკა და ბორკილებული ხორასანს გადაჰარგა.

მეორე დილით სპარსელი მხედართმთავრები და წარჩინებულები შეშყარა და გამოუსცხადეს თამაზ შაჰი ყაენის ტახტისთვის უღირსი გამოდგა, იგი ხორასანს გავგზავნე და სახელმწიფო ტახტზე მისი შვილი აბას-მირზა უნდა დავსვათ, სპარსული ფულიც მისი სახელით მოვკრათ, ყოველი საქვეყნო საქმე მისი სახელით აღვასრულოთ, მისი სახელითვე ვივითო, რამეთუ მისი ვარსკვლავი ნათელი და ბედნიერიაო.

ვის რა ეთქმოდა, როცა ნადირ ავშარი ბრძანებდა?

ასე გამოცხადდა ხელმწიფობა შაჰ აბას მეცამისა.

ხოლო ერანის ახალი ხელმწიფე მაშინ ექვსი თვისა იყო, ჭრე ისევ აკვანში იწვა და ღივილი-ავგაროზებს ეფოთარებოდა...

ავი ხუმრობა უყვარდა ნადირ ავშარს. „ხალხსაც მოეწონა მისი საქციელი, შეიყვარეს ის, აქებდნენ მის სიბრძნეს და მზრუნველობას“.

იმვე 1782 წელს ნადირ ავშარი ხელმეორედ დაეძგრა მამადანში შემოჭრილ თურქებს, დაამარცხა და განდევნა ისინი ქალაქიდან. იმ წელსვე „რუსეთის ტრაქტატი“, რუსეთისგან დაიბრუნა კასპიის წელის სამხრეთი სანაპიროები, მაზანდარანისა და ასტრბადის მხარენი.

1784 წელს შირვანში შეიქრა და შემახანდა დაიფრინა ოსმალები.

1785 წელს, „განჯის ტრაქტატი“, რუსეთმა ერანს დაუბრუნა გილანისა და ბაქო-დარუბანდის მხარეები.

(სწორედ მაშინ რუსეთში მყოფმა ვახტანგ მეექვსემა სახოლოოდ დაჰქარგა იმედი „თათარ დამპყრობთა“ წინააღმდეგ რუსული დახმარების მიღებისა).

ოსმალები მიღიან

ამიერკავკასიას მოაპყრო ხარბი თვალი ნადირ ავშარმა.

ერთეანი უსისხლოდ დანებდა, მაგრამ მაინც დაუნდობლად გაძარცვა და ბევრი ოჯახიც სომხეთიდან ხორასანს გადაახახლა.

ისაყ ფაშას ერანელთა შემოსევს საფრთხეც უგარძნია, ლეკთა თვადცემაც და ქართულთა აჯანყების „გარდუვალობაც“. ამიტომ აუშენებია მას „ციხე აველიხსა, კოშკები დიღმის და ციხენი გომისა და მუხრანისა“.

ქართველები უკვე ამხედრებულიყვნენ ოსმალთა ვახადევანდ და გადასაშენებლად.

ეს დიახაც სასიამოვნოდ უნდა დარჩენოდა ერანის მბრძანებელს;

ჭრეჭერობით მაინც ასე უნდა ყოფილიყო, რადგან მას ოსმალებთან ბრძოლაში ძალიან

სჭირდებოდა ქართველთა „კავშირი“ და „მეგობრობა“.

„მაშინ ქართველთა მოსწიქიტნეს ოსმალნი ტფილისის გარეთნი სრულიად“.

ზემო ქართლებიცი გივი ამილახორს დაეყენებინა ფეხზე.

ნადირ ავშარს მოციქულად თავისი ერთი ხარდალი გამოგზავნა გივი ამილახორთან და მამუკა მუხრანბატონთან. — განჯას მივდივარ ოსმალთა გასანადგურებლად და ქართველებით მომშვიველეთო.

გივი ამილახორმა თანხმობა განაცხადა, მაგრამ განჯაში წასვლამდე მას გორში ჩამდგარი ოსმალების ამოწყვეტა განეზრახა.

გორელებიც წინასწარ დაჰპირებოდნენ დახმარებას... და დღისით, მზისით, ამილახორის



მეომრები თითო-თითოდ, გლეხურად გადაცემულნი, შეესახლნენ გორულ მცხოვრებლებს.

ოსმალები ციხისთვის ხის ნაშორებს იმარაგებდნენ და ოთხი რჩეული ქართველი ევაკაცი ისე შეეპარათ, როგორც ქირის საძებრად მოსული მუშა-მტვირთავნი. გვიან დამემდეგ ათრიეს ნაშორები „შეჩინილებმა“, ხოლო დილით, როგორც დათქმული ჰქონდათ, ციხის კარებში აქეთ-იქით ძელები ჩაუტინეს, ოსმალებმა კარები ვეღარ დაკეტეს და გვი აშილახორის მეომრებიც შეცვივდნენ ციხეში. იმ „რჩეულ ოთხეულს“ უკვე გუშაგებიც ამოუწყვიტა და იანიჩართა უფროსი „აღაც“ მოეკლა.

დიდი ხანი არ გასულა და ოსმალთა ციხიონი მიოლიანად აწყვეტილი და დარეცილი ეპარა მიწაზე.

გვი ამილახორმა გორში ქართული ციხიონი ჩააყენა, დახცილ ოსმალო მეთაურებს თავები დაჰკრა და ნადირ ავშარის სარდალს გაუგზავნა.

აშასობაში ნადირ ავშარს ყუმუშში ლაშქრობა მოუწყვია, სურხაი-ხანი დაუმარცხებია, მოუკლავს და განჯას გაბრუნებულა.

ისაყ ფაშაც წამოსულა ოსმალთა მხედრობით და ქიზის დამდგარა.

სასწრაფოდ შეეთქვა თეიმურაზ მეფე ქიზის მოურავს, აბელ ანდრონიკაშვილს, კახთა ჭარი შემოიყარეს და ღამით თავს დაესხნენ ისაყ ფაშას ბანაკს. კახელებმა „მოსრნეს მრავალნი, აღიღეს ალაფნი დიდმალი და წარმოვიდნენ ღამითვე“.

ისაყ ფაშამ დილით, დღის ხინათლზე მისი ამოწყვეტილი ბანაკი რომ იხილა, თავპირის-მტვრევით გაიქცა ტფილისისკენ.

ნადირმა კახელებთან დაახლოება „დამოყვრებით“ დაიწყო. მან თეიმურაზ მეფეს შემოუთვალა — შენი უფროსი ძმის, დავით იმამყული-ხანის ასული გამომიგზავნე ცოლადო.

თეიმურაზმაც შეუსრულა ეს შემონათვალი. მაგრამ ნადირთან პირად გამოცხადებას მაინც აგვიანებდა კახთა მეფე.

აბად, უკვე მოეპარათ თავი ერანელ მბრძანებელთან ქართლის დიდებულებს — გვი ამილახორს, მამუკა მუხრანბატონს, შანშე ქნის ერისთავს და პაპუა არაგვის ერისთავს.

ბოლოს მაინც წავიდა ნადირთან თეიმურაზი, ეპისკოპოსთა და წარჩინებულთა ამალით.

გულცივად შეხვდა ერანელი ამპარტყვენი ხელებს, მაგრამ მაინც სცა პატივი „მცირელითა ნიჭითა“. მაინც დაარწმუნა თეიმურაზმა იგი თავის ერთგულებაში და მაშინვე დაითანხმა კიდევ: მარტო ოსმალების კი არა. ლეკების წინააღმდეგაც შეერთებული ძალებით ვიომოთო.

ამ პირობით დაშორდნენ იმუამად ერთმანეთს.

თელავს მიბრუნებულ თეიმურაზს სასახლეში უცხო სტუმარი დახვდა — რუსი ელჩი სერგეი გოლიცინი.

ნადირ ავშარმა შეიტყო კახეთის კარზე ჩრდილოელის სტუმრობის ამბავი.

პახექის წინა დღის, აღვსების წირვას დასწრებია ალავერდის ტაძარში გოლიცინი, თეიმურაზისთვის დიდი საჩუქრებიც მიუძღვნია, რაღაც დიდი ბუბაც ჰქონიათ.

ძალზე დაჰმუნდა ნადირი რუსები ოსმალებზე უფრო აფიქრებდნენ ერანის მომავალ ყაენს...

ფიქრი ჩაუწყვიტა თეიმურაზმა: აღტქმა რომ დავდევით, ჭარი გამომიგზავნე ჭარის დასალაშქრავადო.

ნადირმაც გაუგზავნა „სპანი დიდი შემუსრვად ჭარისა“.

ლეკებზე ადრე ყარაღაში მდგარი ოსმალები დაფრთხნენ, — „დაუტევებს ყარაღაჩის ციხე და ივლტოდნენ ტფილისს“.

კახელებმა ყარაღაჩი დაიჭირეს, ზარბაზნება აწყარეს და თელავს გაგზავნეს.

მას უკან კახელთა და ყიზილბაშთა ჭარებით ჭარულ ლეკებს მიუხტა თეიმურაზი. გაძლიანდნენ ქარელნი. მაინც იმძღავრეს ქართველებმა, „მოსწყვიტნეს მრავალნი, შემუსრნეს კოშენი და სიმაგრენი მათნი და მოსტყვევნეს, აღიღეს ალაფი დიდი და წამოვიდნენ“.

ამ ამბის გასწვრივ, ავგალასთან ქართველებმა და ყიზილბაშებმა გაანადგურეს ოსმალთა ჭარი.

მეორე დღეს კოკორზე ამოსწყვიტა ოსმალნი ქართველთა და ერანელთა ლაშქარმა.

სადგერთან, ბორჯომის ხეობაში, ავალეშვილებმა დაამარცხეს და ჩააქციეს ოსმალთა ჭარი.

იღვა 1785 წელი. დასრულებულიყო თორმეტწლოვანი „ოსმალობა“ ქართლსა შინა.

ყიზილბაშები მოდიან

მაგრამ „ოსმალობის“ ნაცვლად „ყიზილბაშობა“ აპირებდა „შემობრძანებას“.

1785 წლის გაზაფხულზე ნადირ ავშარი განჯიდან წამოვიდა, „შემოვლო სომხითი, დბანიხი, გარდავლო ყაიყულს და მივიდა ყარსს“.

ყარსთან დიდი მხედრობით იღვა ოსმალთა სერასკერი ქოფრული.

ლევან სანიბიძე
შეპარპაშო ხმლები



ნადირი უარსთან შეტაკებას განერჩია, ერევანს მოვიდა და დაბანაკდა.

ფხვბაფხვს მოჰყვა ქოფრული მოსისხლეს და ბავაჯიანთან, ერევანის ახლოს, გაიმართა საშინელი ხოცვა-ჰლტვა ყიზილბაშთა და ოსმალთა შორის.

ბრძოლის სახწორი მანამ წონასწორად ქანაობდა, სანამ განგმირული არ დაეცა თვითონ ქოფრული. მთავარსადლის სიკვდილმა მარცხი არგუნა ოსმალებს.

ყიზილბაშები გაქცეულ შტერს გამოედევნენ და „ერთი ასთა შეიპყრობდა“. ორმოცი ათასი ოსმალი ესვენა ბავაჯიანის ველზე.

ღიღი შედეგი მოუტანა ერასს ამ გამარჯვებამ. ოსმალითმა სამუდამოდ დათმო ტფილისი, განჯა, ერევანი, ლორი და სრულიად აღმოსავლეთ ამიერკავკასია.

ღიღი გამარჯვება აიღო, მაგრამ მაინც გულს ემძარებოდა ნადირ ავშარს: ქართველებმა ოსმალები მოიშორეს, მაგრამ ყიზილბაშებისთვის როდი მოიშორეს; ქართველებს უღლის გამოცვლა კი არა, ყოველნაირი უღლის გადაგდება და გადაშენება სდომებოდათ..

ახლა ქართლს მეფე აღარ ჰყავს (აკი „ნამდვილმა მეფემ“, ვახტანგ მეექვსემ, თვითონ დააგდო უპატრონოდ და უთავოდ თავისი ქვეყანა). მეფე ჰყავს მხოლოდ კახეთს — თეიმურაზ მეორე. მაგრამ ეს თეიმურაზიც რაღაც ისე „იქაჩება“, ვითუ ეგეც თავისი თანამოსახელე პეერას — თეიმურაზ პირველის კვალზე გაუყვეს და მისებრ დაუძინებელ შტრად ექცეს ყიზილბაშთა ქვეყანას!

ისე ძალიან ძლიერნი ყოფილან კახელნი, ძლიერ ქართველ ტომთა შორის უძლიერესნი. ასე ამობობენ, კახელებს არც სპარსელების ეშინიათ და არც თვითონ ნადირ ავშარსაო..

და დაიბარა ნადირ ავშარმა ერევანის ბანაკში თეიმურაზ მეფე და ქართლ-კახეთის უსაჩინოესი მესვეურები: თეიმურაზის ძმისწული ალექსანდრე ანუ ალი-მირზა დავითის ძე, აბულიანდრონიკაშვილი, მამუკა მუსხანბატონი, გივი ამილახორი, ქაიხოსრო ავალიშვილი და ქაიხოსრო ყაფლანიშვილი.

პირველი შეხვედრისთანავე ნადირი გივი ამილახორს მიადგა და უთხრა: შენი ასული ცოლად უნდა მომცეო (აკი უკვე ჰყავდა ქართველი ქალი ცოლად ნადირს — თეიმურაზ მეფის ძმისწული, დავით მეფის ასული. მაგრამ შამ აბასის არ იყოს, რაც შეიძლება „მეტი“ ქართველი ქალი უნდა ჰყოლოდა ცოლად ერანის მბრძანებელს!).

გივიმ უპასუხა: ჩემი ასული ვახტანგ მეფის ძმისწულზე, თეიმურაზზე ვახლავთ დანიშნულიო.

ავად გაეცინა ნადირ ავშარს.

სოფელი ქალი.

აივანზე ქალ-ვათი წის. ნარდს ეფარებოდა. მაგრამ ვითომც თამაშობენ: იღუშალო ტრფობალებით თვალბში უსახლეობიან ერთმანეთს. ვაფი არის მეფე ვახტანგ მეექვსის ძმისწული, თეიმურაზ იესეს ძე.

ქალი — გივი ამილახორის ასული. ეზოში სპარსელებმა შემოაგულევეს ვახვით-ქული ცხენები.

დაქვეითდნენ და ჩქიპურ მოადგნენ აივანს. მასპინძლები გამოცვადნენ. შეიყარა ღიღი და პატარა, ქალი და კაცი.

სპარსელები ქალს მიადგნენ და უფროსმა ჩაფარმა თქვა: გივი ამილახორის ასული ეს იქნებაო!

ვის რა ეთქმოდა და დაუდასტურეს. მოდა, ეს ქალი ერანის დედმა ხელმწიფემ ნადირ ავშარმა ცოლად ინება და ჩვენც მის წასაყვანად მოვედიოთ. — თქვეს, ქალს ხელი ჩაავლეს, ცხენზე შემოიგდეს და გაიტაცეს.

დამეხილი დარჩა სუყველა — სტუმარიც, მასპინძელიც და თვითონ სახიოც.

ალბთ იმ სვემწარე დღეს გადაწყვიტა თეიმურაზ იესეს ძემ — აღარასოდეს შეერთო ცოლი.

იგი გარეჯის უდაბნოში წავიდა, ბერად აღიკვეცა და სასულიერო სახელად ანტონი დარქვა.

ასე იწყება სახელოვანი ანტონ პირველი კათალიკოსი.

სამი დღე „ღიღი პატივიში“ ჰყავდა ქართველები ქართველთა სიძეს — ნადირ ავშარს.

ხოლო მეოთხე დღეს უეცარი დაცემით ყიზილბაშებმა შეიპყრეს ყველანი, „ფვინიერ ქაიხოსრო ყაფლანიშვილსა“.

(ქაიხოსრო არ იყო ცოტენ დაღიანი და გულგრილად შეხვდა მომხმეა შეპყრობას).

ნადირმა ქართლ-კახეთის ახალი „ვლი“ გამოაცხადა — ალექსანდრე ანუ ალი-მირზა, ვაფი დავით იმამ-ყული-ხანისა, ძმისწული თეიმურაზ მეორისა. თანაშემწეებად ალი-მირზას ნადირმა დაუნიშნა ასლამაზ-ხან ორბელიანი და ალიყულიბეგ ამორეჯიბი.

ახე „გაარიგა“ ქართველთა საქმენი ნადირ ავშარმა და ყველა „თავისი გზით“ გამოუშვა საქართველოსკენ — ტყვენი ტყვეებად და მეუფენი მეუფეებად.

თეიმურაზი, ნადირის ბრძანებით, ტფილისში უნდა ჩაეკეტათ და იქვე, ქმრის მოწოდებით, უნდა ჩამოსულიყო დედოფალი თამარი.. მაგრამ მოხდა ის, რასაც ნადირ ავშარი ნაკლებად ელოდა.

ყურყუთას რომ მოატანეს, უეცრად ტყვებმა აიწყვიტეს, ბორკილები დაიწყვიტეს, მცველები შემოიწყვიტეს და გაუჩინარდნენ.

რამდენიმე დღეში ყველანი თავის ადგილზე



იყვენ — მეფე სამეფოში და ერისთავები სა-
ერისთავოებში.

გველის კაპრობაშე შეიპყრო ნადირ ავშარი.
ერთადერთ ნუგეშად მხოლოდ ეს აცნობეს:
მისგან დანიშნულმა „ვალიმ“ — ალექსანდრე
დავითის ძემ, ტფილისს მშვიდობით მიატანა
და ერანის მბრძანებლის სახაზინოდ დიდძალი
გადასახადი ამოიღო — ტფილისიდან რვა ათა-
სი თუმანი, „სახასო სოფლებიდან“ სამი ათა-
სი თუმანი და სამი ათასი ხარვალი (75000
ფუთი) ხორბალი. ამას გარდა, ალექსანდრე ნა-
დირს უგზავნიდა ორი ათას ქართველ მეომარს.
ეს ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ მაინც
არასაკმარისი ნადირის ნადირული გულის და-
საწყურებლად.

და წამომართა იგი საქართველოსკენ, 1735
წლის ზაფხულს.

ალექსანდრე დავითის ძემ ტფილისი საზეი-
მოდ გაწყობილი შეახვედრა დამპყრობელს.
„ფიანდაზი გაეშალათ ციხის კარიდან ჩარდახა-
მდის“, ბრწყინვალედ მორთულ ჩარდახში და-
დგა ნადირი თავის მარამხანია.

ნადირ ავშარი რომ ტფილისს მოვიდა (6 ოქ-
ტომბერს), თეიმურაზი თელავიდან ცოლ-შვი-
ლიანად აიყარა და ფშავის მთებში შეიხიზნა.

გივი ამილახორი იმერეთს გაიქცა.

მამუკა მუხრანბატონი რუსეთს გადაიხვეწა.

აიშღვრა და აიშალა ნადირ ავშარი. მაშინვე

სალაშქროდ წამოჰყარა ყოზილბაშთა მხედრო-
ბა. ზედოზედ დააქცია თაბორისა და გორის
ციხენი. მას უკან „გაუსივა ჭარი არაგვის ერის-
თავს ბარძიშს, ოთხი ათასი ზემო-ქართლს, ოთხი
ათასი საციციანოს. არაგვის ერისთავის ანანუ-
რი და იმას აქეთ ქსნის ერისთვისა, მონასტერს
ქვეით, აწერის-ხევს ქვეით დაატყვევებს, დას-
წევს, ზემო ქართლისა ვახანიდამ დაწყებულნი
მუხრანამდი ააოხრეს, დაატყვევებს, დასწევს, სა-
დგრიდამ სკრამდის დაატყვევებს, დასწევს, შეა-
ბილწებს ეკალესია, ყოველგნით გააოხრეს მღვი-
მე ხატითა და მორთულობითა, წაიყვანეს ქარ-
თლიდამ კომლად რვაასი, — ვინ იცის სახლში
რამდენი სული იყო. ეს ტყვე სუთი ათასი სა-
ავალიშვილოსი და საციციანოსი, ხუთასი კომ-
ლათ და ათი ტყვე, საერისთოსი ხუთასი ტყვე,
მოსრეს ყმაწვილნი ეროდეს მსგავსად, ჩჩვილს
ყრიდენ და დიდი რომელიც დავარდის ცხვირ-
სა და ყურებს აჭრიდიან“.

ხორასნის გზას შეუყენეს დატყვევებული
ქართველნი.

შაჰ აბასის დრო ცოცხლდებოდა საქართვე-
ლოში.

„იხილენ რისხვა, რამეთუ არა კმა იყო პირ-
ველი, არამედ ხილხილიდამ ინჯამდენ სამასი
დედათაგან მოგდებული ჩჩვილნი ეყარნეს
მკვლარნი“.

სავსებით მოთხრას, გადასახლებას და გადა-
შენებას უპირებდა ნადირი ქართლს, მაგრამ
იმუამად მოერთვა მოულოდნელი საშფოთარი
ამბავი: ყირიმელ თათართა მხედრობა წამო-
სულა დარუბანდისკენ. იქიდან სპარსთა გასა-
დევნელად. ამიტომ „ჭერჭერობით“ ქართლს
თავი მიანება და მთელის მხედრობით აღმო-
სავლეთისაკენ წარემართა.

გზად კახეთი გაიარა, და „გაუწყრა კა-
ხეთს“.

გაუწყრაო?!

ციცხლითა და მახვილით მოედნენ ყოზილ-
ბაშ-ურდოელნი, „აჰყარეს სულ კახეთი გაღმა-
მხარი და გამოღმა, შეაბილწეს ალავერდი“.

ქარს გავიდა ნადირ ავშარი, ჭარიც დააქცია.
მას უკან შემახა აიღო შირვანს.

ყველგან, სადაც „ქართლელნი და კახნი იყ-
ნენ, ყველას იარაღი შემოხსნეს...“

ბოლოს, ნადირის ბრძანებით, კახეთსა და
ქართლს აყრილი ოჯახები და ტყვეები დიდიან-
ბატარიანად ერთად შემპარეს და ხორასნის
გზას გაუყენეს.

თვითონ ნადირი დარუბანდისკენ გაეშურა
ყირიმელებთან შესაბრძოლებლად.

განჯის მიმართულებით მიჰყავდათ ტყვეები
სპარსელებს.

ღამის განწოგების ფაშს მიადგნენ მტკვარს.
უეცრად აიშალა ქარავანი.

ქართული ყიფინა გაერია წყვდიადს.

მაგრამ ეს არ იყო მხსნელთა საომარი ყი-
ფინა.

თვითონ ტყვეები დასტკვერობდნენ სპარსელ
გუშაგებს, თავით, კბილებით, შებოჰილი მხრე-
ებით და მკერდით.

ბევრმა ქართველმა კიდევაც გაიტანა „გასა-
ტანი“: „მოსრნეს მტარვალნი თვისნი, განთო-
ვისუფლდნენ და მოვიდნენ კახეთსაჲ და ქარ-
თლელნი ქართლს“.

მაგრამ სხვანი ტყვენი ქართველნი „წარიყ-
ვანეს ხორასნასაკე“.

ლევან ნანიძემ
შტაბჰაშო ხმლები



პირველი გამოხველა პატარა კახისა

ეს ამბავიც იმავე 1785 წელს მოხდა, შემოდგომის მიწურულს.

ფშავიდან თეიმურაზ მეფის ძე ჩამოსულიყო — თხუთმეტი წლის ერეკლე ბატონიშვილი.

„პატარა კახი!“ — ასე ეძახდნენ ტანმორჩილ უფლისწულს.

ტანმორჩილიო? რა ვუყოთ, — ტანმორჩილი იყვნენ ალექსანდრე მაკედონელიც, მანიბალიც, კეისარიც, ნაპოლეონიც... სხვანი და სხვანი.

სახლი კლდის სიმტკიცე და სიმკვრივე ედგა ხეულში პატარა კახს.

თვლები არწივისა ჰქონდა — მზის დამკობრტენილი.

- სისწრაფე — ფიქრისა.
- მელავი — რვალისა.
- მუხლი — მგლისა.
- გული — ლომისა.

თელავს მოსულიყო ერეკლე ბატონიშვილი. სამშობლო დახვედროდა აოხრებული, აწიოკებული და ატირებული.

და უცნაურად აღმოჩნდა ბოლომდე ავსებულ ბატონიშვილს:

„მოვიდნენ ლეკნი და ქიზიყი მოარბივეს!“ ლეკებიო?!

მაშ, დრო დაციეს, ქვეყანა დაშინებულად და დამცრობილად დაიგულეს აბრაგებმა, არა?!

მაშინვე ახლომახლო სოფლებში შიკრიკები აფრინა ერეკლემ, — ყველა გამოიყვანეთ, ვისაც საომრად ფეხზე დგომა შეეძლოსო.

თვითონაც აღიკაშმა და ამხედრდა.

მოიჭრა სახელდახელოდ შეყრილ კახთა ლაშქარი.

გაუძღვა და გავარდა ბატონიშვილი.

ნეიშის მინდორზე წამოეწია ტყვეებითა და ნაძარცვით დატვირთულ, არხეინად მიმავალ ლეკთა ჯარს.

ცხენთა გამალებული თქარუნი რომ შემოესმათ, შემოტრიალდნენ ლეკნი.

შემოტრიალდნენ და მინცდამინც საშიში არაფერი უხილავთ: ქართველთა მცირე ვუნდი მოჰქროდა, წინ მომცრო ტანის, უწვევრული ურმა მოუძლოდა.

და „ძლიერად შემოებნენ ლეკნი“ ქართველებს.

ერთხანს ერთ ადგილზე შენივთდა ბრძოლა. ეტუბოდა, რიცხვით სიმრავლეს თავისი უნდა გაეტანა.

იგრძნო ერეკლემ — გული გასტეხილად ქართველებს.

მაშინ მტრის შუაგულს დაეძგერა ბატონიშვილი, ხმლის ბრკალით და ავი ყუფინით.

ლეკთა ბელადი ამოარჩია და მიუხდა ცხენდაცხენ.

შემოეგება ლეკთა სარდალიც.

ორმა ხმაღმა გაიკრიალა და განაერთო ცუცხლი.

წამსვე ძირს ეგდო ლეკური ხმალი.

წამწამისად დაცემულ ხმალს ზედ დაენარცხა შუაგანებილი მისი პატრონი.

და „ამის მხილველთა კახთა ერთპირად მიმართეს ყვილით და წინა წარიტყიეს ჯარ ლეკისა, აწყარეს ტყვენი და საქონელი და მონწვიტნენ უმრავლესნი. და მოვიდა მადაროს გამარჯვებული, რომლისათვის ფრიად მხიარულ-იქმნენ კახნი, იხილეს რა სიმხნე და მამაცობა მემკვიდრისა თვისისა“.

დამახსოვრე, კეთილო მკითხველო, 1785 წელი — პირველი გამოხველა თხუთმეტი წლის პატარა კახისა, — დასაწყისი უკანასკნელი დიდი ქართველი ხელმწიფისა და მამულიშვილისა.

მაშ, ცხენზე ზის ერეკლე ბატონიშვილი!

„და სამოცდაათი წელიწადი ვერ ჩამოხდებოდა საომარი უნაგირიდან!“ — გაიგულესხმა მისი წუთისოფლის ეტლისმწაფელმა.

ბადალი შამ აბასისა

ბოლო ნაღირ ავშარმა ყირიმელი თათრები დარუბანდთან დაამარცხა და უკანვე გააქცია. დარუბანდიდან სამხრეთისკენ დაუყვა ნადირი.

მულანის ველზე გავიდა და დაბანაკდა.

აქ მან მოიწვია და თავი მოუყარა ერანის ყოველი კუთხის მფლობელს, ხანებს, ბეგებს, ბეგლარბეგებს, წარჩინებულებს, ყველას, ვისაც ქვეყნის ბედობლიხა რაიმე ეკითხებოდა.

ყოველ ჭარისკაცს ნადირმა ცალკე ქეჩის კარავი დაუდგა.

სამატიო სტუმრებისთვის (მათ შორის ქართველები) — ლერწმის კარვები სპარსული ხალიჩებით და ფარჩა-აბრეშუმით გაწყობილნი.

საკუთრად — უზარმაზარი კარავი, თორმეტ ვერცხლის სვეტზე დაყრდნობილი, უძვირფასესი ქსოვილებით და ჭურჭლეულით მორთულ-მოკაშმული.



საქართველოდან მიწვეულ იყვნენ: ვალი აღქანდრე დავითის ძე, იესე რენეგატი-მეფის ძე აბდულა-ბეგი, ალიყული-ბეგ ამირტიბი და ქაოხოსო ყაფლანიშვილი.

მაშ, 1786 წლის 26 თებერვალი, ნავრუზ-ბაირამობა, მამბალიანთა ახალი წელი, დიდი საკრებულო მულანში.

ლაპარაკობს ნადირ ავშარი:

„ალბათ გაიგებდით დიდად სამწუხარო ამბავს, — ისტამბანში გარდაიცვალა შაჰი აბასი!“

დაბ, ყველამ შეიტყო ეს „სამწუხარო ამბავი!“

(მხოლოდ არავის გაუბედავს ეთქვა: მცირეწლოვანი შაჰ აბას მესამე ნადირ ავშარის ავშაგებმა მოწამლეს).

ისეც განავრძობს ნადირი:

„ალბათ მიხვდებით, რისთვისაც მოგიხმეთ ჩემთან. აგერ უკვე მერამდენე წელიწადია, რაც მე თქვენი გულისთვის ხმაღს ვიქნებდეს თქვენი მტრები — ავღანელები, ოსმალები და მოსკოველები გაძევებული არიან ჩვენი ქვეყნიდან და ერანის ყველა ქალაქი გათავისუფლებულია მათგან. ახლა, როდესაც ყოველივე დავასრულე, დავბრუნდი და აქ მოვიდდი, ამის შემდგომ, — რაც მე დავიმორჩილე ყოველი მტერი და განვამტკიცე საიმედო მშვიდობა — თქვენი შეგიძლიათ ერანის შაჰის ტახტზე დასვათ ღირსეული ხელმწიფე!“

სიჩუმე ჩამოწვა.

ნადირმა გაიმეორა:

„დაასახელებე შაჰი ერანისა!“

ისეც მდუმარება.

ნადირმა მესამედ იყვირა:

„დაასახელებე შაჰი ერანისა!“

მაშინ გამოვიდა რომელიღაც წარჩინებული ყოილაბაში და სთქვა:

„დიდებულად ბრძანებ, რასაც ბრძანებ, ჩვენო უფალო, და რაყი ასეა. მოიყვანე ისეც შაჰ თამაზი, დასვი თავის ტახტზე და იყოს იგი ჩვენი მბრძანებელი!“

ისეც მდუმარება მმოიცვა საკრებულო.

ისეც დაარღვია სიჩუმე ნადირმა: კიდევ ვინ ფიქრობს ასე და ვის სურს შაჰ თამაზი.

ერთი წარჩინებული კიდევ გამოუჩნდა მომხრე შაჰ თამაზს.

სხვას აღარავის გამოუჩენია ეგზომი „უქუ-ობა“.

ნადირის ბრძანებით იქვე, ყველას თვალებს, ქალათებმა „უქუო“ თავები დააყრდევინეს შაჰ თამაზის „მიმღევრებს“.

მახ უკან მიუბრუნდა ნადირი საკრებულოს და ბოროტი ღმილით იკითხა:

„ახლა რაღას იტყვით, ვინ გასურთ ხელმწიფედ?“

„უცბე ვილაც აყველაზე ჰკვიანა“ წამოვიდა და ხალხიც აღრიოლდა:

„შენა ხარ ჩვენი ხელმწიფე!“

„შაჰ ნადირი!“

„ნადირ შაჰი!“

„მხოლოდ შენ — კემშარიტი ყაენი და მბრძანებელი!“

„შაჰ ნადირი!“

„ნადირ შაჰი!“

ზღავილი რომ ჩათავდა და ჩაიწურა, ნადირმა გამოაცხადა:

„რაკი თქვენ კემშარიტად გასურთ ჩემი გამეფება, კეთილ ნებეთ და ხელწერილი მიზოქეთ!“

მაშინვე შესდგა ხელწერილიც, გინა — სიგელი, რომელშიც ეწერა: „ნადირ ყული-ხან ავშარი არის ჩვენი შაჰი და თვინიერ მისსა არავინ გავსურს ხელმწიფედ“.

დაწერეს და სიგელს ყველა იქ დამსწრემ „დიდი სიხარულით“ დაუსვა თავისი ხელმოწევა.

ამას იმ დღესვე მეფედსურთხევა მოჰყვა.

მეფედსურთხევას მრავალდღიანი ნადიმები გაღებია.

ერანის ტახტზე ადიოდა ნადირ შაჰ ავშარი.

იმ დღესვე მოიჭრა ვერცხლის ფულიც, რომელზეც ეწერა: „დაე, მსოფლიოს ეუწყოს მისი მომავალი დამპყრობლის — ნადირის გამეფება!“

თითქოს შაჰ აბასი გაცოცხლებოდა ერანს.

მაგრამ ვაი, რომ საქართველოსაც გაცოცხლებოდა შაჰ აბასი!

. . .

ხოლო, სომეხი ისტორიკოსის ბრძანებისა არ იყოს — ახლა ერანი ნადირ ავშარისა კი არა, ქართველი მეფის, ვახტანგ მეექვსის სამფლობელო უნდა ყოფილიყო.

ღიას!

მაგრამ ვაი, რომ ვერ იგრძნო ვახტანგ მეექვსემ იმ საბედისწერო ოციან წლებში „ხელსაყრელობა“ დრო-უამისა!

ვერ იგრძნო, ვერ შეივინო და ვერ ითამაშა „მსოფლიო მეროიკის“ მთავარი გმირი.

ახლა სხვა „თამაშობდა“ ამ „გმირს“ — არა ქართველი, ტომით ავშარი!

რა გაეწყობა, — ესეც საქართველოს ბედი ყოფილა!

ვახტანგ მეექვსე ჩრდილოეთის ლორწოიან მიწაში იწვა.

ხოლო ერანის ტახტზე მისი „მაგიერი“ ადიოდა.

ღიას სანტიძე
შაქარბაშვი ხმლები

მულანში მეფედკურთხევისა და ნადიმ-ღრე-
ლობა მოთავების შემდგომ ნადირ შაჰმა სა-
ქართველოდან ჩამოსული სტუმრები დიდის
თავაზით და ძვირფასი საჩუქრებით უკანვე
გამოისტუმრა. საქართველოს „ვალი“ იხვე
აღექსანდრე ანუ ალი-მირზა უნდა ყოფილიყო,
მაგრამ „ლაბატებით“ მის გვერდით შაჰმა და-
ნიშნა თავისი სარდალი სეფი-ხანი, რომელ-
საც გამოგზავრების წინ ყენი საგანგებოდ და
საიდუმლოდ ეთათბირა.

მას უკან ნადირ შაჰი ისფაჰანს გაემგზავრა.
ქართლის მესვეურებიც ქართლში მობრუნ-
დნენ.

ტიფლისს მოხვლისთანავე სეფი-ხანმა ქართლს
ახალი გადასახალი შეაწერა: სამი ათას სა-
მანი თუმანი ფული და ხუთასი ნოქარი (ჭა-
რი) საომარი აღჭურვილობით, ცხენკეთილო-
ბითა და ცოლ-შვილით ტფილისში სადგომად.
ქართველები არ შეურიგდნენ ახალ ხარკსა
და დამცირებას.

თავადთა შორის იხევ დაირღვა ერთსულღ-
ვნება ვთავაზებდებული დამპყრობელის ასალა-
გმავად. სეფი-ხანის წინაშე ქედი დაიდრიკეს
ბარძიმ არაგვის ერისთავმა, ციციშვილებმა
და ბარათაშვილებმა.

თავადთა მეორე ნაწილი წინაღუდგა სეფი-
ხანის ბრძანებას. „უკუღდა ქსნის ერისთავი
შანშუ, ამილახორი გივი, აბაშიძე ვახუშტი და
სულ ზემო ქართლი, გაღმით თარხანი ლუარ-
საბ და მისი სახლის კაცნი“.

განდგომილი უთვლიდნენ შაჰ ნადირის სა-
რდალს: ჩვენ ყენის ყმები ვართ, მაგრამ გვი-
მსახურეთ ისე, როგორც წინარე ყენისთვის
„გვიმსახურებია ან სამსახური გვდებია“ და
ახალს ნურაფერს დაგვიკისრებთ.

მაგრამ სეფი-ხანმა არაფრად ჩააგდო ქარ-
ველთა შემონათვალი.

მაშინ ურთველებმაც იარალი მოიხიჩქეს და
მოიფარგეს.

ტიფლისიდან ყიზილბაშთა მარბიელი ჭარ-
ები გავიდნენ, „დადგნენ ფხვენიის და იწყეს
იქიდაშ თარეშის გახვევა“.

რამდენჯერმე მიუხდნენ ქსნის საერისთავოს,
მაგრამ „რამდენჯერაც მივიდნენ, ბრძანებითა
ღვთისათა, იმდენჯერ გაემარჯვა“ შანშუ ერის-
თავსა და ქსანელთა ლაშქარს.

სამჭერ გივი ამილახორს მიეხივნენ ყიზილ-
ბაშები. ეხვეთან გამართულ სამივე ბრძოლაში
ქართველებმა სახტიკად დაამარცხეს და აოტეს
მტერი.

ისევ „გამოუსია თარეში“ სეფი-ხანმა. სარ-
ხლებელ ამჯერად „მიუხდენ დილაბინდზე სა-
აბაშიოს, საჩხეიძოს და სურამის ხეობას, ბევ-
რი წახინდეს და დაწვეს საფალავანდისშვილო

და გამოყვლება ააოხრეს, დაწვეს, სადაც სა-
მაგრე იყო“.

მცირე ხნის შემდგომ სეფი-ხანმა ახალი ჭარი
გაგზავნა აჯანყებულთა დასასჯელად; სარდალად
აბდულა-ბეგი უჩინა, ძე იხე რენეგატისა, აბ-
დულა-ბეგს თვითონაც მიჰყვა სეფი-ხანი მო-
ვარი მხედრობით.

ანაწდათად შეესივნენ ყიზილბაშნი ციხის-
ძირს, ნუნსა და ჩრდილს. მაშინ ვახანიდან ვა-
ხუშტი აბაშიძე წამოემართა და თვის დაცვა
ჩრდილთან დაბანაკებულ მოთარეშეთა მხედ-
რობას. სპარსელები დამარცხდნენ და გაიქ-
ნენ. ქართველები გამოუდევნენ „ცემითა და ხო-
ცითა. ამისთანა გამარჯვება ერთსა და ორს კი
არა (იტყვილით); ვის უნახავსო“. დიდი ნაღვ-
ლიც დინარჩუნეს გამარჯვებულთა, „სხვის
გარდა ორასი ასეთი ცხენი შეკაშულიობითა,
ზოგი ვეცხლის რახტითა აბაშიძეს მოართვეს“.
თანაც იხე გაიმარჯვეს, აბაშიძეს „ერთი კაცი
არ მოყვლილია“.

სეფი-ხანი ფხვენიის გადავიდა და იქ დადგა
განადგურებელი ჭარის ნაშთებით. სპარსელმა
ქართველთაგან ნაწინვეი მარცხი მარცხად არ
ჩააგდო და ფიცხელი ბრძანება გაუგზავნა
ქართლ-კახეთის თავკაცებს: ჭერ კიდე თვეს
არ არის და, თუ მართლა ქვეყნისა და თქვენი
თავის დაღუპვა არ გადაიწყვეტით, ჩემთან
მოდით, შევრიგდეთ და კირობას გაძლევთ, შაჰ-
თანაც შეგარიგებთ.

ქართველებს ყიზილბაში სარდლის შეგონება
ჭკუაში დაუქლათ და ფხვენიის მივიდნენ: თე-
მურაზ კახთა მეფე, მისი სახლთუხუცესი გივი
ჩილოყაშვილი, ბარძიმ არაგვის ერისთავი, გივი
ამილახორი, თარხან ლუარსაბი, თამაზ ან-
დრონიასვილი და ქიხოსრო ჩერქეზიშვილი.
არ გამოცხადდა მხოლოდ შანშუ ქსნის ერის-
თავი, და ძალიან კარგადაც მოიქცა.

სეფი-ხანმა მოუსვა ხელი და ასე ცხვრება-
ვით მოდენილი ქართველები ერთბაშად და
„ერთპირად“ შეიპყრო, ბორკილები გაუყარა
და ყველანი ერანს გაგზავნა, შაჰ ნადირთან.

დატყვევებულ თეიმურაზ მეფეს თავის ნე-
ბით ერანს გაჰყვენენ: ხარკუშნის ეპისკოპოსი,
რამდენიმე კახელი თავადი, რამდენიმე ერთგუ-
ლი ყმა და მსახური...

სეფი-ხანმა, ტყვეთა გასტუმრებისთანავე,
ქსანზე ჭარები გაგზავნა შანშუ ერისთავის გა-
ხანადგურებლად და შესაპრობად.

ბრძოლა იკორთას გაიმართა.
ქსანელებმა ისევ დაამარცხეს და უკუაქცი-
ეს მტერი.

სეფი-ხანმა გამოქცეული და გაჩანაგებული
სპარსელთა ჭარი გორის ციხეს შეეფარა და
„ნაიბად“ აბდულა-ბეგი დაუნიშნა.



1787 წელს სეფი-ხანმა ერანიდან ახალი ჯარები მიიღო და მაშინვე დაიძრა ქსნის ხერისთავოსკენ.

ისევ მხნედ დაუხვდა მტერს შანშე ერისთავო ქსანელთა ლაშქრით.

მაგრამ ამჯერად იძლივნენ ქართველები. სპარსელებმა აიღეს ციხენი — იკორთისა, ვანათისა, კულბითისა.

მერე უიზილბაშნი „მოუხდნენ აბაშიძეს ვახუშტის, აიღეს ციხე ციხის-ძირისა და ციხე სურამისა“

შანშე ერისთავი იმერეთს გადავიდა ცოლ-შვილით.

იმერეთიდან რუსეთს წავიდა და თან ქართ-

ველ თავადთა საერთო სათხოვარი გამოეწერა რუსეთის მეფეს, ხოლო ვახტანგს (ჭერ ისევ ცოცხალს) თავისი ვაჟი ბაქარი მაინც გამოეგზავნა „უთავოდ დადებულთა“ საქართველოს „საპატრონოდ“. მაგრამ რახაც ვახტანგ მეფე ვერ შეეწვდა, ქსნის ერისთავი რას „შეწვედებოდა“. რუსმა დიპლომატებმა შანშე ახლოსაც არ გაიკარეს, ვახტანგი „აშთარხანის“ მღაშე მიწას ჩაუწვა და ამით ყველაფერი გათავდა.

შანშე ერისთავი საქართველოში გაწვილებული და პირში ჩალაგამოვლებული დაბრუნდა.

დაბრუნდა და, რაკი ჭერ „პირში სული ედგა“, ისევ ჩაავლო ხელი უიზილბაშურ სისხლზე დაგერშილ ხმალს.

მეოთხე მუჯე-პოების საგოდეგელი

ნადირ შამმა „სიამტკბილობით“ მიიღო საქართველოდან გამოგზავნილი ძვირფასი ტყვეები: თეიმურაზ კახთა მეფე, გივი ჩოლოყაშვილი, ბარქამ არაგვის ერისთავი, გივი ამილახორი, თარხან ლუარსაბი, თამაზ ანდრონიკაშვილი, ქაიხოსრო ჩერტუხიშვილი და „თავისი ნებით“ წამოყოლილი ხარჭაშენელი ეპისკოპოსი, კახელი თავადნი და ყმა-გლეხნი.

თითქოს კიდევაც გაიკვირვა ყუენმა: იმ თავზედმა სეფი-ხანმა ბორკილები როგორ შეგბედათ, როცა თქვენის სურვილითა და ჩემის ერთგულებით სწვევისხართ ეგზომ საპატიო სტუმრებო.

ისეთი „გულითადი ნაუბარი“ გაიმართა, თითქოს შამ აბახი ემუსაფებოდა თავის „უსხაყვარლეს“ ქართველებს — თეიმურაზ პირველს, ლუარსაბ მეორეს, სააკაძეებს და უნდილაძეებს.

ნაცნობი იყო ეს სურათები. ერანის მბრძანებელს ისევ გარდუვალად სჭირდებოდა ქართველთა გონებისა და მკლავის ძალა.

შამ ნადირსაც, შამ აბახის მხავასად, ქართველები მათი მარად ცხოველმყოფელი ძალღონილების გამო კიდევაც სძულდა და კიდევაც „უფავარდა“, მათი ეშინოდა და მათი იმედოვნებდა...

ყანდაპარს ლაშქრობას ეპირებოდა შამ ნადირი და ძალიან სჭირდებოდა ავღანისტანის მიწა-წყალზე სახელგანსმენილ ქართველთა სიამაყედ და სიქველედ (აკი თვითონ ამბობდნენ ავღანელნი: ჩვენ უაზილბაშებთან ლომები ვართ, მაგრამ ჩვენთან ქართველები არიან ლომები!).

ნადირმა „შესმენითა ქართველთათა“, სეფი-ხანი ერანს გაიწვია და მის ნაცვლად ტფილისში ხანჯან-ხანი გამოგზავნა.

შამს ესეც ებრძანებინა სეფი-ხანისთვის: ერანს რომ წამოხვალ, ქართველი დიდებულეები კიდევ წამოიყვანე, რამეთუ ყანდაპარს ხალაშქროდ მჭირდებიანო.

ახე მივიდა ნადირ შამის კარზე ქართველთა „ახალი ნაყადი“: ოთარ ამილახორი, ქაიხოსრო ყაფლანიშვილ-ორბელიანი, ზაზა ციციშვილი, ქაიხოსრო ჭავჭავიშვილი, ავთანდილ ფალავანიშვილი, ფარსადან ბარათაშვილი და ბაადურ ამირეჯიბი.

ნადირ შამი 1787 წელს ყანდაპარისკენ გაემართა, თავისი ერანელებით და „თავისი ქართველებით“.

ქართველებმა შემუსრეს ყანდაპარის კარიბჭეები და ქალაქში („ნაცნობ ქალაქში“) შეიჭრნენ. უიზილბაშებიც მიჰყვენენ უმოწყალო სიკვდილის თესვით. ავღანთა მთავარი ქალაქი გააცამტვერეს და მიწასთან გაასწორეს.

ნადირმა ყანდაპარის აღების შემდგომ ქართველი წარჩინებულნი დიდი ძღვენითა და მადლობით გამოისტუმრა საქართველოსკენ.

მაგრამ თეიმურაზ მეფე თავისთან დაიტოვა ყუენმა. ნადირმა ეს უთხრა შეუვალი სიტყვით: საქართველოში მხოლოდ მაშინ გაგიშვებ, თუ ჩემთან შენს შვილებს — ქეთევანსა და ერეკლეს გამომიტახებო.

რისთვის მთხოვ შვილებსო, — შიშნეულად იკითხა თეიმურაზმა.

შენი ასული რძლად მიწადა, ჩემი ძმისწულის — ალი-ყული-ხანის მეუღლედ, ხოლო ერეკლე ინდოეთს ხალაშქროდ უნდა ვიახლოო, — ბრძანა შამმა.

აღბათ, არ მენდობა და უფრო მძევლად

ლევან სანიძემ
შპარქაშო ხმლები



უნდა ჩემი ირაკლიო. — იფიქრა ნაღვლით და-
რეგვილმა თეიმურაზმა, მაგრამ რას გააწყობ-
და, — რაკი „არა რაი იყო სხვა ღონე“, კა-
ხეთში კაცო გამოგზავნა და შვილს ასე მოს-
წერა:

„სასურველო ძეო ჩემო! საღაცა ბოროტი
შეგვემთხვევის, იქ სიკეთეცა მოგველიხ. შეცა
იძულებითა მოგაწერ ესრეთ, რომე შაჰს
მსურს განთავისუფლება ჩემი ტყვეობისაგან,
გარნა მხოლოდ ითხოვს მოსვლასა შენსა და
რათა თანა წარმოიყვანო ასულიცა ჩემი და დაი
შენი ქეთევან. მხოლოდ მოსვლია შენი აჰა,
სპარსეთად, მომანიჭებს მე განთავისუფლებასა
ტყვეობისაგან. ესრეთთა ნება შაჰისა“.

სადარბაზოდ შეყრილმა დიდებულებმა არ
ურჩიეს ერეკლეს სპარსეთს გამგზავრება. მაგ-
რამ თვითონ არ დაიშალა ბატონიშვილმა.

„მამა ჩემი იქ უნდა ჰყვანდესო, ჩემის იქ მი-
სვლით გამოუტყვებდნენ და მე არ წავიდო, ეგ
როგორ იქნებისო“, — სთქვა და წავიდა ერე-
კლე სპარსეთში. წავიდა და თან წაიყვანა დაი
ქეთევან. მცირე ამაღლად მისდევდათ რამდენიმე
კახელი თავად და აწნაური, რამდენიმე ქართ-
ლელი და კახელი ყმა ვლემი, ოთხიც ერთგული
მუსლიმანი მსახური — მეჩინიბე-მეუზანგე,
მალემსხობლი, პირფარეში და თარჯიმანი.

დიდის „სიყვარულითა“ მიიღო შაჰ ნადირმა
ქართველი ბატონიშვილები.

ქეთევანი მაშინვე შერთო ცოლად ძმისწულს,
ალი-ყული-ხანს (ეს ალი-ყული-ხანიც არ დაი-
ვიწყო, მკითხველო).

ქორწილი რომ განესრულა, შაჰ ნადირი ერე-
კლეს მიადგა და სუსხიანი ხმით უთხრა: ქრი-
სტიანობა უნდა განაგდო და მამამლის სკულ-
ზე მოინათლოო.

მაგრამ პატარა კახეც მაშინვე შექაზდნენ
სუსხიანი სიტყვა: „ჩემი მოკვლა შესაძლებელ
არს, მაგრამ ჩემი სულის შეცვლა და შერყვნა
არას ძალით არ მოხერხდება; ამიტომ ტყუი-
ლად ნუ შეეცდები ჩემს გამამამადიანებასო“.

კარგა ხანს მდუმარედ უტყირა შაჰმა ქართ-
ველ ბატონიშვილს — „წლითა და ღლითა ყრმა-
სა და გონებითა ბრძენსა“ და ბოლოს თქვა
„თვინიერის“ ხმით:

„კარგი, იყოს ნება შენი! მე აღარ გაიძუ-
ლებ. მხოლოდ ჩემთან დარჩი და ინდოეთს
ერთად ვილაშქროთ!“

ერეკლე დარჩა.
თეიმურაზი საქართველოში გამოისტუმრა
შაჰმა.

მოლიოდა და გული მოუტიროდა შვილებ-
დაყრილ მეფეს:

თვით ყენმან უსამართლო
საქმე მიყო მეტად ძნელი:
გამომართვა ქალი პირმზე,
ვისგან ნათობს დამე ბნელი,
ძმისწულს მისცა შესართავად,
კვლავ ბოძებს აღარ ველი,
და მე მისისა მოშორებით
დამწყულულდა გული მრთელი.
იგი ძმისწული მაშინს ჰყვა,
ქალი მას მისცა მთვარია,
სახელად ერქვა ქეთევან,
არს მზისა შესადარია,
ვაისა ვეროდენ ერეკლეს,
არვინ მყავს მისი დარია,
და იგი თვით იახლა, მე დავარნი
სიციკლელ დასაზარია.

„ინემ ქართველის ჰკუზამ ბასტრა“

1738 წელი.
შაჰ ნადირი 180 ათასიანი ერანული ნხედ-
რობით ინდოეთისკენ მიეშურება.
სპარსეთის ხელმწიფეს ქართული რაზმით
გვერდით მიჰყვება თვრამეტი წლის ერეკლე
ბატონიშვილი.

ინდოეთში მაშინ თემურლენგის შთამომა-
ვალი „დიდი მოგოლების“ დინასტია მბრძა-
ნებლობდა. ნადირ შაჰიც მოგოლთა იმპერიას
დასამხოზად და დასაპყრობად მიელტვოდა.
მთავარ სამიწენელ მთავარი ქალაქი შახანაბა-
დი, ახუ დელი დავაუღებინა ერანის გვირგვი-
ნოსაქს.

მაგრამ სანამ შახანაბაღს მიადწევდა, გზა-
ზე დიდძალი ხალხი გაუწყდა ნადირს — ზოგი
მოთარეშე-მოსაზრე მტრებთან შეტაკებებში,
ზოგი სენების, ზოგიც შიმშილ-წყურვილისაგან.

ხაიბერის უღელტეხილზე ინდოელი სარდა-
ლი ნახარ-ხანი და მისი ლაშქარი დარჩობდა
შახანაბაღისკენ მიმავალ მტერს. ნადირ შაჰმა
ხაიბერს გვერდი აუქცია და კარები საცლდე-
ხო, კლდოვან ბილიკებს შეუყენა. უტუნეთ
წყველიდში ჩირაღდნებით მიიკვლევდნენ გზას.
შუესვენებლივ ვადოდნენ. ოთხმოცი კილომე-
ტრი თვრამერ საათშა გაიარეს და ნახარ-ხანის
ჭარს ზურგში მოექცნენ. ამ ლაშქრობის ამბა-
ვი ერეკლემ ასე მოსწერა თავის დან, ანას:

„...სხვა აქაური ამბავი ეს მოგახსენო; რომ
აწლიო რომ შარშან წამოვიდა გიორგობის
თვეს, თუ არ ვიცო ღვიწობის თვეს, იმ მანძი-
ლიდამ ორი დღე გამოვიარეთ, და მესამე მან-
ძილიდამ დილას ავიყარენით, ოთხი ალაჯი
გამოვიარეთ, ჩამოვხდით. ნახევარი საათი რომ
ჭერ არ გასულიყო, დაიძახეს: ყანი შეჭდაო.



ბინა აქ დაგდო. თითოს ღამის ჰერით წავე-
დით. ხანამდინ ან ჭარისკაცი, და ან ჩვენ მო-
ვეშალებოლით. ყაენს ორი ალაჯი გაველი.
შევსხედით ჩვენცა საღამოზედ, და ღამით წინ
და წინ გავესწრო ხელმწიფისათვის. ორი ათა-
სი ყარაულისათვის და ერთის აჯინან ბეგისა-
თვის ებრძანებინა: თქვენ წინ წადითო. ჩვენ
იმით რომ ხელმწიფისაგან წინ გვანახეს. დაგვა-
ყენეს, რომ ხელმწიფისთან იარეთ თქვენცაო.
ამაში უკან სამი მაშხალა გამოჩნდა. დავე-
გით, მოვუცადეთ, და ხელმწიფიც მობრძანდა,
და, იმის თიფში გავტრინეთ. დავიწყეთ სი-
არული. იმ ღამეს მთვარეც იყო და მოვადექით
ერთს უგზოს მთასა და კლდეს. ოცდაათი ათა-
სი კაცი შემოვედით ეიწროში, რომ ორი სამი
ურემი ალაგ-ალაგ თუ გაიმართებოდა. ერთი
ასეთი ცოლდა, რომ თითქმის დაგვამხო ცხენი
და კაცი. დაგუბდის ამ ვიწროში ეს ჭარი, დავ-
დგით ამ სიციფეში და იძახიან: აჲლა! აჲლა!
მაგრამ ერთი ასეთი დატრიალდის ჭარი, ვე-
ცით ერთმანეთსა, გული-ფირტი ცალკე ჩავიყ-
რევიით ხოლმე, და ცხენმა და კაცმა და მუხ-
ლების მტკრევა ცხენის წიხლისაგან, რასაკვირ-
ველია, რომ მეთად ვახლოდით ფეხებს, მაშ რა
ექნათ. ამ ყოფაში ვიყავით, ხანამდინ იმ ხეცს
მოვრჩებოდით. ის ხეცე ნახევარი ალაჯი იყო
და ხუთს საათს ძლივს გავედით. მოვხვდით კი-
დეც მთასა და კლდეს დიდსა. ვიარეთ და არ
ვიცოდით. თუ ხად მივიდოდა ხელმწიფე. ამ
ბევრ სიარულში ჭარიც დიად დაიდალა. და
თავწირვით დაიფანტა. იმ დღეს გვევლო. იმ
ღამეს ვიარეთ. მეორე დღეს, რომ დასამხრდა,
ყაენს კაცი მოუვიდა. რომ ნასარ-ხან დავიჭი-
რეთო, და ჭარი გაქვიცათ. მასუკან ყაენიც
მიბრძანდა. აჩისან-ბეგს ხალათი უბოძა, და ყა-
რაულის მიმბარებხაც. იმ საღამოზე სპილოს
ნასახვად წაველ მე, და ყაენმა დამინახა. ნასარ-
ხანის კარავსა და ფარდაში ბრძანდებოდა. დამი-
ძახა და მიბრძანა: შენც წამოსულხარო? მე მო-
ვახხენე. მაშ ვისთან უნდა დავმდგარიყავ-მეთქი.
მიბრძანა: ბარაქალა! კარგა ვიქნიაო. წინ ქო-
რები უსხდა. მიბრძანა: რომელიც გინდა აიყვა-
ნეთ, მიველ, ერთი ქორი ავიყვანე. მიბრძანა:
კარგა გააძღობდეთო. თავი დავუკარ და წამო-
ველ. აქ დავდგით ოთხ დღეს, ხანამდინ ბინა
ხეიბარში გამოვიდა. ხეიბარი დიად ვიწრო ად-
გილია და იმითმ შეეკრა ნასარ-ხანს ის გზა...
ყაენს ისევ ჩემთვის ებრძანებინა ჭარბინაში
პირით, რომ შენთან დადგეო... ვიარეთ და
რომ მივუახლოვდით ლაურის წყალს, ქალაქს
ძირზე ჩამოუდის, რომელზედაც გასავალი იყო,
იმას შეეკრათ თოფხანით. ამაში აღარ მიბრ-
ძანდა ხელმწიფე. ორს ალაჯზე ზეთი წავედით.
ჭარ ყარაული გავიდა წინ. ყარაულს უკან ხელ-
მწიფემაც გამოაცურა ცხენი. ასიოდეს ყულით
თითოთ გავარდა საჩქაროთ. ამასობაში გავწა
წყლის პირზე მემარჯვენე და მემარცხენე ჭა-
რი შეიქმნა კიდეც ვიწროობა ამათი, რომ ვერ

დამიწერია. თითქმის მივადექით ერთს ლაფს,
იქნებოდა ერთის, ორის გუთნის გა...
ტალახი იყო, რომ ლასტის ხიდს რომ წანწა-
რი გაქმონდეს, ისე წანწარებდა. და რაც ჭა-
რი იყო ყველამ ზედ გავიბინეთ. და წყალში
რომ შევედით, ორი ურმის ტოლი გზა ძლივ
იყო. ამას თუ გარდასცილდებოდა, იმ წყალში
კაცი ხაფლიზისაგან ვეღარ ამოვიდოდა. გაიჭე-
და ამ წყალში ჭარი, და ცურვა დაიწყო ცხე-
ნებში. ეიდვით ერთს ალაგსა, და გვაცურე-
და ცხენები შიგ. მოგხვდა ღმერთმა და გამო-
ვიდით. თურმე ერთი ხანი ლაურზე საშვებე-
ლად მოვდიოდა, და შიგ კი ჩამოგვერია. ერთს
ორს დასტახს უბრძანეს და ასს ყულს მივიდენ
და ყათლანი უყვეს, იმაში ჩვენი კაცებიც და-
ესწრენ და ცამეტი თავი იმათაც მოართვეს
ყაენს..“

როგორც იქნა, მიუახლოვდენ წახანაბლს.
შამმა საომარი ძალები გადათვალა.
180 ათასიდან 90 ათასი მეომარი ღარჩენი-
ლიყო.

ინდოელმა ხელმწიფემ სამას ორმოცი ათასი
მეომარი, სამასი წარბაზანი და ორი ათასი
სპილო შემოაგება მტერს.

ნადირმა წინ მძიმედ შეჭურვილი ცხენოს-
ნობა დააყენა, მათ უკან, მეორე წყობად —
აქლემები, რომელთაც ზურგზე მანგლები მქო-
ნდათ გაწყობილი. მერე მოდიოდა ქვეითი ჭა-
რები, რომელთა მარჯვენა განაკიდურს ქართ-
ველები იჭერდნენ, მარცხენას — ბახტიარები.
ბრძოლა დაიწყო.

შამ ნადირის ბრძანებით აქლემთა კუზებზე
მანგლები აანთეს და ცეცხლისგან ვახელებულ-
ნი ცხოველები შემზარუნენ ყოყინებლავალით
ინდოელთა სპილოებზე მიუშვეს.

სპილოები დაფრთხნენ, აირივნენ და თავისი-
ანთა ლაშქარში შეტრიალდნენ გაცოფებულნი.
ინდოელთა წინა რიგები ჩაიშალა და ჩაითე-
ლა.

შამ ნადირმა მამინვე მტრის შუაგულისკენ
გააქანა ცხენოსანი ჭარები.

მარჯვენა განაკიდურზე ერეკლემ ბატონიშვი-
ლმა და მისმა ქართულმა გუნდმა შეუტია გა-
ალმსებით, მარცხენაზე — ბახტიართა ლაშ-
ქარში.

ინდოელთა უმრავლესობა დაილეწა და დაი-
რტოცა.

გამარჯვებულებმა დიდძალი აღჭურვილობა
და საომარ სპილოთა უმრავლესობა ჩაიგდეს
ხელში.

ერეკლემ ერთი ინდოელი ტუვის გათავისუ-
ფლება სთხოვა შამ ნადირს.

„ჩისთვისო?“ — იკითხა შამმა.

ლევან სანიძემ
ქაბაძემ ხელმო



„საარკო სიმამაცისთვის, რაც ვიხილე ჩემს თვალთ შერკინების შმას“, — უპასუხა ერეკლემ.

კარგი ვაჟყავის ფასი ნადირ შამშაც იცოდა და უთხრა ქართველ ბატონიშვილს:

„იყოს ნება შენი, მიდი და თვითონ მოუარე შენგან არჩეულსო“.

გამოიყვანა ერეკლემ ტყვეთა რიგებიდან მამაცი ინდოელი, თავისი ხელით აპყარა ბორკილები, ხმალი დაუბრუნა და ანიშნა, — საითაც გინდა, იქით წაბრძანდო.

დიდხანს ვერ ჩადა გულისხმაში ინდოელი, ხოლო როცა მიხვდა, მამიწვე ერეკლეს წინაშე დაემხო და მუხლებზე შემოეძლო მთრთოლვარე ხელებით.

აღარ დაანება ერეკლემ, ფეხზე წამოაყენა „სიმამაცი ნათესავი“ უცხო ვაჟყავი.

შამ ნადირი შეხანაბლს მიადგა. ინდოეთის სატახტო უომრად დანებდა. ქალაქის ციხიონმა იარაღი აიყარა და მტერს მიართვა. ინდოეთის მბრძანებელი, დიდი მოგოლი, ნადირს ეახლა და მის წინაშე მუხლი მოიყარა. ნადირმა დიდ-სულოვნება გაითამაშა: დიდი მოგოლი თავის ტახტზე დატოვა, ქალაქი ჭარს არ დაარბევინა, მხოლოდ ხარკის აკრეფა აკმარა, სამაგიეროდ თავისი ვაჟისთვის — ნასრულა-მირჩახათვის დიდ მოგოლს ასული სთხოვა საცოლოდ.

ძნელი მისახვედრი არ იყო: ნადირს სურდა, თავისი შვილი ინდოეთის ტახტს მემკვიდრედ დესხა.

ინდოელ დიდებულთა საკრებულომ უარი გაბედა ეგზომ „უსწორო ქორწინებაზე“: ნადირ შამი და მისი ძე მეფური წარმომავლობის არ არიანო!

მამინ კი იფთჟა და იჭექა ნადირმა:

„ნასრულა-მირჩა ჩემი მახვილის ძე გახლავთ და უფრო მაღალი კეთილშობილება მას არ სჭირდებაო!“

უმაღვე სხვანაირად „ამღერდნენ“ დამფრთხალი არისტოკრატები. დიდმა მოგოლმა თავისი ასული ცოლად მიმგვარა ნადირის ძეს.

თითქოს უველაფერი ჩაცხრა და ყველა დამშვიდდა მაგრამ ერთ დღეს სპარსელმა მსტოვრებმა შეხანაბლში შეთქმულება გახსნეს: ინდოელ პატრიოტებს მათი დამპყრობელი ერანის შამის მოკვლა ჰქონიათ განზრახული.

გაცოფდა შამ ნადირი.

შეთქმულები ციციხეზე დაწვევინა ცოცხლად.

ქალაქ ჭარები შეუსია — გააძარცვინა, ააოხრებინა, ააწიოკებინა, გაათახსირებინა, გაუღეტინა.

შეღწეა ინდოეთის საჭურჭლეთა კარიბჭეში და გამოიტანა უთვალავი თვალ-მარგალიტი: აღმასნი, იაგუნდი, ლალი, საფირონი, სარდი-

ონი, ქრისოლითი, ოქრო და ვერცხლი, სამკაულები, უფირფასეი ქსოვილები, სვეტიცხლის სვეტიცხლიანი ტახტი, ფარშევანგის მსგავსი ბალდანიით, რომელიც კუნაპეტ წყვილიდაც მისი შექმოსიერებით ანათებდა.

გაძარცვული და შებილწული შეხანაბლადან სინდეთისკენ დაემგნენ ერანელნი. სინდეთის რაჭა უნდა დაესაჩა შამ ნადირს, ხარკის გადაუხდელობისა და ურჩობისათვის.

მძიმე გზა ჰქონდათ, უზღვრო უღაბნო და უსაშველო პაპანაქება.

შუა უღაბნოში ქვის სვეტს გადააწყუნენ.

სვეტზე კერპი იყო აღმართული.

კერპზე ეწერა:

„შვილით და ძირით, სახლით და კარით, იყოს წყველი უყუნითი უყუნისამდე, ვინც ამა სვეტს წინ უსწრებს და გადააიჭებს“.

ერთიანად გაქვედა ყველა — შამიდან დაწყებული უანასკნელ მევირემდე.

უკან დაბრუნებას მაინც სიკვდილი ერჩია ნადირს და უბრძანა ჭარებს განგრძობა გზისა.

მაგრამ ფეხიც არ მოიკვალეს ავი ბედისწერის შიშით დარეგვილმა ჭარებმა.

ველარაფერს გახდა ნადირ შამი, — ვერც მქვერმეტყველებით, ვერც აღთქმით, ვერც მუქარით, ვერც მუდარით.

იქნებ ისევ ქართველმა გვიხსნასო, — და მავდარებელი თვალთ მიაშტერდა ყანი ერეკლეს.

ერეკლეც დაწინაურდა, ხელმწიფეს თავი დაუქრა და მოახსენა მტკიცე ხმით:

„აქ ბევრი საფიქრალი არა-რა გახლავთ, ხელმწიფეო, — დევნალოთ ეს ავბედითი სვეტი, სპილოებს ავკილოთ, წინ გავძლოლოთ თავის კერპიანად და წყველა-კრულიანად ჩვენც უკან მივყუვით და, რაკი აღარ გადავასწრებთ, აღარც რამეს გვავენებს ეს წყევლოა“
თვალთ დააჭიბა გაოცებულმა და აფოფინებულმა შამმა.

ბრძანა და დაშალეს „მანუქვარი სვეტი“, სპილოებზე აჭიქდეს ნაწილ-ნაწილად და წინ გაირეკეს.

მიჰყვა დაშქარი უკან, დამანძილებით.

„ისევ ქართველმა გვიხსნა!“

„ისევ ქართველის ქუთამ გასჭრა!“

„რატომ სხვამ ვერ მოისახრა ამ მილითის ხალხში და მიინცდამაინც ქართველი მიხვდა ეგზომ „უბრალო“ მისახვედრელს!“

„ქართველს შეუძლია უმეველად დაგვიხსნას.“

„ქართველს შეუძლია უმეველად დაგდუპოს.“

„ძლიერია ქართველი, ძალიან ძლიერი...“

„და საბედნიეროდ, ცოტაა ქართველი...“

უარყაშებდა ბედისწერას მიღვენებულ ლამქარი.

თახთახებდა სიცხით ატანილი უღაბნო.

სსკპ
XXVI
ყარბოჯი
შუბისხვედრად

სოლომონ დემურსანაშვილი,
სოლომონ სამხარაული

ცხვარი და მცხვარი

შარშან. დეკემბრის ერთ დღეს, სრულად შემთხვევით ჩამოვარდა სიტყვა თუშურ ცხვარსა და ჩვენს მეცხვარეებზე. იმ სიკეთეზე, რაც ამ პირუტყვს მოაქვს ადამიანისათვის და იმ ვაჟკაცურ, ფათერაკიან ცხოვრებაზე, ქუდებდად რომ დაშვლილია ჩვენებურ მეცხვარეს. განვხაჯეთ, რამდენად არის დაფასებული მისი შრომა, რა უჭირს და რა არის მოხაჯვარებელი იმომწყვესურ ცხოვრებაში

„ცრკისი“ რედაქციაში ვიყავით რამდენიმე კაცი. საუბარი შინაურული იყო, ისეთი, სიტყვა სიტყვას რომ მოჰყვება ხოლმე ჩვეულებრივ. და უცებ, ერთ-ერთ ჩვენგანს გაახსენდა, რომ უოველივე ეს, რასაც აქ ვხვდით, შეიძლება დაწერილიყო და გამოქვეყნებულიყო.

და აი, ამ საუბრიდან ორიოდ დღის შემდეგ, მივლინება მზად იყო თუშ მეცხვარეებთან, შირაქის აშორის საძოვრებზე.

ერთი ასეთი თქმულება არსებობს ხალხში, შესაძლოა, ბევრს არცა ჰქონდეს გაგონილი. ცხვარი ხალხში შებაკუნდა და იქ მოკალათებულ სიღარიბეს უთხრა, გარეთ გადი, შენი ადგილი აქ აღარ არისო. სიღარიბემ მუდარით ყელი აუწია. აგერ, ერთ კუთხეში მივეგდები და არაფერს დაგიშლიო. არაო, უთხრა ცხვარმა, მანდ ბატანი უნდა მოვთავსოო. მაშინ სახლის მეორე კუთხეში მოკალათდებოო. მანდ კიდევ ბატკული უნდა მოვთავსოო. მესამე კუთხეში ყველი უნდა დავაგროვო და მეოთხეში მე თვითონ დავილო ბინაო. ისე რომ ცხვარმა სახლის ოთხივე კუთხე მოიკავა და სიღარიბეს მეთი რაღა ჩარა

ჰქონდა, გარეთ გამოწაწლდა ეს თქმულება მტრად ნიშნული და გამართლებულია, ცხვრის მიმდევარი კაცის სახლში სიღარიბეს ადგილი არ ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ ქართველი კაცი ცხვარს უხსოვარი დროიდან ამრავლებდა და აშენებდა, მიუხედავად იმისა, რომ ძველ მეცხვარეს ბევრად უფრო უძნელდებოდა ცხვრის მოვლა-პატრონობა. დღევანდელი მეცხვარეები ახლაც სიამაყით იხსენებენ ხოლმე თუშ ჯუპოშვილსა და ფშაველ ალბუთაშვილს. რომელთაც რევოლუციამდეც საქართველოში დიდძალი ცხვარი ჰყოლიათ და დიდი ხიმღიდრის პატრონებიც ყოფილან. როცა ჯუპოშვილის ცხვარს თბილისზე უნდა გაეგლო, ქალაქის ხელისუფლება მოძრაობას აჩერებდა, რის ხარჯსაც თვითონ ცხვრის პატრონი იხდიდა.

ის დრო ისტორიას ჩაბარდა, რევოლუციის შემდეგ ცხვარი სახალხო დოვლათად გადაიქცა, ხოლო მეცხვარე საკუთარი თავის ბატონ-პატრონი გახდა.

ვიდრე დღევანდელი მეცხვარეების ყოფაცხოვრებასა და მათ ვაჟკაცურ შრომაზე ვილაპარაკებდეთ, წარსულიც უნდა გავიხსენოთ აუცილებლად. ქართველი კაცი მწყემსის მძიმე ცხოვრებას მარტო იმიტომ კი არ ეწიარებოდა, რომ მეცხვარეობა შემოსავლიანი იყო, არა, ბუნებით და სულით რომანტიკოსი. მწყემსობაში ვაჟკაცობას ხედავდა. თავისუფლებასაკენ მღტოლველს მთა უფრო აღაღებდა, ხანდახან უნდოდა განსაცდელსაც გადაშეყოდა, რომ ვაჟკაცობა რამ ჩაედინა: ამა ერთი წუთით გადავხედოთ ხალხურ პოეზიას, რა ნათელი დადასტურებაა ყოველივე იმისა, რაც ჩვენ მოგახსენეთ.



ვინა თქვა ჩემას ბალახი,
ცხვრისათვის საძოვარია,
ვინა თქვა, ენამც გაუხმებს,
ჩემთაში თუშის ცხვარია,
ლეკში გავარდა ამბავი,
ჩემთაში თუშის ცხვარია,
შემოუარეს სოფელსა,
ჯარს მოუყარეს თავია...

და აგრ, გიგას დაეცნენ თავზე, თორმეტი ფარა ცხვარი წაასხეს. მეცხვარე გიგა სოფელში მოვარდა და ძმას — გიორგის შეატყობინა ეს ამბავი. ძმამ ძმას უსაყვედურა, აქ რაღა მოგარბენინებდა, რატომ იქ არ ჩაიყალ თავიო. თვითონ კი ცხენზე ამხდრდა, გიგაც გაიყვალა, წამოეწია დუშმანს და უთანასწორო ბრძოლა გაუმართა. ორივე ძმა ამ უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა, წამოეშველნენ თანამომხენი, მტერი ერთიანად ამოწყვიტეს და ფარებიც უკან გამოარყეს.

ანდა მეორე ლექსი „გიგას ცოლი“, სადაც აღწერილია თუ ქმრის მკვლელობისთვის როგორ იძია ქალმა შური, როგორ ამოხოცა ცხვრის დამბაცებლები და ბოლოს როგორ დაიტრია ქმარი:

ნუ დაიდარდებ, გიგაო,
ცხვარი ჩვენს ხელთვე არია,
ისე გავუძღვე ცხვარ-ძროხას,
არ მოვაშროო თვალა,
საცა შემოვხვედე ურჯულს,
ფიცხლავ მოვაჭრა თავია.

კიდევ რამდენი ამისთანა ლექსის გახსენება შეიძლებოდა ხხვა კუთხის ფოლკლორიდანაც. — ფეხუროდან თუ კახურიდან. თითქმის ყველა ლექსში მეცხვარის მამაცობასა და ფათერაკიან ცხოვრებაზეა ლაპარაკი, მისი გმირობის ქებაა და ვინმეს არ ეკონოს, რომ ეს ლექსები მოლექსეთა ფანტაზიის ნაყოფი იყოს, ეს ყველაფერი ცხოვრების სინამდვილიდან გახლავთ აღებული. ხალხი ნიჭით მადლცებულნი ლექსები სიმღერებად ვრცელდებოდა ხალხში. ბუნებრივია, ვაჟკაცობით აღზენილი ეს ტკბილი სიმღერა ყმაწვილს სისხლს უღვრებოდა და თვითონაც იმ კვლამ გაჰყვებოდა, ვინც ამ სიმღერების გმირები იყვნენ.

ყოველივე ამის შემდეგ რაღა გასაკვიარი უნდა ყოფილიყო, ლაიფციგიდან ან პარიზიდან დაბრუნებულ უმაღლეს დამოაგრებულ თუშ კაცს თუ ისევ შთისკენ გაუწიდა გული და დაბლობს მეცხვარის კომბალზე გაცვივდა. ამის მაგალითი კი ბევრი იყო რევოლუციამდელ საქართველოში და, თვევს წარმოიდგინეთ, შემდეგაც გვახსოვს, ჩვენი (აწყურის) სკოლის დირექტორმა, გვარად ბახიძემ, დირექტორობა მიატოვა და ცხვარში წავიდა. მთელ სკოლაში

მაშინ ეს ხალაპარაკულ ჰქონდათ. ზნეაზრულთა ბისა რა მოგახსენოთ. შეიძლება სხვადასხვა მუშაოს იმიტომ მიეტმანნოს კაცი, რომ იქ უკეთესი სახსარი ნახოს ცხოვრებისა, მაგრამ დღესაც რომ ცხვარში წამსვლელ კაცს ის ძველი სიყვარული კიდევ უბიძგებს, ამაში ღრმად ვართ დარწმუნებული და ცოტა ქვემოთ ამის დასახატებულ მავალითებსაც მოვიყვანო. ჩვენი დიდი სურვილი კი ის არის, რომ გულგრილობით, უშადურობითა და უთავობით ის ძველი სიყვარული არ გავუნელოთ ჩვენს ახალ თაობას, გული არ ავუცრულოთ მეცხვარეობაზე. ამიტომ ცოტა მეტი ყურადღება და ზრუნვა გვმართებს დღევანდელი მწყემსის მიმართ, იმ კაცის მიმართ, ვინც მთელი წლის მანძილზე მხოლოდ ერთი თვე თუ არის ცოლ-შვილთან. გვახსენდება ვაჟა-ფშაველას ერთი წერილი, სადაც დიდი პოეტი გულსიტკვილით აღნიშნავდა: დროა, ქართველმა კაცმა ეპრობა ისწავლოს და ეს ცხოვრებისთვის აუცილებელი საქმე სხვას არ ჩაუტადოს ხელთაო. ცამდე მართალი იყო ვაჟა-ფშაველა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ბევრ ჩვენს მეურნეობაში უკვე გაქირდა მწყემსის შივნა და იძულებული არიან დაქირავებული მწყემსი აიყვანონ, ისეთი მწყემსი, ვინც ვეღარც იმ სწორუშოვარ გულის ყველს გააკეთებს და ვერც ისე რაგინად მოუვლის განთქმული თუშური ჯიშის ცხვარს, რომელიც ერთდროს კინაღამ ვადააჩიშეს.

ახლა კი ვახსენებთ შემთხვევით და ვიდრე შირაქის ზამთრის საძოვრებს მოვიხანებლებდით, შევუძღვეთ მოგზაურობას ქვემო აღვინიდან თუშეთისკენ იმ ახალი სამანქანო გზით, ახლახანს რომ გაიხსნა და თუში კაცს საუკუნეობრივ ოცნებას ფრთები შეასხა. ვიდრე თუშეთისკენ გავუდგებოდეთ გზას, ორიოდე სიტყვით გავცინოთ ქვემო აღვინს საჩქმე მეცხვარეობის საბჭოთა მკურნეობა, რომლის ძირითადი დოვლათი (დამხმარე დარგების გარდა) 50000 სული ცხვარია. ამ მეურნეობას ამჟამად ხელმძღვანელობს ვახტანგ თორღვაიძე, ვინც ჩვენი მეგზურიც ვახტანგ და ჩვენი მახინძელიც. დანარჩენს კი, რაც ცხვარსა და მეცხვარეს შეეხება, გზადაგზა გავცინობთ, გზადაგზა გიამბობთ აგრეთვე მეურნეობის მდგომარეობაზე მეცხვარეობაში.

ულამაზესი და ამასთანავე უროულესია თუშეთისკენ მიმავალი გზა, ყოველ წუთს სიფათია მოხლოდნელი. ხან პირდაღებულ, უძირკო უწყურულის პირას მიხვდები, ხან კი დამოკლებს მახლობლით თავზე დავგმობობა ფიცხლავანი ვეება კლდეები, საიდანაც, არ იცი, რილის მოწყდება უზარმაზარი ლოდო. უცნო კაცისთვის ეს გზა შემშარავიც არის და ლამაზიც, ხოლო იმათთვის, ვინც მთელი ცხოვრება ამ გზით დღის, ღამითი ჩვეულებრივი ამბავია, „მთელკუდა“, „სახცხვარე ხორბი“, „ცოლიანი ხევი“ — აი, ნაწილი იმ სახელებისა, ხალხს რომ შეურქმევია აქ ხხვადა-



სხვა ადგილისათვის. „მელტელა“ ვერაგი ადგილი იყო, „საცხვარე ხორხი“ ვიწრო გასასვლელი მთებში, ხოლო „ცოდვიანი ხევი“ ბევრი ცოდვის დამტრიალებელი. ვიღრე ახალი გზა გაკეთდებოდა, ეს ხევი თუშეთში გადასასვლელი მოკლე გზა იყო მეცხვარეთათვის. ვაზფხულზე თოვლით ამოვსებულ ამ ხევეზე გაჰყავდათ ცხვარი. ამ რამდენიმე წლის წინათ წვავი დაცურებულა და ექვსი მეცხვარე დაუტანია. აღრეც ბევრჯერ მომხდარა ასეთი უბედურება და ხალხსაც ამიტომ დაურქმევია „ცოდვიანი ხევი“. საერთოდ, მთელ გზაზე უშირაღ შეხედებით ბოძებს, ნიშნად იმისა, რომ ამა და ამ ადგილას მავანი და მავანი დადუპულა.

ყოველდღე ამის მხილველთ უნებურად გაგვახსენდა ის უმადური სტუმარი, ვინც ქართულ გულთბილ მასპინძლობასა და უხვ პურ-მარხს ეზიარა. მერე წავიდა თავის ქვეყანაში და აუვალ მოისხენია მასპინძელი, სიზარმაცე, უწინრობა და მუცლდემერთობა დასწამა მთელ ერს.

ახლა კი ისევ ჩვენს სათქმელზე ვილაპარაკოთ, რადგან უკვე გადავიარეთ სამიათასი მეტრი სიმაღლის უღელტეხილი. გვიარეთ ფიცრის ქალა და ნაიცხრის ქალაში შევვალადა, სადაც ქვემო ალღვის მეცხვარეობის ერთ-ერთი ბრიგადის საპარსია მოწყობილი. ნაიცხრის ქალაში საქმოდ დიდი კარავი დაუციათ მწყემსებს. აქ დაუპარსავს ცხვარი მერე ბრიგადის და აგერ ერთმანეთზე დაწყობილი ბარდანები, თვითუფლი რომ ასეთლობით კილო მატულს იტებს.

აგვიხტოს მიწურული იყო. კარვის პირას ცეცხლი ზარდა. მასპინძლებმა სამასპინძლო საქმე მათე მოათავეს და სუფრას შემოვუსხედით. იწყება გულახდილი საუბარი მწყემსსა და მწყემსურ ცხოვრებაზე, ნაკლსა და წარმატებაზე, დაიბ. სრულიად გულახდილი, შინაურული საუბარი, რადგან ჩვენ — სტუმრებიც და მასპინძლებიც უკვე დავახლოვდით, უკვე გადავუშალეთ გული ერთმანეთს, რაც მსოფლიო სუფრასთან ხდება ხოლმე. გვინდა ეს საუბარი რაც შეიძლება წესტად აღვადგინოთ:

მეცხვარეობის საჯიშო მიცხვარეობის საბჭოთა მიუხრეობის დირექტორი ვახტანგ თორღვანიძე:

— ცუდი წელი დაჯიშადა წელს (იგულისხმება 1979 წელი). გვალვამ ბალახი გადატუსა მთაში. მიუხრედავად ამისა, ჩვენმა მეცხვარეებმა ძალიან იმარჯვეს. ასი სული ნერბიდან 87,6 ბატკანი მიიღეს, ოთხ-ნახევარი ბატკნით მეტი, ვიღრე გეჰმა ითვალისწინებდა. ერთი ცხვრიდან 2,400 გრამი მატულის ნაცვლად 2,700 გრამი ვაკვარსეთ. მატულის საერთო გეგმაც ვადაქარბებით შევასრულეთ და უკვლისაც, თუშმა კაცმა თავიდანვე იცოდა ცხვრის უადრი, მისი მოვლა-პატრონობა, თუში და მეცხვარე ხომ ვანუყოფელი

მცნება. დღევანდელი ახალგაზრდებიც ხალხით, მიდიან ცხვარში, მაგრამ ტრასებს ეროფდებოდათ. საკითხი ვერა და ვერ მოგვარდა. მაგალითად, შარშან დიდი გვალვების გამო შირაქის საოვარზე ბალახი არ იყო წამოვიყვანეთ ცხვარი, ათი დღე მშვიდი მოდიოდა გზაში, წითელწვაროდან ლეწურამდე ბალახი არსად იყო. ახალგაზრდობა გვეუბნება, მთაში წავალთ, მაგრამ ტრასაზე ცხვარს არ გავუვებით. ცხვარი გზაში შიმშილით გვეხოცება და ჩვენ გვწერთო. როგორ მოვითმინოთ, კუნს პირებზე სიმინდე თუქოს, ვენახში ბალახი იყოს და მშვიდი ცხვარი ნიჯ არ შევუშვათო. კიდევ ერთი ჩვენი გასაკვირი: საშაბათო საძოვრებზე ერთ ბექტარზე წესით დაშვებული სამი სული მავიერ 9 სული ცხვარი სრავს. 800 სულითვის გათვალისწინებულ ფარგებს 1200 სული გვეყავს, რაც ნერბის გაღლებას და დანაშატის შემცირებას იწყევს. უვალაზე დიდი გასაკვირი მწყემსებს. დროს დროს ადგათ შირაქში. ამ დროს თავის მოსახუნადაც ახლა სცალიათ. ზოგჯერ თვის 80-100 სული ნერბი იგებს, ასეთ დროს ბრიგადაში ათი-თორმეტი მწყემსის საქმეს რვა მწყემსი აკეთებს, მაგრამ წუწუნს თავი დავანებოთ, უვალაყერ ამას თუ ეშველება რამე, ეშველება თუ არა და, რა გორკო აქამდე ვაუვალეთ, ახლაც ვაუვალეთ. ჩვენ მთავარი გავაქირებს — წლევანდელი წამთარი მთელი ზაფხული შირაქში წვეთი არ ჩამოვარდნილა, გვალვამ ვადატუსა ურო და ვაშანი, თუ ჩვენი ცხვარი შირაქში ან უშირაღში არ წვიდა, აუარებულე ზარალი იქნება. ასეთივე დღე ელის წემო ალღვისა და ლალისკურის ცხვარსაც.

№ 2 ზმრმის ბაზმე ვახტანგ პრიტიპლი:

ჩემი ფერმის ბიჭებმა ასი სული ნერბიდან 91,3 ბატკანი მიიღეს, გეგმით კი 84 სული ბატკანი უნდა მიგვედო. წველალობაც გადავაქარბეთ. პარსვაც, მაგრამ ვადაქარბება მაშინ გენახათ, წესისი ზაფხული რომ უოფილიყო. გვალვის დროს, გარდა იმისა, რომ მთაში ბალახი ნაკლებად არის, ცხვარი საძოვარზე ვერ გავუყავს, გვალვისაგან ვასიპულ ბალახზე ცხვარი ფეხს ვერ იკიდებს. ცურდება და იჩენება.

კრიტიკულმა მეურნეობის დირექტორს ვადახედა და კოქმანით ვანაგრძობ:

— ვახტანგ, ესენი მწერლები არიან და იქნება ისიც დაწერონ, რომ მეცხვარე კაცს ცოტა მეტი დაფასება უნდა. ახა ერთი ნახეთ ჩვენი მწყემსებმა დოლის დაქვრის დროს თუ ტრასაზე ვადარეკვას, მთისა თუ ველის საძოვარზე და დარწმუნდებით, რომ ამათი შრომა გმირობაა. შე-

სოლომონ დემურხანაშვილი,
სოლომონ სამხარაული
ცხვარი და მიცხვარე

დან ამბობდნენ, მეცხვარე ბევრჯერ სწორ აღ-
გილს ვერ პოულობს მთაში, რომ დამით და-
საძინებლად დაწვესო. ეს რა არის, ზოგჯერ
ისეთ ადგილას მოვეყოლივართ, რომ მიწაში
პალო ჩაგვირქვია და ლაგებში მოგვიტყე-
ვია, რომ მძინარენი ხევში არ ჩაგჩენსო-
ბუვიო. პოდა, თუ ბებიები ხართ, დაწვეთ
რომა ბევრი შრომის გმირი გვყავსო, მეც-
ხვარები კი ნაკლებად აგონდებათო. არც
ზემო აღვანში, არც ქვემოში, არც ლლისყურში
ერთი გმირი მეცხვარეც არა გვყავს, მე როგორც
ვაცი ერთი უსხებელი მეცხვარე უნდა იყოს
გმირი, ეს არის და ეგა. არადა, ერთი სოფელი
ვაცი, ოცდახუთი თუ ოცდაათი მეთამბაქოეა
გმირი, მგირიებს ხომ წუღარ იტყვიო. იქნება
გაყვავალათ ხელობა ჩვენითვის, ჰა? აბა შეხედეთ
ამ ბუქებს — და კრიტიკული მხივით იჭირაულსა
და ნიკოლოზ აფშინაძესზე ვგვიითებებს, — ცუდი
გმირები იქნებოდნენ? ვაჟაკობა არ აკლიათ და
ცხვრის ერთგულება.

აფშინაძემ და იჭირაულმა თავები ჩადუნეს
და ერთმა მათგანმა მორცხვად ჩაიღაპარაჲ:

— გმირობა რად გვინდა, ვახტანგ, ცხვარს რაც
სჭირდება, ის საქმე მოაგვარონ. მეცხვარე ისე-
დაც გმირია.

იმდამინდელი საუბრიდან ამ ორი კაცის ნათ-
ქვამს გაუვსვით გაზი, ისინი ყველა მეცხვარის
გულისნადებს გამოხატავდნენ და ჩვეც იმი-
ტომ აგვადელვა. აღმათ დადა დრო, რომ ჩვენ-
მა საზოგადოებამ უურადლება გაამახვილოს ამ
მტკივნეულ საკითხზე.

აგერ ომალოც, საქართველოს ბუნების გვირ-
გვინის — თუშეთის გული. შორს, დამრევილ
ფერდობებზე მართლაც არწივის ბუდეებივით
მიუფუფულან თუშეთის სხვა სოფლები: შენაქო,
დართლო, ბეღელა, ნახაბო, ხისო, ზოქორნა და
სხვანი, ზოგი არცა ჩანს, მაგრამ ვარაუდით იცი,
რომელ ქედს არის ამოფარებული.

ომალოსაც დასტუბოია დიდი გვალვა. შურაის
ფერი შეცვლია. ქერის თიბვა უკვე დაწუქათა,
კალოც გაუმწაღებიათ საღვწად. ბალახი გვალ-
ვას გადაუტუსავს. ვეება მინდორზე თაგულდებად
მოყვნილა ჩადლებად დადგმული თივა. კარტო-
ფლი კი მწვანედ ლივლივებს, გვალვა ვერ მო-
რევიო.

ჩვენი უურადლება ერთმა ამბავმა მიიქცია. სა-
სადილო „კოსმოსის“ კედლის ქვაზე ნახშირით
აწერია: „1978 წელი. 28/X. პირველი მანქანა
თუშეთში. ქუჩუკი სერგო“.

ცტობა, ქუჩუკი სერგო იყო, პირველი მან-
ქანა რომ ამოაგრილა თუშეთში. აღმათ რამ-
დენიმე წლის შემდეგ ეს ამბავი ვასაკირი
ადარ იქნება, რადგან სულ მალე ომალოდან
შენაქომდე საბაგირო გზაც გაიხსნება. ეს საბაგი-
რო გზა უსარმაზარ ხევის ვადამკეთოს, ვაკონე-
ბით გადაიყვანენ სატვირთო მანქანებს შენაქომ-

დე და იქიდან ტრანსპორტით დიკლოს დაჟაკე
შირდებიან. სულ რაღაც ათიოდე წლის წინაა
კი ვინ წარმოადგენდა, რომ ომალოში მანქანა
ამოაღწევდა.

— როცა თუშეთში გზის გაყვანა დაიწეს, —
გვიამბობდა ვახტანგ თორღვაძე, — ერთი მწა-
რე დღე გამახსენდა ჩემი ბავშვობიდან. ცამეტი
წლისა ვიყავი. ადრე გასაზღვრულზე ბარიდან თუ-
შეთში მივერეკებოდიო ცხვარს. მელთაუღაზე
თოვლმა და ქარბუქმა მოგვისწრო. ხუთი დღე
და დამე ფეხდგომელებმა ვათიეთ. ცხენებს სვე-
ლი კუდილი ვაყენათ და ვანზე გაუშეილით
დარჩათ. მწარე მოგონებად ჩამჩრა ის დღეები
და ახლაც რომ მომაგონდება, ვინატრებ ხოლმე,
რატომ მაშინ ეს გზა არ იყო-მეთქი, როცა გავი-
გე თუშეთში გზა გააყვავო, ხიხარულით ცას
ვეწიე. მაშინ ახმეტის რაიონის საქსოფულტექნი-
კის დირექტორად ვმუშაობდი. ბავშვობის
დროინდელი ის მწარე დღე მახსოვდა და ორი
ტრაქტორი მივანამარე გზის მშენებლებს თბი-
ლისში, საქსოფულტექნიკის სამმართველოში გა-
მომიძახეს და ერთმა ხელმძღვანელმა გამაფრ-
თხილა, თუ იმ ტრაქტორებს უკან არ ჩამოიკვან,
სასტელს სურ ასცდებიო, მაგრამ მე ჩემი ამ მო-
ვიწადე. ერთ დღეს ცენტრალური კომიტეტი-
დან ჩამოვიდა ამხანაგი ჯუმბერ პატიაშვილი და
მკითხა: ამ გზის მშენებლობაზე რა წვლილი შე-
გაქვსო, ვუთხარი, ორი ტრაქტორი მივანამარე,
მაგრამ სასტელის მემუქრებიან-მეთქი. უურად-
ლებით მომისმინა უწვლავური, თქმით კი არა-
ფერი უთქვამს. გაბრუნდა უკან და სულ მალე
ოფიციალური დადგენილება მომივიდა, თერთ-
მეტი ტრაქტორი ვამეყვანა გზის მშენებლობაზე
მეც და მთელი თუშეთიც მადლობელი იყო
ცენტრალური კომიტეტის ასეთი ზრუნვისა და
უურადლებისა.

თუშეთში გზის გაყვანა სახუმარო და იოლი
საქმე შეიძლება იმას ეგონოს, ვინც არ იცნობს
ამ პირქუმს, მუხანათ მთებსა და ხეობებს, სადაც
ზვავი და მეწვერი ჩვეულებრივი ამბავია. და-
ძალ ხარკს რომ თავი ადვანებოთ, ათასი სარ-
თულაა მშენებლების წინაშე, ათასი ხივათი,
თუშე კაცი საუკუნეების მანძილზე ოცნებობ-
და თუნდაც საცხენოსნო ბილიკი შინაც უოფი-
ლიყო კახეთიდან თუშეთამდე და ამ ოცნებას
ფრთა რევოლუციის შემდეგ შეესხა. და აი, ახ-
ლა, რევოლუციის ექვსი ათეული წლის შემდეგ
გავიდა სამანქანო გზა, გადაჭრა უკვლავ მაღა-
ლა უღელტეხილი საქართველოში და ჩვენი
უღამაზესი კუთხე ბარს დაკავშირდა.

ახლა კი თუშეთის გზის სიკეთისა და მის მშე-
ნებლობაზე ვილაპარაკოთ. მისი მოკლე ისტორია
ასეთია: 1949 წლიდან 1952 წლამდე — სამანქანო
ნო გზა თორღვას აბანომდე მივიდა. გზის მშე-
ნებლობა 1972 წელს ისევ განახლდა და კახე-
თის ქედის უღელტეხილამდე მიაღწია. 1976
წლიდან კი მშენებლობა კახეთის უღელტეხი-



ლის გადაღმა, „თბილისელები“ მცხრე რაჭმამ დაიწყო ფიცრის ქალის საცხურე ხორხი-დან თუშეთის გულას — ომალოსა და ომალო-დან კახეთის მიმართულებით. ამ მშენებლობის უბანს ხელმძღვანელობს ინჟინერი და ჩვენი ღირსეული თანამოკალმე ავთანდილ გალდავაძე. მას ასე, აღსრულდა თუში კაცის საუკუნეობრივი ოცნება — 1978 წლის 28 სექტემბერს პირველი მანქანა ავიდა ომალოში.

თუშეთის გზის მშენებლობა ისევ მიმდინარეობს. ახალგაუყვანილ გზაზე იგება ხიდები, წყალგამტარი გვირაბები, მეწურესაწინააღმდეგო ჯეხრები, ფართოვდება გზის ვიწრო ადგილები. სამანქანო გზის სრული კაპიტალური მშენებლობა მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს. ის მკაცრი ბუნებრივი წინააღმდეგობანი, რაც მთას გააჩნია, წინასწარვე გაითვალისწინეს და გზის პროექტი შეიტანეს კახეთის ქედში გვირაბის გაუყვანა. ამ ღონისძიებით გაკეთდება საშვილიშვილო საქმე, თუშეთის სამანქანო გზა მთელი წლის განმავლობაში გასწილი იქნება.

პირველი ხნული ვაგლებულია, უკვე ჩაეყარა საფუძველი თუშეთის დიდ მომავალს და აი, ის პირველი სიკეთე, რაც გზის გაუყვანას მოჰყვა. ქვემო ალენის საჯიშე მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა ომალოში უკვე აშენებს საჯამთრო გამურს, სადაც ახი სული ხბო გამოიწამთრებს. ომალოში, შენაქოში, დიკლოში, დართლოში, დოკუში, ბოქორნაში და სხვა სოფლებში აშენდა ახალი სახლები, გაღვივდა ჩამქარალი კერები, რამდენიმე კომლი ზამთარშიც აღარ მიიატოვებს თუშეთს, ქვემო ალენის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ვახტანგ თორღვაძის სახელზე შარშან ზაფხულზე უკვე თორმეტი განცხადება იყო შესულა. განმცხადებლები თუშეთში მუდმივ გადასახლებას ითხოვდნენ. აი, ერთი განცხადებათაგანი, რომელიც ზუსტად მოგვყავს:

ქვემო ალენის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს!

სოფ. ქვემო ალენაში მცხოვრებ სერგო სოფრომის ძე თორღვაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ი ბ ა

ველშაობ ქვემო ალენის მეძროხეობის ბრიგადაში მწყემსად, სურვილი მაქვს, რადგან ბავშვობის უმეტესი წლები ვავატარე თუშეთის სოფელ დოკუში, რომ კვლავ ვიცხოვრო თუშეთში, იქ, სადაც ცხოვრობდნენ ჩემი მამა-პაპანი. რომ ჩქნებოდეს მანქანის გზა, დღესვე დავსახლდებოდი, მაგრამ რადგანაც დოკუმდის გზა არ მიდის, ვთხოვთ დროებით დასახლების უფლება მომცეთ სხვა სოფელში, იქ, სადაც დღეს უკვე სამანქანო გზა მიდის.

განმცხადებელი: ს. თორღვაძე.

უამრავ განცხადებებში ვნახეთ ერთი, ჩვენი

აზრით, საუურადღებო განცხადება ამირან ნიკოლოზის ძე სისაურისა. იგი თხოულობდა დასახლებას მომეცით სოფელ ხახაბოში დავსახლდეთ. მაგრამ ამასთან ერთად არ მინდა მოვწუდე მეურნეობაში მუშაობას და ნება დამრთეთ, ამავე სოფელში შევიწინაო მეურნეობის პირუტყვი ზამთარშიც, საკვებს მე თვითონ დავამზადებო. ამირან სისაური უკვე ჩახახლდა სოფელ ხახაბოში და მართლაც რვა სულ მსხვილფეხა პირუტყვს ინახავს მეურნეობისას.

შარშან უკვე მუდმივად ჩახახლდა რამდენიმე კომლი სოფელ ხისოში, დართლოში, ფარსმაში, ხახაბოში, ომალოში. ახალი გზის გაუყვანამ ომალომდე ქვემო ალენის საბჭოთა მეურნეობის სატრანსპორტო ხარჯები უკვე ოთხმოცი პროცენტით შეამცირა. შარშან მეურნეობამ უწყლაფერი საკუთარი ტრანსპორტით გადაიტან-გადმოიტანა ალენ-თუშეთს შორის და თვითმფრინავის დაქირავება აღარ დასჭირვებია, რაც დიდ ხარჯს მოითხოვდა. ომალოში უკვე იწყება ორბა ბავშვისათვის განკუთვნილი სკოლა-ინტერნატის მშენებლობა, ხოლო რაც შეეხება ომალო-შენაქოს საბაგრო გზას, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, მისი პროექტი უკვე კეთდება. დაიწყო აგრეთვე წყალსადენის მშენებლობაც.

და მანინ, როცა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ესოდენ დიდ ზრუნვასა და უურადღებს იჩენს თუშეთისადმი, ზოგ-ზოგებს არა აქვთ უფლება დაუდევრობა და უუურადღებობა გამოიჩინონ ამ კუთხის მიმართ.

ომალოს მალაზია სხვადასხვა სურსათით ურთგოდ არ მარადდება, მაგრამ ზოგჯერ აშკარად ნაკლებობა ისეთი, ერთი შეხედვით წვრილმანი საქონლისა, როგორც არის ღურსმანი, კარფანჯრები ანჯამები, საჯამთრო თბილი ტანსაცმელი და სხვა, რაც აქაურ ახალმოსახლე კაცს ძალიან სჭირდება. მით უმეტეს, რომ ომალოში სავაჭროდ გადმოდაინ მეზობელი რესპუბლიკების, დაღისტინისა და ჩეჩენ-ინგუშეთის სოფლებიდან. რამდენად სასიამოვნოა, რომ მთის ეს მკვიდრნი დღეს ასე მშურად და მეგობრულად ცხოვრობენ ერთმანეთში, რაზედაც ალბათ დიდხანს ოცნებობდნენ.

თუშეთის ბრიგადის ბრიგადირი ვაბრლამ თორღვაძისძე:

— ასრულდა თუში კაცის ოცნება. ომალოში მანქანა ამოვიდა. შეიძლება ვინმე თქვას ვერტმფრენი რომ დადიოდა, ეს უგზოობა ვითომ რადა ხელს ვიშლიდათო ეს ტყუილი იქნება. ჭერ ერთი, რომა, ვერტმფრენით ის რომ ამოვიდო, რასაც მანქანა ამოიტან, აი თუნდაც სამშენებ-

სოლომონ დემურხანაშვილი,
სოლომონ სამხარაული
ცხვარი და მცხვარი



ლო მასალა, ათმაგი უნდა დაგიჭდეს, მეორეც, ჩვენი უღელტეხილი ძალიან მაღალია და ზოგჯერ ორი კვირა გვიხდებოდა ლოდინი საფრენი ამინდი როდის დადებოდა. ისე რომ ამ მაღლიანი გზას ვერაფერი შეედრება.

ფარლამის ნათქვამი გვენიშნა. ერთ ზაფხულს ჩვენ თვითონ რამდენიმე დღეს ველოდეთ მთაში გამოკეტილები თვითმფრინავისთვის ხელსაყრელი ამინდს. გათენდებოდა დილა, ხეობებიდან ისე ამოვარდებოდნენ ღრუბლები, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებინათ, ცისკენ მიდიოდნენ და იქ იყარებოდნენ, ჩვენი იმიდე მოგვეცემოდა, საფრენი ამინდი დადგებოდა, მაგრამ უღელტეხილზე ისევ ჩამოიქუფრებოდა, პირაქითაც მწე იყო, პირიქითაც, უღელტეხილზე კი ღრუბელი იწვა და თვითმფრინავი ვეღარ გადმოდიოდა.

როცა ამ ნარკვევზე მუშაობას ვამთავრებდით, მაშინდა მოვიხელთეთ ავთანდილ გალდავაქი, ვინც თუშეთის გზის მშენებლობას ხელმძღვანელობს. ავთანდილმა ასეთი ცნობები მოგვაცოცა:

— მიმდინარე წელს, — გვითხრა მან, — ძირითადად დამთავრდება თორღვას აბანო-ოშლონის გზის სამშენებლო სამუშაოები. თუშეთის ეს გზა დააჩქარებს, გააადვილებს და გააიფებს ცხვრისა და მუშა-მოყადი საქონლის საზაფხულო საძოვრებიდან საზაფხულო საძოვრებზე გადატყუვასა და გადმოტყუვას. გზის გაუყვანამდე ასეული ტონობით ქვაშარილი, სურსათ-სანოვაგე, მატულის საპარის აგრეგატები, სარკავი მასალა და სხვა ამგვარი, შეეუღლებურნი გადააქონდათ მთაში მეურნეობებს, რაც ძალზე ძვირი ჯდება. ასევე ჩამოაქონდათ მთიდან უაფრო უყველი, მატული, ტყავი, კალტი და სხვა. უფრო ნათელი წარმოადგენა რომ გვქონდეს, მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი. 800 კილოგრამი ტვირთის გადატანა თვითმფრინავით (მი-2, რომელიც თელავის აეროდრომს ემსახურება, მეტს ვერ ერევა) 225 მანეთი ჯდება. ეს საბჭოთა მეურნეობებს დიდ ზარალს აძლევდა. ახლა კი სატვირთო მანქანას 3-4 ტონა ტვირთი გადააქვს, რაც 35-40 მანეთი ჯდება, თვითმფრინავით კი ათასი მანეთი უნდა დამჭდარიყო. ამ ორი წლის განმავლობაში, რაც სამაქანო გზა გაიხსნა, მარტო ტრანსპორტზე საბჭოთა მეურნეობებმა დიდძალი თანხა და მუშახელი დაზოგეს. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მეურნეობებს სხვა დამატებითი ხარჯებიც ჰქონდათ: ტვირთის ბაზაზე დატვირთვა, თელავის აეროდრომზე გადატანა და გადმოტვირთვა მერე ისევ თვითმფრინავში ჩატვირთვა და ბოლოს თუ ფრენისთვის ხელსაყრელი ამინდი არ იყო (ეს კი ხშირად ხდებოდა). ხანგრძლივი ლოდინი, ტრანსპორტისა და მუშახელის მოცდენა.

ამჟამად ნასუქი სახორცე ცხვარი შემოდგომა-

ზე მთიდან ბარში უნდა ჩამოირეკოს. ცხვარეობის დასრულების ან თბილისის სორცკომბინატში წახსენებენ, მთელ ამ მომპანცველ გზაზე თითო ცხვარი 5-8 კგ. სორცს კარგავს. ახლო მომავალში განზრახულია თუშეთში აშენდეს დიდი სასაფლაო-მაცივარი და სახორცე ცხვარი ადგილზევე დაიკლას, რაც სორცის უდიდეს დანახოვს მოგვეცემს — ზაფხულში მთაში ხომ ახმეტის, თელავის, ყვარლის და გურჯაანის ასეული ათასობით ცხვარი ძვებს.

გზის გაუყვანასთან დაკავშირებით განზრახულია თუშეთში შეიქმნას მეცხოველეობის მძლავრი საკვები ბაზა. რაციონალურად იქნება გამოყენებული თუშეთის მდიდარი ბუნებრივი რესურსები.

შეიქმნება საგანგებო ორგანიზაცია ფლორისა და ფაუნის დასაცავად. გაუყვანილ იქნება მაღალი ძაბვის ელექტროსაზო, აშენდება საბაგრო გზები, რაც გააიოლებს საქონლისთვის საკვების დამზადებას. თუშეთს დაამშვენებს გამოჩენილი კომპლექტები, დასასვენებელი და ტურისტული ბაზები. ომალოში აშენდება მიწ-რალოური წულები ჩამოსასხმელი ქარხანა. შეიქმნება საჩვენებელი მაღალმთიანი დასახლებები, რომელიც თანამედროვე დონეზე იქნება კეთილმოწყობილი. ტურის ხანიტარული ჭრის შედგად დაამზადებენ დიდძალ ხე-ტყეს.

აი, არასრული ნუსხა იმისა, თუ რა სიკეთეს მოგვეცემს თუშეთის გზა.

მკითხველიც ხედავს, რომ აქ კომენტარები ზედმეტია, რადგან ყველაფერი ხელისგუდივით ნათელია.

აი, შირაქიც, ჩვენი ცხვარ-მეცხვარის საზამთრო საშოფელი. გვახსენდება მეცხვარის ძველი სიმღერა:

შირაქში ერთმა მეცხვარემ,
სიზმარი ნახა ზიანი,
ბიძა და ბიძას უამბო,
ბიძა რომ ჰყავდა ჭკვიანი.
წუხელ სიზმარში ბიძაო,
ქარი იყო და ნიავი,
ქარს მოგულიჯა ფარეხი,
ზეცას გაჰქონდა გრიალი.

სიზმარი აუხდა მეცხვარეს, ქარმა მართლაც მოგლიჯა ფარეხი და ცხვარიც დაუხინდა. ისე, რომ არც ზამთრის საძოვარზე აქლდა ფათერაკი მეცხვარეს.

ჩვენი ცხვარი ძირითადად შირაქში იზამთრებს და, რაც მთავარია, იქ ტარდება დოლი. იქ უნდა გადაწუდეს ზარალიც და ხეირიც მეცხვარისა. თუ დოლი კარგად ჩაიარა, თუ მარტი არ გაჰირვეფულდა და არ დაგზარადა, მეტი რაღა ვინდა მეცხვარეს.



ის დრო ისტორიას ჩაბარდა, როცა ცხვარ-მეტეხვარეს სტიქია იოლადა ეტროდა. ამა ნახეთ როგორი შენობები უღვათ თვითოეულ ბრძანადს თუ გაწყოფილდნას ცხვრისთვისაც და მწვე-მისთვისაც. გაუვანოლია ელექტროსინათლე, ერთი სიტყვით, არც სითბო აკლია და არც მიმოს-ვლა უჭირს მეტეხვარეს, რა თქმა უნდა, გზებზე აქვთ, ტელევიზორიც უღვათ და ჟურნალ-გაზე-თებიც თავის დროზე მისდით, დაბმარე საკეე-ბი წინასწარ ვადააქვთ. მაგრამ, წარმოიდგინეთ რომ ამინდზე დღესაც ბევრი რამ არის დამოკი-დეხული. თუ დოლიან დროს ან დოლის შემდეგ, როცა ბატანი ჭერ კიდევ მოლონიერებული არ არის, წამართი გაჭირვებულა, მინც დაწარა-ღებს ცხვარ-მეტეხვარეს. დღევანდელი საშუაღ-ბის მიხედვით შირაქში ცხვარსა და მეტეხვარეს უკეთესი პირობები უნდა ჰქონდეს.

როცა შირაქში ჩავდით, გაგვახსენდა ვაბ-ტანგ თორღვაიძისა და მეტეხვარეების ნათქვამი იმის თაობაზე, რომ შირაქი გვაღვამ გადაწვა და საძოვარი აღარ იქნებოდა, რომ ფარესში 800 სულის ნაცვლად 1200 სული ნერბია შეყრი-ლი. რაც დედა ცხვრის გაბერწებასა და ნამატის შემცირებასაც იწვევს, რომ ერთ ჰექტარზე ოთ-ხის ნაცვლად, ცხრა სული ცხვარი ძოვს და სხვა ამგვარი.

აღვინებისა და ლალისყურის მეურნეობებს გაეთვალისწინებინათ, რომ გვაღვინი ზაფხულის შემდეგ შირაქში ბალახი არ იქნებოდა და წი-ნასწარ მიეზიდათ საკვები ფერმებში.

დეკემბრის მიწურული იყო და მინც თბი-ლიდა, ბალახი ახლად წამოიბინებულყო. დე-კემბერი კი არა, მარტო გეგონებოდათ, გაზაფ-ხულის პირი, პირველი ბალახი რომ წამოხას-ხასდება ხოლმე.

— მადლიანი, რომ იყო შირაქის მიწა, ვიცო-დით, — გვეუბნებოდა ლალისყურის მეტეხვარე-ლეობის სამეურნეოთაშორისო გაერთიანების ვეტექიში გურამ ჭერტიძე, — მაგრამ თუ ამ წამთარს შირაქში კიდევ მოვიდოდა ბალახი, არ გვეგონა.

მართლაც, არვის ეგონა ზაფხულის იმ ხანა-რძლივი გვაღვინის შემდეგ თუ დეკემბერში ბა-ლახი კიდევ წამოიზრდებოდა შირაქში, მაგრამ ამას იმასაც უნდა ვუმადლოდეთ, რომ ოქტომ-ბერში და ნოემბერში ცოტად თუ ბევრად წვი-მიანი ამინდები იყო. ისე რომ მეტეხვარეთა შიში და შეშფოთება არ გამართლდა, სახედნიეროდ. წამთრის თბილი დღეები საქმარისი აღმოჩნდა, რომ შირაქის მიწა ისევ აბიბინებულყო. მოვრ-არეთ ლალისყურის, ქვემო და ზემო აღვინის ზა-მთრის საძოვრები, კასრისწყალი, სამუხი, ეშ-მაქის ხეობა, გავედით ივრის პირებზე და უფელ-გან ის ვიგრძენით, რომ დღევანდელი მწვემსის

პირობების შედარება არც კი შეიძლება მველ მწვემსის პირობებთან, მაგრამ ზოგი რამე მოსაწესრიგებელია, რაც დაუდევრობის შემდეგ ვრილობს ბრალა და რასაც ზიანი მოაქვს მეტ-ხეველეობის დარღვის განვითარებაში.

ვიღრე ამ ნავალიტებს მოვყავანდეთ, მკით-ხვედნებს უნდა შევასხენოთ საჭიროებებს. კომუ-ნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინებელი მოწოდება, — გადააქციოთ საქარ-თველო მეტეხვარეობის მოწინავე რესპუბლი-კაში ეს დადგენილება მეტად დროული და სა-ჭირო იყო. თვითონ ცხოვრებამ გვიჩვენა მისი საქირება. რაკი ასეა, ზოგ-ზოგი რადაციბის მოუგვარებლობა, რაც მეტეხვარეობის განვითარებას შეუშლის ხელს, არავის გვეპატებია, მით უფრო მაშინ, როცა თვითონ მწვემსებში თავს არ ზოგავენ საქმისთვის, ზოგჯერ რისკზე-დაც კი მაღან, რადგან მათ თვინათი საქმეც უფართოდ მოვალეობის დიდ პასუხისმგებლო-ბასაც ვრძნობენ. გვახსენდება ვარლამ ბექურაი-ძის ნათქვამი: ზოგჯერ ვცვოდნია, რომ ბინაში დიქრება სადღაც მიმავალი და ჩვენ კი მინც არხენიან გვიჩნებიათ. როცა ამ ამაზე ვავყო-ცდით, მშვილდა მოგვიყო, მწვემსის ცხოვრებაში ეს ჩვეულებრივი ამბავია.

ახლა ფარეების შესახებ: ვტიქრობთ დღევან-დელ პირობებში მწელი არ უნდა იყოს ის ამბა-ვი (თუ არ გულგრილობა), რომ ფარებთა სიჭრ-როვის გამო ცხვარი არ დავაწარალოთ. ამ სა-კითხზე საგანგებოდ გვეცხაურეთ თელავიდან ჩამოსულ მომთაბარე ვეტექიშს. ჩვენი დროის შესანაშნავ ახალგაზრდა კაცს რუსლან ბაღდა-საროვს, ვინც ვეტეტრშალ არსენ მისრიაშვილ-თან ერთად მორიგ პროფილაქტიკურ მკურნა-ლობას უტარებდა ცხვარს.

— ფარებთა სიჭრეოც, — ვვითხრა მან, — მარტო ახალშობილ ბატანს კი არა, დედა ცხვა-რსაც აზიანებს, ხშირდება დაშლევება და სიკე-დლიანობა.

რაც შეეხება საძოვარი ფართობის სიჭრეო-ვეს, არც ეს არის მოგვარებული. ვფიქრობთ, აქ საძველო არაფერია. შირაქის მიწა ნოყიერია და თუკი როდესმე მოირწყვება, საძოვრის ნაკლე-ბონაზე ლაპარაკიც აღარ იქნება. დღეს ისეთ სა-უკუნეში ვცხოვრობთ, ისე გაიზარდა ადამიანის სულიერი თუ მატერიალური მოთხოვნილება, რომ ვეღარც ბუნებრივ პირობებს დავეყრდნობით და ვეღარც ბუნების წყალობას დაველოდებით.

კიდევ ერთი მტკივნეული საკითხია შირაქის საძოვრებზე — იქაური წყალი, მწვემსები რომ იუნებენ, პირდაპირი წყარა დიწინტერისა. და კიდევ — უყვლგან თუ არა, ზოგან შირაქის საძოვარზე მწვემსები მოუხერხებულ და დამის-გასათევად უფარვის ბინებში ცხოვრობენ. იმე-დია, ეს საქმეც მოგვარდება ბოლოს და ბოლოს



იბუვის: სოფელი დიღია

გუშინ კახეთის ველებს ჩახჩახა მზე დანათობდა, ახლა კი ავტობუსი ძლივს იკვლევს ნისლში გზას. ათ მეტრზე არაფერი ჩანს და ისეთი განწყობა მეუფლება, თითქოს ღრუბლებში მივფრინავდეთ. თუმცა ოდრონოდრო გზის წყალობით ისე შეირყევა ხოლმე ავტობუსი, მირაფი უცებ ქრება.

— ალბათ უკვე მოგველის ვარდო ძია, — წუხს ეთერ ალხანიშვილი, სოფელ ზემო მაჩხანის კომკავშირის კომიტეტის მდივანი და ჭანლიან გზას გაჰყურებს.

— ასე იცის მარტმა, უცებ შეიცვლის გუნებას, ხან მოიღუშება, ხან მზეკაბას ჩაიციმევს, ალბათ დღესაც გამოიდარებს, — გვამშვიდებს რგოლის წევრი ნანა ნასრაშვილი.

— ლაურა, იმდერე რამე, — სთხოვენ გოგონები მეგობარს და მასაც ბევრი ხვეწნა როლი სჭირდება.

ვუცქერი მათ და ვფიქრობ: ოცდაორნი არიან, კომკავშირული რგოლის წევრები, ქუჩაში რომ შეხვდე ამ გოგონებს, ვერც კი მიხვდები, რა საგმირო საქმეების მოთავენი არიან. ერთი შეხედვით, სხვებისაგან არც გამოიჩნევიან, ჩვეულებრივი ჩაცმულობა, ქცევა, დიმილი, მათი ბიოგრაფიებიც საოცრად მგავს ერთმანეთს, სკოლის დამთავრებისთანავე მშობლიურ კოლმეურნეობაში დარჩნენ სამუშაოდ. მხოლოდ რამდენიმე მათგანმა მიაშურა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, მაგრამ დაუსწრებელი ფაკულტეტი აირჩია, კვლავ სოფელს რომ დაბრუნებოდა.

ამ ათიოდე წლის წინ ზემო მაჩხანში მესამინდე გოგონათა ბრიგადა ყოფილა შექმნილი.

მათ შრომით წარმატებებზე ახლაც ჰყვებიან სოფელში, ჰყვებიან მათი თავდადებული მუშაობით მოპოვებულ გარდამავალ დროშასა და უამრავ სიგელებზე. მერე ბრავადა დაიშალა და აი, 1977 წელს ახალგაზრდებმა კვლავ ადადენეს ტრადიცია, მაჩხანში გოგონათა კომკავშირული რგოლი შეიქმნა.

ასი თვალი და ასი ყური აქვს სოფელს, ავის გაიცხვაც შეუძლია და კარგს შექებაც.

თითქოს ახლაც ჩამესმის თანასოფელელთა სიამაყით ნათქვამი სიტყვები: — სად არ ნახავთ ამ მოფუხფუხე გოგონებს, სადაც კოლმეურნეობას უქირს, ზღაპრული ფერიტბივით იქ გაჩნდებიან წაშში. რთველში რომელიმე ბრიგადის მუშა ხელი აკლია და გოგონებიც იქ არიან, გაზაფხულზე დიდი სამამულო ომის ობელისკის ეზოს მოვლა-პატრონობა, გასუფთავება და ახალი ნერგების ჩაყრა სჭირდება და რგოლის წევრებიც ობელისკს მიაშურებენ.

მიბრძღული სიმინდის თესლის გადარჩევა საქირო და გოგონებზე კარგად ამ საქმეს ვინ გააკეთებს!

შრომაც იციან და სანაქებო დასვენებაც, რვა მარტს კაფე-საღამო მოაწყვეს, სტუმრად თანასოფელელი ვეტერანი კომკავშირელი ქალები მიიწვიეს. მ მათს შეხვედრას უწყობენ დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, მერე გვირ ქადაკ ვოლფოკრადს ეწვევიან.

— უკვე მოვედით, — მაწყვეტინებს ფიქრს ნინო ტოკლიკიშვილი და ვენახის თვალუწვდენელი ზვრებისკენ მახედებს. აქ მუშაობს მეთორმეტე ბრიგადა, ეს ორი კვირაა, ჩვენც მათ ვებმარები.

მეთორმეტე ბრიგადა სიხარულით შეხვდა გო-

გონებს. ქალიშვილებმა სამუშაო თანაბრად განაწილეს, ვაზის რიგებში წვეთ-წვეთად ჩადგინეს. ვუცქერი მათ, რა მონდომებით, რა სიფაჭით შრომობენ. მათ მიერ გასუფთავებულ მწკრივებს შორის ვერც ერთ ნახსენებს ვერ იპოვით. აი, ამ პატარა გოგონასაც წაღმის რამზელა კონა შეუკრავს; ეს ღია გოგლაშვილია, მცხბრეკლასელი. ყოველ არდადეგებზე რგოლის წვერებთან ერთად დადის სამუშაოდ, დაამთავრებს თუ არა სკოლას, ისიც კომპაჟშირული რგოლის წვერი გახდება.

— მართო დაუწარბელი შრომისთვის როდი გვიყვარს ეს ახალგაზრდები, სიცოცხლეს, ხალხის გვმატებენ უფროსებს, — მეუბნება კოლმეურნეობის ბრიგადის წევრი, რაიონული საბჭოს დეპუტატი მავალა ჭალიაშვილი და ქილღის ამწადებს ვაზის შესაყელად.

საუბარში ბრიგადირი ვარდო ნატროშვილიც ჩაგვება: — გასულ ზაფხულს დიდი სტიქიურა უბედურება დაატყდა თავს ჩვენს ვენახებს. ნიაღვრმა აქ, თელაწულის ტერიტორიაზე შნ ჰექტარი ევენხი წაღეკა. გული მოვიკვდებოდათ იმ დღეებში რომ გენახათ ეს მიდამო. ვაზები აღარც კი აჩნდა მიწას, ისე ვართმწულიყო ტალახსა თუ წყალში.

გოგონებმა აქაც ისახელეს თავი, გვეხმარებოდნენ ორმოების გათხრაში, ღუზის ქვების ჩაყრაში, წაქცეული ვაზი წამოაყენეს, ქიგო შეუყენეს. მავთულები გაამაგრეს, ხედავთ. ნიაღვრის ნამუსრები აღარც კი ეჩნევა ვენახს.

შუადღემაც მოაღწია!
საუზმის დროა.

გოგონები სიცილ-კისკისთ ალაგებენ მაგიდაზე სახლიდან წამოდებულ საჭაღს: მოხარულ დედალსა თუ კარტოფილს, შოთის პურსა თუ გუდის ყველს.

წაისაუზმეს...

მერე რამდენიმე წუთს კიდევ შეისვენეს... ყვებიან გოგონები სიყვარულის დამაზ ამბებს, ყურმოკრულს თუ თვლით ნანახს, ოცნებობენ... ვუყურებ მათ და მახსენდება დღიურები, რომლისთვისაც „მე და ჩემი სოფელი“ დაურქმევიათ.

აი, რას წერს რგოლის ხელმძღვანელი მიაა პაპაშვილი:

„სკოლაში თუ მასწავლებელი ძალიან, ძალიან

გიყვარს, მის საგანს უფრო მეტი მონდომება სწავლობ. სიყვარულით იწყება ყველა დიდი საქმე, სიყვარულითა და ნდობით. ყველა საქმეში ტად მეც ამას ვცდილობ, ერთმანეთი გვიყვარდეს რგოლის წვერებს, გვეჭოროდეს ჩვენი საქმის, გვწამდეს ჩვენი გამარჯვების“.

„რას ვისურვებდით? ჩვენს სოფელში გაეკეთებინათ სპორტული დარბაზი კოლმეურნეობის წვერებისათვის. მართალია, სოფელში გვაქვს სპორტული მოედანი, მაგრამ მართო ცარიელი მოედანი რის მაქნისია, როცა არც საჭირო ინვენტარი გვაქვს, არც გასახდელი ოთახი“, — ჩაუწერიათ დღიურში მარინე ბენაშვილსა და ღია ლეკაშვილს.

„კარგი იქნებოდა, სოფელში ასფალტირებულა გზა გაეყვანათ“. — წერს ნატროშვილი ქეთინო.

აი, მზია გოგაშვილისა და ნინო ბატიაშვილის სურვილებიც: „ახალი ფილმები მართლაც რომ ახლად ვნახოთ, კარგი იქნება, თუმცა კულტსახლში ზამთრობით ისე ცივა, ქირს საათ-ნახევარი იქ გაჩერება“.

მოწოდებდა გაისმია მზია ნატროშვილის სიტყვები:

„ახალგაზრდობამ ერთმანეთს უნდა მივცეთ მხარი, ვიზრუნოთ სოფლის გამწვანებაზე, სისუფთავის დაცვაზე, შეფობა ვიკისროთ მეცხვარეობის ფერმებზე, მოვაწყუთ ბრიგადებში ახალი წიგნების გარჩევა“.


სურვილები მრავალგვარია, თუმცა ყველას ღიქრი ერთ საგანს დასტრიალებს — უფრო კარგი, უფრო მხარგაშლილი იყოს მათი მშობლიური სოფელი.

ვუცქერი მათ და ვფიქრობ...


ამ ქალიშვილთა მაყრიონიც მალე ჩაივლის მარჯანის ქუჩებში, ოცდამორ თონეში დააკრავენ გრძელ შოთის პურებს, ოცდამორი გოგონა ბედნიერების ფეხს შეიტანს ახალ ოჯახში, ოცდამორი დედა მიწის მადლს, შრომის სიყვარულს დაანათლებს შვილებს...

მერე შვილებიც კახეთის ბარაქიან მიწაში გაილაშქრნენ ფესვებს.

ჰოდა, სოფელს აღარ დაადებენ ბოქლომს, აღარ მოერევა გამველეს მიტოვებული სახლების სევდა, მერე ჩამოვიღის ბრძენკაცი და იტყვის, უსათუოდ იტყვის: — სოფელი დღია!



წერილები



რედაქცია თბილისში

„ედგარი მესამე“

ედგარ პო ერთ-ერთია იმ ძვირფას სახელთაგან, რომელთაც სიუმაწვილის დღეებიდან მოყოლებული აღსასრულის უამაშდე ვერ შეეღია ვალაქტიონ ტაბიძე. ცოტათი უცნაურიც კია, რომ ამ საკითხზე, თუ შეხსიერება არ მღალატობს, დღემდე უურადღებია საგულდაგულოდ არ გამახვილებულია. იმიტომ არის უცნაური, რომ ვალაქტიონის პოეზიისთვის თვალის ერთი ვადავლებაც საკმარისია იმ ამბავში დასარწმუნებლად, რაოდენ გამორჩეული დამოკიდებულება შექონდა მას ედგარ პოსადმი. ორი ლექსი სათაურითვე მიიპყრობს უურადღებას: „საუბარი ედგარზე“, „ედგარი მესამე“. კიდევ რომელ უცხოელ მწერალს ხვდა წილად პატივი — ორჯერ მოხვედრილიყო ვალაქტიონ ტაბიძის ლექსის სათაურში?!

მაგრამ სჯობს სათვიდან გამოვყვეთ მოვლენებს.


აქ ჩვენ მოგვიხდება გავიხსენოთ, რომ ადრეული სიკვამლის წლებშიც და შემდგომაც, 1914 წლამდე, ვალაქტიონ ტაბიძე ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, აგრეთვე უცხოელი მწერლების, განსაკუთრებით — რომანტიკოსებისა და რომანტიულად განწყობილი პოეტების მშლავრ ზეგავლენას განიცდიდა. ლიტერატურული შევიადობის ამ წლებში იგი ედგარ პოს შემოქმედებასაც გატაცებით ეწაფებოდა. ამ საკითხს ჩაღრმავებული გამოძიება, საფიქრებელია, უზუ მასალას მიაკვლევინებს დაინტერესებულ სუციალისტს. მაგრამ უამისოდაც მრავალი რამის შემჩნევა ხერხდება, ასე ვთქვათ, ზედპირზევე მდებარე ფაქტების მეოხებით.

ჭერ ის აღვნიშნოთ, რომ ვაბუჯი ვალაქტიონი ედგარ პოს ნაწერებს, ცხადია, რუსული ვამოცემებით ეცნობოდა (ინგლისური მან არ იცოდა, ხოლო ქართულად პო საიმდროოდ კი არა, დღესდღეობითაც თითქმის უთარგმნელია). ედგარ პოს თხზულებათა პირველი თარგმანები რუსულად მეცხრამეტე საუკუნის 40-იანი წლებიდანვე ვაზნდა, საუკუნის მიწურულს და მეოცის დამდეგს ხომ არაერთი კრებული ვამოცია — პოეზიაც, პროზაც, წერილებიც, ასე რომ ვულახშიერ მკითხველს მისი ნაწერების მოძიება არ უნდა ვასპირვებოდა.


ედგარ პოს შემოქმედების ახლო ნაცნობობის შედეგი უნდა იყოს ლიტერატურული შევიადობის წლებშივე საკმაოდ ვამოკვეთილად დამუშავება ისეთი რთული თემისა, როგორცაა ყოფნის სიზმარეულობის ვანცდა („და მე ვტყუებოდი ჩემი სიზმრებით“, „მე სიყვარული მე სიზმრებოდა და მე ვიყავი, როგორც სიზმარი“, „ის ჩამომშორდა, როგორც სიზმარი...“). ამ თვალსაზრისით უურადღებას ვანსაკუთრებით იპყრობს ერთი იშვიათი სიღრმის საზე, საიმდროოდ საკმაოდ მოულოდნელი: „მე ვდგავარ, როგორც ტუვე უცხოეთში, როგორც სიზმარში უცხო სიზმარი“ (ლექსი „მთვარე მთას ამოვარა“).

ვინც ედგარ პოს შემოქმედებას ვაცნობია, კარვად მოეხსენება, რა მნიშვნელობა აქვს ყოფნის სიზმარეულობის ვანცდას მისი მსოფლმხედველობისთვის და რა ხშირად მიმართავს ამ თემას (ლირიკასა და პროზას რომც დავუხსნათ, საკმარისი იქნება ერთი აფორიზმის მოვლენა:

თემო ჯაფარიძე




ბამილეხული უჯრა



ნატურმორტი ვიოლინით



პალი ჯარდასანი



მანსტრო




ქალი კაღლით





ქველავური კოვზი





ლალი ჯაფარიძე


ქალი თეთრი შარვლით



ნატურმორტი შავი კვანთ









„უცხაწმინა ოცნება როდია ის ამბავი, რომ მომავალი არსებობისას სიწმარად დავსახავთ იმას, რაიც ჩვენს აწინდელ უოცნად მიგვაჩინა“). მაგრამ ამჭერად უფრო საკულისხმო ის არის, რომ ედგარ პოს ერთ ლექსს სწორად „სიწმარის სიწმარში“ ჰქვია და შიგ რეთხება: „უოველივე — სიწმარცა და ცხადიც არის ოდენ სიწმარის სიწმარში“. თანხვედრა იმდენად აშკარაა, განმარტებას არ საჭიროებს.

„ნაბელ ლის“ დასაწყისი სტრიქონებით უნდა იყოს შეთავსებული გალაკტიონის „ვერხვებში“ გამკრთალი მოტივი — „ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ“, პოს „ზარის“ მეოთხე თავის რემინისცენიებით უნდა იყოს შექმნილი გალაკტიონის „ორი ზარი“, ხოლო „შვიდ ყორანის“ დაწერისას, ნიკოლაშ ბარათაშვილის გარდა, ედგარ პოს „ყორანიც“ იქნებოდა მისთა ფიქრთა მპარობელი. იგივე იოქმის გალაკტიონის სხვა ლექსი — „ყორანიც“ („უოველთვის მგონია გადიფერეს ყორანი...“) გამოც.

საკუთდაყოლოდ შესასწავლია ვერხვიკაციის საკითხები. წინასწარი დაკვირვება მაფიქრებინებს, რომ გალაკტიონის არაერთი ლექსის რითმათა წყობას პარალელები აღმოჩნდებოდა პოს ლექსებში.

უოველივე შემოთქმული (ვერხვიკაციის საკითხთა გარდა) გალაკტიონის ლიტერატურული შეგირდობის წლებს ეხება. უფრო საკულისხმოა პოეტური სიმწიფის ხანის (1915 წლადან) გალაკტიონის დამოკიდებულება ედგარ პოსადმი. აქ უკვე მოძღვართან და შეგირდთან აღარ გვაქვს საქმე, აქ მალაღობა შინა შუოფი. „ზარების ზარის“ მსმენელი ორი დიდი ხულის, ორი დღეთაბრვი პოეტის მიმართების გამო შეგვიძლია ვისაუბროთ. ოღონდ ამჭერად ნურაფერს ვიტყვით მათი დამოკიდებულების ზოგადი ხაზების. ხიღრმისეული მდინარების თაობაზე, წედანდელი ნათქვამის არ იყოს, ზედაპირზე მდებარე ფაქტებს დაჭერდეთ (გალაკტიონის პოეტური ქემშირიტად ხიღრმისეული შესწავლა მომავლის, მომავალ თაობათა ზვედრია და ერთ საფურნალო წერილში ამ პრობლემას ვერ უნდა შევადართო ხელყოფა).

პოეტური სრულყოფის ხანაში წარსულის დიად სუფილი — თავის დიად წინაბრებს გალაკტიონისე ეხმანება, როგორც სწორი — სწორთ (ზედ-ქვია იმის განმარტება, რომ აქ ფამილარობის ნახსიცი არსადაა): არ ერიდება მათი საფერადი თემების, მოტივების ზელახლა დამუშავებას, ეჭიბრება მათეულ ხახტა უმჯობინად გამოძერწვაში, არაიშვიათად პოეტური ზედვის ობიექტად აქვევს ზოლმე რომელსამე მათგანს (მეგელი, ზეთოკენი, შელი, ვოტო, ზოდლერი, ვერლენი, მიქელანჯელო და სხვანი).

შეიცვალა მისი დამოკიდებულება აგრეთვე ედგარ პოსადმი. უშუალო შეგავლენის დამდასტურებელ ლექსთა ადგილს იკავებს ლექ-

სები, რომლებშიც დრმად არის წედომილი და გააზრებული ედგარ პოს შინაგანი სამყაროს სი მსოფლმხედველობა, მისი ამა თუ იმ ნაწარმოების რაობა. თითქმის მის შესაიდუმლედ, მას ქართულ ძმადღიცად ქვედლიყოს.

მაგრამ ამ ლექსთა მოხსენებამდე უურადღეზა ზოგაერთ სხვა ფაქტს მივასურთ. გალაკტიონ ტაბიძეს აქვს სუთი ლექსი, ქართული პოეზიისათვის უჩვეულო მეტრულ-რიტული სტრუქტურით შექმნილი: „დაიღუპა ის ხომალდი“ (1917 წლის „რჩეული“, გვ. 239). „ზღვის ფსკერიდან“ (იქვე, გვ. 240). „იერი“ (გვ. 241). „არ გუგონა, არ ელოდი“ (გვ. 219) და „ფერად-ფერადი“ (გვ. 239). ამ ლექსთა მეტრულ-რიტული სტრუქტურა აღმოსავლური წარმოსზობის უნდა იყოს (ამას სპეციალისტები გაარკვევენ): „დაიღუპა ის ხომალდი დიდი ხანია“, „ზღვის ფსკერიდან ზევით-ქვევით უნდა იარო“, „იყო დილა მშვენიერი, დილა ფერადი“, „არ გუგონა, არ ელოდი, და, აი, მოხდა“, „მე ხომ სხვა ვარ, დღე ეცნარე მახვილს ვფერადი“ (ცამეტმარცვლიანი საზომი, 4+4+5).

მეითხველთაგან აღზბათ მრავლს ხმენია ერთ დროს თბილისში დიდად პოპულარული, აღმოსავლურ მანზეე აწყობილი სიმღერა — „წინათ ჩემი ვარდი იყავ, ეხლა დარდი ხარ“. რადიოში უური პოპიორავს რომელიდაც აზრბანიჯანული სიმღერისთვის, რომლის მოტივიც და მეტრული წყობაც ახსოვლტურად მეორდება ერთ დროს აგრეთვე პოპულარულ თბილისურ სიმღერაში — „ჩემს სიმღერას ვინ ვაიგებს, ვისთვის ვტირი მე“. ეს უკანასკნელი ფრაზა ნებაუნებურად გავგახსენებს ნოე ჩხიკვაძეს: „ვინ მეითხულობს, ვინ დამეძებს, ვის ვუყვარვარ მე?“

ოღონდ საკულისხმოა შემდეგი: თუ ხსენებული თბილისური სიმღერები მკვეთრად გამოხატულ აღმოსავლურ ელფერს არც თბადენ არა მარტო მანგის, არამედ საკუთრივ ლექსის მეტრულ-რიტმული წყობის მიხედვით (ცამეტმარცვლიანი საზომი, 4+4+5). თუ ნოე ჭიკვაძის ერთადერთი ფართოდ ცნობილი ლექსიც, ქართული ვერხვიკაციისთვის არც მთლად ორგანული იმავე სტრუქტურის გამო, ძნელი წასაკითხია (ოუნდაც მახვილთა არაბუნებრივი განლაგების შედეგად: „გამე“, „აღამე“, „რაპე“ და სხვა...), გალაკტიონ ტაბიძე ხსენებულ ბუთ ლექსში მისთვის ჩვეულ ხასწაულს ახდენს: არავითარი აღმოსავლური ელფერი თუ კილო, არავითარი ზელოვნური რიტმული სტრუქტურა ამ ცამეტმარცვლიან ლექსებში არ იქმნება და გაგანგებო დაკვირვების გარევე მათ ვერც ვი გამოარჩევთ გლაკტიონისთვის ჩვეული რიტმული წყობით შესრულებულ სხვა ლექსთაგან. ოღონდ ვისაც კარგი ხენა აქვს, რადაც გადხრა

რედაქცია მხარბამ
„იმდბარი მისამიდი“



იმთავითვე მოხვედრა მის ყურს, ოდნავ ეუც-
ნაურება კილო:

დაიღუპა ის ხომალდი
დიდი ხანია,
ო, რამდენი მწუხარება
აქიტიანია.
იგი აწ ჰქრის ზვირთთა შორის,
როგორც ჩვეულება,
და ლელვაში არ აქვს ძილი
და მოსვენება.
ხან აქ, ხან იქ მიაქანებს
ლეღვა შორითი
და აფრებში მწყარად იბრძვის
ქარი ბორბოტი.

და მაინც, დამეთანხმებით ალბათ, რომ ამ
ლექსის ფორმაში (ისევე როგორც მსგავსი მეტო-
ფორიტიკული სტრუქტურით შექმნილი ოთხი
სხვა ხსენებული ლექსის ფორმაში) „აღმოსავ-
ლური“ აღარაფერია არც ფორმასა და არც ში-
ნარსში (ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით).
ოღონდ ბოლომდე გასიფრული კი არის ჩვეუ-
თვის მახი შინაარსი? რას მოგვითხრობს ეს
ლექსი, სად დაიღუპა ან რა ხომალდი იყო „ია
ხომალდი“?

ხომ არ არის აქ საუბარი იმ ნახევრად მისტო-
ურ ხომალდზე, რომელსაც ადწერს ედგარ პოს
მოსთრობა „ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი“?
ვინც ამ მოთხრობას გაიხსენებს ან ხელახლა ვა-
დაიკითხავს, შეუძლებელია უფრადდება არ მი-
აქციოს ამ ორი ნაწარმოების ისეთ თანხვედ-
რებს, როგორცაა მაინცდამაინც აფრიანი ხო-
მალდის დიდი ხნის წინათ დაღუპვის ამბავი, აწ
ზვირთთა შორის მისი ქროღვა სწორედ ჩვე-
ნებასავით. აქეთ-იქათ წყვეტება დედვასა და
ბორბოტი ქარში.

ეს ლექსი 20-იან წლებში დაწერილი ჩანს. ამა-
ვე წლებისაა „კოსმოური ორკესტრი“, სადაც უკ-
ვე უშუალოდ ვხვდებით ედგარ პოს. აქ ერთობ
საფულისხმოა კონტექსტი, რომელშიაც პო მოიხ-
სენიება. რუსთაველის, დანტეს, შელის, ბაირო-
ნის შემდეგ: „იგი ვერლენია, იგი ბოდლერია,
რემბოს ლექსებია, ანდა გოტიესი“. და ამის მო-
მდევნოდ:

იყო პაფიზიცა და იქ,
შირაზიდან,
რათა აღმოსავლეთს არე
დაუფაროს.
მაგრამ შავ ყორანის სუნთქვა
ვინ აზიდა?
ეს ხომ იგი არის — ედგარს
გაუმარჯოს!

ინტონაციას ყურს თუ ვათხოვებთ, ამ კონ-
ტექსტში, იმ დიად სულთა საკრებულოში, რო-

მელთა ხშიერებაც კოსმოური ორკესტრის შემე-
დგენელი ნაწილია, ედგარ პო მეტი სრულყოფილ-
თაც კი არის მოხსენიებული, ვიდრე ვთქვათ,
ვერლენი, ბოდლერი, რემბო და გოტიე.

ალბათ ასეც უნდა ეყოფილიყო. რამეთუ
ფრანგ სიმბოლისტებთან, ბოდლერთან და გო-
ტიესთან გალაკტიონმა უკვე პოეტური სიმჭ-
ფის ასაკში დაამყარა ურთიერთობა, ვითარცა
სწორი სწორთ, ისე შეხვდა მათ ხოლო ედგარ
პო (ისევე როგორც რომანტიკოსები) მისი შე-
გირდობისდროინდელი ეტაპი გახლდათ. სულიე-
რი მოძღვარი, რომლის ვრუანტელისმომჭვრელი
„უგავლენის დაფარვა არც კი უცდია. სიმპო-
ლისტებს ეტოქებოდა, ეჭიზებოდა. ისევე რო-
გორც იმპრესიონისტებს („ქარხალი“), ხოლო
ედგარ პო მისთვის ადრეული სიჭაბუკისდროინ-
დელი სიყვარულის საგანი იყო და არა გასაჭი-
რებელი პოეტი.

ამას შემდეგ გარემოებაც უნდა ადასტურებ-
დეს. 1927 წლის აქეთ დიდი დრო გაივლის ისე,
რომ აქ ჩამოთვლილ უცხოელ პოეტთაგან მას
აღარავინ აგონდება (30-იანი წლების დამდეგს
ერთხელ ახსენებს ნეგატიური ასპექტით: „უეო-
დალიზმის ხანა მიუხედავად ვერლენის დღეს მო-
იგონებს ხანა, როგორც გარდასულ მწერლებს“,
„ქარი მწვერვალებს ხრიდა და აფარებდა ფოთ-
ლებს უეცრად გასულთ წრიდან მიუხედავად
ბოდლერს“). შემდეგ მისი სულიერი ცხოვრებაც
და პოეზიაც იმგვარ სადინარებს მიუყვება, რომ-
მელთა ხანაწებშიც სიმბოლისტებისა თუ ედგარ
პოს ღაწი ისედაც ვერ გაიჭაჩანებდა. და უკ-
ვე ხანდაშულობის ფაზს, 50-იან წლებში, როცა
ხელახლა იწყებს სიუჟაწილისა თუ სიჭაბუკის
გახსენებას, მის ერთ ლექსში უქანასკნელად
გაერთება ძვირფასი სახელები:

ეს ადგილები ეხლაც ნაზია,
როგორც ჰანგები ძველი არიის,
ეხლაც ქართული დვას გიმნაზია
და ვაკეები სემინარიის.
სადაც ოდესმე ჯერ ისევე ზეგშევი
ვგარძნობდი, რა არის ველთა ხალისი,
და ჩემთან ერთად ოქროსფერი ნავში
იყვნენ ედგარი და ნოვოლისი.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა 1927 წელს გა-
მოცემულ კრებულში, დღემდე გამოსულ „რჩე-
ულთაგან“ საუკეთესო წიგნში, რომელმაც თაო-
ბებს შეგვაყვარა გალაკტიონის პოეზია, ერთ-
ერთ განყოფილებაში მოქცეულია ედგარ პოსთან
დაკავშირებული სამი ლექსი: „საუბარი ედგარ-
ზე“ (გვ. 335), „ქარებს ქარობა“ (339) და „ედ-
გარი შესამედ“ (340). კრებულში ედგარ პოს
სხვაგანაც ვხვდებით ქვემოთ, მაგრამ ამჯერად
უფრადდება მივაქციოთ პოსთან დაკავშირებულ
ლექსთა ერთ განყოფილებაში თავმოყრას და
ასე გვერდვივერდ ჩამწკრივებულ თანმიმდევრუ-



ლად. მით უმეტეს, რომ აქვე, 339-ე გვერდზე, „ქარებს ქარობას“ მოსდევს „უორასი“ („უოველეთის მგონია: გადიფრესს უორასი“).

მასხადამ ამ წიგნში ედგარ პოს პირველად ახსენებს ლექსი „საუბარი ედგარზე“, უცნაური ლექსი, რომელიც ასე იწყება: „ლანდებს სახს-ლეში მხოლოდ მაშინ ელი, როცა საუბარი ედგარ პოეზე“. ამ უანასხველ სიტყვას ერთმეზბა „პოეზია“, რის წყალობითაც, თუკი სმენის სატამაილი მინც გავაჩნია, შეუძლებელი რამ არის ამ სტროფის და, საერთოდ, ამ ლექსის და-წერება. ედგარ სიტყვა გვიდასტურებს უკვე გამოთქმულ ვარაუდს, რომ ედგარ პოს ქმნილებებს გალაკტიონი რუსული თარგმანებით უნდა განსწავლავდა, რადგან როგორც XIX საუკუნის ისე ცხრაასიანი და ცხრაას ათიანი წლების რუსულ გამოცემებში შეტწილად „ედგარ პოე“ ეწერა და არა „ედგარ პო“.

კაცმა რომ თქვას, ამ ლექსს საფულდაფულო ანალიზი სჭირდება. ამგვარი ანალიზი ალბათ ცხადყოფდა, როგორ ესმოდა გალაკტიონს ედგარ პოს ურთულესა და უღრმესი სულიერი საპყარი და მისი შემოქმედება. საამისო მასალას ეს ლექსიც უხვად იძლევა და მომდევნო — „ქარებს ქარობა“: „დაეტყო კიდეც ქარებს ქარობა, როცა შტრობაა და ედგარობა“. ხედავთ, რახდება? „ედგარობა“! რაოდენ სიახლოვეს უნდა გრძობოდეს კაცი, ედგარ პოს სახელის ანაბარი ფორმით მოწოდება რომ გახედოს. ერთხდა დავსძენ: საგანგებო ანალიზის, გაჩნჩეის გარეშე ეს პატარა, სულ ათსტრიქონიანი ლექსიც არ იქნება იოლი შესაცნობი.

მომდევნო გვერდზე დაბეჭდილია გალაკტიონის ერთ-ერთი შედევრი — „ედგარი მესამედ“

ჩვენ მივდივით ტაძრისკენ ორი,
იყო საღამო, ღოცებზე, ზარი,
და ჩვენს საოცარ გაზაზე, ლენორა,
რტოებს ტირილით ამტრეუვდა ქარი.
ენატრებოდათ ფრთებს სითამამე
უზრუნუელობის, შენი სიშორის.
მაგრამ უეცრად ვილაღ მესამე,
— ლაღ მახინჯი ჩადგა ჩვენს შორის
და ჩვენ სვესმოდა უკო საუბარი:
საცაა მოვა სიკვდილის წაში!
ტიროდა ქარი, კვდებოდა ქარი
და მივდივით ტაძრისკენ სამი.

ვერ წარმომიდგენია გალაკტიონის პოეზიის თაყვანისმცემელი, ეს ლექსი გამორჩეულად რომ არ უყვარდეს. შეტხაც ვიტყვი — ზეპირად რომ არ ახსოვდეს (ყოველ შემთხვევაში — ცალკეული სტრიქონები მაინც). მით უფრო ძნელია სახსენიდა, რომ თითქოს კაციშვილი არ დაფიქრებია იმ ამბავს, თუ რატომ ჰქვია ლექსს „ედგარი მესამედ“. ვიდრე გალაკტიონის ლექსთა რუსული ბჭყარედების შექმნას არ შეუდგენენ, ვიდრე ერთმა მთარგმნელმა ჯგლი არ მძ-

ყო ამ ლექსის რუსულად გახმინებას, სიტყვით, ვიდრე ბჭყარედშიც და თარგმანშიც არ გაჩნდა სათაური «Эдгар третьим».

აქ მოკლებებს ცოტათი გავუსწრებ და მოვახსენებთ, რომ ამგვარი სათაური იმთავითვე ერთობ მეუცხოვა და ბჭყარედის შემსრულებელსაც და მთარგმნელსაც მაშინვე ვუჩინე: «Эдгар третьим» კი არა, არამედ «Эдгар в третий раз». იმასაც დავსძენ, რომ ჩემი ახსნა-განმარტების შემდეგ ეს რჩევა ორივემ გაიზიარა.

იმათ კი გაიზიარეს ჩემი რჩევა, მაგრამ მცირე ხანი რომ გამოიხდა, მე თვითონვე შემეპარა ეტევა და უყოფიანი დაეიწყე — ხომ არ ვცდებილი და სხვებიც ხომ არ შევაჯიღენენ-მეთქი. და რადგანაც აქვე ამ ექვს ეწერა გაქარწყლება და ვერც გამოსავალი მოიხება მაინცდამაინც სასწუვეშო, გადავეწყვიტე ეს საკითხი ფართო აუდიტორიის მსჭგელობის საგნად შექცია. ვინმლო ჩემზე გონებამახვდენი ჩასწვდენენ ამ საკითხის საიდუმ-ლეს.

დიახ, ლექსის სათაურს დიდი ხნის მანძილზე არავითარი ეტევი არ აღუტრავს. დაახლოებით ოცდაათ წელიწადს მაინც გულდაჭერებული ვი-ყავი, უყოფლგვარი დადიქრების, ანალიზის გარე-შე მიმანხდა, რომ „ედგარი მესამედ“ ნიშნავს ედგარის მესამედ ხსენებას გალაკტიონის მიერ. ედგარის მესამედ მოვლინებას მის პოეზიაში. ამნაირ გავე-ბას, ჩანს, ზოძგი იმან მისცა, რომ, როგორც თო-ქვა უკვე, 1927 წლის კრებულში „ედგარი მესამედ“ იქვე მოხდეს ლექსებს „საუბარი ედგარზე“ და „ქარებს ქარობა“. სხვათა შორის, გა-ლაკტიონის „რჩელი“ რომ შევადგინე (1927 წელს გამოიცა), ეს სამი ლექსი ისე დავალაგე, რომ „საუბარი ედგარზე“ და „ქარებს ქარობა“, 94-ე გვერდზე მოექცა, ხოლო „ედგარი მესამედ“ — მომდევნო, 95-ე გვერდზე. ამით გალაკტიონის ნიხელი ტრადიციაც დაცულ იქნა და კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა შეხედულებას, რომლის თანახმადაც ეს სათაური ედგარ პოს მესამედ მოხსენიებას, გალაკტიონის პოეზიაში მის მესამედ მოვლინებას მაინცნიებს.

ძნელი სასქმელია, რა იყო მიზევი, რატომ ის აზრი არ გაშიჩნდა აბასოდეს, რომ „ედგარი მესამედ“ შესაძლოა ნიშნავდეს ედგარს „მესამედ არხებად“, „მესამედ პირად“ (მსგავხად რუსული ბჭყარედის და თარგმანის შემსრულებელთა თავდაპირველი გავებისა — „третий“) ასეა თუ ისე, ეხლა ჩვენ გვმართებს შევეცადოთ ორივე თვალსაზრისის შემოწმებას ტექსტის ფხვდაფხვს მიყოლით და დამხმარე ფაქტების მოშველიებით.

თავდაპირველად გავიხილოთ ის ვაგება, ის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც „ედგარი

რამპო თხარტამ
„იმდარნი მესამედ“

მესამედ“ ნიშნავს ედგარის მესამედ მოხსენიებას.

ამ შეხედულებას თუ მივსდებით, მაშინ ლექსი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: გალაკტიონი, რომელიც საამერიკოდ ინტენსიურად ამუშავებს ედგარ პოს მსოფთაშეხვედვლობასთან, პოს შემოქმედებასთან დაკავშირებულ თემებს, იდეებს, მოტივებს თუ განწყობილებებს („საუბარი ედგარზე“, „ქარებს ქარობა“, „უორანი“). იმდენად ღრმად სწვდება მისეულ სამუაროს, რომ თავა უფულებას აძლევს ქართულად გარდათქვას, ქართველი მკითხველისთვისაც ორგანულად აქციოს პოს სულიერი ბიოგრაფია მისივე პოეზიისთვის ნიშნული შტრახების მეშვეობით. ამიტომ ლექსში მისრობელი გალაკტიონი კი არ არის, მარამედ ედგარ პო თავად: „ჩვენ მივდივართ ტაძრისკენ ორი“, — გვაუწყებს ედგარ პო. ქართულად მოგვითხრობს თავის ამზავს. „ჩვენ მივდივართ ტაძრისკენ ორი, იყო საღამო. ღოცებში, ზარნი, და ჩვენს საოცარ ჭაზზე, ლენორა, ტროებს ტირილით ამტრებდა ქარი“. ლენორა (ლინორა), როგორც მოგვხსენებათ, არის ედგარ პოს ლექსების, უწინარეს უოველთა — მისი „უორანი“ პერსონაჟი (რა უზედურებაა „პერსონაჟი“ საღამოთი ლენორას მიმართა), მისი რომანტიული გარდაცვლილი სატრფო.

„ენატრებოდათ ფრთებს სითამამე უზრუნველობის, შენი სიშორის, მგარამ უეცრად ვილაც მესამე, ვილაც მანხი ჩადა ჩვენს შორის“, — მოგვითხრობს მეორე სტროფი. პოს „უორანი“ თუ გავიხსენებთ, ის ვილაც მესამე, ვილაც მანხი უეჭველად იქნება უორანი, რომელიც ჩვენი ლექსის ბოლო სტროფში ამეტუეღდება კიდეც („საცაა მოვა სიკვდილის წაბი“) და რომელიც აწ უკვე სამარადისოდ ჩამდგარა ედგარსა და ლენორას შორის („და მავდივართ ტაძრისკენ სანი“).

გალაკტიონი „უორანი“ კი არ თარგმნის, ან პარაფრაზს კი არ აკეთებს მისას, არამედ პოს პოეზიის შემოქმედების ხაერთო სულისკვეთებიდან გამომდინარე ქმნის სრულიად ახალ ლექსს, ოღონდ ამ ლექსში უველას ჭუსტად ის ადგილი უჭირავს, როგორც პოს ნაწარმოებში — საკუთრივ ედგარსაც, ლენორასაც და უორანსაც.

ამ თვალსაზრისის, ამ გავების სისწორეში ეხვი რომ შემებარა, მისი ყოველმხრივ შემოწმება დადაწვეტიტე, უწინარეს ყოვლისა, საჭიროდ მიიჩნეი გამტრეკია საქმის ქრონოლოგიური მხარე — როდის არის დაწერილი „საუბარი ედგარზე“, „ქარებს ქარობა“ და „ედგარი მესამედ“, ქრონოლოგიურად ასევე მოსდევენ თუ არა ერთიმეორეს ეს ლექსები.

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის (თორმეტკომეულის) პირველმა ტომმა სანუგეშო ვერაფერი მაუწყა. ამ ტომში ჩვენთვის საინტერესო სამი ლექსი ამგვარად არის დათარიღებული: „ედგარი მესამედ“ —

1915 წელი (გვ. 230), „საუბარი ედგარზე“ (გვ. 232) და „ქარებს ქარობა“ (გვ. 235) 

წელი. ამგვარი დათარიღება თავდაპირა აყენებს ჩვენ შეხედულებას, რადგან, თუკი „ედგარი მესამედ“ უფრო ადრე დაწერილა, ვიდრე ის ორი ლექსი, ცხადია, სათაურში ედგარის მესამედ ხსენება ავტორს ეტყობა ვერ იქნებოდა: ნაულისხმევი. მაგრამ ვიდრე გული გავავტკეპოვდეს, იქნებ გამოგვეჩინებინა, თუ რას ემუარება თორმეტკომეულის პირველ ტომში მოცემული დათარიღება — „ედგარი მესამედ“ 1915 წელს არის დაწერილი. ჩავხედოთ ტომის „თარიღებასა და შენიშვნებს“. ამგვარი დათარიღების ნახულოდ მითითებულია გალაკტიონის ლექსთა 1919 წლის კრებული („პირტრულ უვაჯილებს“ რომ ვუწოდებთ), 1927 წლის კრებული და 1944 წელს გამოცემული „რჩეული“. ეხლა თუ არ დავიზარებთ და შევამოწმებთ ამ სახუთს, უცნაური რამ გამოირკვევა: „ედგარი მესამედ“ 1919 წლის კრებულში დაბეჭდილია 76-ე გვერდზე, 1927 წლის კრებულში — 310-ე გვერდზე, 1944 წლის „რჩეულში“ — 436-ე გვერდზე. არც ერთგან, არც მეორეგან და არც მესამეგან ლექსს „ედგარი მესამედ“ თარიღი მიწერილი არ აქვს.

ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც სხვათა მიერ დაშვებულმა შეცდომამ, დაუღერობამ თუ უფულისურობამ მაინც სიხარული მომგვარა: მაშასადამე „ედგარი მესამედ“ 1915 წელს დაწერილად ვერ მიიჩნევა, დაწერის თარიღი დაუდგენელია, ხოლო პოეტური კულტურის, სტილის მონაცემებს თუ გაუთვალისწინებთ, ეს იგი წმინდა სუბიექტურ მოსაზრებებს თუ დავეშვარებთ. ამ ლექსს დაწერის თარიღად 1916 წელი ან მომდევნო დრო უფრო შეშვენიის, ვიდრე 1915. მაშასადამე ჩემი თვალსაზრისის ასე თუ ისე მაინც გადარჩენილია!

სიხარული ნაადრევი გამოდგა. გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა 1927 წელს გამოცემულ პირველ ტომში „ედგარი მესამედ“ სწორედ 1915 წლით არის დათარიღებული, ხოლო „საუბარი ედგარზე“ და „ქარებს ქარობა“ — 1916 წლით. აი, თურმე საიდან მოდის ჩემი შემადუნებელი თარიღები!

მაგრამ ვენდოთ ამ თარიღებს?

წინში „ღვეტნა გალაკტიონის ცხოვრების“, ერთნელ უკვე ჩამოვადე სიტყვა იმის თაობაზე, თუ რაოდენ ხარისკოა გალაკტიონის ლექსთა ავტორისეული დათარიღების შეუწმებლად გავიარება. ეს განსაკუთრებით ეხება 30-იან წლებსა და მომდევნო ხანას, როდესაც აფორიაქებული, ნერვებადაწეწილი, აგრეთვე საკუთარ ლექსთა სიმრავლით თავგადაკარგული პოეტი, ღმერთმა იცის, რანაირად არ ცვლიდა თავისივე ნაწარმოებების თარიღებს ხან გულმავიწყობის, ხანაც კიდეც სხვათა და სხვათა მიწეზთა გამო.

მით უმეტეს, მის ბიოგრაფიას თუ გავიხსენებთ, ყველაზე ნაკლებ სანდოა ამ მხრივ 1927 წელს გამოცემული წიგნი!

ეს მოსაზრება ხელახლა აღძრავს იმედს, რომ შენახლოა გადარჩენილ იქნეს შეხედულება, რომლის თანახმადაც სათაური „ედგარი მესამედ“ ედგარის შესამედ სხეულებას ნიშნავს.

ოღონდ ერთი დარტყმა კიდევ მოეღოს ამ შეხედულებას. 1919 წლის წიგნში („არტიკულთა ყვავილები“), ესე იგი იმ გამოცემაში, რომელიც მოხდევს 1914 წლის კრებულს და წინ უსწებს 1927 წლისას, „საუბარი ედგარზე“ (გვ. 14) და „ედგარი მესამედ“ (გვ. 76) ერთიმეორას გვერდიგვერდ კი არ არის მოთავსებული, არამედ დიდად დაშორებულია, ამასთან, ამ წიგნში „ქარებს ქარობა“ სულაც არ არის შეტანილი.

ყოველივე შემოთქმულის შემდეგ ჩემი მოსაზრების სასარგებლოდ შეიძლება გამოითქვას მხალღოდ და მხოლოდ ვარაუდი: გალაკტიონმა თავისი ხელნაწერების შექმნის თანმინდევრობის ევალმაზე „ედგარი მესამედ“ უწოდა ლექსს. ესე იგი მისი მესამედ სხეუბა იფულისხმება, ოღონდ 1919 წლის გამოცემაში ეს თანმინდევრობა თვალსაჩინოდ არ გამოუხატავა, მხოლოდ 1927 წლის კრებულში დააღაგა ლექსები ისე, რომ „ედგარი მესამედ“ მართლაც მესამედ სხეუბა გამოსულყო.

ეს არის და ეს. სხვა რამ უფრო დამაჭერებელი საბუთი არ მოიპოვება ჩემი მოსაზრების დასაცავად.

ესლა მივხედოთ მეორე თვალსაზრისს, იმ გავებას, რომლის თანახმადაც „ედგარი მესამედ“ ნიშნავს ედგარის „მესამედ არსებად“, „მესამედ პირად“ უოფნას.

ამ გავების თანახმად, ლექსის მთხრობელი ედგარ პო ვერ იქნება. მთხრობელი თავად გალაკტიონია და იგი გვიუცება, იგი მიმართავს ლენორას: „ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორი, იყო საღამო, ღოცვები, ზარი, და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა, რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარი“. თითქოს ყველაფერი გასაგებია და თან არც არის გასაგები. იმატომ, რომ მწელი წაუმოსადგენია, თუ როგორ მიემართებიან ტაძრისკენ ქართული ლექსის ავტორი (გალაკტიონი) და ედგარ პოს რომანტიული სატრფო. ნუთუ ნავაინევ პოეტურ რაუფობასთან გვაქვს საქმე?


მეორე სტროფი გვაუწყებს: „ენატრებოდით ურთებს სითამამე ურწრუნველობის, მენი სიშორის, მაგრამ უეცრად ვილაც მესამე, ვილაც მახინჯი ჩადგა ჩვენს შორის“. დიახ, თუ იმ თვალსაზრისს მივხედოთ, რომ ედგარ პო ლექსის მთხრობელი არ უოფილა და რომ ტაძრისკენ გალაკტიონი და ლენორა მიემართებიან. მაშინ „ვილაც მესამე, ვილაც მახინჯი“, მათ შორის ჩამდგარი, სხვა ვერავინ იქნება, თუ არ ედგარ პო თავად. რამეთუ ლექსის სათაური სწორად ამგვარად გვესმის — ედგარი მესამედო, ესე იგი არსებას შორის ჩამდგარ მესამედ არსებადო! მაშინ ისიც გამოვა, რომ აქვე წემით ხუმრობასავით ნათქვამი „პოეტური რაუფობა“ აღარც სასუპარო ეოფილა, რადგან ლექსის ავტორი და ლენორა სწორედ ედგარს დაუშორებობიან!

მესამედ სტროფი: „და ჩვენ გვესმოდა ყრუ საუბარი: საცაა მოვა სიკვდილის წამი ტირილდა ქარი, კვდებოდა ქარი და მივდიოდით ტაძრისკენ სამი“. მაშასადამე, საცაა მოვა სიკვდილის წამიო, — ამას ედგარი ამბობს და ტაძრისკენ უკვე სამი მიემართებიან — გალაკტიონი, ლენორა და ედგარ პო.

ძალიან ძნელია, ძნელი კი არა. ვფიქრობ შეუძლებელიცაა ამ თვალსაზრისის გაზიარება თავი რომ დავანებოთ იმ ამბავს, რომ ედგარ პოს მიმართ გალაკტიონის მხრივ „მახინჯის“ წარმოთქმა არასგზით არ ეხამება მის დამოკიდებულებას დიდი ამერიკელი პოეტისადმი (რავინდ ნიუანსურადაც უნდა გავიგოთ ეს „მახინჯი“), შემოთ ნებაუნებურად შექმნილი სქემა — გალაკტიონი, ლენორა და მათ შორის მესამედ ედგარი — პოეტურ მკრეხელობას უფრო ჭკავს, ვიდრე გულის საოცარი თრთოღვით შეთხზული ლექსის მოედღს.

ერთი სიტყვით, პირველ თვალსაზრისს (ედგარის მესამედ სხეუბა) თითქმის არავითარი საბუთი არ მოპოვება. ოდენ სუბიექტურ შეხედულებებს არის დამუარებული. მაგრამ მეორე თვალსაზრისს (ედგარი მესამედ არსებად, მესამედ პირად) საერთოდ ისეთ ამსურდადღე მიუყავართ, მის გამო სიტყვის გავრძელებაც კი არ ღირს. ზოლო სხვა რამ თვალსაზრისი, ამ ორის გარდა, თითქოს არ ჩანს.

არის კი გამოსავალი ესოდენ შემცავუნებელი ვითარებიდან? ამის ამოსხნა ჩემს ძალას აღემატება.



ციხისჯვარელთა საგვარეულო ისტორიისათვის

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისის მიხედვით ციხისჯვარელთა ფეოდალური საგვარეულო წარმოშობით ჯაჟის ხეობიდანაა და ჯაჟელთა ძირითად შტოს წარმოადგენს (1).

ციხისჯვარელთა საგვარეულოს მამამთავარი წყაროების მიხედვით ბაგრატ IV თანამედროვე სულა კალმახის ერისთავია. სულას ციხისჯვარელობას გვაფიქრებინებს ადგილი თამარის ანონიმი ისტორიკოსის თხზულებიდან, სადაც ივანე ციხისჯვარელის ერთგულება თამარისადმი (1191 წ.-ის გიორგი რუსის აჯანყების დროს), შედარებულია სულა კალმახის ერისთავის ერთგულებასთან ბაგრატ IV მიმართ. ივანე ციხისჯვარელი „ესე დამაგრდა თვისთურთ მოკიდულითურთ, ვითარ გუარ ეუოდაცა მომგონებელსა სულასა ერთგულობისასა, რომელ ბაღუაშსა ზედა უერთგულა ბაგრატს“ (2,19). თამარის ისტორიკოსის ეს შედარება არაა შემთხვევითი.

ბაგრატ IV (1027—1072) დროს „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით ციხისჯვარი აბუსერისძეთა ხელშია. აბუსერი იყო „...ერისთავი არტანუჯისა, და ხიზათა და ციხის-ჯუარისა და აწუერის ციხის პატრონი“ (3,300).

სულა კალმახის ერისთავის, არტანუჯის ერისთავის გრიგოლ აბუსერის ძის და სხვა მესხი აზნაურების თხოვნით ბაგრატ IV ლიპარიტს არქის ციხესთან შეებრძოლა. ლიპარიტს მეფე გაუქცევია და შეუპყრია სულა კალმახის ერისთავი და გრიგოლ აბუსერის ძე

სულას „...მრაველია ტანჯვითა და ძელსა ვასუმითა სთხოვეს კალმახი და არა მისცა“, ხოლო გრიგოლი დათმობაზე წასულა და არტანუჯი დაუთმოა (3,302). 1058 წ. ლიპარიტის განდიდებით უკმაყოფილო სულა კალმახის ერისთავმა და მესხმა დიდებულებმა დღევანდელი შვიტურის ლიპარიტი და მისი ძე ივანე, სულამ ლიპარიტი და ივანე ბაგრატ IV გადასცა. ე. ი. სულა მეფე — ლიპარიტს შორის გაშარბულ ბრძოლაში მეფის მომხრე ჩანს. რის გამოც მეფემ გაწეული სამსახურისა და ერთგულებისათვის „...უბოძა სულას მამულობით ციხის-ჯუარი და ოძრქე ბოდო-კლდითა. და სხუაცა მრავალი საქონელა და სამადდელთ-მოძღურონი, და რაცა უნდა“ (3,305). ამ სამამულე ქვეყნის მიხედვით მიიღო ციხისჯვარელთა წოდება ამ საგვარეულომ*.

*ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით გაურკვეველია სამცხის ციხისჯვარის მდებარეობა. პირველად ეს საკითხი წამოაყენა ივ. ჯავახიშვილმა. შემდეგ გაიმეორა ნ. ბერძენიშვილმა. ნ. ბერძენიშვილის აზრით სამცხის ციხისჯვარი სადღაც ოძრხის ახლოს მდებარეობდა. ამ თვალსაზრისს მხარი დაუჭირა ნ. შოშიაშვილმაც. (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 00; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 648; ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ. შოთა



საფიქრებელია, რომ უველა წყალობის მსგავსად მეფემ სულას ეს მხარე მისივე თხოვნით გადასცა. ამას გვაფიქრებინებს გამოთქმა „...და რაცა უნდა“.

სულა კალმახის ერისთავი მესხ დიდებულებთან ერთად მოქმედებს და მათი დახმარებით ატყვევებს ლიპარიტს და ივანეს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სულა კალმახის ერისთავი წარმომავლობით სამცხეობანაა.

საქიროდ მიგვაჩინა შევხვით ამ პერიოდისათვის ჭაყის და ფოცხოვის ხეობაში დამკვიდრებულ ჭაყელთა ფეოდალურ საგვარეულოს და გავარკვოთ რამდენადაა შესაძლებელი სულა კალმახის ერისთავის დაკავშირება ამ საგვარეულოსთან ან რომელი საგვარეულოს წარმომადგენელი შეიძლება იყოს იგი.

ჭაყელთა საგვარეულოს შესახებ უველზე ადრეულ ცნობებს ალის (ფოცხოვის ხეობის) ეკლესიის წარწერა გვაწვდის. იგი პალეოგრაფიულად და მასში მოხსენებული პირების მიხედვით XI ს. I ნახევრით თარიღდება წარწერიდან ირკვევა, რომ ჭაყელები ფოცხოვის ხეობაში სახლობენ, ხოლო ალი მათ საგვარეულო ეკლესიას წარმოადგენს. წარწერიდან ცნობილი ხდება ჭაყელთა სამი წარმომადგენელი: ერისთავთ-ერისთავი ბოცო, იოვანე და ბეშქენი (4, 20).

ალის წარწერის ცნობებს ავხებენ ნარატიული წყაროების ცნობები, ანდერძ-მინაწერები და სხვა ეპიგრაფიული მასალები.

აწუურში ლიპარიტ ერისთავის უკვეთით 1058 წ. გადაწერილ იოანეს სახარების ანდერძში ბოცო ჭაყელად და მარხანად იხსენიება.

რუსთაველი“ თბ., 1966, გვ. 59), ვახუშტი ბატონიშვილი ასახელებს როგორც თორის ციხესჯვარის (სადგერის ხეობაში), ასევე სამციხისასაც: „წინის ხევის სათავეს, მთასა შინა არს კუინტის დასავლეთად ჭუარის ციხე, მაგარი და ლიდშენი“ (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1976, გვ. 663). ეპითაღმწერლის სიტყვით კი ჭუარის ციხე არის იგივე ციხისჯვარი 1261 წ. სამცხის ასპოტრებლად პულაგუ ყაენის მიერ გამოგზავნილმა არღუნმა „...ვითარ იხილა სიმტიცი ციხის-ჭუარისა, რომელ არს ჭუარის ციხე, აიყარა და წარცოდა“ (ეპითაღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 242). ამგვარად, სამცხის ციხისჯვარის მდებარეობის გასარკვევად სანდოდ მიგვაჩინა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა (მ. ბერძენიშვილის მიერ შედგენილ რუკებზე ციხისჯვარი ოძრხის ჩრდილოეთით არის აღნიშნული. იხ. საქართველოს სსრ ატლასი, თბილისი—მოსკოვი, 1964, გვ. 249—250; 251—252; საქართველოს სახელმწიფო XIII ს. დამდეგს (რუკა), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979).

იმავე ანდერძით ცნობილია მისი ვაჟი ბეშქენის ეპისკოპოსი არსენი (5, 101).

ბეშქენის შესახებ ცნობებს გვაწვდის „მატიანე ქართლისა“, იგი XI ს. 40-იან წლებში თუხარისის ერისთავია (3, 298).

უურადღებას იქცევს ის ვარემოება, რომ ფოცხოვის ხეობის ჭაყელები ბაგრატ IV დროს იბრძვიან ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ და ლიპარიტ ერისთავის მხარეზე არიან (ბეშქენ თუხარისის ერისთავი, აწუურის ეპისკოპოსი არსენი (მ. მ. მ. მ. მ.), სწორედ ამ დროს სულა კალმახის ერისთავი ბაგრატ IV ერთგულია, ეხმარება მას ლიპარიტის წინააღმდეგ და როგორც ჩანს მადლობის ნიშნად მეფის წყალობით სამამულედ ღებულობას ციხისჯვარს. თუ რა ნათესაურ ურთიერთობაში იყო სულა კალმახის ერისთავი ალის წარწერაში მოხსენიებულ ბოცო, იოვანე და ბეშქენთან, ამის თქმა ძნელია. ჭაყელთა საგვარეულოში სახელ სულას გავრცელებისათვის შეიძლება გამოგვადგეს 1080 წ. შავ მთაზე გადაწერილი ერთი ხელნაწერის ანდერძი, სადაც იხსენიება საბა სულას ძე თუხარსელი (აუხარისელი?) (7). ძნელია მტკიცება, იყო თუ არა საბა სულას ძე თუხარისელი ჭაყელი, როგორც აღნიშნეთ, XI ს. 40-იან წლებში თუხარისის ერისთავია ბეშქენ ჭაყელი. თუხარისის საერისთავო ქვეყანას წარმოადგენს. ამდენად „თუხარისელი“ შეიძლება არა მხოლოდ სოციალურ მდგომარეობას აღნიშნავდეს, არამედ წარმომავლობის მამენებელიც იყოს.

თიღლიან დამკერი ვაზდა იზოს ხელში უხეში თოკი. სხვადასხვა ფორმა მიიღო ფარდაგებში. თუ პირველი ნამუშევრები: „მინდვრის ყვავილები“, „დედაბოძის ფარდაგები“, „საკიდელა“ სადა, მართკუთხა ფორმისანი იყვნენ, ფარდაგ „ოლარს“ ნახევარკალური ფორმა მისდა, მის შუაგულში ღამაზად ჩასვა ვარდული და ამით მთლიანი დეკორატიული კომპოზიცია შექმნა. ფარდაგი ოლარს მოვავსონებს და სახელიც მისი უწოდა ოსტატმა. აქ უკვე სხვადასხვა ფერის შლის ძაფიც გამოიყენა და ფერადი აქცენტებით გაამდიდრა. ფერები ძვირფასი თვლებივით ანათებს სელის მონაცრისფრო-მოოქროსფრო როკოკოებიდან და მთლიან მარმონის ქმნის ფარდაგის საერთო დეკორატიულ მორთულობაში. „ოლარის“ ნახევარკალური ფორმის მიშყვება ფერადი ძაფის თვლიანი როკოკოები, რომელთა შორის კლასიკური ორნამენტი მისრიალებს მათ შორის არც დამატებით წარმტავი ბუტკოებით ივსება. ბოლოში შავ-თეთრი ფორმები ეკიდება, რომელიც ბუბებლის შთაბეჭდილებას სტოვებს და საზვიოთს იერს აძლევს ფარდაგს.

ორიგინალურია ფარდაგები „ჩხვის ფრთა“ და „ციციანთელი“. აქ მას გამოყენებული აქვს ჩხირით მქსოველებში გავრცელებული „ბუბუსანი“ გვირისტი.

„ჩხვის ფრთის“ მხატვრულ გადაწყვეტაში ფორმა ტრადიციულია — ფორმებიანი მართკუთხედი. ოსტატი შეგნებულად აღარ ხმარობს ორნამენტს, რადგან ასე ნაქსოვი ფარდაგი თავისთავად თავისი ბუბუსებით დეკორატიულია.

აქ ესთეტიკური მხარე უკვე სხვაგვარადაა დაწყვეტილი. ფარდაგის ბოლოს მართლაც ფრინველის ფრთასავით გამოიკვეთება შავ-წითელი და სელის ძაფით ჩაქსოვილი კრელი აქცენტი. ფორმებად სელის თოკია დამოთლილი და ჩამოწმული. ფარდაგი მთლიანად ერთ ფერში აღიქმება და შავ-წითელი აქცენტი უფრო კარგად გამოიკვეთება. ეს ნამუშევარი ორნამენტული ფარდაგებისგან განსხვავებულია და სადა, დახვეწილი ვემუხუნებათ გამოირჩევა.

იზოს პატარა შიკოც დედის რჩეული მოწვევა. ამბობენ, ვავსო დედას ღამაში ხილვებით. სულ სამი წელია იზო თოდაქ-ნოდარიშვილი ფარდაგებს ქსოვს. რამდენი სიხარული და წარმატება მოუტანეს მათ თავიანთ ოსტატს. ონელ მხატვართა გამოფენაზე ფარდაგებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს. მრავალი მხახველი ჰყავდა მაშინ ამ ღამაზე გამოფენას. ბევრმა პირველად აქ იხილა იზოს ნამუშევრები. დედაქალაქიდან ჩამოსულმა სტუმარმა, ცნობილმა კერამიკოსმა ალდე კაკაბაძემ მოუწონა ხელსაქმე და თბილისში პერსონალური გამოფენის მოწყობა შესთავაზა.


იზო იმდენად გაიტაცა სელის თოკით ქსოვამ, რომ ყველა მის გარშემო მყოფი ნივთი სელის საბურველში გაახვია. ორგანულად მთარგო სელის ნაქსოვები ტორშერებს. აქ იგი შეგნებულად აღარ ხმარობს ფერს გარე დეკორში. ტორშერებში სვამს ფერად განათებას. განათებული ქსოვილიდან აფურულად იბნევა სხივი და ირგვლივ საამო გარემოს ქმნის. ერთ ტორშერს „ბროწეულის ყვავილი“ უწოდა. გვერდით მოუდგა ნარინჯისფერი ხვერდოვანი ქსოვილით და სელის თოკით გაწყობილ ტახტს. ტახტზე ღამაზად განაღოვა ბალიშები, რომელთაც გული ამავე სოვილისა აქვთ, ხოლო ბუდე როკოკოებითა და ხლართული ორნამენტითაა დამშვენებული. ტახტის წინ დასაფენი ნიხიც მოქსოვა ბუბუსიანი გვირისტი და საცორად მარმონიული კომპლექტი შექმნა...

შემდეგ სელის თოკი დაშალა და ძაფად შემოაკრა კერამიკულ ჭურჭელს. მისთვის ჩვეული როკოკოებით და კლასიკური ორნამენტებით შეამკო, თვლებად კი ფერადი მძივები ჩაუქსოვა.

დედს იზო თოდაქ-ნოდარიშვილის შემოქმედებას უკვე გაეცნო ფართო საზოგადოება. რამდენიმე გადაცემა მოუძღვნა საქართველოს ტელევიზიამ. კინოლოკუმენტალისტმა ელენე ჭავჭავაძემ ცენტრალური ტელევიზიისათვის გადაღებულ ფილმში „რაჭა“ სელის თოკის ფარდაგების ოსტატს რამდენიმე კადრი მოუძღვნა.

რაჭაში კვლავ იღვწის ხელოვანი ქალი იზო თოდაქ-ნოდარიშვილი. იგი ცდილობს თავისი შემოქმედებით მოკრძალებული წვილილი შეიტანოს ქართული ხალხური ხელოვნების მდიდარი ტრადიციების საღაროში.





ნარდგენილია სახელგნივო პრემიასზე



შთაბგონებალი ჟენილეაგი

პარტულმა ქანდაკებამ, რომლის სათავესთანაც დიდი როდენის სკოლაგამოვლილი ჩვენი თანამედროვე იაკობ ნიკოლაძე დგას, ორი-სამი თაობის თვალწინ გაიარა დახვეწისა და სრულყოფის გზა, რომელიც საუკუნეების მანძილზე უნდა გაევიღო და, როგორც ტოლი და სწორი, მხარში ამოუდგა ეროვნული ხელოვნების უფრო ხანგრძლივი ტრადიციის მქონე დარგებს.

ეს ამბავი კიდევ ერთხელ ამტკიცებს საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებას, რომ ლიტერატურა და ხელოვნება, ისევე როგორც მეცნიერება, დროთა განმავლობაში ანგრევის ვიწრო ეროვნულ ზღუდეებს და კაცობრიობის კულტურული მონაპოვარი ყველა ერის შემდგომი სულიერი განვითარების საერთო საფუძვლად გადაიქცევა.

ბედნიერია ის ერი, ვინც ყველაზე მეტი წილი დაიდო ბალავრის ამოყვანაში, ვისი ხულის ფიორიც შემდგომ ყველა ერის შემოქმედებაში ღვთიურ მადლად განიზნა.

ნაგვიანვად დაბადებული ქართული ქანდაკება სწორედ ამ ნაყოფიერ ნიადაგზე აღმოცენდა. დღეს უყურებ და საკუთარი თვალთახათვის ვეღარ დაგვიტრებია, ნუთუ ასე მცირედ დროში შეიძლებაოდა ასე ბევრის მოწვევა? და რა არის მიღწეული? რას მიადწიეს ქართველ მოქანდაკეთა ყველაზე საუკეთესო წარმომადგენლებმა, მერაბ ბერძენიშვილი იქნება ის თუ ელგუჯა ამაშუელი? მათმა ქმნილებებმა სამუდამო აღკვეთილი დაიმკვიდრეს ქართველი კაცის

გულში, ყველა იმის გულში, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს საქართველო და საქართველოსთან ერთად უნახავს მათი ხელიდან გამოსული ნაწარმოებებიც.

კიდევ მეტი: ყველაზე თვალსაჩინონი მათ შორის, მაღალი აზრათა და ემოციური სიმძაფრით დამუხტულნი, ეროვნული სულის გამომხატველ სიმბოლოებად მოგვევლინენ.

ახეთია, მაგალითად ელგუჯა ამაშუელის „ქართველის დედა“, ათასჯერ ნაოხარ და მაინც ცამდე ამოდლებულ თბილისს შურისციხის პლაცოდან რომ გადმოსცქერის, და მერაბ ბერძენიშვილის „ეკიდევაც დაიზრდებიან“, რომელიც უოველ მნახველს განცვიფრებასთან შერწყმული ხიხარულით ავსებს, ხოლო ქართველ კაცს გულში სამშობლოს მამულიშვილური ხანძახურის ნადვერდალს უღვივებს...

ეს ხომ იგივეა, პოეტმა რომ „სულდოკ“ ან „განთიადი“ დასწეროს, მხედართოფროსმა გაღმწყვეტი ბრძოლა მოიგოს, ხოლო მეტწიერმა თავისი დარგის სკოლა შექმნას, მას მსოფლიოში გაუთქვას სახელი და ყველას აწიწინოს. რა სასწაულები მოხდენა შეუძლია აზრთან შევიდებულ ქართველ კაცს.

და აი, ამის ოქმიდან ელგუჯა ამაშუელის ახალ ქმნილებამდე, ამას წინათ გორში, მრავალი ქირის მნახველი ციხის ფონზე, ვეებერთელა მოედნის შუაგულში რომ დაიდგა, ერთი ნაბიჯია. „ლომზე ამხედრებული შტეჭაბუკი“. მასიურ კვარცხლბეკზე (არქიტექტორი ვახტანგ

დავითაია) ღვას პირდაპირტენილი, კუნთებდა-
ძაგრული, თავბრუსდამხვევი სისწრაფით წინ
მიმჭროლივი ლომი, რომლის ზურგზე ვაღამე-
ღარი, ლომის სხეულთან შენეივებული ათლე-
ტური აღნაგობის ჭაბუკი წინ გაწვდილი ხელით
მარადისობის სივრცეს მიპაპობს და უხასრულო-
ბიდან უხასრულობისაკენ მიისწრაფვის...

გულის შემძვრელი ალეგორიაა პირდაპირ-
ტენილ ლომზე გადაძვარა კაცი ჯერ არავის
უნახავს. ლომი არც ცხენია და არც გადააღვი-
ლების რაიმე სხვა საშუალება, მაგრამ რა დიდი
და ღრმა მხატვრული სიძარცვია აქ, რა მძლავ-
რი ექსპრესიაა, რა განსაცვიფრებელი გრძნო-
ბაა დროისა და სივრცისა!

ქართველები მცირერიცხოვანი ერი ვართ,
მცირერიცხოვანი ვიყავით ყოველთვის და პირ-
ში სულის შესარჩენად უზარმაზარ იმპერიებს
ვერკინებოდით და მარტოოდენ ზმლის ძალით,
მარტოოდენ ფიზიკური შემართებით ათასწლე-
ულების ქარცეცხლში სიცოცხლის გამოტარე-
ბას ვერ შევძლებდით.

ეს აღიარებული ისტორიული სიძარცვე კარ-
გად ესმის „ლომზე ამხედრებული მჭეპრუკის“
ავტორს. ამიტომ ხმალი უკანა პლანზეა. მზე-
ჭაბუკს უფალ გზებზე მიუძღვის წინ გაწვდილი
მარკვენა ხელი, ტანთან შედარებით მძიმე და
არაპროპორციული, ამით ხაზგასმული, რწმე-
ნის, ნებისყოფის, ყოველგვარ უსამართლობას-
თან შეურიგებლობისა და ბოროტების დათრ-
გუნვის უნარის სიმბოლოდ ქცეული.

აი, რამ გვიხსნა, აი, რამ გადაგვარჩინა, რა
გვიხსნის, რა გადაგვარჩენს, რა შეგვაჯიბრებს
მარადისობასთან!

როგორც ერთ-ერთმა ქართველმა კაცმა,
წრფელი მადლობა უნდა გამოვთქვა იმთ მთ-
მართ, ვისაც სავსებით სამართლიანად მიაჩნია,

რომ ყოველივე თავისაწინაა და დარსულობა
თავი მარტო თბილისში, რესპუბლიკის დედა-
ქალაქში არ უნდა მოიყაროს. საითაც ვინ უნდა
გაიხედო, ჩვენს ქვეყანაში, მის ყოველ კუთხე-
ში უნდა გვეგულებოდეს დირსშესანიშნაობანი,
რომელთა უნახაობა საქართველოს საერთო სა-
ხის წარმოდგენას რაღაც მეტად მნიშვნელო-
ვანს დააულებდა.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ელგუ-
ჯა ამაშუკელის მეორე დიდებული ქმნილება,
რომელიც სამამულე ომში დაღუპული მეომ-
რის მარადიულ სიცოცხლეს მიეძღვნა, კოლ-
ხეთის ერთ-ერთ მწვენიერ ბეჭდისთვალში, ქა-
ლაქ ფოთში — მალთაყაში დაიდგა. (ისიც არ-
ქიტექტორ ვ. დავითაიასთან შემოქმედებით
თანამშრომლობით).

ყოველის მხრიდან ამობოქრებული ზღვის
ტალღები, თავიანთი მრისხანე სრბოლა რომ
შეუნელებიან და წამით გაქვევებულან, წა-
ლევკეთა და ჩანთქმით ემუქრებიან ყოველივე
ცოცხალს ამ ქვეყანაზე. ზღვა აქ ალეგორაუ-
ლად ბოროტ ძალებს გამოხატავს და ამ ძა-
ლებს ერკინება სწორედ ბრძოლის ველზე და-
ცემული გმირის უკვდავება.

იქნებ არც ღირდეს განმეორება. მაგრამ
ვგონებ არა დაშავდება რა, თუ პირდაპირაც ვი-
ტყვი, რომ მე ელგუჯა ამაშუკელის ნიჭისა და
შემოქმედების ერთ-ერთი დამფასებელი და თა-
ნამდგომი ვარ. არ მენანება მისთვის არც ერთი
ჯილდო, მათ შორის საბჭოთა კავშირის სახელმ-
წიფო პრემია, რომლის მოსაპოვებლადაც მო-
ქანდაკე თავისი ორი უკანასკნელი ნამუშევრის
გამო წარადგინეს.

რეზა ჯანაშიანი.

ბოროტსა სკლია კეთილგან

ბრასოდეს დამავიწყდება ის დღე, როცა
გორში გაიხსნა მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელისა
და არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას „გამარკვე-
ბის მონუმენტი“.

ვისაც ეს მონუმენტი უნახავს, კარგად ახ-
სოვს ლომზე ამხედრებული ჭაბუკის ექსპრეს-
სული ფიგურა. მას ცალ ხელში მახვილი უჭო-
რავს, ხოლო მეორე ხელი პორტიონტალურად
წინა აქვს გაწვდილი. უზარმაზარი სიმძტკიცე,
სძლიერე და მიზანსწრაფველობა ჩანს ამ
ხელში. იგი ჭაბუკის დაუოკებელ ენერგიას,
უშინარ ბუნებას, თავგანწირულობასა და მო-
ზღვავებულ ტემპერამენტს გვაგრძნობინებს.

მეორეს მხრივ მარცხენა ხელში (ძალზე კარ-
გად მიგნებული დეტალია) დაჭერილი ხმალი
ვახსია და ჯვრის სიმბოლოდ რომ ქცეულია, ჭა-
ბუკის მუშანურ ბუნებას მიგვანიშნებს. იგი
დამპყრობელი კი არ არის, არამედ მომხდურ
ვერაგ მტერზეა გამარკვებული, ამიტომაც იკი-
თხება ორგანულად მონუმენტის პედესტალზე
მხატვრული შრიფტით ამოკეთებული წარწერა:
„ბოროტსა სკლია კეთილგან“.

და აი მოხდა საოცრება, როგორც კი მონუ-
მენტოდან ჩამოიშალა თეთრი საბურველი, იმა-
ვე წუბში მოფრინდა თეთრი მტრედი და ჭა-
ბუკის წინ გაწვდილი ხელის მტევანზე დაჭდა.

ასე იქნა იგი გაუნძრევლად ამ სახალხო ზეიმის დამთავრებამდე, რომელიც ოთხი საათი მაინც გაგრძელდა. ვერც მუსიკის გრაიმმა, ვერც ათასობით ადამიანის შეძახილებმა და ტივილი-ხივილმა, ვერც დინამიკების მჭიქარე წმავე ვერ დააფრთხო იგი. იქნა წყნარად და ღიწმინდად გადმოსცქეროდა უწარმავარ მოედანზე მოზეიმე ხალხს.

გაშთვლებული მახვილი ორგანული ნაწილია ელგუჭა ამაშუკელის ქანდაკებისა. ხმალი უჭირავს ხელში „ქართლის დედას“, ხმალი ამშვენებს, როგორც უკვე ვთქვით, ჭაბუკის ქანდაკებას გორში, ჭვრის სიმბოლოდ ქცეული ხმალი უჭირავს ხელში ფოთში სიმბოლური დედის ფიგურას. ხმალია უველანე ექსპრესული დეტალი ზესტაფონში დადგმული „დაპირილი არწივისა“, მაგრამ ელგუჭა ამაშუკელის არცერთ ქანდაკებაში ხმალი არასდროს არ იკითხება როგორც მუქარა. მოქანდაკე ყოველთვის ახერხებს შექმნას დამპყრობლების დამმარცხებელი, მაგრამ მშვიდობას მოწყურებული და მხოლოდ თავისი ქვეყნის საზღვრებში ცხოვრების მსურველი ერის სიმბოლოა.

ჩანაფიქრის ლიტერატურული გადაწყვეტა ერთგვარი დამახასიათებელი ნიშანთვისებაა ელგუჭა ამაშუკელის შემოქმედებისა. მაგრამ მისი ქანდაკების ლიტერატურული საფუძველი ყოველთვის ქანდაკების კანონებითაა გადაწყვეტილი (ისევე როგორც შერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება „კიდევაც დაიწრდებიან...“)

გამარჯვების მონუმენტშიც ელგუჭა ამაშუკელი ერთგული დარჩა თავისი სტილისა—იგი ისწრაფვის შექმნას სილუეტური, მრავალკონ-

ტურიალი ქანდაკება. თუმცა გამარჯვების მონუმენტში ასევე ძალზე თვალსაჩინოა ქართული ქანდაკებისათვის დამახასიათებელი მახასიათებელი — პლასტიკა.

თვალსაჩინოა ვახტანგ დავითიას როლი ელგუჭა ამაშუკელის გამარჯვების მონუმენტის არქიტექტურულ გადაწყვეტაში. გორის ციხის ფონზე წამომართული ლომზე ამხედრებული ჭაბუკი, საერთოდ, მონუმენტის გაბარიტები მართლაც რომ იდეალურადაა შერწყმული და შეთანხმებული გარემოსთან და, თქვენ წარმოიდგინეთ, გორის ისტორიულ წარსულთანაც კი.

ასევე ძალზე საყურადღებოა მათი ერთობლივი ნამუშევარი მალთაყვანში. ესაა ქართველ მეზღვაურთა მემორიალი. შინაოუსვლელი მეზღვაური ჭაბუკის ფიგურის დასაცავად, წმინდა სახელების დასაცავად თვით სტიქიონი წამომართულა, ზღვის ტალღები წამოჭრილან და ჭაბუკის ირგვლივ მრისხანე მუშტებად შეკრულან.

ხშირად, როცა ხელოვანს წარადგენენ ხოლმე სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად, უმთავრესად მის განვლილ გზას ვულისხმობენ. შეიძლება წარდგენილი ნაწარმოები არც კი იმსახურებდეს დიდ ჭილდოს. ამჯერად უფრო სისიამოვნო მოვლენასთან გვაქვს საქმე, პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაწარმოებები წარმატებით განვლილი შემოქმედებითი გზის ახალი და თვალსაჩინო საფეხურებია. ამიტომ, მტკიცედ მჭერა, ავტორთა ახალი გამარჯვებად გარდაუვალი!

გურამ ფანჯიყიძე



ალექსანდრ კუშკინი

ნ ე რ ი ლ ე ბ ი

175. ვ. ვინაშის

ნოემბრის პირველი ნახევარი,
მიხაილესკოდან მოსკოვში

მე მემონა. ლევ სერგევიჩმა რა ხანია მოგცა 600 მან., საველიოვმა რომ ამცანცლა — მერე შევიტყვე, ლევს თურმე შემოფლანაგვია: შეუნდე და დაელოდე, როდის მოგვრეფ ხარკს ამ ლღებში ჩემს სოფელ სანქტ-პეტერბურგსა შინა.

ჩემო კარგო, მომბეჭრდა შენთან წერა, ვინაიდან ხალათის ამარა, შილიფად და თავისუფლად ვერ გელაპარაკები. ჩვენი საუბარი ბ-ნ ლემონტეს წინასიტყვაობას ჰგავს. მე და შენ მხოლოდ პოლევოია და ბულგარინზე ვმსჯელობთ — ხოლო ეგენი ყდაში ჩასმულნიც კი აუტანელნი არიან. რასაც ამბობ, ყველაფერს ქვიანურად ამბობ — მე კი ბრავუნე ბრიჯვი გამოვდივარ შენთან, დავთქვათ, შენ მომწერ, ჩემგან კი პასუხს არ მოელო.

შენი წერილი ბაირონის საბატონზე? დიდი საოცრებაა ეს დონ ეუანი! მხოლოდ პირველი ხუთი ხიმღერა ვიცო; როგორც კი პირველი ორი წავიკითხე, მაშინვე ვუთხარი რაევსკის, ეს ბაირონის chef-d'oeuvre⁷⁴-ა, მეოქი, და ძალიან გამეხარდა, როცა გავიგე, Walter Scott-იც ჩემი აზრისა ყოფილა. ინგლისური ენა მჭირდება — ამიტომაცაა ჩემი გადასახლება კიდეც უფრო სავალალო, ვინემ დროა, საშუალება არ მაქვს ვისწავლო. ეს ცოდვაც ჩემს მჩაგვრელთ მოეკითხოს! ა. შენისავით მეც შემოძლია შუბლზე მივიკაუტუნო და ვთქვა: Il y avait quelquechose.

1875... მაშატიე ეს პოეტური ბაქიაობა და პროზაული კავშინი. ნუ იტყვი, ისეთ ბრაზთან გუნებაზე ვარ: ვერ გამოვიფინე და ვერ...

რად გწუდება გული, ბაირონის ჩანაწერები რომ დაიკარგა? ჩანდაბის გზაც ჰქონიათ! კიდეც კარგი, რომ დაიკარგა. მან აღსარება თავის ლექსებში თქვა, უნებლიეთ, პოეზიით შთაგონებულია; გულგრილ პროზაში უთუოდ მოიტყუებდა, იცხიერებდა, ხად გულწრფელიობით შეეცდებოდა თავის გამოჩინებას, ხად მტრების გახვრას. მერმე რუსოსავით მაგახაც შეაჩვენებდნენ — ღვარძლი და ცილისწამება ცვლავაც იზეიმებდა, ისე რომ ცნობისმოყვარეობა ბრბოს დაუთმე და ვენიოსას მხარეზე დადექ. შურის საქციელი მის ლალა-რუკს სჯობია (პოეტურობის მხრივ) ჩვენ საქმაოდ ვიცნობთ ბაირონს, ვიხილეთ იგი დიდების ტახტზე, ვიხილეთ მისი დიადი ხელის ბორგვა, ვიხილეთ აჯანყებულ საბერძნეთს შინა კუბოში. — ნეტა რად ვინდა საშარდე ჰურჭელზეც ნახო. ბრბო ხარბად კითხულობს ჩანაწერებს და etc. რამეთუ თავისი სულმდაბლობით დაადის დამცირება, ძლიერის სისუსტე ახარებს, ყოველი სინაძაღლის აღმოჩენა აღაფრთოვანებს. ისიც ჩვენისთანა კაცუნა, ჩვენისთანა ბილწი ყოფილა! იღამ! სტყუით, არაკაცნი: თუნდაც კაცუნა, თუნდაც ბილწი — მაინც თქვენისთანა არა — სხვანაირი. — საკუთარი Memoires⁷⁶ დიდი ცთუნებაა, ფრიად საამური. შენი თავივით არავინ გიყვარს, შენი თავივით არავის იცნობ. ეს უშრეტე საგანია, ოღონდაც ძნელი არ მოიტყუო, ამას შეიძლება; იყო გულწრფელი — ფიჭიკურად ვერ მოახერხებ. კალამი ზოგჯერ გა-

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 7, 8.



გიშეშდება, ვით უფსკრულის პირზე მისულს. ისეთ რამზე, რასაც გარეშე ვაძი უკვლავ გულგრილად წაიკითხავდა. არად ჩაავლო — braver77 — ხალხის მსჯავრი ძნელი არაა; შეუძლებელია საყუთარი მსჯავრის არად მიჩნევა.

1826 წელი

183. პ. კლიტინსკი

იანვრის მეორე ნახევარი (არა უგვიანეს 25-ისა) მიხაილოვსკოედან პეტერბურგში.

მადლობელი ვარ, სულ ჩემო, აღექვს ანდრ პუშკინის ლექსებისათვის. 78 ძალიან კარგი გამოცემაა; შიგადაშიგ შეცდომებია, მაგრამ ნაკლად არ ჩაგეთვლება, კიდევ და კიდევ გულით გიხდით მადლობას და მეგობრულად გიხუტვით.

რა ამბებია თქვენს პეტერბურგში? არაფერი ვცი. წერილს არავინ მწერს. ალბათ ნერჩინსკში გგონივარი ყველას გასახლებული. სულ ტყუილად კი — მე იქ არც ვაპირებ — მაგრამ რომ არაფერი ვიცი იმ ხალხისა, ვისთანაც ასე ახლოს ვიყავ, ძალზე ზაწუბებ. იმედია, ხელმწივე შეიწყალებს. პო, ბარემ: შეიძლება უსუკვსკი ვამიგოს. ვიქონია თუ არა მისი უდიდებულესობის წყალობის იმედი. ექვსი წელია შერიხსული ვარ, არადა, რაც უნდა თქვა — 26 წელია ვარ მხოლოდ. განსვენებულმა იმპერატორმა 1824 წელს სოფელში გამაძევა არარელიგიური ორი სტრაიქონის გამო — სხვა ოინი ჩემი არ ვიცი. ნუთუ ჩვენი ახლგაზრდა მეფე ნებას არ დამრთავს სხვაგან გადავსახლდე. უფრო თბილ მხარეში? — უკეთეს ჩემი პეტერბურგში გამოჩენა არ იქნება — პა?

მაპატიე, სულ ჩემო, მოწყენა მკლავს.

185. პ. შუპროვსკის

20 იანვარი, მიხაილოვსკოედან პეტერბურგში. არ გწერდი იმიტომ, ჭერ ერთი, ჩემი თავი აღარ მდებარებოდა. მეორედ, წერილის ხელზე გამოგზავნის შემთხვევა არ მქონდა. აი, რაშია საქმე: მიჭირს შუამდგომლობა გათხოვს ხელმწიფის წინაშე; არ მინდა შენც დაიოტრე ამ ლხინიანობის ფაშს. ალბათ მოაფრობა დარწმუნდა, რომ შეთქმულებას არ ვეკუთვნი და 14 დეკემბრის მემამოხებეთან პოლიტიკური კავშირი არ მქონია, მაგრამ მან უფრნაღებში შეჩინსხვა გამოუცხადა ყველას. ვინც რაღაც იცოდა შეთქმულებაზე და პოლიციას არ აცნობა, კი მაგრამ პოლიციისა და მოაფრობის გარდა ეინ არ იცოდა ამის შესახებ? შეთქმულების ამბი... ათეუთ მოსახვედრო კიციციბონენ და ჩემი უღანაშაფლოების ერთერთი მიზეზიც ესაა. ჟანდარმს ჭერ მაინც მთლად ვადარჩენილი არა ვარ. შესაძლოა სულ ადვილად მამხილონ რომელიმე ზაღადებულთან პოლიტიკური საუბრის გამო. მათ შორის კი მგებობრები საკმოდ მკვახანს (პი. ბ. მართლა ორივე რაფესი დაიკრიფეს და ციხეში არიან? ღმერთი იწამე, მომწერე).

ეთვალთ, რომ მოაფრობამ კიდევ მოინდომეს შექმნი შეწყულება. მას მზად ვარ შევუძლია (თუკი შეთანხმება აუცილებელია), მაგრამ თქვაკი გადაჭრით გიკრძალავთ ჩემი პასუხისმგებლობა და თავდებობა იკისროთ. ჩემი მომავალი უოფაქცევა დამოკიდებულია იმაზე, რა გარეწოება შეიქმნება, მოაფრობა როგორ მომეპყრობა და etc.

მამასადამე, ჩემს კეთილგონიერებას ენდე შენ შეეძლია მომთხოვო ამ ახალი თვისების დამამტკიცებელი საბუთები. აი ისინი. კიშინოვიში მე ვმეგობრობდი მათორ რაფესკის, გენერალ პუშჩინსა და ორლოვს.

მე ვიყავი კიშინოვური ლოფის მახონი, ანუ იმ ლოფისა, რის გამოც რუსეთში ყველა ლოფა მოისრა.

და ბოლოს მე ვიყავ დაკავშირებული ახლანდელ შექმულთა უმეტეს ნაწილთან.

განსვენებულმა იმპერატორმა რომ გამასახლდა, მას შეეძლო მხოლოდ ურწმუნოება ესაყვედურებინა ჩემთვის.

ეს წერილი არც მაინცდამაინც კეთილგონიერულია, მაგრამ ზოგჯერ ბედსაც უნდა ენლა მათატიე. იყავ ბედნიერი, ჭერჭერობით უპირველესად ამას გისურვებ.

ვინემ ამ წერილს დაწვავდე, კარამზინს უჩვენე და რჩევა მკითხე მგონი. შეიძლება მეცხს მოახსენონ, თქვენო უდიდებულესობავ, თუ პუშკინი ამ საქმეში არ ურევია, არ შეიძლება ბოლოს და ბოლოს დაბრუნების ნება მიცეს?

ამბოვნენ, აღექვსანდრეს სიკვდილზე ლექსა დაგვიწერია — მდიდარი სავანია! — მაგრამ მისი მეფობის ათი წლის მანძილზე შენი ღირადუმა, ეს კი მისთვის ყველაზე დიდი ხაყვედურია. შენზე მეტად არავის მქონია უფლება ეთქვა: ხმა ღირისა, ხმა ერისაო. მამასადამე, არც ისე დამაშავე ვარ, სამარის კარადე რომ სტვენით მივაცილდე.

190. პ. კლიტინსკი

3 მარტი. მიხაილოვსკოედან პეტერბურგში. კარამზინი ავად არის! — ჩემო კარგო, ეს ბევრ სხვა ამბავზე უარესია — ღვთის გულიხათვის დამამშვიდე, თორემ ორჯერ მეტი შიში მექნება გაუთებობს გაშლისას. გენდიჩი ილიადას დამთავრებამდე არ მოკვდება — თორემ ვიტყვ გულსა ჩემსა უნდა: არა არს ფერი. ხომ იცი, რომ წინასწარმეტყველი ვარ. ბორის ვერ მიიღებთ. ვინემ პეტერბურგში არ გამოიწერო — რა არის მართლა და მართლა? სარკულადი არაა? სტე. პუშკინს 79 ხალა-ხალა გომებენ, საათსაც, ასევეცარ მედალს, მოელ პუშკინს კი — ბრანწს. სხე იყოს: უარს ვამბობ ფრანზე, შარვალზე და აკადემიის ზუთ შურირანეც (თუმც კი შერგება), ლუკი ამ დაწყველილ მიხაილოვსკოეს მაინც მომპაორებს. კითხვა: დამაშავე ვარ თუ არა? მაგრამ ორივე შემთხვევაში ამდენ ხანსაც მმართველა პეტერბურგს ჩამოსვლა. აი, რას ნიშნავს ერთგული ქვეშევრდომობა! დაგი-



ვიწყებენ და მორჩა შენი საქმე. მიიღეს თუ არა ჩემმა მეგობრებმა ჩემი საქმიანი წერილები? რატომღა არ მასხუბობენ? — შენც კარგი ხარ! იწერები: გადაწერე. ოპორტილი მწერავეები დაიპირავე, ონგინი გამოკვირო. ონგინისთვის მტებელა ახლა, ჩანდახას ონგინი! მე თავად მინდა გამოვცე თუ გამოვაქვეყნო. მიზეველეთ, ხალხო.

197. პ. შიხაშხაძის

27 მაისი, ფსკოვიდან პეტერბურგში.
 ცამდე მართალი ხარ. მწებების საუკარელო, — ვინარგებლეს შრუში ხიძისა და მომავალი ბატონის უფლებებით და წერილით მოვავარებ მთელ-საქმეს. ვალში ვარ თუ არა შენთან? შე-
 მომიტვალე, ხომ არაფერი გამოგატოვა ჩემმა მსახურმა. აფეო ლაპარაკისა და საქციელისთვის რომ მოვიშორე? დროა ბულგარინი, ბლაგონ-
 მკრენი და პოლევიო, ჩვენი მეგობარი, ასევე მოვიშორათ. მწუხნს, რომ კატენინს ვერა და ვერ შეეწყვე, თურნაღისთვის მიხსრებაა ეგ კა-
 ცი... გაწეოებში წაფიქობე, რომ Lancelotti პეტერბურგში ბრძანდება, რა ეშმაკი შეუძვრა? ისიც წაფიქობე, რომ ში სიტყვიერების მტოდ-
 ნეს სადილი ვაუმართათ მისთვის. ვინ არიან ეს უკვადებები? თითობზე ვიფიქრო და ვერ დაამთ-
 ვლია. პეტერბურგში რომ ჩახვალ, ხელში ჩაიგ-
 ვდე ეგ Lancelotti (მისი ერთი პაწია ლექსიც არ მახსოვს) და შშოლიფური სიტყვიერების დუქნებში არ გაუშვა. უცხოელებთან ურთიკრ-
 თობისას სიამაუეც ვეყარგება და სირცხვილიც — ინგლისელებთან ვახლი ღვოვიჩის ვამახხ-
 რებთ: M-me de Staël-ის წინაშე მი-
 ღაროდოვიჩის ვიძიებლეთ მაშურის ცევიით თავი გამოიჩინოს. რუხი ბატონკაცი უვირის: ბი-
 ქომ! შექტორკა (დანიური ძალილი) არ მომიწვი-
 კომ! ჩვენ ვხარხარებთ და ამ ჩვენი ბატონკაცის სიტყვებს ცნობისმოყვარე მოგზაურს ვუთარგვ-
 ნით. ეს ყველაფერი მის თურნაღში ხვდება და ევროპაში ქვეყნდება — მეტი სიმდაბლე იქნება, თქმა რად უნდა, რომ ჩემი მამული თავიან-ფე-
 ხიან მძავს — მაგრამ პრაზი მომდის, როცა უც-
 ხოელი ამ გრძნობას იზიარებს. ნეტა რა გაჩე-
 რებს რუსეთში, როცა დაბმული არავის ჰყა-
 ხარ? მეფემ რომ თავისუფლება მომცეს, ერთი თვეც არ დავარჩები აქა. ჩვენ უბედურ საუკუ-
 ნეში ვცხოვრობთ. მაგრამ როს წარმოვიდვენ ღონდონს, რკინიგზებს, ორთქლის გემებს, ინგ-
 ლისურ თურნაღებს ან პარიზის თეატრებსა თუ... — ჩემი გამოყრეებული მიხაილოვსკოე ნაღ-
 ველითა და სიბრაზით მავსებენ. ონგინის მე-
 სიმტყაში ჩემი ცხოვრება ავსახე: ოდესმე წა-
 ითხვავ და დიმილით იკითხვ: სადაა ჩემი პოე-
 ტი? ნიჭიერება მას ეტუობოდა — პასუხად რ მოისმენ, ტურფავ: პარიზში ვაშაა და ამ წუთულ რუსეთს არახოდე დაუბრუნდება — ყოჩაღ, კუკუაც მავსა ჰქონია.

შვიდობით.

ჩემი ფიქრით, უკვე პეტერბურგში იქნები და

ამ წერილს იქ გიგზავნი. გული შეთან-
 კარამზინებს რომ ვერ ვემშვიდობები — ღმე-
 რთმა იცის, ოდესმე ვნახვთ თუ არა ერთა-
 ნეთს. მე ახლა ფსკოვში ვიმყოფები. ახლავაზრ-
 და ექიმმა სიმთვრალეში მითხრა, ოპერაციის
 გარეშე ვერ იცოვხლბო. ვერაფერი სახარბიე-
 ღლო ამაჟვია ოპოჩის მაზრაში სიკვდილი.

199. ნიკოლოზ I-ს

11 მაისი — იფანის პირველი ნახევარი,
 მიხაილოვსკოელან პეტერბურგში.
 სოვლადუმიწალაღსო ხელშეშეშე

124 წელს, ჩემდა საუბედუროდ, დავიშა-
 ხურე რა რისხვა განსვენებული იმპერატორისა
 ჩემი დაუფიქრებელი და ქარაფშუტული მსჭე-
 რებით ათეწმის თაობაზე ჩემ შიერ დაწერილ
 ერთ წერილში, სამსახურიდან მომხსნეს და სა-
 ფელში გამასახლეს, სადაც გუბერნიის უფრო-
 სობის მეთვალყურეობის ქვეშ ვიმყოფები.

ამჟამად მაქვს რა იმედი თქვენი საიმპერატო-
 რო უდიდებულესობას სულგარქლობისა, ქვე-
 მარტიო სინანულითა და მტკიცე განზრბებით
 წინ არ აღვუდგე საკოველოთოდ მიჩნეულ წეს-
 ხა და რიგს (რის თაობაზეც მზად ვახლავარა
 ხელწერილი და პატიოსანი სიტყვა დავღო) —
 ვნებავ მოვმართო თქვენს საიმპერატორო
 უდიდებულესობას სოვლადუქვეშევრდომიღესი
 თხოვნით.

ახლავარდობის პირველ წლებში შერყეული
 ჩემი განმართელობა და ანეკროში დიდი ხანია
 საპიროებს გამოდემებულ მყურნალობას, რას
 დახტურადაც ვადგენ შევიდოსთა მოწმობას.
 ვნებავ და უკოლად უქვეშევრდომიღესად ვი-
 თხოვ საამისოდ მოსოხის, პეტერბურგსა თუ
 უცხო ქვეყნებში გამგზავრების უფლებას.

სოვლად უმოწყალებო ხელმწიფე,
 თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის
 ერთგული ქვეშევრდომი
 ალექსანდრ პუშკინი.
 (ცალკე ფურცელზე).

მე, ქვემოთ ხელმოწერი, პირობას ვდებ არ
 გავხდე არც ერთი საიდუმლო საზოგადოების
 წევრი, რა სახელითაც არ არსებობდეს იგი;
 ამასთან ვდახტურებ, რომ არც ერთ საიდუმლო
 საზოგადოებას არ ვეუთენოლი, არ ვეუთენი და
 მათ თაობაზე არახოდეს არა ვიცოდი რა.

10-ე კლასის ალექსანდრ პუშკინი,
 1830 წელს

279. პ. ზ. ბენკანდლორფს
 18 იანვარი, პეტერბურგში.

ბენერალო,
 ეს წუთია მივიღე წერილი, თქვენმა აღმატე-
 ბულებამ რომ ინება ჩემიღის მოეწერა. ღმერთ-
 მა დამიფაროს, ერთი სიტყვითაც წინ აღვუდგე
 იმის ნებას, ნაც ამდენი სიკეთე დამდო, სიზა-
 რულითაც დავემორჩილებოდი, დარწმუნებული

ალექსანდრ პუშკინი
 წერილები

რომ ვიყო, ჩემით უკმაყოფილო არ ბრძანდებო.

ფრიად უდროოდ მცხდებოა თქვენი აღმატებულიების მოწყალების თხოვნა. მაგრამ წმინდათაწმიდა ვაჟი მიძულდეს ეს გავაკეთო. შეგობრობა და მადლიერების გრძნობა მაკავშირებს იმ ოჯახთან, რომელიც ამჟამად ძალზე ხავალალო დღეშია: გენერალ რაევსკის ქვრივმა თხოვნით მომპირათა სიტყვა შემეწია მიხთვის მხათ წინაშე. ვინაც ძალუხს მისი ხმა სამეფო ტახტს მიაწვდინოს. მისი არჩევანი რომ ჩემზე შეჩერდა, მისდათავად მოწმობს, რაოდენ მოკლებულია იგი შეგობრებს. უკველგვარ სასოებასა და შემწვობას. ოჯახის წევრთა ერთი ნახევარი გადასახლებაში იმყოფება. მხოლოდ სრული გაყოტრების პირზეა. შემოსავალი ძლივს ჰყოფნის უზარმაზარი ვალის პროცენტები დაიფაროს. ქანი რაევსკიაა შუამდგომლობას ითხოვს დაინშნოს პენსია ქმრის სრული ჯამაგირის კალოზაზე. ხოლო გარდაცვალების შემთხვევაში პენსია მის ქალებს გადაეცეს. ეს იხსნის მას სოციალურად, მოგმართავთ რა თხოვნივთ. თქვენო აღმატებულებავ, ვიმედოვნებ, რომ ბედი 1812 წლის ჯიპრის ქვრივისა, ბედი იმ დიდი ადამიანის ქვრივისა. ვისი ცხოვრებაც ეგჯომ ბრწყინვალე იყო. ხოლო დასასრული ეგჯომ ხავალალო — გულსისხმას აღუძრავს მინისტრზე შეტად მეომარს, ხახენლმწიფო მოღვაწეზე მეტად კეთილ, გულმორწყალე ადამიანს.

მიიღეთ ჩემი რწმუნება. თქვენო აღმატებულებავ, თქვენდამი სრული პატივისცემისა. მაქვს პატივი დავაშუე თქვენი უმდაბლესი და უმორჩილესი მსახური. ალექსანდრ პუშკინი.

321. ნ. დ. ს. პუშკინიდან და
მ. კავკონიანისგან

3 მაისი, მოსკოვიდან პეტერბურგს.
ძვირფასო მშობლებო, მივედ თქვენი ორი წერილი. შემოძლია მარტო ის გითხრათ, რაც უკვე მოგახსენებთ: უვლათფერი მოგვარდა. მე უბედნიერესი კაცი ვარ და მთელი გულით მიუვარხართ ყველა.

მისმა უდიდებულესობამ უკვლად მოწყალებდ გამოთქვა თვისი კმაყოფილება ჩემი ქორწინების თაობაზე. მან ნება დამართო დამეხუტა ჩემი ტრავადია ისე, როგორც თავად ჩავთვლი საჭიროდ. გადაცდით ეს ამბავი ძმას, რათა მან თავის მხრივ პლედტენვს აცნობოს, ვინაც, უნდა ვთქვა, ისევე დამეიფრუა, როგორც დედოფელმა.

თქვენი წერილი ქან გონჩაროვას გადავციე: ვვარაუდობ, რომ იგი დღესვე მოგწერთ ხასუსხს; ბოძაჩემი მატყვი მიხაილოვიჩი ამ სამი დღის წინათ ხადარაზოდ ეახლა მას; მან ია ძალუამ გულით გაიზიარეს ჩემი ბედნიერება (რტი მესხმის. ჩემს თავზე რომ ამას ვამბობ).

უკვე რამდენიმე დღეა თვა (ვასილი ლვოვიჩი) არ მინახავს. ვიცი, თავს უკეთ გრძნობს.

გმაღლობ, საყვარელო ოლივა, მიგობრობისა და მოლოცვისათვის. შენი წერილი ნათლიას

წავუყობთ — ბევრი იცინა და თვითონაც გეგვა.

მეც გენვევით, ძვირფასო მშობლებო. ამ დღეებში იქნებ კალუგაში გავგზავნავო ნატალიას ზახუათთან. ძალიან მინდა მარხვამდე მოვასწროთ ჯვრის დაწერა. ერთხელ კიდევ გემწე ვედობებით.

361. პ. ს. კლიტინის
1830 წ. 9 სექტემბერი, ბოლდინოდან
პეტერბურგს.

ფრიად მეღანქოლიური წერილი მოგწერე. ჩემო კარგო პეტრ ალექსანდროვიჩ, მაგრამ შელანქოლიით ვერ გაგვიკვივს, ბევრჯერ გაქვს გამოცდილი საკუთარ თავზე. ამჟამად შეგვიწოდე ფიქრები გამიქარვდა: ჩამოველ სოფელში და ვიხვეწებ. ჩემს მეზობლად კოლერაბა მორბუსი ბინადრობს; იცნობ ამ ნადარს? აგერ-აგერ ბოლიდინოში შემოიჭრება და ყველას დაგვკოფვას — ვინძლო ძია ვასილისთან გამგზავნოს და ჩემი ბოგრაფიის დაწერა მოგინდეს. საწყალი ძია ვასილი! იცი, რა მიხსნა უკანასკნელად? მიველ, გონიხილია დამხვდა. მერე გამოერკვა, მცნო. შეწუხდა, დადუღდა და ბოლოს თქვა: რა მოსაწყუნია უატენაფნის წერილებიო! მეტი კრინტი არა, როგორ მოგწონს, მა? აი, რას ნიშნავს მეომრად მოკვდე კაცი. შემართული, საბძოლო ფარზე, le cri de guerre ala bouche!⁸⁵ შენ ვერ წარმოიდგინა, რა ბედნიერებაა საცოლეს გაეპარო და ლეგენბის წერად დაქდე. საცოლედ ცოლი ნუ გგონია. რა ბრძანება! ცოლი მჰაკაცია, მასთან რამდენიც უნდა წერე, საცოლედ კი ცენსორ შეგელოფვ უნარეხია, ენაც დაბმული შექვს და ხელე. ბიკ... დღეს მისგან საუცხოო წერილი მომივიდა: პირობას მამლევს უმწითოვოდაც გამოწყევს. მწითოვი არხად გაიქცევა. მიხსობს, მოსკოვში ჩამოდიო — ერთ თავზე ადრე ვერ ჩავდა, იქიდან კი შენვე გამოვსწერე. ჩემო სინარულიო, რასა იქმს დედლივი, ხედები თუ არა? უთხარი, გეთაყვა, ფულები დაპიკროვოს, ფულს შენ ნუ ცხუმრები; ფული დღეი რამაა — ანა კანკრინსა და ბუღვარინს ჰკითხე.

ამ, ჩემო კარგო! ეს რა ტურტა სოფელია! წარმოიდგინე: ირვავილი სულ ტრამალები; მეზობლების ჰვაქანება არა, აქროლედ ცხენით, რამდეწა მოგესურვოს, წერე, რამდენიც ვენებოს, კაცოშვილი არ გრშობს. გიშაადებ ნაირ-ნაირებს, პროზასა თუ ლექსებს. მასატივ, საუვარელიო.

ჩემი ტრავადია რა დღეშია? პატარა ილიელორი წინასიტყვაობა დავწერე. გამოვიგზავნო? არ დავიწყო. შენსახაც რომ შემიპირდა: საქმიანსა და გრძელს ტრავადიის ფასი რამდენია, 10 თუ 12?

362. პ. ს. კლიტინის
29 სექტემბერი, ბოლდინოდან პეტერბურგში.

ეს წულთა მთიფე ნიწი წერილი და მამინევერე მასუსხს. არა გრცხვინია, ეგრე რომ ვაკე-

გია ჩემი-ნაღველი? დედოფიც და უსუფიკაც
 კარგი ვინებოა. ალბათ თვითონ ვერა ვსჭვი
 კარგად, მაგრამ ეს როდის გამართლებთ. აი, რაზი
 იყო საქმე: ქორწილს ჩემი სიღვრედი ავ-
 ვიანებდა მზითვის გამო, და არა მე. მე კი გუ-
 ლზე ვსვდებოდი. სიღვრედი ამრწეით დამიწყო
 დახვედრა და სულელური კონკლავაა. იმიტო-
 მაც ვაფიცავდი. ნაღველი მომტრია და შევა ფი-
 ქრებმა შემპურს. ვახა მე მინდოდა ან ფიქრად
 მქონდა უარის თქმა? მაგრამ რომ შევტყუე-
 უარს მტუოდნენ, რითაც შემქმლს. თავი და-
 ვინუფეზე. რასაც შენ ამბობ საზოგადოებაზე,
 სამართლიანია: მით უფრო სამართლიანია ჩემი
 შიში, რომ დეიდებმა, ბებიებმა და დაიებმა თავ-
 ბრუ არ დახვიონ ჩემს ნორჩ ცოლს სისულე-
 ლეობით. მას ვუყვარვარ, მაგრამ ახა ნახე, აღე-
 კო პლედზე, რა არი და etc. ბარატინსკი ასე
 იძახის, მარტოდენ ბრძევს უხარია სიძე ბაჭო-
 ბაო. სოლო მოაზროვნე ადამიანს აფორიაქება
 და აწუხებს მომავალი. აქამდე ერთი იყო, ახ-
 ლა ორი იქნება. ხუმრობა საქმეა! იმიტომაც ვა-
 ჩქარებდი სიღვრეს. მაგას კი, თმავრძელი და
 კუპაშვილი დიაციხ პირობაზე, ჩემი ვერ გაგო
 და მზითვეზე ზრუნავდა, ჯანდაბან მზითვით. ახ-
 ლა გესმის ჩემი? თუ გესმის, შეაღწეო უფალს!
 გაგიმარჯოს, ჩემო სულსდამავ. რახა იქმ, რო-
 გორ ცხოვრობ, მე კი ჩემს საქმეებს მოვთავებ
 თუ არა, მოსკოვს ვაფიქვავებები უამრავი კა-
 რანტირების გავლით. გჯას ერთი თვე მინც მო-
 ვლდებოდი. ეს ერთი თვე აქ ისე ვავატარე, კაცი-
 შვილი არ მინახავს და უფრანალი არ წამიკით-
 ხავს, ისე რომ არ ვიცი, რახა იქმს ფილიპი და
 როგორ მყავს პოლინიკა. 37 ერთი პირობა მინ-
 დოდა შენთვის გადმოგიგზავნა ჩემი ქადაგება,
 აქაურ გლეხებს რომ წავუკითხე ქოლდობა თა-
 ბაზე: სიცოლით მოვლდებოდი, მაგრამ ამ ხა-
 ჩუქრის ღირსი არ ბრძანდები. მშვიდობით, სუ-
 ლო ჩემო; მომიკითხე მეუღლე და ასული.

366. ნ. მონჩაროვსს

დასალეობით (არა უგვიანეს) 29 ოქტომბრისა,
 ბოლდინოდან მოსკოვში.

მოწყალეო ხელმწიფავ, ნატალია ნიკოლაევსა.
 ფრანგულად ჩხუბი არ მეხერხება, ამიტომ ნება
 მიმოძეთ რუსულად გელაპარაკეთ, თქვენ კი,
 ჩემო ანგელოზო, ოღონდ პასუხი მომწერეთ და
 ჩაბოლოვდეთ³⁸ თანახმა ვარ. თქვენს წერილში,
 1) ოქტომბრის გამოგზავნილი, 28-ს მივიღე. მან
 ბევრი მიზეზის გამო დიხაც დამალა: ჯერ
 ერთი იმიტომ, რომ ზუსტად ოცდახუთი დღე
 იყო გჯაში. 2) იმიტომ, რომ პირველ ოქტომ-
 ბერს ისევე მოსკოვში ბრძანდებოდი, ამ რა ბა-
 ნისა დაპირიანებულ მოსკოვში. 3) იმიტომ, რომ
 ჩემი წერილები არ მივიღიათ. 4) იმიტომ, რომ
 თქვენს წერილი სადარბაზო ბარათზე მოკლე
 იყო. 5) იმიტომ, რომ, მაგონი, მიბრძანდებით, მა-
 შინ როცა უამისოდან უბედურზე უბედური
 ვარ. სადა ხართ? რას აკეთებთ? მოსკოვში ვაფ-

წავნი წერილებს, პასუხს არავინ მითვლენ, მა-
 არ მწერს, მაგონია, რომ მისი წერილები ჩვეუ-
 ლებისამებრ არ მანტერესებს. მაგრამ ჭირანო-
 ბის დროს ხომ განვრცდილი წერილიც კი ვაბა-
 რია. იმას მინც შეიტყობ, რომ ცოცხალია, და
 ამითაც კმაყოფილი ხარ. თუ კალუგაში იმყო-
 ვებოდი, თქვენთან პენსიდან წამოვად, თუ მოს-
 კოვში, ანუ მოსკოვის ახლო სოფელში — ვიატ-
 კას. არხანგელსკისა და პეტერბურგის გავლით.
 დმერთმანი, არ გეხუარებოთ — მომწერეთ, ხა-
 და ხართ, წერილი კი ამ მისამართით გამოგიგ-
 ზავენით: ლუკიანოვის მაზრა, სოფელი
 აბრამოვო. ბოლდინოში გადასავაგზავნად უფრო
 მადე მომივა. მამაჩემი, ხელებს ვუკოცნი დე-
 დათქვენს, მღაბალი საღამო დივის.

363. ა. დოლივიტს

4 ნოემბერი, ბოლდინოდან პეტერბურგში.
 მიიღეთ ჩემგან, ბარონო, ვასალური ჩემი
 ხარკი, უვადილოდ წოდებულთ, რამეთუ ნო-
 ვემბერში, უვადილობის ვამს მოკრეფილია. მო-
 მინხებნია შენთვის, ჩემი ბატონისათვის, რომ
 წლევანდელი შემოდგომა ფრიალ ბარაქიანი იყო
 და უკეთეს შენს მონამორილ ვასალს სარაკი-
 ნულმა საქონლის კირმა, ქოლდერად წოდებულმა
 და ჯვარანების ანუ ბურღაქების მიერ ჩვენთან
 შემოტანილმა, ფებებ არ გააფუქცია. მაშინ
 შენი სრა-სახსლის შინა, ლიტერატურულ გა-
 ზეთში მთელი წელი არ შეწუდების ტრუბადუ-
 რთა ვალობა. მე, სულს ჩემო, ქვეყნის პოლენ-
 მიკური წერილები დავწერე, მაგრამ რაღა აწუ-
 რნალები არ მომდის, საუკუნეს ჩამოვრჩი და
 არ ვიცი, რა ხდება — ვინ მყავს მისახრობი,
 პოლევოი თუ ბულგარინი. მამაჩემი შენზე არა-
 ფერს იწერება. ეს მამფოთებს, რამეთუ მინც
 მისი შვილი ვარ — ანუ ქვიანი და ხანდრია-
 ნისმ (როგორი სიტყვაა, მა?) პლედენეს უთხა-
 რი, რომ კოცნით დამახრობს, ჩემი შემოდგო-
 მის სიხეჩეთეს როცა იხილავს. მშვიდობით, სუ-
 ლიკო, მეორე ფოსტით იქნებ კიდევ რაღაც გა-
 მოგიგზავნო.

სოფლის გარემო ყველგან კარანტინება და
 ისე ვგრძნობ თავს, ვითარც კუნსულზე, ველა
 გამოადარებას, რომ ჯვარი დავიწერო და პეტერ-
 ბურგს მივალწო — მაგრამ ამაზე ფიქრი ჯერ
 ვერც გამიხდება.

372. ნ. მონჩაროვსს

18 ნოემბერი, ბოლდინოდან მოსკოვში.
 ბოლდინოში ვარ, ისევე და ისევე ბოლდინოში
 რა გვიგე, მოსკოვიდან არ გამოვავრებულხართ,
 საფოსტო ცხენები დაეჭირავ და გჯას დავა-
 დეი. შარავაზე რომ გამოვედი, ვნახე, თურმე
 მართალი ყოფილხართ: 14 კარანტინი მხოლოდ
 ავანოსობი იყო — ნამდვილი კარანტინი კი
 მხოლოდ საშია.

— უშიშრად გამოვცხადი პირველივეში

ალექსანდრ პუშკინი
 წიროღობი

(სივალდებულება, ვალდებულების გუბ.): ზედამხედველმა სამოგზაურო მოწმობა მომთხოვა და მაუწყა, მხოლოდ ექვსი დღით დაგაყავებოთ. მერე მოწმობას ჩახედა. (. . .) ასე ვიარე 400 ვერსი, ჩემს ბუნავს კი მინც ვერ გავეშორდი.

ეს კიდევ რა: აქ რომ ჩამოვბრუნდი, იმის იმედი მინც მქონდა, თქვენი წერილი დამხედვებოდა, მაგრამ იმ ლოთ-ფოსტებისტერს მურონაში თურმე პაეტები აურთვია. პოდა, (უაზანის, ნიჟნი-ლუიანოვის) ფოსტა (არზამასა) მიიღო, თქვენი წერილი კი (თუკი არსებობს ეს წერილი) ახლაც არ ვიცი, სად დასერიანობს და როდის მომივა. ყოველგვარი სახო გარდათქვეთა და რალი მარხვაც დადგა (დედათქვენს გადაცემით, რომ ამ მარხვას დიდხანს არ დავივიწყებ). უკვე აღარ ვიჩქარებ; დაე უყვლაფერი თავისი რიგით წვაიდეს, მე გულხედალად რიგითი დავეწოდები. მამა კვლავაც მწერს, რომ ჩემი ქორწინება ჩაიშალა. ვინაშემ ამ დღეებში თქვენი გათხოვების ამბავიც მამცნოს... თავგადასჯარავ, აბა რა იქნება. თავად შალიკოვს უნდა ვუთხარდოდე, რომ ბოლოს და ბოლოს მაცნობა, ქოლერა ჩაცხრაო. ესაა პირველი კარგი ცნობა, რაც ამ ბოლო სამ თვეში მომხვლია. მშვიდობით (ჩემო ანგელოზო), იყავით კარგად, ნუ გაჰყვებით ცოლად ბ-დავიდოვს და შემინდეთ ეს საძაგელი გუნება. დედათქვენს ფეხქვეშ ვეგები, სხვებს უოველი სიკეთე ჩემგან.

მშვიდობით.

378. პ. კალიტინის

9 დეკემბერი, მოსკოვიდან პეტერბურგში.
ჩემო კარგო! ნ დეკემბრიდან მოსკოვს ვამყოფები. სიდედრი გააღმასახლებული დამხვდა, ძლივას შემოვირიგე, ღვთის მადლით მინც შემოვირიგე. რის ვინაჩრობით გამოვალწვი კარანტინებს — ორჭერ გამოვემგზავრე პოლდინოვან და ორჭერვე დავბრუნდი. მაგრამ, მადლობა დმერთს. აქაც მოგვარდა საქმე. ფული რაც შეიძლება ბლომად გამომიგზავნე. აქ ლომარდა დაკეტილია და გასაქირში ვარ. გოდუნოვის საქმე როგორ მიდის? გეტყვი (ოღონდ საიდუმლოდ), როგორც პოლდინოში ვჭერო, ისე კარგა ხანია არ მიწერია. აი, რა ჩამოვტანე იქიდან: ონგინის 2 უკანასკნელი თავი, მე-8 და მე-9. საბუტედად გამოადებულა, ოქტავეებით დაწერილი მოთხრობა, რომელსაც Anonyme⁰⁹-დ გამოვაქვეყნებთ. რამდენიმე დრამატული სცენა თუ პატარა ტრაგედიები, სახელდობრ: ძუნწი რაინდი, მოცარტი და სალიერი, ლხინი უამიანობისას და დონ უჟანი. გარდა ამისა დავწერე 30-მდე პატარა ლექსი. კარგია? ეს ყველაფერი როდია (ფრიალ საიდუმლოდ)*. დავწერე პრეზად 5 მოთხრობა,

რომელთა გამო ხარტინსკი ქიხინებს და კდედელს თავს ახლის — იმასაც აგრეთვე Anonyme-დ დავბეჭდავთ. ჩემი სახელით არ შეიძლება. თორემ ბულგარინი ლანძღვით ამიკლებს. მამასა-დამე, რუსული სიტყვიერება ბულგარისა და გრეჩულა შეიღანად გადაბარებული სამწუბარა — მაგრამ დედვიც რას უკურნავა? რამ დაახეიდანა ლავინი?91 დედვიცმა სელმწიფის წინაშე თავი მინც უნდა იმართლოს. მას შეუძლია დამტკიცოს, რომ მის გაუეთში არათუ ამბოხის, მთავრობისადმი მტრული განწყობის ნატამალიც არ უოფადა. მოვლამარკე ამაზე დედვიცს, თორემ ქაშუში ლიტერატორები ცოცხლად შექამენ. მაპატიე, ჩემო სულო, იყავი კარგად — ესაა თავი და თავი.

379. ი. ზიტროვსკი

9 დეკემბერი, მოსკოვიდან პეტერბურგს
მოსკოვს დაბრუნებისას. ქალბატონო, კნინა დოლგოპრუკისთან თქვენი პაეტი დამხვდა — ფრანგული გაუეთები და დიუმას ტრაგედია — ეს ყველაფერი ჩემისთანა გაუბედურებულ, პირიან ნოვგოროდელისთვის დიდი სიხსნე ვახლავთ. რა წელია რაბეა ხდება! პოლონეთის აჯანუბის ამბავმა ხომ სულ მთლად თავწარი დამცა. მაშ, ჩვენი ოდინდელი მტრები საბოლოოდ გაცამტკერებულან, ისე რომ, რაც ალექსანდრემ გააკეთა, იქიდან არაფერი დარჩება, რამეთუ რუსეთის ქემნარტ ინტერესებზე დაფუძნებული არა იყო რა, მხოლოდ პირად მწვაობრობას, თეატრალურ ეფექტს და ა. შ. ემყარებოდა... იცით თუ არა ფელდმარშალ მამათქვენის მწარე სიტყვები? ვილნოში შესვლისას რომ პოლონელები ფეხებში ჩაუვარდნენ, ასე უთქვამს მათთვის, წამოდებით, გახსოვდეთ რომ რუსები ხართ. ჩვენ შეგვიძლია შევიბრალოთ პოლონელები, არკი შევიძლოთ, რამეთუ შეტისმეტად ძლიერნი ვართ. დაწეული ომი ხოცვა-ღლეტა იქნება — ყოველ შემთხვევაში ასეთი უნდა იყოს. მაჟული სიყვარული პოლონელის სულში უმიდებ — სასოწარმამეთლი გრმონა იყო. ვიხსენებ მათი პოეტი მიკევიჩი. — ეს ყველაფერი ძალზე მადონებს. რუსეთს მოხვენება და სიმშვიდე სჭირდება. მე ახლანან ჩამოვიარე იგი. სელმწიფის დიდსულოვანმა ჩამობრანებამ მოსკოვი აღაფრთოვანა, მაგრამ ერთსა და იმავე დროს ყველა 16 დავიარანებულ გუმბრინაში ვერ იქნებოდა. ხალხი დათრგუნულია და ვადიზიანებული. 1880 წელი — ჩვენთვის სამწუხარო წელია! იმედი უნდა ვიქონიოთ — იმედი კარგი საქონელია.

* მხოლოდ შენთვის.

- 74 შედგერი (ფრანგ.).
 75 აქ რაღაც პერია (ფრანგ.).
 76 ჩანაწერები (ფრანგ.).
 77 აბუჩად. ჩაგდება. გამოწვევა (ფრანგ.).
 78 1826 წელს პ. ალექსანდრის შეთავაზებული-
 ბით გამოიცა „ალექსანდრე პუშკინის ლექსები“.
 79 ფ. ნ. სლუპუკინი რუსეთის აკადემიამ ლე-
 კსების კრებულისთვის დააჯილდოვა „საშუალო
 სიდიდის ოქროს მედლით (ნახევარმედლით) —
 ნიკოლოზ 1-მა — ხალაით, დედოფალმა —
 ოქროს საათით.
 80 ნიკოლოზ 1-ის მეფედ კურთხევაზე ჩამო-
 სული ფრანგი პოეტი ანსელო ე.
 81 მადამ დე სტალი (ფრანგ.).
 82 იგულისხმება ნიკოლოზ 1.
 83 პუშკინის და.
 84 ქოლერა.
 85 საომარი კივინიო პირზე! (ფრანგ.).
 86 სტროფი პოეზიდან „ბოშები“.
 87 საფრანგეთის მეფე ლუი-ფილიპე და მისი
 მინისტრი-პრეზიდენტი.
 88 ფინური.
 89 Хандра — დარდი, უგუნებობა.
 90 ანონიმურად (ფრანგ.).
 91 კაზიმირ დელავანის ლექსის გამო, რომე-
 ლიც 1830 წლის ივლისის რევოლუციის
 მსხვერპლთ მიეძღვნა, „ლიტერატურული გაზე-
 თი“ აიკრძალა.
 92 პუშკინის მეგობარი ქალი, სარდალ მ. კუ-
 ტუზოვის ასული.

თარგმანი რუსულად ქაზულაქიმ



აუკონა

ჯანრი გოგეუვილი

სსუ, მოღის!..

სურათი პირველი

— პარტი თუ ძმა ხარ, რა წამაქითხვებს!
 — ჭობდა ანონიმები ეწერა, გვარს მაინც
 ააცილებდა ღანძღვა-ვიწინებს.
 — გაგებაში არაა, ვინც მაგ ვრავომანი პი-
 რველად ჩამოხვდება...
 — არა, ვინც მაგის შესაშოცე წიგნს სტამბა-
 ში გზავნის...
 — ესეც და მაგის გამოცემლებიც...
 — სსუ, მოღის!..

სურათი მეორე

— გულმზურვალედ მოგესალმებით ბატო-
 ნო!..
 — მადლობელი ვარ, დიდად მადლობელი!
 — ?!..
 — თქვენი კრებული მაქვს მხედველობაში,
 მთელი ეპოქაა! რა გროტესკები. რა ექსპრესია,
 ემოციური იმპულსაცია. რა პასაჟები, სიტუა-
 სია და გრძნობის სინთეზი. დოკუმენტი კვირტა,
 მერედა რა კვირტა?!..
 — ემოციური-ქვეცნობიური დუალიზმი, სიღ-
 რმე, სიღრმე რა სიღრმე!..

— ბატონო... გავბედე და... უფრო გასაგე-
 ბად, რომ შემოგხედოთ, მოსდევებულ ემოციას
 გასაქანი მივუცი, რაღა დაგინალოთ და წერილი
 მაქვს...

— შესანიშნავი წერილია, თქვენს შემოქმე-
 დებასთან. თქვენს მდიდარ სამუაროსთან მისუ-
 ლის მოკრძალებული მცდელობა... ახლაც მის
 შესახებ ვსაუბრობდი... ოღონდ მოსდევებულნი
 გრძნობა ვერ შევბოჭე და ცოტა ვრცელნი გა-
 მომივიდა. მე რომ განზრახული მქონდა იმ განუ-
 თისათვის...
 — მე ვურჩიე უფრონად „სამუურაში“ მიეტანა.

— თქვენც ამახვე შირჩევდით, ბატონო?
 კეთილი, გმადლობთ, დიდად გმადლობთ, ხვა-
 ლვე მოვიტან... იქნებ ჭერ თქვენ გადაგხედ
 ათ, თქვენს მახვილ თვალს არაფერი არ გამო-
 ეპარება. ზოგჯერ ჩვენც ვცოდავთ, გავვიტაცებს
 ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური ძიებანი და...
 — ...
 — გმადლობთ, უღრმესი მადლობა, დილის
 თორმეტ ხათზე თქვენთან ვარ...
 — კარგად ბრძანდებოდეთ!!
 — გმადლობთ, დიდად გმადლობთ!

სურათი მესამე

— გამაგიჟებს ეს ხალხი, ამას იმ თანამდე-
 ბობაზე ვინ აჩერებს?!
 — იქ ეგეთი კაცია საჭირო. ზემდგომების
 მიმართ უპრეტენზიო, ქვემდგომების მიმართ...
 — მე მაგის წიგნის წამკითხავს...
 — აბა წერილი საიდან მოაგუნდავე?!
 — მაქვს ერთზე, ამას წინათ... და აღარ ღრის
 დაბეჭდვა. წავიკითხე ამ შერეკილის მონარმა-
 ხის ანოტაციას, ჩავხვამ... გადავხვამ... და მზა-
 დაა. ისე ნაღდ გენიოსს ისეც ეს გვერჩინოს,
 რასაც თვითონ ხრავს, იმას ჩვენც გავხვრევა-
 ნებს.

— მაღე იმ ადგილსაც დაირტყამს!
 — აბა მუშველა! იმ წერილს გავბერავ, წიგ-
 ნსაც მის სათაურს ვაკაბებ, სამ თვეში ჩამო-
 ბეჭდავ და დავირტყამ...
 — დაგვეღვივა სამშობლოს სადღეგრძელო
 და ეს არის! მო, იმ ლიტერატურულ ცვედანს
 რას უპირებ?
 — სსუ, მოღის!..

სურათი მეოთხე

— ?!



გაბროვოელი ცუბოტი

სტუმრად

გაბროვოელი თავისი ვაჟით ესტუმრა დას.

- მომეცი მუკი, თხილს ჩაგყური, — უთხრა ბავშვს სტუმართმოყვარე დიასახლისმა.
- უკეთესია, მამაჩემს ჩაუყაროს.
- რაო, შენ არ გიყვარს თხილი?
- როგორ არ მიუღარს, მაგრამ მამას დიდი ხელისგულეები აქვს.

თვითდაჯერებულობა

ორმა გაბროვოელმა იჩხუბა. საქმე დუელამდე მივიდა, მაგრამ თანასოფლელებს რომ სასაცილოდ არ აეგდოთ, დათქვეს, სხვა ადგილას შეხვედროდნენ ერთმანეთს.

წაუდინენ რკინიგზის სადგურში. ერთმა სათვანმა იუიდა ორი ზილეთი იქითაც და აქეთაც. მეორემ კი მხოლოდ ერთი.

— ესე იგი, რენდი არ გაქვს, რომ ცოცხალი დაბრუნდები, არა? — უკბინა იმან, რომელმაც ორი ზილეთი შეიძინა.

— პირიქით, გადაწყვეტილი მაქვს, შენი ნაუიდი ზილეთით ვინარგებლო.

შესხვედრა

გაბროვოელი ქალი ქუჩაში შეხვდა ნაცნობ ექიმს და გადაწყვიტა, უსასყიდლოდ გამოერთმია მისთვის რეცეპტი.

— ექიმო, კარგად ვერა ვარ, თავი მიბრუნებს, მადა დამეკარგა, თუ ღმერთი გწამს, გამომიწერე რეცეპტი.

— სიამოვნებით, მაგრამ ჭერ გაიხადეთ, უნდა გაგხინჯოთ — მიუგო ექიმმა, ისიც გაბროვოელი იყო.

თავაზინაობა

კუბეში ორი გაბროვოელი იჯდა. მთელი მგზავრობის მანძილზე არც ერთს არ მოუწევია, თუმცა ორივე გამოუსწორებელი მწვეველი იყო, ორივე ამას ფიქრობდა, ხომ შეიძლება, მეორეს სიგარეტი არ აღმოაჩინდესო.

სიყვარულის ახსნა

- ძვირფასო, ისე მიძინელებს, საჭირო სიტყვების მოხსნა...
- არა უშავს, გენაცვალე, მთავარია, საჭირო თანხა მოძებნო.



КОНТРОЛЬНЫЕ
ИЗМЕНЕНИЯ

შეცდომების გასწორება. ჩანართის მე-6 გვერდზე პორტრეტის წარწერა „ლალი ჯაფარიძე“
უნდა იკითხებოდეს „ლელა ჯაფარიძე“.

ჩ ვ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 280007, დადიანის ქ. № 2.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე —
72-26-82, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85, პრისის — 72-26-80,
ლიტერატურული თანამშრომლება — 72-47-62, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექ-
ტორო — 72-43-75.

ვადაკეცა ასაწყობად 22. 7. 80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 9. 80 წ., ქაღალდის ზომა
70×108. ფაზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ.
თაბახი 15.85. შეკვ. № 2114. უე 00699. ტირაჟი 37.000.

საქართველოს კვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ჩემი მიწის დიდი შემოდგომა

თავმდაბლობით თუ ამბობდი, ალბათ,
 — „ხილი ნახე, ნუ იკითხავ მეხილეს,“
 მზის კოცონზე ძვლებგამთბარო პაპავ,
 მსურდა კიდევ ბალის სტუმრად მეხილე.
 ხომ იტყოდი მებაღეზე ეშხით,
 — „ივარგა და... სირცხვილი არ მაჭამა“.
 (ბიჭოს, როგორ შემოიჭრნენ ლექსში,
 პაპა, ხილი, მეხილე და მაჯამა).
 იკითხავდი მებაღესაც, ხილსაც,
 მოიკრებდი ბებერ მუხლში არაქათს,
 შეაქებდი კახაბერის ღირსად,
 კაცის მარჯვენს, დედამიწის ბარაქას.
 გასინჯავდი ხილის სურნელ-ჭაშნიკს,
 შიშველ ფეხებს ცვარში დაიცვარავდი,
 შემონთებულ ცეცხლს იგრძნობდი ჯანში,
 მუხლი მაინც ჩაგიყვანდა ზვარამდი.
 იმ ზვარშიც ხომ, პაპავ, წილი გიდევს,
 მიდი, გაჰყევ ვაზს ბებრული ტუსტუსით;
 ერთი ნატვრა აუხდინე კიდევ,
 მოესურვა შენი ზრუნვა-ფუსფუსი.
 მიაშველე ხელი ვაზის ქომავს,
 შენც ხომ ადრე მისი ეშხით ლელავდი.
 ჩემი მიწის დიდი შემოდგომა
 დამილოცე მამა-პაპის ხელადით.
 დაანყნარე მაჭრის ლელვა-შფოთი,
 დააყენე ღვინო კახურ-კაცური,
 მოიტეხე დედას პური შოთი,
 შესვი ღვინო შენი ხელით ნანური.
 დამილოცე ასულნი და ძენი,
 ჩემი ფუძის ანგელოზიც დალოცე.
 გამოლენე დარჩენილი დღენი,
 სიმშვიდის და სიხარულის კალოზე!

რეჰვაზ ჯაპელიძე.

55 223
საქართველოს
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კპპ.

0520660 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ